იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაკა შავგულიძე

კახეთის რეგიონის მუზეუმების ისტორია მე-20 საუკუნეში და მათი განვითარების პერსპექტივები (თელავის ისტორიული მუზეუმის და წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მაგალითზე)

07.00.01 – საქართველოს ისტორია

დისერტაცია შესრულებულია ისტორიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
დოდო ჭუმბურიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თელავი

2011

ნაშრომი შესრულებულია თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე

შესავალი

ქართველი ერის ისტორიაში XX საუკუნე მრავალი, უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოვლენით აღინიშნა. დაიწყო საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის წარმოჩენა, რაშიც დიდი როლი ახლად დაარსებულმა სხვადასხვა ტიპის (მხარეთნცოდნეობითი, საისტორიო-საეთნოგრაფიო, მემორიალური, არქეოლოგიური და სხვა) მუზეუმებმა შეასრულეს. მუზეუმები დაარსდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში და მათ შორის კახეთშიც.

სამუზეუმო სიძველეებისა და ფონდების შეგროვება-შესწავლა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყო და ამ პროცესში მთელი ქართული მოწინავე ინტელიგენცია, მათ მიერ შექმნილი საზოგადოებები იყო ჩართული. მოპოვებული სიძველეების, მე-20 საუკუნეში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციებისა თუ ცალკეულ შემგროვებელ-ენთუზიასტების მიერ შეკრებილი მასალებით მრავალი სამუზეუმო ფონდი გამდიდრდა, რაც საინტერესო სამუზეუმო გამოფენებში აისახა. გარდა იმისა, რომ ამ მასალებმა ქართველი თუ უცხოელი დამთვალიერებლის ინტერესი დაიმსახურა, ისინი იქცნენ არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიისა და წინა აზიის ისტორიის მკვლევართათვის ფასდაუდებელ წყაროებად. ამასთანავე, საქართველოს კულტურულ-სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების სფეროში მათი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება.

<u>წინამდებარე ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა</u>.

თანამედროვე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობას. საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტებში საქართველოს ჩართვა ითვალისწინებს არა მარტო საყოფაცხოვრებო პირობების სტანდარტების გაზრდას, ეკოლოგიურად დაცული ტერიტორიების გამოყენებას, არამედ ამ მიმართულებით მუზეუმების როლის ამაღლებას. მუზეუმები უცხოელი ტურისტებისათვის განკუთვნილ მარშრუტებში გაცილებით დიდ დატვირთვას იძენენ, ვიდრე ოდესმე ჰქონია მათ. დღევანდელ სწრაფად-ცვალებად ეკონომიკურ

გარემოში, როდესაც პოლიტიკური აქცენტები ორგანიზაციის მომგებიანობაზე და კონკურენტუნარიანობაზე კეთდება, მნიშვნელოვანია მუზეუმებისათვის რეორიენტაცია და ახალი მმართველობითი ფორმების საშუალებით კონკურენტულ გარემოში ჩართვა. ამასთან, საზოგადოების ცნობიერებაში მომხდარმა ცვლილებებმა წარმოქმნა ახალი ტიპის დამთვალიერებელი, რომელიც საჭიროებს მუზეუმის ფუნქციონირების ხარისხის ისეთ დონეს, რომ იგი იყოს უნიკალური, მოსახერხებელი და მიმზიდველი მისი მოთხოვნილებების შესაბამისად. ეს მდგომარეობა, იმ პრობლემასთან ერთად, რომ ჩვენი მუზეუმების ისტორია შეუსწავლელია და ფართო საზოგადოებისათვის მათი შესაძლებლობები არ არის ცნობილი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნულ სფეროში გამოუყენებელი პოტენციალი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდია. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა სადისერტაციო ნაშრომის თემის არჩევა, რომელიც ახლებურ მეცნიერულ კვლევებსა და მიდგომებს მოითხოვს.

<u>კვლევის საგნად ავირჩიეთ</u> კახეთის რეგიონის ორი მუზეუმი: თელავის ისტორიული მუზეუმი და წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ორივე მუზეუმის ექსპოზიციებსა თუ ფონდებში დაცული მასალები უაღრესად საინტერესოა როგორც ისტორიულ-კულტურული, ასევე სამეცნიერო და სანახაობრივი თვალსაზრისით. კახეთის რეგიონში განხორციელებულ ტურისტულ მარშრუტებში მათი ჩართვა კიდევ უფრო საინტერესოს გახდის ამ მარშრუტებს უცხოელი ტურისტებისათვის.

<u>კვლევის მიზნები და ამოცანები:</u>

კვლევის მიზანია კახეთის რეგიონში არსებული მუზეუმების ტიპების გამორკვევა, მათი კლასიფიკაცია, განვითარების ისტორიული სურათის წარმოჩენა, მათი პერსპექტივების განსაზღვრა და ამ მიმართულებით პრაქტიკული წინადადებების შემუშავება.

აღნიშნულმა განაპირობა შემდეგი ამოცანების დასმა:

– მუზეუმების ჩამოყალიბების საფუძვლების წარმოჩენა;

– კახეთის რეგიონში არსებული მუზეუმების მიმოხილვა;

– მუზეუმების ისტორიის თხრობა დაარსებიდან დღემდე;

– მუზეუმებისათვის დამახასიათებელი სამუზეუმო საქმის თავისებურებების წარმოჩენა;

– მუზეუმების პოტენციალის გამოყენების საკითხების განხილვა;

– მუზეუმების პერსპექტიული განვითარების მთავარი მიმართულებების განსაზღვრა.

ნაშრომის მიზანია მეცნიერულად განისაზღვროს და დაზუსტდეს: **1. მუზეუმების როლი საქართველოს ისტორიული წარსულისა და ქართული კულტურის ფართო პროპაგანდის საქმეში; 2. რა ეკონომიკური სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ახალ ქართულ ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ჩართულ სამუზეუმო დაწესებულებებს, როგორ უნდა დაგეგმარდეს მათი პრიორიტეტული მიმართულებები**.

კვლევის ამოცანაა გაზარდოს მუზეუმების როლი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, სამუზეუმო ფონდების დაცვასა და შესწავლას, ქართული სიძველეების ფართო პოპულარიზაციას.

<u>ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:</u>

1. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად, ღრმად და თანმიმდევრულად არის შესწავლილი ქალაქ თელავის ისტორიული მუზეუმისა და წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორია, ნაჩვენებია და შესწავლილი საექსპოზიციო სტენდებზე გამოფენილი და ფონდებში დაცული საინტერესო ექსპონატები თუ კოლექციები;

2. პარალელურად, ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები და წარმოდგენილია მუზეუმების სათანადო ადგილი კახეთის ტურისტულ ინფრასტრუქტურაში;

3. სპეციალური კვლევისა და დაკვირვების, ასევე, უცხოური გამოცდილების გაანალიზების შედეგად, მოცემულია ქართული მუზეუმების ტურიზმის სფეროში ჩართვისათვის საჭირო რეკომენდაციები.

<u>ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება:</u>

მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების სახით დაგვიტოვეს, მკაფიოდ წარმოგვიდგენს ჩვენი ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს, ქალაქებს თუ სოფლებს.

მათი წყალობით, საუკუნეების მანძილზე გაედევნება თვალი საქართველოს ცალკეული კუთხეების კულტურულ მემკვიდრეობას და მის ეროვნულ ტრადიციებს.

კახეთის ისტორიული წარსულის ამსახველ ძეგლებს უდიდესი შთაბეჭდილების ძალა აქვთ. მუზეუმებში დაცული ხელოვნებისა თუ კულტურის სულიერი და მატერიალური ძეგლები ხალხისა და მისი კულტურის განვითარების მჭერმეტყველი მაჩვენებელია, რომლებიც შემდგომ თაობებს წინაპრების შემოქმედებასა და მასთან დაკავშირებით მათ გმირულ ისტორიაზე მოუთხრობენ. ქართული კულტურის ეს შესანიშნავი მონაპოვრები საჭიროებს პოპულარიზაციას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ უცხოეთშიც.

ნაშრომი დაეხმარება საქართველოს მუზეუმების თანამშრომლებს – ახლებურად მოაწყონ მუზეუმების ინფრასტრუქტურა და ჩართონ იგი ტურისტულ მარშრუტებში, განსაზღვრონ მუზეუმების პერსპექტივები და ამ მხრივ პრაქტიკული წინადადებები შეიმუშაონ.

<u>კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.</u> სადისერტაციო ნაშრომის თეორიული საფუძველია მუზეუმების თემაზე არსებული მეცნიერული გამოკვლევები, საარქივო ჩანაწერები, პერიოდული პუბლიკაციები, მუზეუმების თანამშრომლებისაგან მიღებული გამოკითხვის მასალები, ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია.

<u>ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.</u>

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში განხილულია მუზეუმები, როგორც მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც უშუალო კავშირშია ქართული კულტურის შესწავლის, მისი დაცვის, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და ეკონომიკურ სფეროებთან.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში (“კახეთის რეგიონის მუზეუმების განვითარების ისტორია მე-20 საუკუნეში”) განხილულია კახეთის ტერიტორიაზე მე-

20 საუკუნეში შექმნილი მუზეუმები, მათი დაარსების საფუძვლები, განსაზღვრულია მათი ტიპები, მუშაობის სპეციფიკა და ისტორიული მნიშვნელობა კოლექციების შემადგენლობის მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი (“თელავის ისტორიული მუზეუმი”) მოიცავს თელავის ისტორიული მუზეუმის ისტორიას დარსებიდან დღემდე.

მოცემულ თავში განხილულია სამუზეუმო კომპლექსში შემავალი “ბატონის ციხის” არქიტექტურული კომპლექსის (კახთ მეფეთა მემორიალური სასახლე, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, არჩილის კარის ეკლესია, გალავანი ბურჯებით, აღმოსავლეთის და დასავლეთის კარიბჭეები, აბანო, გვირაბი) აქრიტექტურა და ისტორია. ამავე თავში განხილულია “კახთ მეფეთა” სასახლის ისტორია, რომელიც წარმოადგენს კვლევას მეფეთა სასახლის სამშენებლო პერიოდის შესახებ.

მოცემულ თავში ვრცლადაა განხილული მუზეუმის დაარსების საფუძვლები, წარმოჩენილია ის პრობლემები, რაც თან უძღვოდა მუზეუმის ჩამოყალიბებას. წარმოდგენილია დეტალური კვლევა მუზეუმის განვითარების შესახებ დაარსებიდან დღემდე, რომელიც განხილულია სამ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს 1927–1950 წლებამდე პერიოდს, მეორე ეტაპი - 1950-1980 წლამდე პერიოდს, ხოლო მესამე ეტაპი 1985-დან დღემდე პერიოდს. აღნიშნული ეტაპების განხილვა წარმოგვიდგენს კვლევას მმართველობით საშუალებებზე, მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, სამუზეუმო საქმის მეთოდებსა და საშუალებებზე, კოლექციების მართვაზე და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი (“ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორია”) წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორიის მიმოხილვას წარმოადგენს. ჭავჭავაძეების ოჯახის, სასახლისა და მისი შემოგარენის, ასევე ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორიის თხრობა სამუზეუმო კომპლექსზე სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის დაარსებიდან დღემდე.

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავში “კახეთის რეგიონის მუზეუმების პრობლემები და მათი განვითარების პერსპექტივები” მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული შედეგები. აქ საუბარია ასევე მუზეუმებში არსებულ პრობლემებსა და განვითარების პერსპექტივებზე, რაც მუზეუმის ისტორიის სამომავლო განვითარების სურათს სახავს.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაში მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული შედეგები.

წყაროები და ლიტერატურა

სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ მრავალი საისტორიო წყაროა დაცული. უპირველესი ამ წყაროებიდან არის საარქივო მასალები, სამუზეუმო ფონდებში შესული ხელნაწერი დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ იმ მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას, რომლის დაცვასა და პოპულარიზაციას ისახავენ მიზნად სამუზეუმო დაწესებულებები. ნაშრომში ასევე ფართოდაა გამოყენებული ისტორიოგრაფიული ნაშრომები, ქართული და უცხოური გამოცემები სამუზეუმო საქმიანობასა და მის პერსპექტივებზე, პერიოდული პრესის მასალები.

მუზეუმების შესახებ გამოცემული ლიტერატურიდან ჩვენთვის საყურადღებოა შემდეგი ნაშრომები:

ჭილაშვილი ლ., «მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები,'' თბილისი, 1984. ავტორი განიხილავს მუზეუმების სპეციფიკურ მხარეებს მათი საქმიანობის ყველა ეტაპის გათვალისწინებით. იგი სვამს საკითხს მათი შენარჩუნების, მოვლისა და შესწავლის შესახებ. ნაშრომი დაგვეხმარა ეს მონაცემები გადმოგვეტანა დღევანდელ სამუზეუმო საქმიანობაზე და გაგვემდიდრებინა წიგნის გამოცემის შემდეგ სამუზეუმო სფეროში დაგროვილი სამეცნიერო-პოპულარული მუშაობის გამოცდილებით.

ქარაია ი., ბურჭულაძე მ., ქარაია ლ., ცისკარიშვილი ს., «საქართველოს მუზეუმები,» თბილისი, 2006. ეს არის გზამკვლევი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას საქართველოს მუზეუმების შესახებ რეგიონების მიხედვით, მნიშვნელოვანი მუზეუმების შესახებ ინფორმაციას მათი კოლექციების, საექსპოზიციო ფართისა და ექსპონატების რაოდენობის შესახებ, და მთლიანობაში, ყველა მუზეუმის საფოსტო და საკონტაქტო ინფორმაციას. გზამკვლევი სამუზეუმო ფონდებისა და მათი დაცვა-შესწავლის შედარების, საკვლევ თემაში დასმული პრობლემატიკის გაღრმავება-გაფართოებას იძლევა.

ლორდი ბ., ლორდი გ.დ. (ავტორი და რედაქტორი ქარაია ი.), «სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი,» თბილისი, 2006. წიგნში განხილულია სამუზეუმო საქმის

მენეჯმენტის მეცნიერული საფუძვლები და პრაქტიკული გამოცდილება, მუზეუმის მართვის ამოცანები, სამუზეუმო ორგანიზაციების სტრუქტურა, სამუზეუმო ფონდების, საექსპოზიციო პროგრამებისა და ფინანსების მართვის მეთოდები, მუზეუმის მუშაკთა მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული ნაშრომი გვეხმარება მეცნიერულად შევიმუშავოთ და დავასაბუთოთ კახეთის რეგიონის მუზეუმების მართვისა და ფინანსურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ახალი მიმართულებები.

საქართველოს ისტორიული სიძველეების (მათ შორის კახეთის სამუზეუმო სიძველეების) შესწავლაში დიდ დახმარებას გვიწევს ვახუშტი ბატონიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, მოსე ჯანაშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სხვათა ნაშრომები;

თელავის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის შესახებ დიდი ნაყოფიერებით მუშაობდნენ შემდეგი ავტორები:

ორბელიანი ალ., (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გიორგი ჯავახიშვილმა), ,,თელავი'', თბილისი, 1997. ნაშრომის მხატვრულ-დოკუმენტური თხრობა შთამბეჭდავად აცოცხლებს თელავის სულიერ ყოფასა და მე-20 საუკუნის შუა ხანებში მის სინამდვილეში არსებულ მკვეთრ ცვლილებებზე მოგვითხრობს.

რჩეულიშვილი ლ., «თელავი,» თბილისი, 1963. ავტორი აქვეყნებს კვლევას ქ. თელავის განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ და ვრცლად მიმოიხილავს თელავის ღირსშესანიშნავ ძეგლებს, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ბატონის ციხის არქიტექტურულ კომპლექსზე.

ჩიკოიძე ც., «ქალაქი თელავი,» თბილისი, 1979. მოცემული ნაშრომი ქ. თელავის არქეოლოგიურად შესწავლის მეცნიერულ კვლევას წარმოადგენს, სადაც გამოვლენილია ქალაქისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური თავისებურებანი, რომელთა მონაცემებთან პარალელების გავლებაც ახალი დათარიღებების საფუძვლებს ქმნის. ნაშრომი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბატონის ციხის არქეოლოგიურად შესწავლის მასალით.

ხარიტონაშვილი ჯ., «თელავი,» თბილისი, 1990. ნაშრომი წარმოგვიდგენს კახეთის, კერძოდ ქ. თელავსა და მის შემოგარენში არსებული ისტორიული ძეგლების მიმოხილვას.

რჩეულიშვილი ლ., «ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები,» თბილისი, 1994. ნაშრომში თავმოყრილია მეცნიერის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი სტატიები. აქ გაშუქებულია კახეთის ხუროთმოძღვრების ისტორია, კერძოდ კი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი, თელავის მეფეთა სასახლის არქიტექტურული კომპლექსის ფართო კვლევა. კვლევა მოიცავს კომპლექსში შემავალი თითოეული ნაგებობის ისტორიული წყაროებით გამყარებულ დეტალურ არქიტექტურულ ანალიზს. აქ ასევე განხილულია როგორც ის ისტორიული გარემო, რომელიც თელავის სასახლის აგების მომენტში არსებობდა, ასევე მისი მომდევნო ხანგრძლივი ცხოვრების გზა.

თელავის ისტორიული მუზეუმების შესახებ საყურადღებო პუბლიკაციებია გამოქვეყნებული პერიოდულ პრესაში. კერძოდ: იანვარაშვილი ლ., თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კოლმეურნის ხმა, 1959, 98; თელია გ., თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბჭოთა ხელოვნება, 1962, 11; მელითაური გ., თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ისტორიისათვის, ალაზნის განთიადი, 1968, 27; იარალოვი ნ., მუზეუმის ხვალინდელი დღე, ალაზნის განთიადი, 1974, 95; გიორგობიანი ლ., თელავის სამუზეუმო კომპლექსი, ჟურნ. ომეგა, 2003, 8; თენგიზ ალდამიძე, კახთ მეფეთა თელავის სასახლის ისტორიისათვის, მოამბე, 2007, 4; ამირანაშვილი ც., მუზეუმის ისტორიისათვის, მოამბე, 2007, 4; ალდამიძე თ., წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია თელავში, თელავის მუზეუმის მოამბე, 2008, 5.

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შესახებ დაწერილ თავში გამოვიყენეთ შემდეგი ნაშრომები:

ჩხეიძე თ., «საუფლისწულო მამულები კახეთში 1885-1921წწ.» თბილისი, 1968. მოცემულ ლიტერატურაში გაშუქებულია კახეთის საუფლისწულო მამულების წარმოქმნისა და განვითარების ისტორია, ნაჩვენებია ფეოდალური მეურნეობის კაპიტალისტურ მეურნეობად გარდაქმნის პროცესი.

ხმალაძე ი., «წინანდლის სავანე,» თბილისი, 1975. წიგნში გაშუქებულია ცნობები მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ძველ და ახალ წინანდალზე, საუფლისწულო მამულზე, ალ. ჭავჭავაძის სალონზე, წინანდლის ბაღზე და სხვა. წიგნის დასკვნითი ნაწილი მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნიდან, მუზეუმითა და ბაღით მოხიბლულ მნახველებთა აღფრთოვანებულ ჩანაწერებს წარმოგვიდგენს.

ბოგველიშვილი გ., წინანდალი, თბილისი, 1976. წიგნში გადმოცემულია წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წარსული და ის ისტორიული წინამძღვრები, რომელთა საფუძველზეც საქართველოში ეს მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღმოცენდა და განვითარდა.

ბოგველიშვილი გ., «წინანდლის ცის ქვეშ,» თბილისი, 1997. ავტორი საკმაოდ ვრცლად საუბრობს წინანდლის წარსულზე, მის მკვიდრთა ყოფით მოვლენებზე კონკრეტული გმირებისა და ისტორიების თხრობით.

მეგუთვნიშვილი ს., «წინანდალი – საქართველოს კულტურის საგანძური,» თბილისი, 2006. ნარკვევში მკაფიოდაა წარმოჩენილი წინანდლის ისტორიული წარსული, ამ კულტურული კერის ფუნქცია მოწინავე ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საქართველოს სულიერი ცხოვრების განვითარების საქმეში. დოკუმენტურ მასალებზე დაფუძნებული ნაშრომი ალ. ჭავჭავაძისა და იმ ადამიანების მოღვაწეობის მნიშვნელოვან მომენტებზე მოგვითხრობს, რომელიც დაკავშირებულია წინანდალთან. ავტორი საინტერესოდ აკავშირებს წინანდლის ისტორიულ დიდებას თანამედროვეობასთან, იმ ადამიანებთან, რომლებმაც უახლოეს წარსულსა და დღევანდელ დღეს შარავანდედით შემოსეს სოფელი წინანდალი.

დრანსე ა., (მურმან თავდიშვილის თარგმანი), «შამილის ტყვე ქალები,» არტანუჯი, 2010. წიგნი 1857 წელს გამოიცა პარიზში. წიგნში ვრცლადაა აღწერილი შამილის წინანდალზე თავდასხმისა და გატაცებული ქართველების ტყვეობაში ყოფნის დეტალები. ასევე, დაკვირვებითაა მოთხრობილი როგორც კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფის, მათი ურთიერთობების შესახებ, ასევე რეალურადაა დახატული ცნობილ პირთა პორტრეტები.

წინანდლის მუზეუმის შესახებ ინფორმაცია მოძიებულ იქნა შემდეგი პერიოდულ გამოცემებში: მესხი ი., «ცოცხალი პარკი,» დროშა, 1956, 8; ბოგველიშვილი გ., ხეები ზეზეულად კვდებიან, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1957, 15; ხმალაძე ი., წინანდლის დეკორატიული პარკი, საქართველოს ბუნება, 1960, 4- 5; კვარაცხელია ო., წინანდლის პარკი, ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1969, 12; ხმალაძე ი., წინანდლის სავანე, საბჭოთა საქართველო, 1975; ბოდოკია ნ., ზღაპრული ბაღი, ქუთაისი, 1977, 122; В дар музею, газ. «Заря Востока» 1977, 288; Алавидзе З., Нов Цинандалского Парка, газ. «Заря Востока» 1978, 163; ჯავახიშვილი გ., წინანდალი – ძმობისა

და პოეზიის კერა, ახალგაზრდა კომუნისტი, 1983, 115; რატიანი ნ., პირველი ნ., წინანდლის პარკი, კომუნისტი, 1990, 245; დურგლიშვილი პ., წინანდალი, გუთნისდედა, 2002, 3; დულარიძე თ., ჭავჭავაძეები (გარსევანის ოჯახის ისტორია), ახალი ეპოქა, 2002, 12;

თავი I

კახეთის რეგიონის მუზეუმების განვითარების ისტორია XX საუკუნეში

კახეთი უძველესი ისტორიული მხარეა აღმოსავლეთ საქართველოში. მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე რეგიონში ათეულობით მუზეუმი არსებობს, რომელთა ნივთიერი და სულიერი კულტურის, ასევე ბუნების მოვლენების ამსახველი კოლექციები პირველ წყაროებს წარმოადგენენ რეგიონში საზოგადოების განვითარების, ბუნების მოვლენების და წარსულის ისტორიის შემეცნების მიზნით.

კახეთში მუზეუმების დაარსების ისტორია XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება, რაც საზოგადოებრივი მოთხოვნილებების, საზოგადოების ისტორიული განვითარების შედეგი იყო. სამუზეუმო კოლექციების შექმნა მიზანსწრაფულად ამ ამოცანას ემსახურებოდა - მემორიალური, რელიქვიური და ესთეტიურად მნიშვნელოვანი ნივთების თავმოყრა ერთი იდეის გარშემო დაიწყო – მათ ადამიანის და მისი შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება ისტორიულ ჭრილში უნდა წარმოედგინათ.

ასეთი სახის კოლექციების რიცხვს თანდათან ემატებოდა ხელოვნების ქმნილებები, გამოჩენილ მოღვაწეთა პირადი ნივთები და რელიკვიები, რელიგიური დანიშნულების საგნები, წარწერები და სხვა მრავალი.

კოლექციების მრავალფეროვნებამ განსაზღვრა მუზეუმების სპეციფიკა. კოლექციების შემადგენლობის მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმები ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

მუზეუმების ერთი ჯგუფი წარმოადგენს ისტორიული პროფილის მუზეუმებს, რომლებიც კახეთის მხარის განვითარების ისტორიულ სურათს წარმოაჩენს. აღნიშნული ტიპის მუზეუმებში დაცულია ყველა ის ნივთი, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთან და საზოგადოებასთან, მისი მეურნეობრივი, კულტურული, ესთეტიკური, რელიგიური ცხოვრების ცალკეულ ეტაპებზე. ეს არის ადამიანის შრომით შექმნილი ან მისი სულიერი შემოქმედების ნაყოფი – ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლები. მუზეუმების ამ ჯგუფში შედის კახეთის

ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული, ეთნოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ისტორიული მუზეუმები სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებია, რომლებიც ახორციელებენ ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლების შეგროვებას, მოვლა-პატრონობას, მეცნიერულ შესწავლას და პოპულარიზაციას. მათი მუშაობის ასპარეზი მოიცავს აქტიურ მეცნიერულ მუშაობას ისტორიის ყველა ეტაპზე; საფონდო და მოძიებით საქმიანობას, ფონდების აღრიცხვას და მოვლა-პატრონობას; საექსპოზიციო სამუშაოებს; მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას და პოპულარიზაციას უშუალოდ საექსპოზიციო დარბაზებში, ასევე რელიკვიურ ძეგლებზე, მოძრავი გამოფენების მოწყობას და სხვა [ჭილაშვილი 1984: 65].

ეთნოგრაფიული მუზეუმები ხალხის ყოფის და კულტურის, სოციალური მდგომარეობის და საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი მასალების შეკრებას, დაცვას, მეცნიერულ შესწავლას, პოპულარიზაციას ახორციელებენ [ჭილაშვილი 1984: 71]. ეთნოგრაფიული მუზეუმები თავისი მრავალდარგობრივი ექსპოზიციებით წარმოგვიდგენენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მდიდარ და მრავალფეროვან ყოფით მასალებს, სულიერი კულტურის ამსახველ ექსპონატებს. ისინი საშუალებას გვაძლევენ გავიგოთ ეთნიკური ჯგუფების სოციალური ვითარების, რწმენა-წარმოდგენების, მეურნეობის სახეების, კულტურის, ხალხური შემოქმედების, ყოფითი საქმიანობის და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ [ჭილაშვილი 1984: 76].

მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში საბუნებისმეტყველო, ნივთიერი და სულიერი კულტურის, ყოფითი მასალების შეგროვება, დაცვა და მეცნიერული შესწავლა, ექსპონირება და მეცნიერული პროპაგანდის წარმოება ხორციელდება [ჭილაშვილი 1984: 84]. ძირითადი და მთავარი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობაში არის ყოველმხრივი ჩვენება მხარის, ჩვენება მისი ბუნების და საზოგადოების ისტორიული განვითარებისა და ქვეყნის ისტორიასთან დაკავშირებით, როგორც ერთი მთლიანის ნაწილისა. ამას, უპირველეს ყოვლისა, მუზეუმი თავისი ექსპოზიციით ახერხებს.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საქმიანობა თავის სამოქმედო ზონაში სისტემატურად კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების ჩატარება და

შეგროვებითი მუშაობის წარმოებაა, რომლის დროსაც დიდი ყურადღება ეთმობა ძეგლებზე ლეგენდების, გადმოცემების, თქმულებების ჩაწერას.

კახეთში არსებული ისტორიული მუზეუმების ტიპს განეკუთვნება: გ. თელავის ისტორიული მუზეუმი (1927წ.), საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (1959წ.), გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (1962წ.), დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (1975წ.), ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (1975წ.), გრემ-ნეკრესის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი (1975წ.), საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (1950წ.), დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალი (საგარეჯო, სოფ. უდაბნო, 1976წ.), ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (1984წ.), ომალოს ეთნოგრაფიული მუზეუმი, გიორგი მაისურაძის სახელობის სოფლის ისტორიის მუზეუმი (სოფ. ვაჩნაძიანი, 1966წ.), ჯონ მალხაზ შალიკაშვილის სახელობის ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი (გურჯაანი, 1999წ.), ხალხთა მეგობრობის მუზეუმი (დედოფლისწყარო, 1980წ.), დიდების მემორიალი-მუზეუმი (გურჯაანი, 1978წ.).

თითოეული მუზეუმი რაიონის ისტორიას ქმნის და წარმოადგენს ადგილის კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს კერას. ექსპონატთა ისტორიული და მხატვრული თვალსაჩინოებით მათში წარმოჩენილია: მხარისათვის დამახასიათებელი ისტორია და ეთნოგრაფია ქვის ხანიდან მოყოლებული XX საუკუნემდე – პირველყოფილი ადამიანების ნაშთები, ყოფისათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო და საკულტო დანიშნულების ნივთები; არქეოლოგია ძვ.წ.აღ. მე-2 ათასწლეულიდან მოყოლებული XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე – ბრინჯაოს, სპილენძის, ვერცხლის და თიხის ჭურჭელი, სამკაული, ძვლის, საბრძოლო, ქვისა და რკინის სამუშაო იარაღი, ზოომორფული გამოსახულებები; გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები – მე-19-20 საუკუნეების ტექსტილი ხალიჩა-ფარდაგები, სამოსელი და აქსესუარები, ნაქარგობა, შუა საუკუნეების ქალაქის ყოფის სხვა საინტერესო ნიმუშები; ქართველ და უცხოელ მხატვართა ფერწერული ტილოები, V–XIX საუკუნეების ნუმიზმატიკური მასალა.

მუზეუმების მეორე ჯგუფი მემორიალურ მუზეუმებს წარმოადგენს, სადაც მოთხრობილია კერძო პირთა თუ მათი ოჯახის შესახებ ისტორია. აღნიშნულ

მუზეუმებში დაცული მემორიალური მასალა მოგვითხრობს მათი სამყაროს, ხასიათისა და მათ მიერ განვლილი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი გზის შესახებ ისტორიას.

კახეთის ტერიტორიაზე არსებულ **მემორიალურ მუზეუმებს შორის მრავლადაა თავმოყრილი ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სახლ-მუზეუმები:** გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი (სოფ. პატარძეული, 1968წ.), ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი (სოფ. გურჯაანი, 1985წ.), იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი (გურჯაანი, სოფ. კარდენახი, 1968წ.), ივანე ბერიტაშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ვეჯინი, 1988წ.), რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი (სოფ. ქისტაური, 1951წ.), ვანო სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმი (სიღნაღი, 1988წ.), ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ქვემო მაჩხაანი), იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ბოდბისხევი, 1956წ.), სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი (სოფ. ანაგა, 1979წ.), ვასო გოძიაშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ვაქირი, 1987წ.), სანდრო შანშიაშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ჯუგაანი, 1986წ.), ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ვაქირი, 1983წ.), ალექსანდრე გზირიშვილის სახლ-მუზეუმი (სოფ. ვაქირი1983წ.), სანდრო მირიანაშვილის სახლ-მუზეუმი (სიღნაღი1998წ.), ყვარლის მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმი (ყვარელი, 1959წ.), ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (ყვარელი, 1937წ.), ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი (დედოფლისწყარო, სოფ. მირზაანი, 1960წ.), წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი (სოფ. წინანდალი, 1946წ.).

მემორიალური ტიპის მუზეუმებში დაცულია ცნობილ მოღვაწეთა და მათი ოჯახის წევრთა პირადი მოხმარების საგნები, სამოსელი, ავეჯი, ჭურჭელი, ხალიჩები, ფარდაგები; მემორიალური ნივთები – მათი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, როგორიცაა ხელნაწერები, წერილები, საარქივო დოკუმენტები, ფოტომასალა, ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, მათი მოღვაწეობის შესახებ არსებული გამოცემული, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები და სხვა მრავალი ნივთი.

კახეთის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების ცალკეული შესწავლა ფართო კვლევას საჭიროებს, ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში ისტორიული ტიპის მუზეუმებიდან თელავის ისტორიული მუზეუმი განვიხილეთ, ხოლო მემორიალური ტიპის მუზეუმებიდან წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

თავი II

თელავის ისტორიული მუზეუმი

შიდა კახეთში, ციცგომბორის მთების ტერასოვან ბორცვებზე გაშენებული ქალაქი თელავი, რომელიც ალაზნის ველის მდიდარ და მრავალფეროვან ბუნებას გადაჰყურებს, XI საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. იგი საქალაქო ცხოვრების მაღალი დონით გამოირჩეოდა და ვაჭრობის და ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, კვირიკე დიდმა (1010-1037), გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის პირველმა მეფემ, "ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა" [რჩეულიშვილი 1963: 6]. კახეთის მეფეთა სასახლის კომპლექსი ქალაქის ერთიან ცენტრად იქცა [ჩიკოიძე 1988: 5].

ქალაქის ცენტრს "ბატონის ციხედ" წოდებული თელავის სასახლის არქიტექტურული კომპლექსი წარმოადგენს, რომელშიც XVII–XVIII საუკუნეებში კახთ მეფეთა რეზიდენცია იყო მოთავსებული [რჩეულიშვილი 1963: 39].

''ბატონის ციხე''-ში, სადაც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფე ერეკლე მეორის რეზიდენცია იყო განთავსებული, XX საუკუნის მეორე ნახევარში სამუზეუმო კომპლექსმა დაიდო ბინა.

სამუზეუმო კომპლექსი რამოდენიმე ათეულ კვადრატულ მეტრზეა გადაშლილი. გეგმაში იგი ცენტრალური ქუჩის მიმართულებით წაგრძელებულ, არათანაბარ მართკუთხა ფორმას წარმოადგენს, რომელიც გვიან შუა საუკუნეებში კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი რიყის ქვით ნაგები მაღალი გალავნითაა გარშემორტყმული. აღნიშნული ისტორიული გალავანი მეფე ერეკლეს დროს ქალაქს შემოსევებისაგან იცავდა.

მუზეუმის ჩრდილოეთის მხარე ბაქანს წარმოადგენს. სამხრეთ მხარეს, გალავნის წინ მას დიდი მოედანი აკრავს, სადაც ძველად სპორტული ასპარეზობანი იმართებოდა. ამჟამად აღნიშნულ ტერიტორიაზე ერეკლე მეორის სახელობის ბაღი და ქალაქის ცენტრალური მოედნია. მუზეუმს შესასვლელი აღმოსავლეთ და დასავლეთ

მხარეს აქვს. ცენტრალური შესასვლელი აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს, რომელიც მცირე ზომის მოედანზე გამოდის. ეს მოედანი, რომელიც გარკვეულ არქიტექტურულ სივრცედ აღიქმება, ძველი შენობების დანგრევის ხარჯზე, საგანგებოდ მოეწყო XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს. 1980-იანი წლების დასაწყისში აქ დაიდგა მერაბ მერაბიშვილის მიერ გამოქანდაკებული მეფე ერეკლე, რომელიც ტრადიციული მხატვრული მეთოდით განხორციელებული მხედარი მეფის ქანდაკებას წარმოადგენს [გიორგობიანი 2003: 92].

სამუზეუმო კომპლექსის შემადგენლობაში შედის: ციხის გალავანი (აგრეთვე გალავნის გარეთ აღმოსავლეთისაკენ ათიოდე მეტრით დაშორებით მდგარი მრგვალი ბურჯი), კახეთის მეფის – ერეკლე მეორის მემორიალური სასახლე, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, არჩილის კარის ეკლესია, ერეკლეს მიერ აგებული ფილოსოფიური სკოლის ნაგებობის ნაშთები, აბანო, სასახლის ტერიტორიაზე გაყვანილი გვირაბი, აგრეთვე ორი თანამედროვე ნაგებობა, რომლებიც დათმობილი აქვს ეთნოგრაფიულ მუზეუმს და ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეას.

§ 1. "ბატონის ციხის" არქიტექტურული კომპლექსი

"ბატონის ციხის" არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობა პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ.

მშენებლობის პირველ ეტაპზე (1667-1675 წწ.-არჩილის მეფობა) ერეკლე მეორის მემორიალური სასახლე, აღმოსავლეთის კარიბჭე და აბანოა აგებული.

მშენებლობის მეორე ეტაპზე, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს, ერეკლე მეორის კარის ეკლესია, გალავანი კუთხის მრგვალი ბურჯებით და დასავლეთის კარიბჭეა აგებული [რჩეულიშვილი 1963: 39].

კახთ მეფეთა სასახლე ორ სამშენებლო ფენას შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ სასახლის შენობა ძლიერ გადაკეთებულია[1] და მთლიანადაც არ არის შენახული, მისი ძირითადი ბირთვი მაინც გადარჩენილია.

ბრტყელი აგურით ნაშენი ერთსართულიანი სასახლე სამუზეუმო კომპლექსში დამოუკიდებლად მდგარ ნაგებობას წარმოადგენს, ჩრდილოეთის მხარეს ბანზე

[1] გადაკეთებანი ეხება 1983 წელს განხორციელებულ სარესტავრაციო სამუშაოებამდე ცვლილებებს.

ასასვლელი საიდუმლო ვიწრო კიბით. სასახლე გეგმაში კვადრატს მიახლოებულია. მასში განთავსებულია სწორკუთხა მისაღები დარბაზი და ხუთი მცირე ზომის ოთახი დერეფნებითურთ. ფართობი)[2]. დიდი და მაღალი დარბაზი[3] სასახლის კომპოზიციური ცენტრია. პ. იოსელიანის ცნობით, დარბაზი მოხატული უნდა ყოფილიყო. მას სამმხრივ ვიწრო, ორსართულიანი დერეფანი უვლის, ხოლო სასახლის ცენტრი აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს ღია აივნებით ბოლოვდება. დერეფნის კუთხეებში მცირე სადგომებია, რომლებიც კომპაქტურ კვადრატულ ოთახებს წარმოადგენს. ისინი გადახურულია შეისრულ თაღებზე დაბჯენილი კამარებით. მათ კედლებს კარნიზი შემოუყვება, რომელიც არა მარტო კედლის სიბრტყეს ჭრის ორად, არამედ სარკმლებსაც; ოთახი სარკმლებს შორის დატანებული ბუხრებით თბებოდა და აგრეთვე ორად გაყოფილი თაღოვანი თახჩებით იყო გაფორმებული. კუთხის სადგომებს შორის ოთხივე მხარეს რჩება ღრმა ლივანები [რჩეულიშვილი 1994: 204-205]. ეს ლივანები დღეს გარე კედლითაა აშენებული (გარდა დასავლეთის მხარისა) [რჩეულიშვილი 1963: 43].

სასახლის არქიტექტურული გაფორმება შეისრული თაღოვანი ღიადებით არის განხორციელებული. თითოეული კედელი სიმეტრიულ კომპოზიციას ქმნის, შუაში კარითა და მის აქეთ-იქეთ სიგრძის კედლებში სამ-სამი და სიგანის კედლებში თითო-თითო სარკმლით [რჩეულიშვილი 1994: 204]. ისინი ნიშების მსგავსად, ორსართულიანია [აბრამიშვილი, ზაქარაია, ციციშვილი 2000: 206] - ქვემოთ კვადრატული, ზემოთ შეისრული ფორმისაა. სარკმელებზე გამოყენებული ვიტრაჟი, საფიქრებელია, რომ მეფე ერეკლეს დროინდელი არ არის. იგი XX საუკუნეში კომპლექსის აღდგენა-რესტავრაციის დროს უნდა იყოს შესრულებული ძეგლის მონაცემებში არსებული მინიატურების საშუალებით. მკვლევარ ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით, ვიტრაჟის არქიტექტურულ სტილთან, ინტერიერსა და გარემოსთან შეხამების თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ავტორებს სურდათ გამოეკვეთათ ერთი მხრივ, გვიან ფეოდალურ ხანაში, მეფე ერეკლეს დროს საქართველოში მოძალებული

[2] გადმოცემის თანახმად, სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის ოთახში, რომელიც დღეს მუზეუმის შენობაშია მოხვედრილი, დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე მეორე [აბრამიშვილი, ზაქარაია, ციციშვილი 2000: 206].

[3] მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისათვის აქ განთავსებული იყო პედინსტიტუტის სააქტო დარბაზი.

აღმოსავლური სტილის ნიშნები, და, მეორე მხრივ, მიეღწიათ მხატვრული ეფექტისათვის.

აღმოსავლეთის მხარეს კარის მაგივრად მეფის საჯდომი ტახტი უნდა ყოფილიყო [რჩეულიშვილი 1994: 204-205].

თელავის სასახლე თავისი ცხოვრების პირველი ოთხი ათეული წლის მანძილზე არა თუ ვეღარ ასრულებდა თავის პირვანდელ ფუნქციას, არამედ ხშირად უპატრონოდ იყო მიტოვებული და საფიქრებელია, რომ იგი ზიანდებოდა კიდეც. ამის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ისტორიულ წყაროებში 1724 წლით დათარიღებული ეპიზოდი, როდესაც მეფე კონსტანტინემ "ლტოლვილი მოიყვანა ახალგორს და მიიყვანა დედოფალიცა თვისი, რამეთუ ვერღარა-რა შთავიდოდა ლეკთა გამო".

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის ნახევრიდან თელავში უკვე აღდგა ცხოვრება და მეფეთა სახლმა საუკუნის დასასრულამდე ინტენსიური ცხოვრებით იცხოვრა [რჩეულიშვილი 1994: 197].

ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენციის პატივს ქალაქი თელავი XIX საუკუნეში კარგავს. საქართველოში დამოუკიდებელი სამეფოს გაუქმებისთანავე ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსიც კარგავს კახეთის მეფეთა რეზიდენციის ფუნქციებს. მან დაკარგა ის მეორადი მხატვრული სახეც, რომელიც მას ერეკლე მეორემ XVIII საუკუნეში მიანიჭა. მის მეფობაში თელავის მეფეთა სახლი არათუ უცხოელ ელჩთა მისაღები და ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრია, არამედ იგი მხარის ყველაზე მძლავრ ბასტიონად და შიშიანობის პერიოდის საიმედო თავშესაფრად იქცა [რჩეულიშვილი 1994: 200].

მკვლევარ ლ. რჩეულიშვილის გადმოცემით, ერეკლე მეორე გაზრდილი საჭიროების დასაკმაყოფილებელ სადგომებს აგებდა. მისი მოღვაწეობა ემსახურებოდა ზოგადი ქალაქმშენებლობითი პრობლემის გადაწყვეტას შექმნილ ისტორიულ სიტუაციაში. ბატონის ციხე ნაწილი ხდება სტრატეგიული მშენებლობისა, რომლის მიზანია ხალხის დაცვა [რჩეულიშვილი 1994: 207].

გიულდენშტედტის მითითებით, ერეკლე მეორის წვლილი მხოლოდ სასახლის ირგვლივ კედლების შემორტყმით არ განისაზღვრა და მას თვით სასახლეშიც გარკვეული ცვლილებები შეუტანია: "სასახლე ნაწილობრივ ძველი და ნაწილობრივ

ახალი ნაწილებისაგან შედგება". ერეკლე მეფეს ამოუვსია XVII საუკუნის შენობის ლივანები და ოთახებად უქცევია ისინი. ამ სადგომების გადახურვა ბრტყელია, სარკმლები – არქიტრავული, მაშინ, როდესაც ძირითადი კომპოზიციის ნაწილებში კამარები გვაქვს და ყველა ღიობი თაღოვანია [რჩეულიშვილი 1994: 206].

მკვლევარ ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით, 1801 წელი თელავის სასახლის, როგორც ქართველ მეფეთა სასახლის გაუქმების თარიღად უნდა მივიჩნიოთ. იგი თავის ფუნქციას კარგავს და იწყება მისი ახალი ცხოვრება, ადაპტაცია ახალ ვითარებაში. 1802 წელს მასში ბინადრობს ყაბარდოს პოლკის შეფი და მეთაური გენერალ-მაიორი გულიაკოვი. მავე წელს ხდება მეფეთა სასახლის აღწერა, ხოლო 1805 წელს იგი რუსეთის მთავრობის სახაზინო უწყებაში გადადის. 1811 წელს შედგა დაძველებული სასახლის გადაკეთების პროექტი, მასში ყაზარმებისა და სახაზინო დაწესებულებების მოსათავსებლად, ხოლო 1822 წელს რ. ლაილს მის "დაბალ ოთახებში" მაიორი ილინსკი დახვდა დაბინავებული, სააუდიენციო დარბაზი კი თავლად ყოფილა გამოყენებული.

1836 წელს ბარონ როზენს მიმართეს თხოვნით, ნება დაერთო სასახლე საოლქო სასამართლოსთვის გადაეკეთებინათ. მან ამის უფლება არ მისცა და განკარგულება გასცა იგი არსებული სახით შეენახათ. მისი აზომვა და პროექტის შედგენა დაევალა საგუბერნიო არქიტექტორ ტატიშჩევს. როგორც ჩანს, ეს პროექტი არ განხორციელდა, რადგან წყაროებზე დაყრდნობით, როდესაც 1845 წელს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა დაათვალიერა იგი, დანგრეული დახვდა და მან ბრძანა მისი აღმოსავლეთის ნახევრის აღდგენა. აღნიშნული სამუშაოები 1850 წელს დასრულდა და დანარჩენი ნაწილის და მისაღები დარბაზის აღდგენა გადაწყდა. მიუხედავად ამისა, მომდევნო წლებში მდგომარეობა არ შეცვლილა.

1860-იანი წლებიდან თელავის სასახლეს ახალი ფუნქცია მიენიჭა. მთლიანი შენობა წმ. ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას გადაეცა, სადაც 1865 წელს დაარსდა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. სასწავლებლის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, არქიტექტორ ზალცმანის პროექტით ძველი შენობის გადაკეთება და ახალი სართულის დაშენება განხორციელდა. , [რჩეულიშვილი 1994: 208-209].

1912 წელს სასახლე და წმ. ნინოს სასწავლებლის შენობები ერთმანეთთან იქნა დაკავშირებული.

1979-1983 წლებში სასახლის პირვანდელი მონაცემების საფუძველზე ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა (არქიტექტორი ზ. მეღვინეთუხუცესი), რომლის შედეგად, სასახლემ პირვანდელი სახე დაიბრუნა. სასახლის შენობა კვლავ დამოუკიდებელი გახდა წმ. ნინოს სასწავლებლისაგან. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სასახლის ინტერიერს – გაკეთდა სარკმლები, აივნების სისტემა, ორ იარუსიანი დერეფანი და სხვ. რესტავრაციის დროს სასახლეში ძლიერი ხანძრის კვალი აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესო ცნობას შეიცავს მუზეუმში დაცული ერთი სიგელი, (საინვენტარო 86), რომელიც დავით იმამყულიხანის ძმას, კონსტანტინეს (იგივე მაჰმადყული-ხანი) 1724 წლის 8 დეკემბერს თელაველი აზნაურის დემეტრე მარკოზაშვილისათვის უბოძებია, რომელშიც ნათქვამია, რომ მარკოზაშვილებს "უწინაც წყალობისა და ურვის წიგნი ქონდათ და თელავის ციხე რომ დაიწო შიგ დაეწო" [ალდამიძე 2007: 4].

2001 წელს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების (არქიტექტორი ზ. მეღვინეთუხუცესი) დროს სასახლეში აღდგენილ იქნა შეისრული თაღების პილასტრები, რომლებიც ადრე არ იყო დასრულებული.

''ბატონის ციხის'' არქიტექტურული კომპლექსის შემადგენობაში შემავალი შემდეგი ძეგლი პატარა ეკლესიაა, რომელიც "არჩილის კარის ეკლესიად" მოიხსენიება.

ლ. რჩეულიშვილის აღწერით, "არჩილის კარის ეკლესია "ბატონის ციხის" ადრინდელი ეკლესიაა, იგი აშენებულია როგორც მცირე სამლოცველო სასახლესთან... ეკლესიამ ჩვენამდე შეკეთებული სახით მოაღწია. იგი მცირე ზომის, ქვიტკირის ერთნავიანი აფსიდიანი შენობაა. გეგმა სწორკუთხედშია ჩახაზული და გადახურულია კამარით. დღეს იგი ნალესობით არის დაფარული და არაფრით ღირსშესანიშნავი დეტალი არ უჩანს" [რჩეულიშვილი 1963: 41].

პ. ზაქარაიას გადმოცემითაც, "ეკლესია მცირეა და არაფრით არ არის ღირსშესანიშნავი. იგი XVII საუკუნეში უნდა იყოს აგებული" [ზაქარაია 1973: 40].

ეკლესიის XVII საუკუნის 30-იან წლების პერიოდის მშენებლობას მიაწერს ასევე მკვლევარი გ. ჯავახიშვილი [ალდამიძე 2008: 6].

საინტერესოა, ლ. რჩეულიშვილთან მოყვანილი რობერტ ლაილის აღწერა ამ პატარა ეკლესიის შესახებ: "სასახლეს აქვს მიდგმული დაბალი შენობა, ძველად კარის ეკლესია, ახლა (1822წ) დანგრეულია". ჩანს, ეკლესიამ რესტავრაციამდე იმ სახით მოაღწია, როგორც ეს რ. ლაილს აქვს აღწერილი. ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით, რ. ლაილი საუბრობს შენობაზე, რომელიც სასახლესა და მუზეუმის შენობას ჩრდილო-აღმოსავლეთით ეკვრის [რჩეულიშვილი 1963: 41]. მკვლევარი თ. ალდამიძე მიიჩნევს, რომ ეს ეკლესია კარის ეკლესიის ფუნქციას ასრულებდა სასახლის დაარსებიდან XVIII საუკუნის 60-იან წლებამდე, სანამ მის გვერდით ერეკლე მეორე ახალ ეკლესიას ააშენებდა, რის შედეგადაც იგი თანდათან კარგავდა კარის მთავარი ეკლესიის ფუნქციას [ალდამიძე 2008: 7].

მკვლევარი თ. ალდამიძე გაზეთ "მოამბის" 2008 წლის ნომერში აქვეყნებს ვრცელ წერილს სათაურით - "წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია თელავში", სადაც "არჩილის კარის ეკლესიად" წოდებული ეკლესიის სახელწოდებასთან დაკავშირებით სრულიად ახლებურ კვლევას წარმოგვიდგენს.

მკვლევარი თავის ვრცელ კვლევას იწყებს ლ. რჩეულიშვილის მიერ 1982 წელს გაზეთ "ძეგლის მეგობარში" გამოთქმული მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ეკლესია წმ. ქეთევან წამებულის სახელზე უნდა იყოს აგებული.[4]

თ. ალდამიძე აგრეთვე მიმოიხილავს "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე არსებული პატარა ეკლესიის შესახებ გ. ჯავახიშვილის მიერ რამდენჯერმე გამოთქმულ მოსაზრებას[5], რომელიც აღნიშნულ ეკლესიას ასევე წმ. ქეთევან დედოფლის სახელობის ეკლესიად მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ იგი საქართველოში ქეთევან დედოფლის სახელობის პირველი ეკლესიაა.

1983 წლის შემოდგომაზე ეკლესიაზე დასრულებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად მოიხსნა სასახლის ის მინაშენი, რომელზეც გადაბმული იყო

---

[4] აღნიშნული მოსაზრება თ. ალდამიძეს ეკუთვნის, რომელიც მან ლ. რჩეულიშვილს მიაწოდა 1977-78 წლებში, ეკლესიის რესტავრაციის დაწყებამდე, რომელიც მან გაახმოვანა 1982 წელს.

[5] 1. გაზეთი «ძლევა», «თელაველი მონარქისტების თაოსნობით», 1992 2. საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, წმინდა ქეთევანის სახელობის ეკლესია თელავში, თბ., 1998, გვ.453-462. 3. გაზეთი "ჩვენი მხარე", წმინდა ქეთევანის სახელობის ეკლესია თელავში, 26.09.1999

კარის პატარა ეკლესია, მოიხსნა შელესილობა, შეკეთდა გადახურვა და კედლები, გაიწმინდა მიმდებარე ტერიტორია და ძეგლმა სრულიად განსხვავებული სახე მიიღო [ალდამიძე 2008: 6]. რესტავრაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეკლესია თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა და მისი არქიტექტურული დეტალების გათვალისწინებით, X–XI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. ამ მოსაზრებას ამყარებს "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც. ტერიტორიაზე არსებული ყველა ნაგებობა, გარდა ამ პატარა ეკლესიისა, საფლავებზე დგას. მკვლევარ ც. ჩიკოიძის აზრით, ტერიტორიაზე აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, აღნიშნულ საფლავებს X–XI საუკუნეებს მიაკუთვნებს. შედეგად, დღევანდელი "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე X–XI საუკუნეებში სასაფლაო იყო საკუთარი ეკლესიით.

იგივე მოსაზრებას იზიარებს მკვლევარი თ. ალდამიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე არსებული პატარა ეკლესია აგებულია X–XI საუკუნეებში და თელავის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ლ. რჩეულიშვილისა და გ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი ამ ეკლესიის დათარიღებასთან დაკავშირებით მოძველებული ხდება, ისევე როგორც, შეუძლებელი ხდება აღნიშნული ეკლესია წმინდა ქეთევან დედოფლის სახელზე იყოს აგებული, რადგან შეუძლებელია იგი ქეთევანის წამებამდე 6-7 საუკუნით ადრე აეშენებინათ [ალდამიძე 2008: 6-7]. ამ მოსაზრებას მკვლევარი მით უფრო ამყარებს თავისი ვრცელი და საფუძვლიანი კვლევით, სადაც დამოწმებული ისტორიული წყაროებით, უგუვებელყოფს "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე არსებული პატარა ეკლესიის წმ. ქეთევანის სახელობისად არსებობას.

ეკლესიის სახელწოდებასთან დაკავშირებით, მკვლევარი თ. ალდამიძე ყურადღებას ამახვილებს ასევე 1994 წლის "თელავის მოამბეში" მუზეუმის ექვსი თანამშრომლის ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილზე "ქეთევან დედოფლის სახელობის ეკლესია თელავში", რომელსაც გ. ჯავახიშვილის მოსაზრების საპასუხოდ მიიჩნევს. წერილში აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რუსი ტოპოგრაფის მიერ შედგენილი თელავის 1802 წლის გეგმაზე "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე არსებული პატარა ეკლესია პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიად არის აღნიშნული. გ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, რუსი აღმწერლის მიერ ეკლესიის სახელის დაკარგვა

ქართველთა წმინდანისა და ისტორიის სინამდვილის უგუვებელყოფით არის გამოწვეული [ალდამიძე 2008: 6].

თელავის 1802 წლის გეგმის შემდგენლის ცნობის სისწორის დასამტკიცებლად, თ. ალდამიძე იმოწმებს ცნობილი რუსი მოგზაური მურავიოვის ჩანაწერებს, რომელიც თელავში 1845 წლის სექტემბერში იმყოფებოდა: "სობორის" შემდეგ მდებარეობს წმინდა მოციქულების სახელობის მცირე ეკლესია, მთლიანად მიტოვებული".

ამრიგად, მკვლევარის მოსაზრებით, XIX საუკუნის დასაწყისიდან შუა წლებამდე "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე არსებული მცირე ეკლესია წმინდა მოციქულების, პეტრესა და პავლეს სახელობისა იყო, ისევე როგორც საქართველოს რუსეთთან შეერთებამდეც, რადგან ქეთევან წამებულის ეკლესიას სახელს არავინ არ გადაარქმევდა.

მოგვიანებით ეს ეკლესია წმ. ნინოს სახელობისად იხსენიება. მკვლევარ თ. ალდამიძის აზრით, საფიქრალია, კახთ მეფეთა სასახლეში 1867 წელს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით, ეს ეკლესია ხელახლა აკურთხეს და ახლა უკვე წმინდა ნინოს სახელზე. მკვლევარი თავის მოსაზრებას ამყარებს "სობორომდე" მისასვლელი ახალი სავალი ბილიკის გაჭრასთან დაკავშირებით შედგენილი 1903 წლის გეგმით, (გეგმის ფოტო ჩავრთო), რომელზეც ეკლესია პირდაპირ წმ. ნინოს სახელობისად არის მითითებული. ასევე წყაროდ მოაქვს 1904 წელს ივერიაში გამოქვეყნებული წერილი: "14 იანვარს, წმ. ნინოობას დღესასწაულობს წმ. ნინოს სასწავლებელი. სასწავლებელთან წმ. ნინოს პატარა საყდარია, ყოფილა კარის ეკლესიად მეფე ირაკლი მეორისა, რომელსაც აქვე სასახლეში უცხოვრია.. და 11 იანვარს მიცვალებულა. 14 იანვარს ამ ეკლესიაში წირვა შეასრულეს. შემდეგ სასწავლებელში გადაიხადეს პარაკლისი.

ზემოთ მოხსენიებულ წყაროებზე დაყრდნობით, მკვლევარი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ გასაბჭოებამდე "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე არსებული პატარა ეკლესია წმ. ნინოს სახელობისა იყო [ალდამიძე 2008: 7]. ამ მოსაზრებას ემხრობა თავად მკვლევარიც და არჩილის ეკლესიად წოდებულ მცირე ეკლესიას წმ. ნინოს სახელობისად მიიჩნევს.

კომპლექსის შემადგენლობაში არსებული მეორე ეკლესია ერეკლე მეორის კარის ეკლესიაა. იგი გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან მდებარეობს. აღნიშნულ ძეგლთან დაკავშირებით რ. ლაილი აღნიშნავს, რომ "სასახლესთან ორი ეკლესია დგას, ერთი ძველი, დაზიანებული და მეორე "უფრო ახალი სტილის" შენობა".

ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევით, თელავის საბორო ანუ ირაკლი მეორის კარის ეკლესია აშენებულია ირაკლის მიერ 1753 წელს [რჩეულიშვილი 1994: 198].

ლ. რჩეულიშვილის აზრით, "საბორო", ანუ ძველად ერეკლე მეორის კარის ეკლესია ეწოდა იმ შენობას, რომელიც ბატონის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში დგას [რჩეულიშვილი 1963: 41].

ალ. ორბელიანის გადმოცემით, ეკლესია კარის ღვთისმშობლისაა "...მეფის ირაკლის მეორის აშენებული, რომელშიც ვარაყშერეული მშვენიერი კანკელია და ეს კანკელი მეფეს ირაკლის შეუწირავს, თავის პირველი შვილი ვახტანგ რომ გარდაცვლილა, ფხეიძის ქალთან ნაყოლი, იმის დანარჩენი ნივთები გაუყიდვინებია; იმის ფულით ის კანკელი მოუტანინებია მოსკოვში გაკეთებული, საუცხოოს ეკლესიის ხომლებით და ამით დაუმშვენებია ის ეკლესია"... [ორბელიანი 1997: 47].

დღესდღეობით, ერეკლე მეორის კარის ეკლესია საგრძნობლად შეცვლილია. გადაკეთებულია დასავლეთის ნაწილი, სადაც მიდგმული აქვს დამატებით ახალი მასივი, რომელიც უფრო ვიწროა და დაბალი, ვიდრე პირველადი ნაგებობა. პირვანდელი ძველი ერეკლესეული ეკლესია აგურით არის ნაგები და იგი ჩვეულებრივ დარბაზულ, ერთნავიან შენობათა ტიპს მიეკუთვნება. სამხრეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეს კარიბჭეებია განთავსებული. საკურთხევლის აბსიდური მომრგვალება გარედან სწორი კედლით იფარგლება. სიგრძის კედლები ორ მონაკვეთად დაყოფილია პილასტრით და გაფორმებულია ისრისებური მოხაზულობის კედლის თაღებით. აბსიდის სიმრგვალეში ხუთი ღრმა ნიშაა დატოვებული, რომლებსაც შეისრული მოხაზულობის გადახურვა აქვს.

ეკლესიის ფასადები სიბრტყეში ჩამჯდარი "გოლგოთიანი" ჯვრებითაა შემკული, რაც თავდაპირველი მშენებლობის თანადროული უნდა იყოს. დასავლეთის კედელი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, განგრეულია და ამ მხარეს მიდგმული აქვს ახალი დამატებითი სადგომი. ეს ცვლილება ფართის გაზრდის მიზნით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა, როდესაც კარის ეკლესიის მაგივრად იგი ქალაქის

სამრევლო ტაძრად გადაკეთდა. XX საუკუნის 60-იანი წლების პერიოდში იგი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციისათვის იყო გამოყენებული.

ეკლესიის სხვენში დაყოლებული სათოფურები ტაძრის თანადროულია, რაც ამ ნაგებობის არა მარტო საკულტო, არამედ თავდაცვით დანიშნულებაზეც მეტყველებს. ხოლო მის მახლობლად გალავნის კუთხის ბურჯზე შემდგარი სამრეკლო XIX საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება [რჩეულიშვილი 1963: 42]. ეს სამრეკლო არატრადიციული არქიტექტურული ფორმით იქცევს ყურადღებას. იგი წარმოადგენს არა ცალკე მდგომ ნაგებობას, არამედ მის ფუძედ გამოყენებულია ჩრდილო-დასავლეთ გალავნის კუთხის მომრგვალებული ნაწილი. ეს ერთი შეხედვით უჩვეულოა და არქიტექტურული თვალსაზრისით არღვევს კიდეც გალავნის ჰორიზონტის სპეციფიკას. მაგრამ საგანგებოდ შერჩეული მომრგვალებული კუთხის ფორმა ამოზრდილი სამრეკლოთი მთლიანობაში არ ქმნის ეკლექტურობის განცდას, პირიქით, თავისებურებას სძენს ხუროთმოძღვრულ იერს.

''ბატონის ციხის'' კომპლექსში შემავალ ნაგებობათა შორის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სამეფო კარის აბანოს უკავია. აბანო სასახლიდან მოშორებით, "ბატონის ციხის" ტერიტორიის ორად გამყოფ კედელზე, სამხრეთის გალავნის შეერთების კუთხეშია აშენებული. ძველად იგი მეფის ბაღის ბოლოში ხვდებოდა. მას "ერეკლეს აბანოს" ეძახიან, თუმცა წერილობით წყაროებში მტკიცებულება იმისა, რომ აბანო ერეკლეს მიერ არის აშენებული, არ მოიპოვება.

ლ. რჩეულიშვილი გამოთქვამს ვარაუდს აბანოს არჩილის პერიოდში აშენების შესახებ.

აბანო გვიანფეოდალური პერიოდის, ძველი ქართული სტილის აბანოების სისტემაზეა მოწყობილი, იმ განსხვავებით, რომ მისი კედლები მოხატული ყოფილა. 1960-იანი წლებისათვის საბანაო ოთახში ძველი ნალესობა ჩამოცვენილი იყო, რის გამოც აღარ ისინჯებოდა მოხატულობის კვალი.

აბანო ერთ სართულიან შენობას წარმოადგენს, მის გუმბათზე 6 ურმამდე თიხა ეყარა სითბოს გამოსხივებისაგან შესანარჩუნებლად. აბანოს წინ გასახდელი ოთახი ჰქონდა მიდგმული, რომლის ნიშნები კედელს დღესაც ეტყობა.

აბანო ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული – შემორჩენილია მხოლოდ საბანაო ოთახი აუზით და ცხელი წყლისათვის მოწყობილი წყლის ავზი, რომლის

იატაკის ქვეშ მოწყობილი იყო ღუმელი და რამდენიმე სათავსო. აბანო რამოდენიმე სადგომისაგან შედგებოდა. ერთ-ერთი ასეთი სადგომი უშუალოდ საბანაო ოთახთანაა დაკავშირებული. იგი საგანგებოდ ყოფილა დეკორატიულად გაფორმებული მოხატულობით. მხატვრობის კვალი კარგად ჩანდა, როგორც საბანაო ოთახთან მომიჯნავე კედელზე, ისე ზღუდის ფარგლებში მოქცეულ კედლის ზედაპირზე.

საბანაო ოთახში ძველი ნალესობის ჩამოცვენის გამო შეუძლებელი იყო მოხატულობის კვალის შემჩნევა. ეს მცირე ზომის სადგომი ოთხკუთხა ფორმისაა და გადახურულია სფერული გუმბათით, რომლის ცენტრში სინათლის ხვრელია დატოვებული. გუმბათი მცირე სიღრმის ისრისებური თაღით გამოყვანილ ლივანებს ეყრდნობა, მათ კუთხეებში კი გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი პანდანტივებია მოწყობილი [რჩეულიშვილი 1963: 42].

1938 წელს თელავის ერეკლე მეორის აბანოს აღდგენისათვის მაშინდელი საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან (ცაკ) არსებულმა კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა მუზეუმს 2000 მანეთი გადაუგზავნა. სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად, ძალზედ საინტერესო აბანო აღმოჩნდა გათბობის კონსტრუქციით და წყლის გასაცხელებელი ქვაბით.

აბანო ბუხრით თბებოდა, რომელიც მიწის ზედაპირიდან, აბანოს ქვეშ ორი მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა. აღნიშნული ბუხრის ცეცხლი აღმოსავლეთ კედელში არსებულ ქვიტკირის ქვაბს ათბობდა, რომლის შიგნითა სიმაღლე და სიგანე მეტრნახევარზე მეტია. ეს ქვაბი მიწით იყო ამოვსებული და ამოწმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ძირი სპილენძის მრგვალი ტაფის ჰქონია. ეს ყოფილა მისი სათბობი ზედაპირი. ამ ქვაბში წყალს განსაკუთრებულად მოწყობილი თიხის მილით გარედან ასხამდნენ. ქვაბიდან გაცხელებული წყალი აბანოში გადიოდა ჯერ მილით, შემდეგ სამხრეთის კედელში არსებული მაღალი ქვიტკირის ღარით და მილით ისევ აბაზანაში ჩამოდიოდა. მაღალ ღარში მომდინარე წყლის ორთქლი სამხრეთის კედელს შიგნიდან ათბობდა.

აბანოს თაღის გასათბობად კი ქვაბიდან ამომავალი წყლის ორთქლი იყო გამოყენებული.

საბანაო აუზი იატაკში იყო მოთავსებული. ბუხრიდან გამომავალი ცხელი ჰაერი სამი მხრიდან უვლიდა იატაკში მოთავსებულ აგურით ნაგებ ლაბირინთებში. აბანოს

იატაკი იმდენად ცხელდებოდა, რომ მასზე შიშველი ფეხით სიარული არ შეიძლებოდა. ამისათვის ხის მაღალ ქოშებს ხმარობდნენ. აღნიშნული ქოშები მუზეუმში ინახება.

ბუხარი დიდი იყო და მისი საკვამურები 1936 წელს აბანოს სამ კუთხეში იქნა აღმოჩენილი. საკვამურების დიამეტრი 7-8 სმ-ია. სავარაუდოა, რომ საკვამური მეოთხე კედელშიც იქნებოდა.

აბანოს აღმოსავლეთ კედელში, ქვაბის გვერდზე, ბუხრის ზევით დიდი თახჩა იყო მოთავსებული. სავარაუდოდ, ეს კუთხე დასასვენებელი უნდა ყოფილიყო და ჩამოსაჯდომად ტახტი იქნებოდა გამართული. სავარაუდოა, რომ აქ უფრო მეტად ეცხელებოდა, ვიდრე სხვა კუთხეებში, რადგან მას ქვემოდან ბუხარი ათბობდა, ერთი გვერდიდან ქვაბი, ხოლო მეორე გვერდიდან საკვამური.

აბანოში წყლის დაახლოებით 40-50% სასარგებლოდ უნდა დახარჯულიყო, რადგან ერთი ბუხრით მთელი იატაკი, ორივე კუთხე და ქვაბი თბებოდა.

აბანოს კედლები შიგნიდან შემურული იყო და არც ერთი ხის ნაწილი აღარ ჰქონდა შერჩენილი. სავარაუდოა, რომ შიგნით ხანძარი ყოფილა და მას არა თუ ხის ნაწილები დაუწვავს, კედლებიც დაუზიანებია. ცეცხლისგან ეს კედელი 2-3 ადგილას გამსკდარია და აგურებიც დამწვარია [მამულაშვილი 1936, I].

1979-1983 წლებში "ბატონის ციხე"-ში ჩატარებული მასშტაბური სარესტავრაციო სამუშაოების დროს, აიზომა და რესტავრაცია გაუკეთდა აბანოს, მოხდა მხატვრობის და გუმბათის დაცვა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, "ბატონის ციხის" არქიტექტურული კომპლექსი არა მარტო მეფეთა საცხოვრებელი ანსამბლი იყო, არამედ მას დიდი სამხედრო მნიშვნელობაც ჰქონდა. "შიშიანობა" კახეთის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო, ამიტომ მსგავსი ნაგებობანი მოსახლეობისათვის მტკიცე თავდაცვითი საშუალება იყო [ჩიკოიძე 1988: 74].

გალავანი, რომელიც ბატონის ციხეს ფარგლავს, 3 ჰექტარამდე სივრცეს მოიცავს. "ბატონის ციხის" მთელი ტერიტორია ორ – აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაწილებად იყო დაყოფილი, რაც დღემდე შენარჩუნებულია, მაგრამ გამყოფი გალავანი განახლებულია. აღმოსავლეთის მონაკვეთი შიდა ციხეს წარმოადგენს, ხოლო დასავლეთის ვრცელი მონაკვეთი, საფიქრებელია, რომ ციხე-გალავნის როლს

ასრულებდა. პირველის ფართობი ერთ ჰექტარს აღემატება, ხოლო მეორის – 1,5 ჰექტარზე მეტია, რაც სამეფო ანსამბლის არსებობაზე მიუთითებს.

სხვადასხვა სიმაღლის გალავანი ჩრდილოეთის მხარეს ფერდობს მიუყვება და შედარებით დაბალია. დანარჩენი სამი მხარე ვაკეზეა გაშენებული, ამიტომ აქ გალავნის სიმაღლე ზოგიერთ ადგილას 10-12 მეტრს აღწევს [აბრამიშვილი, ზაქარაია, ციციშვილი 2000: 220].

გალავანი წარმოადგენს რიყის ქვითა და კირის დუღაბით აგებულ მაღალ, მრგვალქონგურებიან კედელს, რომელშიც დატანებულია სათოფურები. შიდა კედლებით იგი ორ არათანაბარ მონაკვეთადაა დაყოფილი - მეციხოვნეთა დასადგომად გალავნის კედლის შიდა პირზე მოწყობილია საბრძოლო ბილიკი. იმავე ხაზზეა განლაგებული სათოფეები და სალოდეები. გალავნის კუთხეებში ოთხი ცილიდრული ორ-სამ სართულიანი მრგვალი ბურჯებია განლაგებული. გალავნის კედლები სწორი კუთხეებით ფარგლავს სივრცეს. მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეს საერთო მოხაზულობაში კუთხე შეჭრილია ისე, რომ მთელი ბატონის ციხის ტერიტორია თითქოს ორი ნაწილისაგან შედგება. სამხრეთის კედლის შუაში კედლის საერთო ფრონტიდან წინ გამოტანილია გალავნის ნაწილი მრგვალი ბურჯებით, საზარბაზნე ბაქნითა და სასროლი ხვრელებით. ამგვარად, ცალკე მდგომი ბურჯი და გალავნიდან გამოტანილი საზარბაზნე მოწყობილობა ბატონის ციხეს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან საიმედო დაცვას უქმნიდა [აბრამიშვილი, ზაქარაია, ციციშვილი 2000: 219]. სამხრეთ-აღმოსავლეთი გალავანის კუთხე შიდა მხრიდან გადაკეთებულია, სადაც ამოშენებულია გარკვეული დანიშნულების მქონე შენობა.

ბატონის ციხის ჭიშკრის კოშკი XVII საუკუნის მეორე ნახევარშია აგებული, ხოლო გალავნის კოშკი მე-18 საუკუნეში.

დასავლეთ მხარეს ზარბაზნის დასადგმელი ბაქანი შესასვლელი კარის თავზე იყო მოწყობილი [რჩეულიშვილი 1963: 40].

თელავის ციხის გალავნის მშენებლობაში ერეკლესეული წვლილზე საუბრობს ომან მდივანი, რომლის მიხედვითაც “თვით “მეფემ ირაკლიმ” განაახლა გალავანი თელავისა”.

იგივე აზრია გამეორებული პაპუნა ორბელიანთან, რომელიც მშენებლობას 1753 წლით ათარიღებს – "კახთ ბატონი წაბრძანდა კახეთს, განასრულა გალავანი თელავისა" [რჩეულიშვილი 1994: 198]

გალავანში დატანებულია აღმოსავლეთის და დასავლეთის ორი კარიბჭე, რომლებიც თავდაცვით ნაგებობებს წარმოადგენს.

დასავლეთის კარიბჭე დასავლეთის კედლის ცენტრშია აგებული, კედლის საერთო სიბრტყიდან წინ არის გამოტანილი და ციხის კედლების მიმართ საგრძნობლად ამაღლებულია. იგი ორსართულიანი ნაგებობაა. ქვედა სართულზე ფართო გასასვლელი კარია კამაროვანი გადახურვით (ძველად აქ ჩამოკიდებული ყოფილა რკინის კარი), ხოლო ჩრდილოეთსა და სამხრეთ მხარეს მეორე სართულზე ასასვლელი კიბეებია განთავსებული. მეორე სართული მაღალი კედლებით შემოზღუდულ გადაუხურავ საბრძოლო ბაქანს წარმოადგენს, რომელიც სამი – სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის მხარიდან მაღალი მრავალქონგურებიანი კედლებით არის შემოსაზღვრული. აქ მრავლადაა დატანებული სათოფურები და სალოდეები.

დასავლეთი ჭიშკრის გარე ფასადი მდიდრულადაა დეკორირებული. ისრისებური, ტრიუმფალური თაღის ორივე მხარეს ორ იარუსად კედლის ნიშები და აგურის სწორკუთხა ჩარჩოებში ჩაწერილი სახოვანი წყობაა მოთავსებული, რაც ზღუდის ერთი ყველაზე ძლიერი მხატვრულ-დეკორაციული აქცენტია. ჭიშკარი, რომელიც ზღუდის საერთო ფრონტიდან ძლიერად არის წინ გამოწეული, ორსართულიანი ჭიშკრის ერთგვაროვან გადაწყვეტას იძლევა. ჭიშკრის აგების დროდ XVIII საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ [რჩეულიშვილი 1963: 40].

1982 წელს დასავლეთის კარიბჭეში გაკეთდა წყლისგან დამცავი სისტემა, რისი საშუალებითაც მასში წყალი აღარ გროვდებოდა (არქიტექტორი ზ. მეღვინეთუხუცესი).

ბატონის ციხის აღმოსავლეთის კარიბჭე ორსართულიანი ნაგებობაა და გალავნის აღმოსავლეთ კედლის სამხრეთ კოშკთან ახლოს მდებარეობს. ქვედა სართული წარმოადგენს თაღოვანი გადახურვის კარის ხვრელს, რომელიც ორ ბურჯს ეყრდნობა.

მეორე სართული კვადრატული ოთახია, რომელიც ოთხივე მხარეს ღიადებითაა გახსნილი. ოთახი გადახურულია შეისრული კამარით, რომელიც გაბჯენილია

ურთიერთპერპენდიკულარულად მიმავალი თაღებით. ოთახის ოთხივე მხარეს არსებული სარკმლები, სამხრეთის კედელში მოწყობილი ბუხარი და აღმოსავლეთით მოწყობილი აივანი, რომელიც დაგვირგვინებული იყო თაღოვანი მაშიკულების რიგით (მისი ნაშთი იკითხებოდა კარნიზში), გვაფიქრებინებს, რომ იგი საცხოვრებელი სადგომი იყო.

ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით, სწორედ მას უნდა უწოდებდეს "სალხინოს" ალ. ორბელიანი. 1854 წელს იგი წერს: "მეფეთ სასახლე ქვიტკირისა დაქცეულია მხოლოდ სალხინოს მეტი და წინა ოთახებისა" [რჩეულიშვილი 1994: 202].

თელავის მუზეუმში დაცულ ს. მამულაშვილის მიერ გადაღებულ ორ ფოტოსურათზე, აღმოსავლეთის ჭიშკრის შეკეთებამდე, ჩანს, რომ მეორე სართულის ღიადები იატაკამდეა ახდილი და პროფილირებული კარნიზით არის გაყოფილი. ფოტოსურათებზე კარგად ჩანს ისიც, რომ ინტერიერი მოხატული იყო – თაღებს რომბების მწკრივი მიუყვება [რჩეულიშვილი 1994: 201].

აღმოსავლეთ კარიბჭის არქიტექტურა და გადამხურავი კონსტრუქციის სისტემა XVII საუკუნის ხუროთმოძღვრებისთვისაა დამახასიათებელი. იგი არჩილის მოღვაწეობის პერიოდშია აგებული [რჩეულიშვილი 1963: 40].

აღმოსავლეთის კარიბჭე არაერთხელ ყოფილა აღდგენილი და შეკეთებული (მაგ., XIX საუკუნის შეკეთება კარგად ჩანს ეზოდან, სადაც ქვედა სართულის თაღი რუსული აგურით არის გამოყვანილი).

1979-83 წლებში შესწავლილ იქნა არჩილისეული კოშკი. შესწავლის საფუძველზე, 1989 წელს გაკეთდა გეგმა, რომელიც 2001-2002 წლებში განხორციელდა (არქიტექტორი ზ. მეღვინეთუხუცესი). პირვანდელი სახე დაუბრუნდა არჩილისეულ კოშკს, რომელსაც აღუდგა პირველი სართული, ჩრდილოეთით მოეწყო აივანი, შეკეთდა სახურავი, შესასვლელში გაკეთდა ახალი კარი და კიბეები. აღდგენილ იქნა სასახლემდე მისასვლელი გზა და სამეფო ეზო [ამირანაშვილი 2007: 6].

კომპლექსის შემადგენლობაში შედის აგრეთვე გვირაბი. ქვიტკირით აგებული დერეფან-გვირაბიდან წყაროსთან ჩასასვლელი კიბე იყო მოწყობილი. იგი "ბატონის ციხის" ჩრდილო-დასავლეთის სექტორშია აგებული, იქ, სადაც ძველად სემინარია იყო მოთავსებული [რჩეულიშვილი 1963: 44] (დღევანდელი თელავის პირველი საჯარო

სკოლა). გვირაბი, როგორც ჩანს, საიდუმლო გასასვლელს და ნაგებობებთან დამაკავშირებელი გზის ფუნქციას ასრულებდა [ხარიტონაშვილი 1990: 10].

კომპლექსის ნაწილია აგრეთვე ბატონის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრის დაშორებით აღმართული დიდი მრგვალი საზარბაზნე ბურჯი (დიამეტრი 14მ.) ბურჯი ქვიტკირის მტკიცე ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც მაღლა მიწატკეპნილი ბაქანი აქვს. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ნაგებობა გარღვეულია და დაქანებული სიბრტყე, ანუ პანდუსი აქვს მოწყობილი. XVIII საუკუნის 70-იან წლებში აგებული ბურჯის სამშენებლო მონაცემები მის საარტილერიო დანიშნულებაზე მიგვითითებს. ბურჯზე XIX საუკუნის 40-იან წლებამდე 7.5 მეტრის სიგრძის დიდი ყალიბის ზარბაზანი მდგარა, რომელიც მეფე ერეკლეს 1750 წელს ფაშა ალიხანზე გამარჯვებისას ჩაუგდია ხელთ [კახეთის რეგიონი: http://kakheti.gov.ge/index.php?cat=54&par=6].

ბურჯის საბრძოლო დანიშნულებაზე მიგვითითებს ინგლისელი მოგზაური რ. ლაილი. მან თელავი 1822 წელს მოინახულა და ბურჯის შესახებ დაგვიტოვა შემდეგი ცნობა: "ციხის უკან არის ძლიერ მაგარი, მრგვალი კოშკი, რომელიც ნახევრად ჩამონგრეულია. მასში დგას დიდი ზარბაზანი... პლატონ იოსელიანიც ადასტურებს რ. ლაილის ცნობას და თავის მხრივ დასძენს, რომ "ბურჯზე 1836 წლამდე იდგა ერეკლეს დროინდელი ზარბაზანი". ამ ბურჯზე მიუთითებს მარი ბროსეც [რჩეულიშვილი 1994: 199].

ბურჯის მშენებლობის შესახებ შემონახულია უფრო ძველი წერილობითი დოკუმენტიც. ეს არის დარეჯან დედოფლის 1766 წლით დათარიღებული წერილი, მიმართული შუამთის მონასტრის მოძღვართ მოძღვრის ნიკოლოზისადმი: "ქ. მისს მაღალს ღირსებას, მოძღვართ მოძღვარს ნიკოლოზს დედოფალი დარეჯან მარჯვენას ხელს მთხვევას მოვახსენებთ. მერმე აქ ზარბაზნის ბურჯისათვის კირი ბეჟან ყორჩიბაშის-შვილიდამცა და ამის ძმის დავით ყორჩიბაში-შვილისაგანაც ვისესხეთ კირი და კიდეც შეხმარდა, წინას დღეს ხომ შენგანაც ვისესხეთ და გითხარით კირის სესხება და უარიც არ გითქომს. ახლა კიდემა გწერთ. რომ ბურჯს კიდემ დააკლდა კირი და რაც ამას კირი მოუნდეს, უნდა გვასესხოთ...სეკდემბრის კბ.ქორონიკონს უნდ".

ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებით, წერილში სწორედ ბატონის ციხის გალავანთან აღმართულ ბურჯზეა საუბარი, რომელიც წყაროების მიხედვით, გალავანთან ერთად 1753 წელს უკვე "განსრულებული" იყო [რჩეულიშვილი 1994: 199-200].

ჩვენი აზრით, "ბატონის ციხის" არქიტექტურული კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ძეგლები მეტნაკლებად არის შესწავლილი. ზოგი მათგანის ისტორია სრულად არის შესწავლილი, ზოგისა კი სამომავლო კვლევის საგანია.

§ 2. «კახთ მეფეთა სასახლის» ისტორიისათვის

სამუზეუმო კომპლექსის უნიკალურობა, გარდა მისი ხუროთმოძღვრული იერისა, უპირველესად, არქიტექტურული კომპლექსის, კერძოდ კი კახთ მეფეთა სასახლის აგების ისტორიაშიცაა.

ძეგლის ისტორიის შესახებ თავის მოსაზრებებში მრავალმხრივ ინტერესს არაერთგზის გამოთქვამდნენ ვახუშტი ბატონიშვილი, ლ. რჩეულიშვილი, გ. ჩუბინაშვილის, თ. ალდამიძე, ც. ჩიკოიძე, ჯ. ხარიტონაშვილი, ვ. ელანიძე და სხვა მკვლევარები. ძალზედ მნიშვნელოვანია თ. ალდამიძის მიერ 2007 წლის გაზეთ "მოამბეში" გამოქვეყნებული წერილი "კახთ მეფეთა თელავის სასახლის ისტორიისათვის", სადაც ავტორი ისტორიული წყაროების დამოწმებით და ანალიზით, ძეგლის ისტორიის შესახებ ღრმა და საფუძვლიან კვლევას აქვეყნებს.

მკვლევარი ძეგლის ისტორიის შესწავლას ვახუშტის ცნობაზე დაყრდნობით იწყებს, რომლის მიხედვითაც "არჩილ ჰყო სასახლე თელავს" [ქართლის ცხოვრება: 548], რომელიც კახეთში 1664-1675 წლებში მეფობდა. მკვლევარს აქვე მოჰყავს თელავში სამეფო სასახლის შესახებ ვახუშტის მიერ მოწოდებული სხვა ცნობებიც, რომლის მიხედვითაც, არჩილმა თელავში ახალი სასახლე კი არ ააშენა, არამედ კვირიკეს მიერ აგებული სასახლის განმაახლებელია: "თურდოს ხევის სამხრით, არს თელავი, რომელი ჰყო კვირიკემ პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს, სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი, ხოლო მისცვალა მცირედით მეფემან არჩილ და განაახლა. აწცა არს სასახლე და ციხე, და მაგრობენ მას შინა" [ვახუშტი 1941: 100].

თ. ალდამიძე ასევე მიუთითებს თელავის სასახლის შესახებ ზემოთ მოხსენიებულ ცნობებზე გ. ჩუბინაშვილის კვლევას: "ვახუშტი თავის აღწერაში სასახლის პირვანდელ მშენებლობას მიაწერს არჩილს (1664-1675წწ.), რომელზე დაყრდნობითაც იგი სასახლის მშენებლობას XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს. მკვლევარის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი არ ნათლად წერს, არამედ - "თურდოსხევის სამხრეთით მდებარეობს თელავი, რომელიც დააარსა კვირიკემ, დიდი ციხე-სიმაგრე, როგორც ქალაქი; თუმცა იგი რამდენამდე შეცვალა და განაახლა მეფე არჩილ IX-მ; და ახლა არსებობს სასახლე და სიმაგრე და მაგრდებიან მასში" - იქ არის უზუსტობა განსხვავებული კვირიკესა და არჩილის გასაგები ფსიქოლოგიური გადანაცვლების გამო".

თ. ალდამიძე თავის კვლევაში აღნიშნავს, რომ თელავის სასახლის სხვა მკვლევარები ვახუშტის მეორე ცნობას არც კი ეხებიან. სამაგიეროდ აკონკრეტებდნენ არჩილის მიერ სასახლის აშენების თარიღს. მაგალითისათვის იგი იმოწმებს ლ. რჩეულიშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც არჩილს "პირველ ხანებში მყარად ვერ ეპყრა კახეთის ტახტი, რადგან კახეთის დიდებულთა მხარდაჭერა არ ჰქონდა. მან იგი მოიპოვა 1667 წლის შემდეგ, როდესაც თანამეცხედრედ მოიყვანა პირდაპირი ხაზით კახთ მეფეთა შტოს ერთ-ერთი შთამომავალი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, ლეგენდარული დიდი ბებიის, სპარსეთში წამებული დედოფლის თანამოსახელე, დავითის ასული ქეთევანი... ამდენად, მკვლევარი არჩილის ქეთევანთან შეუღლების წლად პირობითად ახალი (არჩილის) სასახლის მშენებლობის თარიღადაც მიიჩნევს, ხოლო სასახლის მშენებლობის ზედა ზღვარს კი მისი კახეთიდან გაძევების წლით წარმოგვიდგენს. ე.ი. თელავის არჩილისეული სასახლის მშენებლობა 1667-1675 წლებშია სავარაუდო".

მკვლევარი თ. ალდამიძე მიუთითებს აგრეთვე მკვლევარ ჯ. ხარიტონაშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც კახეთის მეფე არჩილ II-მ აქ სამეფო სასახლე ააგო და თავისი რეზიდენცია 1672 წ. გრემიდან თელავში გადაიტანა [ალდამიძე 2007: 1].

მკვლევარი აგრეთვე განიხილავს მკვლევარ ვ. ელანიძის კვლევას ძეგლის ისტორიის შესახებ. მისი აზრით, მკვლევარი უფრო შორს მიდის და უფრო დეტალურად განსაზღვრავს სასახლის მშენებლობას: "1664-1675 წლებში კახეთში მეფობდა არჩილ II, ქართლის მეფის ვახტანგ V-ის შვილი. არჩილი 1664-1675 წლებში

კახეთს ქალაქ გრემიდან მართავდა, ხოლო პარალელურად ხელმძღვანელობდა და დაჩქარებული ტემპით ქ. თელავში სამეფო სასახლეს აშენებდა, რომელიც 1672 წელს დაამთავრა, სრულჰყო, მოაწყო ყოველმხრივ და 1672 წელს არჩილ მეფეს სამეფო რეზიდენცია ქ. თელავში გადმოიტანა. 1672-1675 წლებში არჩილ მეფე კახეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმიანობას ქ. თელავიდან აწარმოებდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქ. თელავისათვის ძველი ბრწყინვალება, ადრინდელი სახელი და ავტორიტეტი დაებრუნებინა" [ელანიძე 2006: 93]. თ. ალდამიძე აქვე აღნიშნავს, რომ ვ. ელანიძე არ მიუთითებს, თუ რის საფუძველზე მიიჩნევს მკვლევარი სასახლის მშენებლობის დამთავრების თარიღად 1672 წელს.

თ. ალდამიძე ერთის მხრივ სვამს საკითხს ჩვენამდე მოღწეული სასახლის არჩილის მიერ აშენების შესახებ ქვემოთ მოყვანილი წერილობითი წყაროების დამოწმებით: "არჩილმა ქართულ მწერლობაში ახალი ეტაპი დაიწყო, მთელი "სკოლაც" შექმნა იმხანად საქართველოში მოძალებული სპარსოფილურ ტენდენციათა აღსაკვეთად". ვახუშტის ცნობითაც, არჩილი იყო "მოძულე მაჰმადიანთა". მან "განაახლა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოსნი, მატა სჯულსა და შენობასა ქუეყანისასა".

მეორეს მხრივ, მკვლევარი კახთ მეფეთა თელავის სასახლეს ტიპიურ სპარსულ არქიტექტურულ ძეგლად მიიჩნევს, რომელსაც საქართველოში ანალოგია არ მოეძებნება. მკვლევარის მოსაზრებით, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ რესტავრაციის დროს სასახლის კარ-ფანჯრების ვიტრაჟები შექის ხანების ანალოგიით გაკეთდა.

მკვლევარისათვის მრავლისმთქმელია შემდეგი გარემოებაც: "წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, რომელიც "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე ყველაზე უძველესი ნაგებობაა, თავდაპირველად სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა და მისი არქიტექტურული დეტალების გათვალისწინებით, X–XI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. ამ მოსაზრებას საფუძველს მატებს აღნიშნულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც. მკვლევარი აღნიშნავს, რომ "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე არსებული ყველა ნაგებობა (მათ შორის კახთ მეფეთა სასახლეც), გარდა ამ პატარა ეკლესიისა, საფლავებზე დგას (ამ ეპოქის ერთ-ერთი საფლავი სასახლის აღმოსავლეთის აივნის კიბის გასწვრივ 4-5 მეტრის დაშორებით არის

დაკონსერვებული), რომელნიც X–XI საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. თ. ალდამიძე თავის მოსაზრებებს ამყარებს მკვლევარ ც. ჩიკოიძის მასალებზე დაყრდნობით, რომელიც აღნიშნულ საფლავებს X–XI საუკუნეებს მიაკუთვნებს.

თ. ალდამიძის მიმოხილვიდან გამომდინარე, დღევანდელი "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე X–XI საუკუნეებში სასაფლაო იყო საკუთარი ეკლესიით. მოგვიანებით, გავერანებული სასაფლაოს ადგილას აშენდა სასახლე, შემდეგ კი აქ სხვა ნაგებობებიც აღიმართა [ალდამიძე 2007: 1].

თ. ალდამიძე არჩილს თავისი შემოქმედებით ქრისტიანული მორალის დიდ მქადაგებელად მიიჩნევს. ამიტომ, მისი აზრით, წარმოუდგენელია, რომ მას, მაჰმადიანთა მოძულე კაცს, რომელმაც "განაახლა ეკლესიანი ყოველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოსნი, მატა სჯულსა და შენობასა ქუეყანისასა", ჩვენამდე მოღწეული კახთ მეფეთა სპარსული ყაიდის სასახლე თუნდაც გავერანებულ ქრისტიანთა სასახლეზე აეშენებინა.

მკვლევარი თ. ალდამიძე თავისი კვლევის შედეგად ასკვნის, რომ კახთ მეფეთა თელავის სასახლე არჩილის აშენებული არ არის.

ვახუშტის ცნობა, რომ არჩილმა "მისცვალა მცირედ... და განაახლა" კვირიკესეული სასახლე, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი კვირიკესა და არჩილის შესახებ არსებული ცნობების აღრევად მიიჩნევდა, თ. ალდამიძის აზრით, პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ – არჩილმა ახალი სასახლე კი არ ააშენა თელავში, არამედ უკვე არსებული კვირიკესეული სასახლე განაახლა.

მკვლევარი თავის მოსაზრებას ამყარებს კვირიკესეული ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის დროს აღმოჩენილი ნაგებობის ნაშთებით, რომელიც მეცნიერთა მიერ კვირიკესეული სასახლის ნაშთებად არის მიჩნეული: "საფიქრალია, რომ ნაგებობა ორსართულიანი იყო და ჰქონდა თაღოვანი გადახურვა. მეორე სართულში სავარაუდოა საცხოვრებელი ნაწილი იყო, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე ღია აივანი უნდა ჰქონოდა, რომლითაც გადაჰყურებდა იგი ალაზნის გაშლილ ველს".

ამდენად, მკვლევარის ვარაუდით, აღნიშნული ნაგებობა არის ციხე-გალავნის პირველი მეპატრონის სასახლის ნაშთი, რომლის ნანგრევებიც მომდევნო ხანებში არაერთგზის აღმართულ შენობებს ძალიან დაუზიანებიათ...

უკვე გათხრილი კომპლექსის ანალიზის საფუძველზე, კახეთის ქორეპისკოპოსთა დანგრეულ ციხე-გალავანში პირველი ნგრევის შემდეგ მისი ხელახალი აღდგენა-აშენება იწყება. თ. ალდამიძე აღნიშნავს, რომ სასახლის აღდგენა ხდება არა ძველი გეგმით, არამედ მისი ახალი მეპატრონის ძალებითა და მოთხოვნილებით [ალდამიძე 2007: 4].

თ. ალდამიძე აქვე იმოწმებს მკვლევარ ც. ჩიკოიძის მოსაზრებას ციხე გალავანში კახეთის სამეფოს მეორე თვალსაჩინო გაძლიერების პერიოდისათვის ცხოვრების აღორძინების დამთხვევის შესახებ [ჩიკოიძე 1988: 72]. თ. ალდამიძის აზრით, თელავის მეორე აღორძინების პერიოდი არჩილის კახეთში გამეფებითა და სამეფო რეზიდენციის თელავში გადმოტანით იწყება და კვირიკესეული სასახლის განახლებაც სწორედ ამ მოვლენამ განაპირობა.

ამრიგად, კვლევის შედეგად თ. ალდამიძე ასკვნის, რომ ჩვენამდე მოღწეული კახთ მეფეთა თელავის სასახლე არჩილის აშენებული არ არის, მან კვირიკესეული ძველი სასახლე მხოლოდ "განაახლა ვითარცა ქალაქი" [ვახუშტი 1941: 100]. ამ დასკვნის დასაზუსტებლად არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა "ბატონის ციხე". 1979 წელს ც. ჩიკოიძის ხელმძღვანელობით სასახლის სამხრეთი გალავნის ძირას გაჭრილ იქნა 10მ სიგრძისა და 2მ სიგანის თხრილი, სადაც აღმოჩნდა სათავსო, მოკირწლული იატაკითა და კედელში ჩაყოლებული შეისრულთაღიანი თაღჩებით. მას თავის დროზე სამხრეთის მხარეს ჰქონია კარი, რომელიც შემდეგ ჯერ ბუხრად გადაუკეთებიათ, ბოლოს კი ამოუქოლავთ. მკვლევარ ც. ჩიკოიძის ვარაუდით, თაღჩებიანი სათავსო წინ უსწრებდა გალავნის მშენებლობას, რომლის დასრულების შემდეგ იგი საბოლოოდ გაუუქმებიათ. ამრიგად, მკვლევარი "ბატონის ციხის" მშენებლობაში გამოყოფს ორ ეტაპს. პირველი ეტაპი – არჩილ მეფის მიერ აშენებული, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და მეორე – ერეკლე მეორის დროინდელი, რომელიც მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს [ჩიკოიძე 1988: 73]. ("ბატონის ციხის" გალავანთან აღმოჩენილი კერამიკული მასალა ახლო ანალოგებს პოულობენ მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავნის სამხრეთი კედლის გარეთ აღმოჩენილი და თბილისის დედაციხეზე გათხრის შედეგად მოპოვებულ მასალებთან, რომლებიც XVII–XVIII საუკუნეებით თარიღდებიან).

თ. ალდამიძე ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ასკვნის, რომ სასახლე კახეთის მუსულმანი მმართველის მიერ უნდა იყოს აშენებული და ასეთად დავით იმამყულიხანს მიიჩნევს, რომელიც კახეთის გამგებლობას 1703 წლიდან შეუდგა და თავის რეზიდენციად ყარაღაჯი აირჩია. მაგრამ ლეკთა გააქტიურების გამო ყარაღაჯი მალევე მიატოვა [ალდამიძე 2007: 4].

თ. ალდამიძე ვახუშტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე - "არამედ ლეკთა ოდესმე ზავჰყვიან და ოდესმე იწყიან მტერობა. გარნა შემდგომად დაიპყრეს ელისენი და იწყეს ლაშქრობა და მოაოხრნეს მრავალნი დაბნებნი, ესრეთ რამეთუ დაუტევა იმამ-ყულიხან ყარაღაჯი და ჰყო სასახლე თვისი თელავს და მანავს, და იყოფოდა ზამთარს მუნ, ხოლო ზაფხულს მაღაროს" - მიიჩნევს, რომ ვახუშტის ეს ცნობა დავით იმამყულიხანის მიერ სწორედ ჩვენამდე მოღწეული სასახლის აშენებას გულისხმობს.

მკვლევარის აზრით, ეს დასკვნა სრულებითაც არ ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ ვახუშტის ცნობა "არჩილ ჰყო სასახლე თელავს" არჩილის მიერ კვირიკესეული სასახლის შეკეთება-განახლებას გულისხმობდეს. თუმცა აქვე სვამს საკითხს, თუ რატომ დასჭირდა დავით იმამყულიხანს თელავში სხვა, ახალი სასახლის აშენება, თუკი აქ არჩილის მიერ შეკეთებულ-განახლებული კვირიკესეული ძველი სასახლე არსებობდა [ალდამიძე 2007: 4]. ვახუშტის დროისათვის ხომ ეს სასახლე ისევ ფუნქციონირებდა - "აწცა არს სასახლე და ციხე, და მაგრობენ მას შინა" [ვახუშტი 1941: 100].

კვირიკესეული ციხე-სასახლე არჩილის დროინდელი თელავის შუაგულში იდგა და მისი მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული ქრისტიანი მოსახლეობით და ეს გარემოება მას შეუვალობას მატებდა. თ. ალდამიძე ვარაუდობს, რომ არჩილმა სწორედ ამიტომ აირჩია ეს ადგილი თავის სამყოფელად.

მკვლევარი მიიჩნევს, რომ რაც მისაღები იყო ქრისტიანი არჩილისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო დავით იმამყულიხანისათვის. არჩილისაგან განსხვავებით, იგი სპარსოფილი იყო. მკვლევარი თავის აზრს ამყარებს ვახუშტის სიტყვებით, რომელიც საკმაოდ უარყოფითად ახასიათებს დავით იმამყულიხანს: "მოვიდა დავით იმამ-ყულიხან წლისა 25, დაჯდა ყარაღაჯს მეფედ და დაიპყრა სრულიად კახეთი. არამედ იყო ესე დავით პირმშუენიერ-ჰაეროვანი, ტანმცირე, არა ძლიერი და მიქცეული სრულიად წესსა ზედა და სჯულსა მაჰმადისასა, რამეთუ

არარაი სწამდა ქრისტეანეთა, უმეცარი ზნეთა და სამხედროთა საქართველოისათა. არამედ წიგნნი და ენანი უწყოდა ორნივე ჩინებულად. ამან დაამშვნა ჭარნი და აღუთქუეს მოცემა ხარკთა. გარნა იწყო ზნეთა ქართლისათა სწავლა. რამეთუ მოღობა ასპარეზი და მას შინა ასპარეზობდა უხილაობისათვის კაცთა და ნადიმობდა კახთა თანა. არამედ თვთ არა სმიდა ღვინოს მაჰმადიანობისათვის, რამეთუ იყო, ვითარცა სჯულისათვის მათი... და ცოლისა ესუა შამხალი გუარისა ისპაანს მამა-პაპით აღზრდილი ტომითაც მაჰმადიანი".

მკვლევარ თ. ალდამიძის აზრით, სწორედ ამიტომ დავით იმამყულიხანმა არჩილის მიერ შეკეთებულ-განახლებულ კვირიკესეულ ძველ სასახლეს, ახალი სასახლის აშენება არჩია. უსაფრთხოების მიზნით კი ახალი სასახლის აშენების ადგილად თავისი დროის თელავის უკიდურესი აღმოსავლეთი და დაუსახლებელი ნაწილი, გავერანებული ქრისტიანული სასაფლაო აირჩია.

ამრიგად, თ. ალდამიძე კვლევის შედეგად ასკვნის, რომ კახთ მეფეთა თელავის სასახლე აშენებულია დავით იმამყულიხანის მიერ [ალდამიძე 2007: 4].

თუ დავეთანხმებით თ. ალდამიძის მოსაზრებას, მაშინ საფიქრებელია, რომ დავით იმამყულიხანი ადგილობრივ ხუროთმოძრვრულ თავისებურებებსაც ითვალისწინებდა. ამ მოსაზრებას ამყარებს მკვლევარ ლ. რჩეულიშვილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასახლეს "ირანიზაციის" დაღი ამჩნევია. იგი მიიჩენევს, რომ ქართული ხუროთმოძღვრული აზროვნებისათვის სრულიად უჩვეულო და არადამახასიათებელია უცხოურის კალკირება. ქრისტიანობის გავრცელების ადრინდელ ეტაპზე, თუ XIX საუკუნის საცხოვრებელ არქიტექტურაში, ქართველი ოსტატები გარდაქმნიდნენ უცხოეთიდან შემოჭრილს, აქართულებდნენ მას, რაც ნათლად ჩანს სასახლის ნაგებობის სპარსულთან შედარების დროს. აქ გეგმარების პრინციპი იგივეა, თუმცა პრინციპული სხვაობაა სადგომების სივრცობრივ გადაწყვეტაში. ირანულ მაგალითში ყველა ოთახი წაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობისაა, თელავშიც მთავარი დარბაზი სიგრძეშია გაწელილი, მაგრამ ყველა საცხოვრებელი ოთახი კვადრატულია და გვირგვინისებურად ამაღლებული კამარითაა გადახურული. ამგვარად, ისინი უახლოვდებიან ქართული არქიტექტურისათვის ტრადიციულ სივრცით წარმოდგენას [რჩეულიშვილი 1994: 206]. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აკად. გ. ჩუბინაშვილი გვიანფეოდალურ ხანაში ციხეთა ვაკეზე შენებას

და მათ ოთხკუთხა ფორმას კახეთისათვის, კერძოდ კი ალაზნისპირისათვის, დამახასიათებლად მიიჩნევს [Чубинашвили, 1959: 540].

§ 3. თელავის ისტორიული მუზეუმის ისტორია

"ბატონის ციხის" ტერიტორიაზე 1927 წელს თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამუზეუმო კომპლექსი დაარსდა. მუზეუმის ისტორია პირობითად სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს: პირველი ეტაპი - 1927 – 1950-იანი წლები. მეორე ეტაპი - 1950-იანი-1980 წლამდე. მესამე ეტაპი - 1985-დან დღემდე.

მუზეუმში დაცული ცნობების თანახმად, მუზეუმის დაარსების მცდელობა 1920-იანი წლების დასაწყისშივე შეიმჩნეოდა. ჯერ კიდევ 1919-1920-იან წლებში, თელავის ვაჟთა სკოლის დირექტორს, ცნობილ მოღვაწეს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს შეკრებილი ჰქონდა ისტორიული და არქეოლოგიური ნივთები და მუზეუმის დაარსებას ფიქრობდა (მაგ.: თიხის სარკოფაგი სოფ. შალაურიდან და სხვა).

1925 წელს მეორე ცნობილ მოღვაწეს, ზაქარია ივანეს ძე ჩხიკვაძეს კახეთის ეკლესიებში დაცული იშვიათი ხელნაწერები და სხვა ქონება შეუგროვებია, რადგან ბატონის ციხის კარზე ციხის თავის ოთახის შეკეთება-რესტავრაცია და მასში მუზეუმის მოწყობა სურდა. ამისათვის, მაშინდელი სიძველეთა დაცვის კომიტეტიდან პროფ. ს. კაკაბაძეს მისთვის საჭირო თანხა მიუცია (ცნობა ზ. ჩხიკვაძის არქივიდან). თუმცა მასაც არ დასცლია საქმის დასრულება მისი თბილისში გადასვლის გამო [მამულაშვილი 1945: 1].

1926 წელს თელავის მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა ქალაქში მხარეთმცოდნეობის საზოგადოებისა და მუზეუმის დაარსება განიზრახა. საზოგადოების წესდების შედგენა და სამაზრო აღმასკომის სხდომაზე დამტკიცება გ. მელითაურს, როგორც სახალხო განათლების განყოფილების გამგეს დაევალა.

წესდების დამტკიცების შემდეგ გ. მელითაურს საზოგადოების შედგენა დაევალა.

1927 წლის 4 იანვარს თელავის მაზრის მხარეთმცოდნეობის საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის სხდომა ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ განათლების

განყოფილების ინსპექტორი დ. ჩხეიძე, პარტიის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი გ. კარაპეტოვი, მასწავლებლები კ. გეგელიძე, ი. დავითიანი, ვ. ეგნატაშვილი, გ. ბურჭულაძე, ს. მამალაძე, ვ. ლუარსაბოვი და გ. მელითაური.

სხდომამ მოისმინა გ. მელითაურის ინფორმაციული მოხსენება სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ მხარეთმცოდნეობის საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ. ამ სხდომაზე საზოგადოების პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის წევრთა საერთო კრების მოწვევის თარიღი იქნა განსაზღვრულ [მელითაური 1968: 2].

საერთო კრება 1927 წლის 11 იანვარს, თეატრის შენობაში ჩატარდა. კრებამ მხარეთმცოდნეობის საბჭო და სარევიზიო კომისია აირჩია.

მუზეუმის მასალებში დაცულია 1927 წლის 21 მარტით დათარიღებული მხარეთმცოდნეობის საზოგადოების საბჭოს სხდომის 1 ოქმი. სხდომას ესწრებოდნენ: გ. მელითაური, დ. ჩხეიძე, გ. ქურციკაშვილი, ი. პაატაშვილი, ნ. ღუდუშაური, ა. ზურაბიშვილი, კაკულია, გ. ბურჭულაძე, გ. სეხნიაშვილი, მ. კოკილიაშვილი, ვ. ამონაშვილი, ს. მიჩინაშვილი.

სხდომამ საზოგადოების თავჯდომარედ აირჩია გ. ქურციკაშვილი, მოადგილედ – გ. მელითაური და კ. გეგელიძე, წევრებად – გ. კიკაჩეიშვილი, ს. ხოშტარია, დ. ჩხეიძე, ა. ზურაბიშვილი.

სხდომაზე გადაწყდა მუზეუმის შექმნა ისტორიულ-კულტურული, ეკონომიურ-საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული განყოფილებებით. მუზეუმის გამგედ დაინიშნა ვ. ეგნატაშვილი, მდივნად – ა. ზურაბიშვილი, მოლარედ კი დ. (ჩხეიძე) თურდოსპირელი აირჩიეს.

ამავე სხდომაზე დაისვა საკითხი მუზეუმისათვის ბინის გამოყოფასთან დაკავშირებით.

წესდების შესაბამისად მაზრის ყველა თემში სათემო მხარეთმცოდნეობის უჯრედი შეიქმნა.

მუზეუმის ფონდში საზოგადოების პრეზიდიუმის 8 ოქმია დაცული. ოქმში აღნიშნულია, რომ მუზეუმის გამგე ვ. ეგნატაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან თავისივე თხოვნით და მის ადგილზე დანიშნულია მასწავლებელი სავლე ბრეგაძე [მელითაური 1968: 2].

მუზეუმი 1927 წლის 7 ნოემბერს გაიხსნა.

მუზეუმში დაცულია 1928 წლის 9 თებერვალს ჩატარებული პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ დღეს პრეზიდიუმში დამატებით შეიყვანეს ნინო ყაზახაშვილი, არონ ბაღაშვილი და ვანო პაატაშვილი.

ამავე ოქმიდან ჩანს, რომ სავლე ბრეგვაძის ნაცვლად მუზეუმის გამგედ დაინიშნა ს. ამირხანაშვილი, მაგრამ მუზეუმს ფაქტიურად თელავის განათლების განყოფილების ინსტრუქტორი დ. (ჩხეიძე) თურდოსპირელი და ასევე გ. მელითაური ხელმძღვანელობდნენ [მელითაური 1968: 2].

თავდაპირველად, მუზეუმს უსასყიდლოდ ხელმძღვანელობდა დ. (ჩხეიძე) თურდოსპირელი. მას აღმასკომმა მუზეუმის მოსაწყობად ყოფილი ხაზინის (დღევანდელი სამხატვრო გალერეის შენობა) დანგრეული შენობის 5 ოთახი გადასცა და ამავე დროს ერთი ოთახი დაეთმო იმ შენობაში, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე მეორე [ამირანაშვილი 2007: 5]. მან შეაგროვა ნივთები როგორც ეკლესიიდან, ასევე ოჯახებიდან. მაგრამ რადგან მას არ ჰქონდა ბიუჯეტი, არ ჰყავდა შტატით თანამშრომლები, დაწესებულებაც არ იყო რეგისტრირებული და არ ატარებდა მუზეუმის სახეს, ეს იყო სამუზეუმო ნივთების საწყობი. 1928 წელს დ. (ჩხეიძე) თურდოსპირელმა აღნიშნულ პრობლემებზე ზრუნვა დაიწყო და 2 წლის შემდეგ იძულებული იყო თელავიდან წასულიყო. შემდგომში, მუზეუმის ახალი მესვეურის მხრიდან საქმისადმი გულგრილობის გამო, მუზეუმს ბინაც წაართვეს და დაგროვილი ქონება იძულების გამო დაუცველ, ახდილ სარდაფში განათავსეს, სადაც ყველა თავისუფლად ჩადიოდა და არსებული ნივთებიდან მათთვის სასურველს ითვისებდა. ამის გამო ბევრი რამ გაფუჭდა და დაიკარგა. 1928 წლის ბოლოდან 1934 წლამდე აღნიშნული ქონება უპატრონოდ იყო მიტოვებული.

1934 წლის 20 ოქტომბერს საქართველოს მხარეთმცოდნეობის ცენტრალურმა ბიურომ თელავში თავისი წარმომადგენელი ლადო ბუგიანაშვილი მოავლინა. მან მუზეუმის შექმნის საკითხზე ზოგიერთ დაინტერესებულ მასწავლებელთა კრება მოიწვია. თათბირმა მოისმინა ლ. ბუგიანაშვილის მოხსენება თელავში მუზეუმის არსებობის აუცილებლობაზე და მის ხელმძღვანელად თათბირს თელავის ათწლედის მასწავლებელის - ალექსანდრე მამულაშვილის კანდიდატურა წარუდგინა, რომელიც თათბირმა დაამტკიცა. შედეგად, არჩეულ იქნა სამუზეუმო კომისია სამი კაცის

შემადგენლობით: მუზეუმის ხელმძღვანელ-ორგანიზატორად ალ. მამულაშვილი, დამხმარე წევრებად განათლების განყოფილების გამგე კ. გეგელიძე და პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი გ. მელითაური. კომისია მეორე დღესვე შეუდგა მუზეუმისათვის ბინის გამოძებნას, მაგრამ შესაფერისი შენობა არსად აღმოჩნდა. კომისიის ორი წევრი საქმიანობას მალევე ჩამოშორდა და არახელსაყრელ პირობებში მთელი საორგანიზაციო საქმიანობის წარმოება მხოლოდ ალ. მამულაშვილს მოუწია. ამას თან ერთვოდა მუზეუმისათვის ძალზედ მცირე დოტაციის – 13000 მან. ნაცვლად 2000 მან. გამოყოფა.

მუზეუმის ბინად გამოძებნილ იქნა სკოლის (რომელიც მოთავსებული იყო წმ. ნინოს სასწავლებელში) სამზარეულო და სასადილო ოთახი [მამულაშვილი 1945: 3]. დ. (ჩხეიძე) თურდოსპირელის მიერ შეგროვებული მცირე რაოდენობის ნივთები მოთავსებულ იქნა ზოგი დენის გამათბობელზე, ზოგი წყლის სადუღარაზე და ზოგიც სამზარეულო მაგიდაზე [მამულაშვილი 1939: 2]. მომდევნო თვეებში, ექსპონატების მომატების შედეგად, მუზეუმი სკოლის მიერ დათმობილ ორ საკლასო ოთახში იქნა გადატანილი.

მუზეუმი აქტიურად მუშაობდა ახალი ნივთების მოძიებაზე. მოსწავლეთა და მასწავლებელთა დახმარებით მას ახალი ექსპონატები ემატებოდა [მელითაური 1968: 2]. ექსპონატების მოძიებაში ადგილობრივი მოსახლეობაც იყო ჩართული. მუზეუმმა გაიჩინა დამხმარე პირები სოფლებში. გამოფენილი იყო ქვის ხანის ქვის თოხები, რომელთა ხნოვანება 30-50 ათასი წლით განისაზღვრება. აღნიშნული იარაღები ნაპოვნი იყო ზემო ალვანის ტყეში, რომლებიც მუზეუმს ზემო ალვანის მცხოვრებ ვახო ცისკარიშვილმა გადასცა. თელაველმა მარქარა გურგენოვამ მუზეუმს ბევრი მნიშვნელოვანი ნივთი შემოსწირა. ვანო პაატაშვილმა მუზეუმს იშვიათი ხელოვნების ხის ჯვარი გადასცა, რომელიც ძველ ათონში რამდენიმე საუკუნის წინ იყო გაკეთებული, ხოლო კახეთში ამიდასტურის ეკლესიაში ყოფილა დაბრძანებული. ინჟინერ გრ. აბაშიძემ მუზეუმს ქალაქ რომში 1741 წელს გამოცემული ლათინურიდან ქართულად გორელ სომეხის ტლუკაანთ დავითის მიერ ნათარგმნი ქართული წიგნი გადასცა [მამულაშვილი 1935: 4]. ნინო ჩხუბიანიშვილმა მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ეთნოგრაფიული მასალები, თეიმურაზ ფირალიშვილმა კი – ერეკლე მეორის შესახებ შეკრებილი უცხოური მასალები [მინდაძე 1963: 4].

მუზეუმმა შეიძინა ახმეტის რაიონის სოფელ დუისის მახლობლად შემთხვევით გათხრის დროს აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის საომარი იარაღი (შუბის პირები) და ქალის სამკაულები (ბეჭდები, მძივები, სამაჯურები, ქალის გულსაკიდები ცხენისა და სხვა ცხოველთა გამოსახულებებით); ლოპოტის მარმარილოს კარიერებზე ნაპოვნი XVI–XVII საუკუნეების აღმოსავლური ვერცხლის ფულები სხვადასხვა მეფეთა გამოსახულებებით; ქართული ხელოვნების იშვიათი ნიმუში - ერეკლე მეფის დროინდელი სასულიერო ხასიათის დანიშნულების სადაფის ნივთი, რომელიც მაშინდელი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ნებართვით წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმმა თელავის მუზეუმს გადასცა. ახლად შეძენილი ექსპონატი მაღალხარისხიანი სადაფი იყო. მასზე იშვიათი ოსტატობითაა გამოსახული ეპიზოდი წმინდანთა ცხოვრებიდან [იანვარაშვილი 1959: 2].

6 თვის შემდეგ, მუზეუმს გამოეყო ყველაზე შესაფერისი ფართობი ერეკლე მეორის სასახლეში. ხოლო ბინის გაფართოების მიზნით, "ბატონის ციხის" აღმოსავლეთის შესასვლელთან არსებული ციხის თავის ოთახი აღადგინეს. განახლებული ოთახი საექსპოზიციო დარბაზად იქნა გამოყენებული [ამირანაშვილი 2007: 5]. რესტავრაციისათვის ხარჯები მაშინდელმა კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა გაიღო. აღნიშნულ პერიოდში აგრეთვე აღდგენილ და შესწავლილ იქნა მეფის კარის აბანო.

1935 წლის 1 იანვრიდან თელავის მუზეუმი რეგისტრირებულ იქნა როგორც სახელმწიფო დაწესებულება. მას თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ეწოდა, დაუმტკიცდა პირველი 11,000 მან რაოდენობის ბიუჯეტი და დირექტორად ალ. მამულაშვილი დაინიშნა. მუზეუმს ორი ფასიანი თანამშრომელი გაუჩნდა. რაიონულ პრესაში მუზეუმის საქმიანობაზე ხშირად იბეჭდებოდა მოწოდებები და ინფორმაცია.

შემდეგ წლებში მუზეუმი თანდათანობით ფართოვდებოდა, ემატებოდა ექსპონატები – მუზეუმმა შეძლო შეეგროვებინა ხალხში გაფანტული, კახეთის შესწავლის საქმისათვის მრავალი მნიშვნელოვანი ექსპონატი, რომლებიც მანამდე კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და ფართო მასებისათვის მიუწვდომელი იყო. ბევრი მათგანი უნიკალურია და დიდ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენს. მუზეუმში გაუმჯობესდა დაფინანსებაც, გაიზარდა მომუშავეთა შტატიც. მუზეუმის დირექტორის, ალ. მამულაშვილის თაოსნობით დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი,

საექსპოზიციო და მასობრივ-საგანმანათლებლო მუშაობა. წარმოებდა არქეოლოგიური, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები გრემის ნაქალაქარში, იყალთოში, გულგულაში, ლაფანყურში, ახალსოფლის არხსა და გზატკეცილზე; ეთნოგრაფიული სამუშაოები კახეთში, ფშავებში, თუშეთში, ქისტებსა და თათრებში, სადაც საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა – საოჯახო ნაკეთობანი, ჭურჭელი, იარაღები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა მრავალი იქნა აღმოჩენილი. მიმდინარეობდა გეოლოგიური სამუშაოები და არქივის მასალების (ხელთნაწერები) შესწავლა. ექპონატების შეგროვება მთელ შიგნით კახეთში ხორციელდებოდა [მამულაშვილი 1939: 2-3].

მუზეუმის მიერ განხორციელებული კვლევა-ძიებების შედეგად გამოირკვა თელავში არსებული ერეკლე მეორის კარის აბანოს გათბობის თავისებურებანი. ამისათვის მოწვეულ იქნა არქიტექტორი, რომელმაც შეადგინა ნახაზები; გამორკვეულ იქნა თუშური ქუდის ისტორიული დანიშნულება; კახეთის რევოლუციური მასალების შეკრების მიზნით მუზეუმი წინანდლის სახალხო მამულში ეცნობოდა საარქივო მასალებს, საიდანაც ამოკრებილ იქნა მუშათა მოძრაობაზე 1904-1907 წლების პერიოდის მასალები. მუზეუმმა შეისწავლა სტალინის 1905-1906 წლებში კახეთში ყოფნისას და რევოლუციური მოღვაწეობის მასალები; კახეთში 5 ადგილას გამოვლენილ იქნა ისეთი ქვის იარაღები, რომლებიც, სავარაუდოდ, ბრინჯაოს ხანაში უნდა ყოფილიყო ხმარებაში [მამულაშვილი 1939: 4, 9]; მუზეუმმა პირველი საშუალო სკოლის ეზოში, აივნის ქვეშ ძველი აკლდამა აღმოაჩინა, რომელშიც აღმოჩნდა ძველი სამარხი ქალის დაშლილი ჩონჩხით, რომელსაც მაჯებზე და თითების ფალანგებზე აღმოაჩნდა შავი მინის სამაჯური და ოთხი ბეჭედი – ორი ვერცხლის, ორი ბრინჯაოს და რამოდენიმე მინის მძივი [მამულაშვილი 1936, II: 2].

იყალთოს აკადემიის შენობის შესწავლის მიზნით თელავის მუზეუმმა 1938 წლის შემოდგომაზე "მეტეხის" მუზეუმთან ერთად გათრები აწარმოვა [თვალიაშვილი 1939: 3].

მუზეუმი 1938 წელს განაგრძობდა სასულიერო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან ფრესკების გადმოხატვას - შუამთაში მხატვარ მიქელაძისა და დავით გარეჯის უდაბნოში ვალერიან სიდამონ ერისთავის მიერ. მათი მუშაობის შედეგად მიღებულ იქნა ძველი სამხატვრო ფრესკების ხელოვნების 15 ცალი შედევრი, აგრეთვე ძველი შუამთის, ბოჭორმის, ხაშმის სამების, ნეკრესისა და სხვა ეკლესიათა ზეთის

საღებავებით ნახატები; მუზეუმმა 1938 წელს თუშეთის, საინგილოსა და ფშავის ეთნოგრაფიული მასალები შეიძინა; აგრეთვე შეიძინა მევენახეობა-მეღვინეობისათვის საქართველოს რუქები, დიაგრამები, ნახაზები, ექსპონატები, ლიტერატურა და სხვა [მამულაშვილი 1939: 9].

მუზეუმმა სხვადასხვა პირთაგან აგრეთვე შეიძინა ისტორიულად ძვირფასი ექსპონატები, მაგალითად ერთი ქართული ფული ორნაირი წარწერით და ოქროს სევადით, ორი ჯაჭვის პერანგი და ორი ჩაფხუტი (ჯაჭვის ქუდი) ერთი ოქროში დაფერილი და ვერცხლის 4 მანიგრამით არაბული წარწერით [მამულაშვილი 1936, II].

მოსახლეობაში მუზეუმის მნიშვნელობის გაზრდაზე მეტყველებდა არქეოლოგიურ აღმოჩენათა შესახებ ცნობების მიღება სხვადასხვა სოფლებიდან, სადაც ნაპოვნი ნივთების მუზეუმისათვის გადასაცემად მუზეუმის წარმომადგენლის მივლინებას თხოულობდნენ.

მუზეუმში მუშაობის შედეგად, დიდი რაოდენობის ისეთი ისტორიული მასალა დაგროვდა, როგორიცაა 39 ცალი სიგელის ტექსტები კომენტარებით, ზაქ. ნემსაძის ლექსები კომენტარებით. მუზეუმის გამოკვლევები იყალთოს აკადემია-შენობაზე, გრემის არხზე, თუშური ქუდის სამხედრო-ისტორიულ დანიშნულებაზე და სხვა, მასალები საინგილოს შესახებ, თელავის ნაგებობათა სურათები – ღია ბარათები, სარევოლუციო მასალა და სხვა. ცენტრალურ და რაიონულ პრესაში პერიოდულად იბეჭდებოდა წერილები მუზეუმის მუშაობის შესახებ. სამწუხაროა, რომ მუზეუმს არ ჰქონდა საკუთარი გამომცემლობა [მამულაშვილი 1939: 19].

მუზეუმმა ლ. კარბელაშვილის დახმარებით შეადგინა "კახეთის ბიბლიოგრაფია". ალ. მამულაშვილი მოხსენებით ბარათებში აღწერდა მუზეუმში საექსპოზიციო და საფონდო მუშაობას, რომელიც იმ დროისათვის ქვის ხანიდან იწყებოდა [ამირანაშვილი 2007: 5].

1938 წლის მიწურულს მუზეუმმა სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ და ბოტანიკურ კათედრებს მუზეუმზე ხელმძღვანელობის აღება სთხოვა, რაც მუზეუმში შესაფერისად მოწყობილი და გაფორმებული გეოლოგიური და ბოტანიკური განყოფილებების მოწყობაში გამოიხატებოდა. აღნიშნული განყოფილებები მუზეუმში 1939 წელს მოეწყო [მამულაშვილი 1939: 10];

1938 წელს მუზეუმის ეზოში კახელ მოღვაწეთა პანთეონი მოეწყო, სადაც 1938 წლის 13 ნოემბერს ქისტაურიდან გადმოასვენეს პოეტი რაფიელ ერისთავი, ხოლო 1940 წლის 21 აპრილს თელავის სასაფლაოდან გადმოასვენეს ბარბარე ჯორჯაძის (რაფიელ ერისთავის და) და პოეტ იოსებ დავითაშვილის ნეშტები [ამირანაშვილი 2007: 5]. პანთეონი არ მოწყობილა, როგორც უბრალო სასაფლაო, სადაც მნახველი სევდიანობას იგრძნობდა. იგი მოეწყო, როგორც დეკორატიული ბაღის ხეივნებში აქა-იქ დადგმული იშვიათი ხელოვნების ქართველ მოღვაწეთა ძეგლები, სადაც მნახველთა ესთეტიური გრძნობების დაკმაყოფილება და ინტელექტუალური სამუშაოს წარმოება იყო შესაძლებელი.

ამ დროისათვის იდგა საკითხი მუზეუმის ეზოში მოთავსებული ორი ისტორიული ძეგლის - კარის ეკლესიების საწყობის დანიშნულებისაგან განთავისუფლების შესახებ. 1938 წლის რაიკომის ბიუროს მარტის მე-5 სხდომაზე ეს დადგენილება მუზეუმის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი, მაგრამ ქალაქის საბჭომ არ განახორციელა ეკლესიიდან საწყობის გადატანა, რასაც ექსპონატებისათვის სხვა ბინის უქონლობით ასაბუთებდა. საწყობად ქცეული იყო ეზოს ნაწილიც, სადაც აგური, რკინეულობა და სხვა წვრილმანი ეყარა. ამის გამო, საწყობს მთელი ეზო სჭირდებოდა. აქ ყველა სახის ექსპონატის დიდი მოძრაობა იყო, რომელთაც მისაბრუნებელ-მოსაბრუნებლად დიდი ადგილი სჭირდებოდათ, რაც ხელს უშლიდა ეზოს გამწვანების საქმეს. ტრანსპორტის მოძრაობით აქ სავალალო მდგომარება იყო შექმნილი, რის გამოც ვერ ხერხდებოდა ეზოს გამწვანება და კეთილმოწყობა. 1938 წელს მუზეუმმა შეიძინა წიწვიანი ხეები და ისინი ეზოში დარგა. ამავე წელს უზბეკეთში შეძენილ და მუზეუმის ეზოში დარგულ იქნა იშვიათი ჯიშის ბროწეულები და ლეღვები.

მუზეუმის საქმიანობის სწრაფი ზრდის მკაფიო სურათს წარმოგვიდგენს მუზეუმის ფინანსური ციფრების მაჩვენებელი. მუზეუმმა 1935 წელს დოტაციის სახით მიიღო 2000 მანეთი; 1936 წელს – 11000 მანეთი; 1937 წელს – 17000 მან.; 1938 წელს 74000 მან. ხოლო 1939 წელს მუზეუმი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა, რამაც მუზეუმის ფინანსური მდგომარეობა განამტკიცა [მამულაშვილი 1939: 14].

მუზეუმის ზრდის შედეგით, 1943 წლის აგვისტოდან იგი თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად გადაკეთდა [მამულაშვილი 1945: 5].

1940-იანი წლებისათვის, ერეკლე მეფის სასახლის შენობაში მოთავსებული იყო სამასწავლებლო ინსტიტუტი, პედაგოგიური სასწავლებელი, საშუალო სკოლა და მუზეუმი [თამაზიანი 1940].

სამამულო ომის დაწყების შემდეგ, მუზეუმს მისი კუთვნილი ბინა სამხედრო უწყებამ საავადმყოფოს მოსაწყობად ჩამოართვა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მუზეუმი ჯერ ერეკლე მეორის კარის დანგრეულ ეკლესიაში იყო შესახლებული, შემდეგ კი 6 თვით დაიკეტა. მუზეუმმა მუშაობა 1942 წლის 15 თებერვლიდან, თელავის თეატრის ფოიეში განაახლა, სადაც მას 85 კვ.მ. ფართობი ეკავა. მხოლოდ 1945 წლის 1 ნოემბრიდან, ომის შემდეგ, მას დაუბრუნდა ძველი შენობა მეფეთა სასახლეში და 73 კვ.მ. ფართობის კიდევ ერთი ოთახი დაემატა. ამ დროისათვის მუზეუმს 245 კვ.მ. ფართობის მქონე საექსპოზიციო 5 ოთახი ეკავა.

მიუხედავად ამისა, ბინა მაინც მცირე იყო, რადგან მხოლოდ საგამოფენო დარბაზები არ იყო საკმარისი. მუზეუმს არ ჰქონდა დირექტორის კაბინეტი, კანცელარია ოთახის უქონლობის გამო შესახლებული იყო ერეკლე მეორის ოთახში. მუზეუმს ასევე არ ჰქონდა ლაბორატორიები, სახელოსნო, სეიფი, საწყობები და სხვა დამხმარე შენობები. მუზეუმს არ ჰყავდა საკმარისი მეცნიერ თანამშრომელი, ღამის დარაჯი, რის გამოც იგი ღამე ნაკლებად იყო დაცული. აღნიშნული პერიოდისათვის მუზეუმში მუშაობდა ორი ადამიანი: დირექტორი და მეცნიერ თანამშრომელი. მუზეუმს ერთი დამლაგებელი ჰყავდა. მუზეუმს შტატის შემცირების შედეგად არ ჰყავდა ბუღალტერი, ამიტომ ბანკში ცალკე ანგარიში არ იყო გახსნილი და მუზეუმი განათლების განყოფილების მეშვეობით იღებდა სახსრებს, რითაც მუზეუმი გაუპიროვნებული იყო.

1940-იან წლებში, ყველა ზემოთ აღნიშნულ დაბრკოლებათა გადასაჭრელად დღის წესრიგში იდგა მუზეუმში ორი მეცნიერ თანამშრომლის, ბუღალტრის, ორი ექსკურსიამძღოლის, ფოტოგრაფის, ფოტოდამლაგებლის და ღამის დარაჯის შტატების დამატება. ასევე აქტუალური იყო მუზეუმის ეზოში მობინადრე კერძო ოჯახის გასახლებისა და მათ ბინაში მუზეუმის დარაჯის განთავსების საკითხი; დღის წესრიგში იდგა მუზეუმის ეზოში არსებული ერეკლე მეორის კარის ეკლესიის რესტავრაციისა და მისი საგამოფენო დარბაზებად გამოყენების საკითხი; ერეკლეს სასახლის სამასწავლებლო ინსტიტუტისაგან გათავისუფლების, მთლიანად მისი

კედლების ბათქაშისაგან გაწმენდისა და მისი პირვანდელი მხატვრობის აღდგენის საკითხი; კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ ბატონის ციხის მთელი გალავნის შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების საკითხი; ერეკლეს სასახლის გვერდით მდებარე, საპატიმრო სახლის (იგი შეიქმნა რუსების დამკვიდრებისას 1802 წელს) გადატანის და მასში რომელიმე კულტურული დაწესებულების განთავსების საკითხი [მამულაშვილი 1945: 20]; როგორც ქალაქში, ასევე სოფლად მხარეთმცოდნეობის საზოგადოების ამოქმედება-ამუშავების საკითხი ისტორიული ძეგლებისა თუ დოკუმენტების, იშვიათი წიგნების, ძველი ხელნაწერების, მადნეულობისა და სხვათა შეგროვების მიზნით [მამულაშვილი 1939: 10];

1950-იან წლებში დაიწყო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის ახალი სასწავლო კორპუსების აშენება "ბატონის ციხის" და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების მუზეუმისათვის გადაცემის მიზნით. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები შ. ამირანაშვილი და ვ. ბერიძე, პროფესორი ლ. რჩეულიშვილი და სხვები. კომისიის თავმჯდომარე მაშინდელი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. იაკაშვილი იყო. კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა "ბატონის ციხის" ისტორიულ ნაგებობათა კომპლექსი, მისი შემდგომი გამოყენების, შესწავლის და რეკონსტრუქცია-რესტავრაციის სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხებისათვის და თავისი მოსაზრებანი მაშინდელ საქართველოს მთავრობას წარუდგინა. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც რვა მუხლისაგან შედგებოდა და ითვალიწინებდა: ქ თელავის "ბატონის ციხის" ტერიტორიის ნაკრძალად გამოცხადებას და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის გადაცემას; ერეკლე მეფის სასახლის აღდგენას თავისი პირველადი სახით და მის მემორიალურ ძეგლად გადაქცევას; მუზეუმის ექსპოზიციის გადატანას ყოფილ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის (ყოფილი ინსტიტუტის) შენობაში; რეკონსტრუქციის შემდეგ ყოფილი ხაზინის შენობის სამხატვრო გალერეისათვის და დროებითი გამოფენების მოსაწყობად გამოყენებას; ერთსართულიანი შენობის შენარჩუნებას, როგორც მე-19 საუკუნის დასაწყისის დამახასიათებელი არქიტექტურის ნიმუში და მისი მუზეუმის ადმინისტრაციისათვის გამოყენებას; ყოფილი სემინარიის შენობის (დღევანდელი პირველი საჯარო სკოლა)

გადაცემას თანამედროვეობის ამსახველი ექსპოზიციის გასაფართოებლად (მეღვინეობა და მისი ისტორია, თანამედროვე მრეწველობის მიღწევანი და სხვა), მას შემდეგ, როცა იგი განთავისუფლდებოდა იმ დროისათვის დაკავებული დაწესებულებისაგან; "ბატონის ციხის" XVII–XVIII საუკუნეების ნაგებობების - ზღუდე-ბურჯები და ორი კარიბჭე, ერეკლე მეფის სასახლე, აბანო, გვირაბი, კარის ორივე ეკლესია - სათანადო მეცნიერული შესწავლის შემდეგ, მათი, როგორც ისტორიული ძეგლების რესტავრირებასა და დაცვას; "ბატონის ციხის" ტერიტორიის არქეოლოგიურად შესწავლას [იარალოვი 1974: 2].

მუზეუმის განვითარების პირველ ეტაპზე მუზეუმის მთავარი ექსპოზიცია კახეთის ისტორიას წარმოადგენდა. აქ თანმიმდევრობით იყო წარმოდგენილი კახეთის მცოდნეობის მასალები, რომელთა უმრავლესობა ორიგინალი და ადგილზე მოპოვებულია. ექსპოზიცია ასახავდა კახეთის პრეისტორიულ ხანას, სადაც წარმოდგენილი იყო დანალექი ვულკანური ქანები, პალეონტოლოგიური ნაშთები - მარტორქის თავის ქალის ქვევითა ყბის ძვლები[6], მდინარე ივრის პირას ნაპოვნი გაქვავებული მამონტის ძვლები და გაქვავებული ლოკოკინა ურიათუბნიდან, მოლუსკები, თევზების ქვებზე ანაბეჭდები; ნეოლითური ხანის ქვის იარაღები, რომელიც მუზეუმმა პირველად გამოავლინა კახეთში (ქვის თოხები, ცულები, წერაქვი კვერი და სხვა); ბრინჯაოს ხანის იარაღ-სამკაულები (დაშნები, ხანჯლები, ცხენის ქანდაკება, სამკაულები); რკინის ხანის საომარი იარაღები, დიდი ნამგლები, ტრაქები, ხისა და ქვის ჭურჭელი და სხვა [მამულაშვილი 1945: 7];

მუზეუმი ახმეტის, თელავისა და ყვარლის რაიონებს უწევდა მომსახურებას. აქ შეგროვილი დიდძალი ფონდებიდან თავისი უნიკალობით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ბაჯაღლო ოქროს საყურე ყურძნის მტევნის გამოსახულებით, რომელსაც ჩვ.წ.აღ.-მდე მე-5 საუკუნით ათარიღებენ. ძალზედ საინტერესოა კანკელის ქვის ნატეხი იყალთოდან, რომელზეც განსაკუთრებული ხელოვნებით არის ამოკვეთილი ქრისტიანული სარწმუნოების ამსახველი ყველა რიტუალი - ლოცვა,

[6] 1945 წელს წინანდლის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში ახალი სარდაფისათვის ნიადაგის გათხრისას 14მ. სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა მარტორქის ჩონჩხი, რომლის ზოგიერთი ნაწილი მოთავსებული იყო თელავის მუზეუმში. ეს იყო მარტორქის ჩონჩხის პოვნის პირველი შემთხვევა ქართველოში [იშვიათი აღმოჩენა, 1945].

ვედრება, ჯვარცმა, საიდუმლო სერობა და ა.შ. მაღალი ოსტატობით არის შესრულებული ორნამენტი ქვაზე (იყალთოდან), ალავერდის ტაძრის დიდებულ ნაგებობათა იშვიათობის, თამარის დროინდელი ალაზნის სარწყავი სისტემის სქემა, იყალთოს აკადემიის, გრემის ტაძარ-აკროპოლისის, აბანოების, წყალსადენისა თუ ამ მხრივ უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნივთიერი თუ წერილობითი დოკუმენტი [თელია 1962: 91].

მუზეუმში პირველი განყოფილება ერეკლე მეორის ეპოქის ამსახველ ექსპოზიციას წარმოადგენდა. წარმოდგენილი იყო ერეკლე მეორის დიდი პორტრეტი, ერეკლე მეორის ბრძოლის ეპიზოდების ამსახველი ზეთში შესრულებული ტილო შესრულებული ვ. სიდამონ-ერისთავის მიერ; ერეკლე მეორის ოჯახის წევრების და მისი უახლოესი თანამშრომლების - გარსევან ჭავჭავაძე, სახლთუხუცესი ჩოლოყაშვილი – ზეთში შესრულებული პორტრეტები, ხელთნაწერი ეტრატები. წარმოდგენილი იყო დარეჯან დედოფლის მიერ გაცემული სიგელი, რომლის ძალითაც იგი მოურავად ნიშნავდა აზნაურ რევაზ ვაჩნაძეს. სიგელს რეზოლუციას ადებდა მეფე ერეკლე. სიგელზე დარტყმულია იულონ, ვახტანგ და გიორგი ბატონიშვილების ბეჭდები. აქვე იყო წინანდლელი გლეხის - ბადურაშვილის ხელწერილი, რომელიც 1766 წელს ლეკებმა ტყვედ წაიყვანეს – გლეხი იძულებული გამხდარა თავი მიეყიდა აზნაურ საგინაშვილისათვის, რომელსაც იგი ლეკებისაგან გამოუსყიდია. კედელზე აგრეთვე გაკრული იყო თელავის სამეფო სასახლის გეგმა, გერმანელი ელჩის - გულდეშტენტის მიერ გადახატული, რომელიც 1772 წელს ერეკლე მეორეს სწვევია. ეს გეგმა რუსეთიდან ჩამოუტანია პროფ. ბარამიძეს. წარმოდგენილი იყო აგრეთვე იარაღი, აბჯრები, ჯაჭვის ტანისამოსი და სხვ., საყურადღებო იყო ექსპოზიციაში განთავსებული სპარსული წარწერებით შემკობილი ქართველი სარდლის ჩაფხუტი, რომელსაც მკვეთრად ემჩნეოდა ხმლის კვალი. მის გვერდით განთავსებული იყო თუშური ქუდი, რომელიც ჩაფხუტის ქვეშ სახმარად გამოიყენებოდა [ხალიფაშვილი 1938]. ექსპონატები ნათელ წარმოდგენას იძლეოდნენ ერეკლეს დროინდელი კახეთის წარსულისა და ერეკლესეულ ნაგებობათა შესახებ.

მუზეუმის მეორე განყოფილების ექსპოზიცია წარმოადგენდა კახეთის XVIII–XIX საუკუნეების დახასიათებებს, გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, რაც ფოტოებით,

დოკუმენტური მასალით და ექსპლიკაციით იყო წარმოდგენილი [მამულაშვილი 1945: 7-8];

მუზეუმში გამოკვეთილად იყო წარმოდგენილი თელავის რაიონის სოფელ რუისპირის "ყურძენ-თავთავის" და ახმეტის რაიონის, სოფელ ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები – მათი დაარსებიდან მე-20 საუკუნის ბოლომდე ყველა დარგში მოპოვებული წარმატებებით [თელია 1962: 91].

აგრეთვე წარმოდგენილი იყო მეაბრეშუმეობის დარგით მოპოვებული სიახლენი, ძაფსაღები ფაბრიკის მიღწევებისა და საგრენაჟო ქარხნის მუშაობის [გვენცაძე 1954: 4], მარმარილოს მოპოვების, საბინაო მშენებლობის, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, ხალხთა მეგობრობისა და ა.შ. ამსახველი მასალები [თელია 1962: 91].

მუზეუმში გამოყოფილი იყო კუთხე, სადაც დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის შესახებ მასალები იყო წარმოდგენილი. ისინი 1911 წლის 20 ივლისს (ძვ.სტ), ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ სალიტერატურო საღამოზე, აკაკი წერეთლის თელავში ყოფნას ეხებოდა. 21 ივლისს აკაკისათვის გამართულ ნადიმზე პოეტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომ ქართველი ხალხი, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს, იცოცხლებს და შესანიშნავ ადამიანებს მისცემს მსოფლიოს. აკაკი წერეთლის ამ სიტყვის ხელით გაკეთებული ჩანაწერი სათაურით – "სიტყვა თქმული თელავში სადილზე" – მუზეუმშია დაცული. აქვე იყო წარმოდგენილი მუზეუმის დაკვეთით მხატვარ მ. მიქელაძე-ბაგრატიონის მიერ შესრულებული სურათი "აკაკი ამბობს სიტყვას თელავში" [აკაკი თელავში 1940].

მუზეუმში წარმოდგენილი იყო იშვიათი ხელნაწერი წიგნები, რომელთა შორის იყო "ვის-რამიანი" - გადაწერილი მე-18 საუკუნის დასწყისში, ვახტანგ VI-ის "სამართლის წიგნი", "სამკითხაო", "სავეტერინარო", 1743 წელს ბაქარის მიერ დაბეჭდილი "ბიბლია", 1709 წელს ვახტანგის მიერ პირველად დაბეჭდილი "სახარება", მეტად მცირე ზომის სახარებანი აღმოჩენილი სოფ. ზემო ხოდაშენში, ქ. ქუთაისში 1807 წელს გამოცემული "ფსალმუნი" და სხვ. [გვენცაძე 1938: 4].

ექსპოზიციაში დამოუკიდებლად იყო წარმოდგენილი 500-მდე სხვადასხვა მონეტების ნუმიზმატიკური კოლექცია, მოყოლებული 23 საუკუნის წინ მოჭრილი ლიზიმახის ვერცხლის ფულით, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში პირველადაა

აღმოჩენილი, რომის იმპერატორის მონეტებით და სხვადასხვა საუკუნეების ქართული და ირანული მონეტებით.

დამოუკიდებელ ექსპოზიციას წარმოადგენდა აგრეთვე რადიოტელეგრაფიის ქართველი გამომგონებლის - გრიგოლ ნახუცრიშვილის რადიო აპარატის მოდელის ნაწილი და გამომგონებლის ცხოვრებისეული მომენტების ამსახველი ფოტოსურათები.

მუზეუმში აგრეთვე ინახებოდა სისხლის აღების წესის დროს, ვაჟკაცობის აღსანიშნავად მე-18 საუკუნეში მოჭრილი ხელის ჩონჩხი, რომელიც თუშეთის სოფ. დართლოდან იყო ჩამოტანილი [ხალიფაშვილი 1938: 4].

იკონოგრაფიის განყოფილებაში წარმოდგენილი იყო კახელების, თუშების, ფშავლების, ხევსურების ჩაცმულობათა ნიმუშები: წინდები, პაჭიჭები, ჩითები, სარტყელ-გულისპირი, ყაბალახები, მამაკაცის კაბა, სახასიათო ტიპების ფოტო სურათები და ფერადი მხატვრობა.

მუზეუმში მოცულობითი ექსპოზიციის ნივთები რაოდენობრივ სიბრტყობრივი ექსპოზიციის ნივთებს აჭარბებდა. სიბრტყით ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო კახეთის ისტორიული ძეგლების ნახაზები; გრემის არხის, გრემის ნაქალაქრის, იყალთოს ისტორიული ძეგლებისა და სხვა გეგმები, ფერადი სურათები, ისტორიული საბუთები.

თითოეულ განყოფილებას ქართულ და რუსულ ენაზე კალიგრაფიულად დაწერილი ანოტაციები ახლდა. მუზეუმში არსებობდა ასევე გიდების მომსახურებაც, რომლებიც ფართო სიტყვიერ განმარტებას აძლევდნენ დამთვალიერებელს.

მუზეუმში აგრეთვე ეწყობოდა დროებითი-მოძრავი გამოფენებიც. 1937 წელს თეატრის ფოიეში შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლის თავისადმი მიძღვნილი გამოფენა იყო ორგანიზებული; 1941 წლის მიღწევათა გამოფენა აგებული იყო ისტორიულ ფონზე, სადაც ნაჩვენები იყო რა იყო კახეთი, კერძოდ, თელავი XVIII–XIX–XX საუკუნეებში – 1917 წლამდე; 1943 წლის მაისში ი.ბ. სტალინის მოხსენების საფუძველზე მოეწყო გამოფენა "საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის 25 წლისთავი".

1940 წლის დეკემბერში საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ მოეწყო საარქიტექტორო გამოფენა. მასში თელავის მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო გრემის აბანოს, ქულბაქების, თარსა გალავნის და სხვათა ნახაზებით და გეგმებით.

მუზეუმი კოლექციების და ცალკეული ექსპონატების პირველად აღრიცხვას და დაცვას აწარმოებდა. შემოსული ნივთი იწერებოდა საერთო საინვენტარო წიგნში, შემდეგ მეორე სპეციალურ წიგნში. პასპორტიზაცია აღნიშნულ ეტაპზე ჯერ ვერ იწარმოებოდა, რადგან ნივთთა საცავი ფართობი იგივე კარადები იყო მუზეუმში. სივიწროვის შედეგად ექსპონატები არათემატურად იყო განლაგებული.

ომის პერიოდში საწყობი (ეკლესია) და საგამოფენო დარბაზი (თეატრში) ერთმანეთს იყო დაცილებული. ეკლესია დანგრეული და ცუდად გამაგრებული იყო. იგი ბოროტმოქმედებმა 17-ჯერ გატეხეს და ბევრი რამ გაიტანეს. ძველი ჟურნალ-გაზეთები პაპიროსის ქაღალდებად, ქუდებად და სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენეს. ექსპონატთა რაოდენობა 5000-მდე იყო. ესენი იყო სიგელ-გუჯრები, ძველი ხელნაწერები, ზოგიერთ კახელ მოღვაწეთა მიმოწერები, არქეოლოგიური ნივთები, ვერცხლის და ოქროს ნივთები, ნუმიზმატიკა; ზეთით, აკვარელით და გუაშით ნახატი სურათები, ფოტოები და სხვა.

მუზეუმში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბიბლიოთეკას, რომელიც მუზეუმის დაფუძნების დღიდან არსებობს. წიგნად ფონდში დაცული იყო 15000-მდე წიგნი, რომელსაც მოგვიანებით ჯილდოს სახით დაემატა 5000 მანეთის ღირებულების წიგნი. წიგნების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. წიგნების უმეტეს ნაწილს წარმოადგენდა კახეთის და კავკასიის მცოდნეობის, ბელეტრისტიკის, ბუნებრივი სიმდიდრეებისა და ეკონომიკის, სამამულო ომის ამსახველი, ძველი პერიოდიკის: ‘’სახალხო საქმე’’, “საქართველო”, “თეატრი და ცხოვრება” და სხვათა ამსახველი მასალები. ბიბლიოთეკას ყოფილ მეფეთა სასახლეში ერთი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი. შემდეგ წლებში მისი ეკლესიაში გადატანა გადაწყდა. ბიბლიოთეკას იმ დროისათვის არავინ არ ხელმძღვანელობდა.

მუზეუმი მუშაობდა ყოველდღე, კვირა დღის გარდა.

მუზეუმის მნახველები უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, ასევე მოქალაქეები იყვნენ. მუზეუმის დამთვალიერებელი დაინტერესებული იყო კახეთის ისტორიული წარსულით, ბუნებრივი სიმდიდრეებით, იმდროინდელი სოც-მშენებლობით, ეკონომიკით, სოფლის მეურნეობით და სხვა. მნახველთა მოთხოვნილებების შესწავლა მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში მათ მიერ ჩაწერილი სურვილებით და პირადი

გამოლაპარაკებებით ხდებოდა. მნახველთა რიცხვი წლის დროთა მიხედვით იცვლებოდა. ზაფხულსა და შემოდგომაზე მუზეუმს მრავალი დამთვალიერებელი ჰყავდა, ხოლო ზამთარსა და გაზაფხულზე მათი რიცხვი საგრძნობლად კლებულობდა. მუზეუმს დამთვალიერებელი ემატებოდა ახალი ექსპოზიციის გამოცხადებისას [მამულაშვილი 1945: 11-12].

მუზეუმი მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა თელავის და მისი რაიონის სკოლებს საქართველოს ისტორიის, ბრინჯაოს, ქვის და რკინის ხანების, აგრეთვე მეურნეობის, კახეთის რევოლუციისა და სხვათა მასალების თვალსაჩინოდ გაცნობაში. ამგვარად, მუზეუმი მოწაფეთა შორის სწავლა-აღმზრდელობით მუშაობას დიდი წარმატებით აწარმოებდა [მამულაშვილი 1939: 14].

სკოლები მუზეუმში მასიურ ექსკურსიებს აწყობდნენ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით, – ისტორიის განსაზღვრული ეტაპის უკეთესად და თვალსაჩინოდ გასაცნობად. მუზეუმი მათ ლექციებს უმართავდა როგორც მუზეუმის შენობაში, ისე მის გარეთაც – ისტორიულ ადგილებზე. მაგალითად, იყალთოს აკადემიაში, გრემის ნაქალაქარში, გრემის არხის სათავესთან, ალავერდში, შუამთაში და სხვა ისტორიულ ადგილებში. ასევე უმართავდა ლექციებს ჰოსპიტალებში დაჭრილ მეომრებს ქართველი ხალხის საამაყო შვილებზე: ერეკლე მეორეზე, გიორგი სააკაძეზე, თამარ მეფეზე, დავით აღმაშენებელზე და აცნობდა მასალებს იმ დროის საომარ იარაღებზე. უზეუმი სოფლად კოლმეურნეობებში ლექციებს მართავდა ისტორიული ძეგლების მნიშვნელობაზე და მათ დაცვა-მოვლის აუცილებლობაზე [მამულაშვილი 1945: 12].

მუზეუმის საქმიანობას ხელმძღვანელობდა მუზეუმის სამეცნიერო საბჭო, რომელიც შედგებოდა მუზეუმის დირექტორისაგან (თავჯდომარე), მუზეუმის მეცნიერ მუშაკისაგან (მდივანი) და წევრებისაგან: თელავის პარტ. რაიკომის კულტურის განათლების განყოფილების გამგე და თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე. მუზეუმში რევიზიებს აწარმოებდა როგორც განათლების განყოფილება, ისე განსახკომი [მამულაშვილი 1945: 17-18].

მუზეუმს 1948 წლამდე ხელმძღვანელობდა ალ. მამულაშვილი. სწორედ მისი მმართველობის დამთავრებით სრულდება მუზეუმის ისტორიის განვითარების პირველი ეტაპი [ამირანაშვილი 2007: 5].

.

* * *

მუზეუმის განვითარების მეორე ეტაპი - 1950-80-იანი წლები - ნაყოფიერი იყო მუზეუმის ისტორიისათვის. ამ პერიოდში თანდათან იზრდებოდა მუზეუმის ბიუჯეტი და, შესაბამისად, იზრდებოდა თანამშრომელთა რიცხვიც, რაც იმის საშუალებას იძლეოდა, რომ სათანადო ყურადღება მიქცეოდა როგორც საექსპოზიციო, ისე სამეცნიერო და საფონდო საქმიანობას.

1950-იან წლებამდე მუზეუმში მხოლოდ კახეთის ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია იყო, რომელიც მოიცავდა პერიოდს ქვის ხანიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის ჩათვლით.

1951 წელს მუზეუმში საბჭოთა პერიოდის განყოფილება გაიხსნა. გამოფენას ერთი დარბაზი და ორი ოთახი ჰქონდა დათმობილი. მდიდარი მასალისაგან წარმოდგენილი ექსპოზიცია დიდი ოქტომბრის რევოლუციისათვის მზადებით იწყებოდა. შემდეგ ფოტოსურათების, ნახატების, დიაგრამების, ნახაზების, სქემების, ნატურის, ბუტაფორიის, ტექსტუალური თუ დოკუმენტური მასალის სახით თანმიმდევრულად იყო წარმოდგენილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, აღდგენითი პერიოდი, საკოლმეურნეო მშენებლობა, დიდი სამამულო ომი, ომის შემდგომი ცხოვრება და ა.შ. [თელია 1962: 91].

1957 წელს მუზეუმში ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალი ექსპოზიცია მოეწყო.

მუზეუმში თანდათან იზრდებოდა ექსპოზიციები, რომელშიც თანამედროვე სიახლეებიც იყო გათვალისწინებული. იცვლებოდა ექსპოზიციების როგორც გარეგნული მხარე, ისე მისი სტრუქტურა. მაგალითად: 1966 წელს, არსებული ექსპოზიციის ძველებური, მძიმე ვიტრინები შეიცვალა თენამედროვე, მსუბუქი ორმინიანი ვიტრინებით. კედლებზე და ვიტრინებში გაკრული იყო უხეში ტილო, ხოლო ბრტყელი, მძიმე, გალაქული სურათის ჩარჩოები შეიცვალა თხელი, მსუბუქი ჩარჩოებით. საექსპოზიციო დარბაზად გამოყენებული იყო ყოფილი კარის ეკლესია, საიდანაც იწყებოდა და შემდეგ სასახლის დარბაზებში გრძელდებოდა ექსპოზიციები. ექსპოზიცია მოიცავდა პერიოდს უძველესი პერიოდიდან მოყოლებული XX საუკუნის 70-იან წლებამდე.

მუზეუმში აღნიშნული ექსპოზიციები 1983 წლამდე იყო წარმოდგენილი.

1973 წლის 1 სექტემბრისათვის თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი გადავიდა ახალაშენებულ კორპუსში და ყოფილი მეფეთა სასახლე და ყოფილი წმ. ნინოს სასწავლებელი მუზეუმს გადაეცა.

1979 წლიდან სამეცნიერო-სარესტავრაციო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით ერეკლე მეორის სასახლის აღდგენის პროექტი დამტკიცდა და დაიწყო აღდგენითი სამუშაოები, რომელიც 1983 წლამდე გაგრძელდა (არქიტექტორი ზ. მეღვინეთუხუცესი).

1983 წლის 2 ოქტომბერს, 1979-83 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ, "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე გაიხსნა ერეკლესეული სასახლის მემორიალი, ხოლო ყოფილი "წმ. ნინოს სასწავლებლის" სამსართულიან შენობაში მოეწყო ეთნოგრაფიული მუზეუმის ახალი ექსპოზიცია.

ისტორიული პერიოდის ექსპოზიციებში განახლდა ექსპოზიციები. ფონდებიდან გამოიფინა ბაგრატიონთა ნაქონი უნიკალური ნივთები, ვახტანგ VI-ის და ერეკლე მეორის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები, ვერცხლეული და სხვა.

მოწყობილი გამოფენები "გეორგიევსკის ტრაქტატის" 200 წლისთავს მიეძღვნა, რომელიც დიდი ზეიმით 1983 წლის 20 ოქტომბერს აღინიშნა [ამირანაშვილი 2007: 5].

სასახლეში დაცული ნივთებიდან, ზოგი მეფე ერეკლეს დროინდელი იყო და მის პირად საკუთრებას წარმოადგენდა, ზოგიერთი კი – მოგვიანებით შეიქმნა დაკარგული და განადგურებული ნიმუშების მიხედვით. ეს უფრო ეხება ავეჯს. მაგალითად, ავეჯი ძველი ნიმუშების მიხედვით არის აღდგენილი ოთახებში, სადაც დაიბადა ერეკლე მეორე, ასევე მეფის სამუშაო და მოსასვენებელ ოთახებში. ამავე ოთახებში ძველ ნიმუშთა მიხედვით არის აღდგენილი ფარდაგები.

სასახლეში ყველაზე დიდი სათავსო მეფის მისაღები დარბაზი იყო. შესვლისთანავე ყურადღებას იქცევდა მის შუა გულში ძვირფასი ლითონით მოჭედილი მეფე ერეკლეს ტახტი. დარბაზის კედლებზე ერთმანეთს ენაცვლებოდა საბრძოლო იარაღი, ფერწერული ნამუშევრები და საქართველოს სამეფო და საგვარეულო დროშები, კერძოდ: კახეთის, ქართლის, ბაგრატიონთა და წმ. გიორგის. ფერწერულ ნამუშევრებს შორის იყო როგორც ორიგინალები, ასევე ასლებიც. ასლია "მეფე ერეკლეს" და "დარეჯან დედოფლის" პორტრეტები, რომელთა ორიგინალებიც თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. რაც შეეხება იარაღს

(ძირითადად ხმლებს), უშუალოდ მეფე ერეკლესეულია. ერეკლესეული ხმალი ეთნოგრაფიულ მუზეუმშიც ინახება.

ძალზედ საინტერესო იყო აგრეთვე ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ექსპოზიცია, რომელსაც პერიოდულად ახალი ექსპონატები ემატებოდა. აქ თავმოყრილი ნივთები მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული, ასევე მხატვრული ღირსებებით. მიუხედავად იმისა, რომ აქ თავმოყრილი იყო უმთავრესად კახეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და შუა საუკუნეთა ხელოვნების ნიმუშები, დამთვალიერებელს წარმოდგენა ექმნებოდა არა მხოლოდ ამ მხარის ისტორიაზე, არამედ სრულიად საქართველოს კულტურის განვითარებაზე.

ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული იყო არქეოლოგიური, რეწვის, ლითონისა და ქსოვილის ნიმუშები. წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგიურ ნიმუშებს შორის ყურადღებას იპყრობდა ანტროფომორფული და ზოომორფული სტატუეტები, თიხის ჭურჭელი (ქოთნები), სამკაული. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა სოფელ კისისხევში (თელავის რაიონი) აღმოჩენილი წარმართული ეპოქის თიხის სარკოფაგი, რომელიც, სამეცნიერო კვლევის საფუძველზე, ერთ-ერთი უნიკალურია უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური მასალის მონაპოვრებს შორის. წარმოდგენილი იყო შუა საუკუნეების ორიგინალი ნიმუშები - სხვადასხვა ფრესკების პირები; მრავლად იყო წარმოდგენილი ფოტომასალა, რაც მუზეუმის ბაზაზე არსებულ ფოტოფიქსაციის ლაბორატორიაში იყო დამზადებული. ფოტოებზე წარმოდგენილი იყო კახეთის არქიტექტურული ძეგლები – ადრეული ხანის საეტაპო მნიშვნელობის ტაძრები [გიორგობიანი 2008: 95-96].

აღსანიშნავია, რომ საექსპოზიციო განყოფილებების გარდა, 1960-80-იან წლებში გაიხსნა მუზეუმთან არსებული განყოფილებები, ე.წ. ფილიალები. ესენი იყო სამხატვრო სურათების გალერეა და "საბრძოლო დიდების" მუზეუმი.

თელაველმა ქველმოქმედმა ქალმა - ქეთევან იაშვილმა თელავის მუზეუმს ქართველ და უცხოელ მხატვართა ფერწერული ტილოების საკუთარი კოლექცია ეტაპობრივად გადასცა. პირველად, 1963 წელს, 45 ნამუშევარი, მეორედ – 1968 წელს, მესამედ კი – 1970-იან წლებში. სულ 200-მდე ნამუშევარი ფერწერას, გრაფიკას, პირად ნივთებს და საჩუქრებს მოიცავდა. თავდაპირველად, ექსპოზიცია 1963 წლის 11 მაისს თელავში, მონადირეთა კავშირის შენობაში (ნადიკვრის ქ. 8) გაიხსნა. წლების

განმავლობაში კოლექციის გაზრდის შედეგად "მონადირეთა კავშირის" შენობა საკმარისი აღარ იყო ექსპონატების გამოსაფენად, ამიტომ, ისინი ჩამოიხსნა და მუზეუმის ფონდში იქნა შენახული. პედაგოგიური ინსტიტუტის გადასვლის შემდეგ, მე-2 სართულზე გალერეას დროებით დაეთმო რამდენიმე ოთახი. 1976 წლის შემდეგ, რაც "ბატონის ციხის" ტერიტორიაზე არსებული მეორე საშუალო სკოლის შენობა მუზეუმს გადაეცა, გალერეამ აქ დაიდო ბინა, რომელიც 1977 წლის 23 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა [ამირანაშვილი 2007: 5].

გალერეის კოლექციაში დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა ენახა როგორც მკაცრი აკადემიური სტილის, ასევე რომანტიკულ-რეალისტური ან უფრო იმპრესიონისტული ხასიათის ნამუშევრები. აქ წარმოდგენილი იყო როგორც რუსული, უმთავრესად "პერედვიჟნიკული" სკოლის (ჩუდოვსკი, ვოროშილოვი, ვასილიევი, კისილიოვი, ი. კრამსკოი, პ. ვერეშჩაგინი, აივაზოვსკი, ბაჟენოვი (ილია ჭავჭავაძის პორტრეტი), ასევე უცხოელი მხატვრები: ფრანგები, გერმანელები (პაულ ფრანკერი, კარპილოტი), ჰოლანდიელები (ლ. ლონგო, დიუკამინი, ა. კიპი), ნორვეგიელები, უნგრელები (მიხაი ზიჩის ფერწერული ტილო "რუსთაველი თამარ მეფეს უძღვნის ვეფხისტყაოსანს") და, რაღა თქმა უნდა, ქართველი მხატვრები.

კოლექციაში წარმოდგენილი სხვადასხვა სკოლის ნამუშევრები განსხვავდება ეთნო-კულტურული და ფსიქოლოგიური ნიშნით, თითოეულს გარკვეული მხატვრული ორიენტაცია აქვს, რითაც იქმნებოდა სკოლის სახე.

ქართული მხატვრობა ექსპონირებული იყო როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე მიმართულების მხატვრული ნაწარმოებებით – აქ წარმოდგენილი არიან როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები, ასევე შედარებით ახალგაზრდები. უფროსი თაობის წარმომადგენლებიდან არიან ის მხატვრები, რომლებიც XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე რეალიზმის დამამკვიდრებლად გვევლინებიან საქართველოში: გიგო გაბაშვილი, დავით გველესიანი და შედარებით უმცროსი მოსე თოიძე. საქართველოში მოდერნისტული ძიებების ნოვატორი მომდევნო თაობა ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, კორნელი სანაძის, ტარიელ ბარდაძისა და სხვათა ნამუშევრებით არის წარმოდგენილი. შედარებით ახალგაზრდა თაობიდან წარმოდგენილია რუსუდან ჯავრიშვილი, ლევ ბოიახჩევი და სხვები [გიორგობიანი 2008: 98-100].

წლების მანძილზე, გალერეის ექსპოზიცია ახალი მხატვრული ტილოებით მდიდრდებოდა, რომლებიც მუზეუმს ასევე უსასყიდლოდ გადასცეს თბილისელმა და თელაველმა მხატვრებმა.

ექსპოზიციისათვის საჭირო გახდა დამატებითი დარბაზები. ამ მიზნით, 1988-89 წლებში, გალერეას გვერდით მიაშენეს ორსართულიანი შენობა, აღმოსავლეთის მხრიდან მოეხსნა აივანი და ეს ფართობიც დარბაზებად იქნა გამოყენებული.

ექსპონატები გალერეის 9 დარბაზში გამოიფინა. გალერეას დროებითი გამოფენებისათვის ჰქონდა ასევე დიდი დარბაზი, სადაც სისტემატურად ეწყობა ქართველ და უცხოელ მხატვართა დროებითი გამოფენები.

თელავის საპატიო მოქალაქე – ქეთევან იაშვილი 1980 წლის ივლისში, თბილისში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია თელავში, მუზეუმის ეზოში, ქართველ მწერალთა პანთეონში.

ქეთევან იაშვილის გარდაცვალების შემდეგ, გალერეას მიენიჭა მისი სახელი და იგი ქეთევან იაშვილის სახელობის თელავის სამხატვრო გალერეად იწოდება.

1950-80-იან წლებში მოსახლეობაში განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობდა დიდი სამამულო ომის თემა, რაც მუზეუმის ექსპოზიციაში კარგად იყო გაშუქებული. თუმცა, გაზრდილი ინტერესისა და მეტი თვალსაჩინოებისათვის, ექსპოზიციაში დაგროვილი უამრავი მასალის საფუძველზე, სამამულო ომის დამთავრების 30 წლისთავთან დაკავშირებით, თელავში საბრძოლო დიდების მუზეუმის გახსნა გადაწყდა.

1975 წლის 9 მაისს მუზეუმი თელავში, ლენინის მოედანზე (დღევანდელი ერეკლე მეორის მოედანი), ძველი ქართული სტილით ნაგებ და რესტავრირებულ საცხოვრებელ სახლში გაიხსნა. ექსპოზიციას სულ 60კვ.მ. ფართობი ეკავა, სადაც წარმოდგენილი იყვნენ ის მეომრები, რომლებმაც ომის ქარცეცხლი გამოიარეს.

მუზეუმმა 1986 წლამდე იარსება. იმის გამო, რომ შენობა შეკეთებას საჭიროებდა, ექსპოზიცია ჩამოიხსნა და მას შემდეგ აღარ განახლებულა.

მუზეუმის ისტორიის განვითარების მეორე ეტაპზე მუზეუმის სათავეში იდგა დირექტორი. აღნიშნულ თანამდებობაზე ერთმანეთის თანმიმდევრულად ენაცვლებოდნენ დავით კირვალიძე (1948-1953), გრიგოლ ყარაულაშვილი (1953-1964),

იუსტინე ქოჩლაძე (1965-1965), ჯიმი რჩეულიშვილი (1965-1967), ჯონი ჯიჯეიშვილი (1967-1970), ოქრო ჭიჭაშვილი (1970-1985).

აღნიშნულ პერიოდში მუზეუმის უმთავრესი საქმიანობა - ექსპოზიციების მოწყობა, სამეცნიერო და სხვა საქმიანობა ფონდებზე იყო დამოკიდებული და შესაბამისად, მუზეუმის საფუძველს ფონდი წარმოადგენდა. ფონდებში თავმოყრილი იყო უამრავი როგორც უნიკალური, ისტორიული ღირებულების, ასევე საოჯახო, საყოფაცხოვრებო, დოკუმენტური, ნუმიზმატიკური, არქეოლოგიური და სხვა უამრავი მასალა. ფონდებზე დაყრდნობით ხდებოდა როგორც ექსპოზიციისათვის, ასევე მეცნიერ-თანამშრომელთა თემებისათვის საჭირო მასალების შერჩევა-მოძიება. ამდენად, მუზეუმის ფონდებში თავმოყრილი მასალა მუდმივ კვლევასა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვდა.

მუზეუმში ფონდი მისი დაარსებისთანავე არსებობდა, მაგრამ 1957 წლამდე მას არ ჰყავდა ცალკე გამოყოფილი თანამშრომელი, რომელიც ფონდს დარგების მიხედვით დააკომპლექტებდა, აწარმოებდა ექსპონატების პასპორტიზაციას, შეადგენდა თითოეულ ნივთზე კარტოთეკას და ა.შ. მხოლოდ 1957 წლიდან ჩაიბარა ფონდი მეცნიერ-თანამშრომელმა თემო ხუციშვილმა, რომელიც 1958 წლიდან მეცნიერ-თანამშრომელმა თამარ მახათელაშვილმა შეცვალა. შეიქმნა საფონდო განყოფილება, რომელსაც დაემატა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე და ასე თანდათან გაიზარდა თანამშრომელთა რიცხვი.

1960-იანი წლებისათვის ფონდსაცავს არ ჰქონდა მუდმივი ადგილი. იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას იყო მოთავსებული.

მას შემდეგ, რაც კარის ეკლესია საექსპოზიციო დარბაზად გადაკეთდა, მისი მეორე სართული გამოყენებულ იქნა ფონდსაცავად. ექსპონატები ასევე ინახებოდა ადმინისტრაციული შენობის, გალერეის და კარის პატარა ეკლესიაში.

აღნიშნულ პერიოდში ფონდი ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა. ექსპონატები არ იყო დაყოფილი დარგობრივად, ნაკლებად ხდებოდა მათი დამუშავება და დახარისხება.

ფონდების თანამშრომელთა ძირითადი საქმიანობა შემოიფარგლებოდა საინვენტარო წიგნების შევსება-გატარებით და მათი დაცვა-აღრიცხვით.

1985 წლის 18 მაისს ფონდებში გაჩნდა ხანძარი, რის გამოც დაჩქარდა ფონდების გატანა. ხანძარმა ბევრი ექსპონატი დააზიანა, ზოგი მათგანი კი განადგურდა. ხანძრის შემდგომ ფონდსაცავად გამოყენებულ იქნა ყოფილი წმ. ნინოს სასწავლებლის ქვედა სართული. შემდგომ პერიოდში საცავად გამოყენებულ იქნა გალერეის შენობის პირველი სართულის უკანა მხარე, ფერწერული ტილოებისათვის კი მეორე სართულზე ერთი ოთახი გამოიყო.

მუზეუმის ფონდი ამ წლების მანძილზე ივსებოდა და მდიდრდებოდა ახალი ექსპონატებით. ფონდების შევსება ხდებოდა შესყიდვით, შემოწირულობით ან შეგროვებითი მუშაობის შედეგად მოპოვებული ნივთებით. ამ დროისათვის ფონდში დაცული იყო 20 325 ექსპონატი.

1985 წლის შემდეგ ფონდის მუშაობაში ძირეული ცვლილებები მოხდა.

მუზეუმი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებაა და, ამდენად, მეცნიერ-თანამშრომელთა მუშაობა მიმდინარეობდა როგორც საექსპოზიციო, ისე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგშიც.

სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ძირითადი და განმსაზღვრელი იყო მეცნიერ-მუშაკთა მიერ წლიური თემების დამუშავება. თემების შერჩევა საფონდო და საექსპოზიციო მასალებზე დაყრდნობით ხდებოდა. პერიოდულად ექსპოზიციების მოწყობისას მეცნიერ-თანამშრომელთა ნაწილი თემატურ-საექსპოზიციო თემის შედგენით იყო დაკავებული.

მუზეუმში სამეცნიერო საქმიანობას დიდ დახმარებას სამუზეუმო საბჭო უწევდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სწავლული მდივანი. 1950-80-იან წლებში სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებლები იყვნენ: ნინო ყაზახაშვილი (1938-1953წწ.), ნინო კუხიანიძე (1954-1963წწ), ცარო ამირანაშვილი (1972-1978წწ.), მადლენა გოგიაშვილი (1978-1985წწ.). სამუზეუმო საბჭო წელიწადში 4-6 და ზოგიერთ შემთხვევაში 8-ჯერაც კი ატარებდა სხდომებს, სადაც განიხილებოდა მუზეუმისათვის საჭირო აქტუალური საკითხები - თემატურ-საექსპოზიციო გეგმები, ექსპოზიციების მოწყობა, თემების კითხვა-განხილვა, სესიების მოწყობა და ა.შ.

ცნობილია, რომ მუზეუმი არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ პროპაგანდისტული დაწესებულებაცაა. ამ მიზნით 1950-80-იან წლებში მუზეუმი ატარებდა სესიებს, აწყობდა შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან, ლექცია-საუბრებს

წარმოება-დაწესებულებებში, გაჰქონდა დროებითი გამოფენები სოფლებში, აქვეყნებდა სამუზეუმო მასალებს ადგილობრივ პრესაში.

მუზეუმი სისტემატურად თანამშრომლობდა ადგილობრივ პრესასთან, როგორიც იყო "კოლმეურნის ხმა" და "ალაზნის განთიადი". პრესაში იბეჭდებოდა საინფორმაციო ხასიათის წერილები როგორც სამუზეუმო ცხოვრებიდან, ასევე ისტორიულ თუ ეთნოგრაფიულ თემებზე მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოძიებული მასალებიდან.

დამთვალიერებელთან უკეთ მომსახურების მიზნით, განყოფილების გამგეები ექსკურსიამძღოლებისთვის ადგენდნენ სასაუბრო ტექსტებს. თავდაპირველად მუზეუმში ექსკურსიამძღოლის მოვალეობას მეცნიერ-თანამშრომლები ასრულებდნენ. 1972 წლიდან მუზეუმს ექსკურსიამძღოლის თანამდებობა დაემატა.

მუზეუმის საქმიანობაში უდიდესი როლი ჰქონდა ბიბლიოთეკას. 1957 წლიდან ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა მეცნიერ-მუშაკი დალი ქურხული, ხოლო 1958 წლიდან – მეცნიერ-მუშაკი ნინო კუხიანიძე.

1970 წლიდან ბიბლიოთეკას დაენიშნა ნახევარშტატიანი თანამშრომელი სონია ლუარსაბიშვილი, რომელიც 1977-78 წლებში თენგიზ ალდამიძემ შეცვალა. 1985 წლიდან ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ცარო ხიზანიშვილი.

სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნადი ფონდის შერჩევა, დამუშავება, აღრიცხვა და კარტოთეკის შედგენა თ. ალდამიძის დროს მოხდა. ბიბლიოთეკა გაიწმინდა და გაკეთდა კარტოთეკები. აქ პერიოდულად ხდებოდა გაზეთების აკინძვა და წიგნებად შეკვრა. ბიბლიოთეკა მდიდრდებოდა ყოველწლიურად არა მარტო ლიტერატურით, არამედ პერიოდული გამოცემებითაც.

1980-იანი წლებისათვის მუზეუმის წიგნადი ფონდი საკმაოდ მდიდარი იყო. მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ემსახურებოდა როგორც მუზეუმის თანამშრომლებს, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს [ამირანაშვილი 2007: 5-6].

* * *

მუზეუმის განვითარების მესამე, მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე – 1985 წლიდან დღემდე - მუზეუმის საქმიანობაში მრავალი ცვლილება და სიახლე მოხდა. ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერითა და ხელშეწყობით მუზეუმისათვის ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. გაძლიერდა შეგროვებითი საქმიანობა

– მდიდრდება მუზეუმის კოლექციები, ხდება ძველი ექსპოზიციების რეექსპოზიცია და ინერგება სიახლეები სრულიად მუზეუმის მმართველობით საქმიანობაში.

1985 წლის დეკემბერში მუზეუმს დიდი ქართველი მეცნიერის და ხელოვნებათმცოდნის, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის სახელი მიენიჭა. 2000 წლის 7 ნოემბერს, მუზეუმის ტერიტორიაზე, სამხრეთის გალავნის მახლობლად აღიმართა მისი ძეგლი.

2008 წლიდან მუზეუმს ეწოდა თელავის ისტორიული მუზეუმი და იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა, რამაც ხელი შეუწყო მისი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას და შესაბამისად, სახელმწიფო თუ სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის დარეგულირებას.

2005 წლისათვის მუზეუმში ფუნქციონირებდა 5 განყოფილება – სასახლე მემორიალის, ისტორიის ძველი პერიოდის, ეთნოგრაფიის, სამხატვრო გალერეის და საფონდო განყოფილებები.

განვითარების მესამე ეტაპზე, მუზეუმმა რამდენიმე დირექტორი გამოიცვალა. ბოლო 25 წლის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ თენგიზ ალდამიძე (1985-1990), გია ბატიაშვილი (1991-2000), თენგიზ ალდამიძე (2000-2005), გურამ ურჩუხიშვილი (2005 წლის იანვრიდან 2006 წლის 12 დეკემბრამდე)[7], გია ბატიაშვილი (2007 წლის მარტიდან - 2007 წლის აგვისტომდე), თენგიზ ალდამიძე (2007წლის 14 აგვისტოდან - 2008 წლის აგვისტომე), გია ბატიაშვილი (2008 წლის ოქტომბრიდან - 2009 წლის ოქტომბრამდე), გურამ ურჩუხიშვილი (2009 წლის ოქტომბრიდან - დღემდე).

თითოეული ხელმძღვანელის მმართველობის პერიოდში, მუზეუმის მიერ განხორციელებული საქმიანობის მკაფიოდ განსაზღვრული კომპონენტების შესრულების დონით, მუზეუმმა თავისი ფუნქციონირების ეფექტურობა განსაზღვრა.

თენგიზ ალდამიძის მმართველობის პერიოდში (1985-1990) შეკეთდა ყოფილი წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის შენობის სახურავი. თითოეული განყოფილებისათვის დამოუკიდებელი სამუშაო ოთახი იქნა გამოყოფილი, მოეწყო ფოტოლაბორატორია და სამკითხველო დარბაზი. მუზეუმის შენობები, სასახლის გარდა, გათბობის

[7] 2006 წლის დეკემბრიდან 2007 წლის მარტამდე მუზეუმს დირექტორი არ ჰყავდა.

ცენტრალიზებულ ქსელში ჩაერთო. კეთილმოეწყო მუზეუმის ეზო. მუზეუმის შემოსასვლელში დაიდგა სამუზეუმო კომპლექსის საინფორმაციო სტენდი. მუზეუმის ფონდს ცალკე მცველი დაენიშნა, ხოლო საცავი ეთნოგრაფიულ და მხატვრულ ექსპონატებს გამოეყო. მუზეუმში გაძლიერდა შეგროვებითი საქმინობაც – 1986 წელს მუზეუმის ფონდი 2393 ექსპონატით გამდიდრდა, ხოლო 1987 წელს თითოეულმა მეცნიერმა 150 ნივთის შეგროვებაზე აიღო ვალდებულება.

მუზეუმში რევოლუციამდელი პერიოდის და საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი მუდმივი ექსპოზიციის რეექსპოზიცია განხორციელდა. ამისათვის დერეფნები საგამოფენო დარბაზებად გადაკეთდა. 1990-იანი წლებისათვის აღნიშნული ექსპოზიციები მთლიანად მოიხსნა და მას შემდეგ აღარც განახლებულა. შედეგად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მესამე სართულის საგამოფენო სივრცეები მას შემდეგ დაკეტილია.

ექსპოზიციის მოწყობის შემდეგ აღმოსავლეთის კარიბჭე გაიხსნა.

ამ პერიოდში მიმდინარეობდა ფოტო-ფონდის გამოყოფა და ასევე ფონდების ინვენტარიზაცია.

1987 წელს ყოფილი "წმ. ნინოს სასწავლებლის" შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის პირველ სართულზე 100 ადგილიანი სააქტო დარბაზი გაიხსნა, სადაც სამუზეუმო სესიები, კონფერენციები და სხვა ღონისძიებები ტარდებოდა.

1990-2000 წლებში, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველო დიდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ კრიზისს განიცდიდა. აღნიშნულ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუზეუმის დირექტორი გ. ბატიაშვილი იყო, რომლის წინაშეც იდგა მხოლოდ ერთი საკითხი – მუზეუმი და მისი ექსპონატები გადაერჩინათ გაძარცვისაგან. მუზეუმის თანამშრომელთა მონდომებით აღნიშნული მისია შესრულდა.

1990 წლის 6 ივლისიდან 17 აგვისტომდე "ბატონის ციხის" დასავლეთის ტერიტორიაზე მოქანდაკეთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეები მუშაობდნენ. მათ მიერ შექმნილი ყველა ნამუშევარი მუზეუმში დარჩა, რომლებიც ამავე ტერიტორიაზე დღესაც დგას ღია ცის ქვეშ [ამირანაშვილი 2007: 6].

განვითარების მესამე ეტაპზე, მუზეუმმა ორგანიზებულად დაგეგმა სამუზეუმო საქმე და მას პრაქტიკაში სარგებლიანად იყენებს. მუზეუმში არსებული მართვის

მოდელი ფაქტიურად წარმოადგენს ერთგვარ სინთეზს, სადაც სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ეკონომიკური და მმართველობის სხვადასხვა ელემენტებია ურთიერთშერწყმული, რაც მიღწეულია სხვადასხვა ტიპის განათლებისა და შესაძლებლობების ადამიანების დაბალანსებული ქმედებით. თანამშრომელთა უმეტესობა მუზეუმში ათეულ წელზე მეტია მუშაობს, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი ხელმძღვანელის ყველანაირი ინიციატივისა თუ სასარგებლო ჩანაფიქრის განხორციელება. ის მეთოდები, რომლებიც მუზეუმის ადმინისტრაციას შესაძლებლობას აძლევს თავიდან აიცილოს განყოფილებებს შორის ხისტი საზღვრების წარმოქმნა და ხელი შეუწყოს სხვადასხვა სამსახურების თანამშრომელთა ერთობლივ მუშაობას, მუზეუმების პერსონალის ორგანიზაციის მოდელში გამოიხატება.

მუზეუმის სათავეში მდგომ დირექტორს, რომელსაც მმართველობითი და სამუზეუმო საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელებაზე აკისრია პასუხისმგებლობა, მუზეუმის ფინანსების მოძიება-მართვაზე, თანამშრომლების საქმიანობის მართვა-დაკომპლექტებაზე, კოლექციების სასარგებლო გამოყენებაზე.

დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია მუზეუმის სამეცნიერო განყოფილება, ფონდების განყოფილება, სამეურნეო განყოფილება, ფინანსური განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების (დოპ) განყოფილება.

ფაქტიურად, ეს არის ისეთი საორგანიზაციო მოდელი, რომელიც მუზეუმის ფუნქციონირების პირობების შესაბამისია და ამავე დროს, სრულიადაც არ გამორიცხავს ქვედანაყოფების სხვადასხვა კომბინაციით მუშაობას, რამეთუ იგი უპირველესად ითვალისწინებს სამუზეუმო საქმის ეფექტურ წარმოებას.

მუზეუმში არსებულ სამეცნიერო განყოფილებაში სამეცნიერო საბჭო არსებობს, რომლის ხელმძღვანელია სწავლული მდივანი. სამეცნიერო განყოფილებაში დიდი ყურადღება სამეცნიერო კვლევით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობას ექცევა. მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთა კვლევები ძირითადად ფონდებზე დაყრდნობით იწერება, რომლებიც მუზეუმის გამომცემლობაში იბეჭდება. გაზეთი თავდაპირველად 2003 წელს „მუზეუმის მოამბე“-ს სახელწოდებით გამოიცა, რომელიც განახლებული ფორმატით, 2010 წლიდან გაზეთმა „მოამბე“ ჩაანაცვლა. მუზეუმის

გამომცემლობა ქალაქის ისტორიის ამსახველი მასალების, მუზეუმის ისტორიის, კოლექციების და მუზეუმში ჩატარებული სხვა კვლევების შესახებ პუბლიკაციებს ემსახურება.

მუზეუმს ხელშეკრულება აქვს ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც მეცნიერული კვლევების ურთიერთგაცვლას გულისხმობს. მუზეუმი მკვლევარებს მუზეუმის მასალებზე მუშაობასა და შესწავლაში უწყობს ხელს.

მუზეუმში არსებული ფონდები დარგობრივადაა დანაწილებული. თითოეულ ფონდს ფონდის მცველი ხელმძღვანელობს, რომლის ვალდებულებაა მუზეუმის კოლექციების შესწავლა და მათი დოკუმენტირება, კოლექციებზე ყოველდღიური ზრუნვა, კოლექციების საფუძველზე გამოფენების მოწყობა, პუბლიკაციების მომზადება კვლევის მასალების მიხედვით.

ფონდების მთავარ მცველთა დაქვემდებარებაშია მუზეუმში არსებული ქსოვილის, ხის[8], ლითონის, ფოტო, კერამიკის, არქეოლოგიის, საეკლესიო, ახალი და უახლესი პერიოდის ხელოვნების, გრაფიკის, ნუმიზმატიკის, ძვირფასი ლითონების, წიგნადი ფონდები და პირად ხელნაწერთა არქივი.

2002 წელს მუზეუმში ფონდების რეორგანიზაცია განხორციელდა. ფონდებში ექსპონატები თემატურადაა დაყოფილი. თითოეულ მათგანს საცნობარო ბარათი და პასპორტი აქვს. ყველა ფონდს საკუთარი საინვენტარო-დარგობრივი წიგნი აქვს.

ამჟამად, ფონდებში დაწყებულია ექსპონატთა ელექტრონული პასპორტიზაციის პროცესი, რაც ნივთების ინვენტარიზაციის ელექტრონული ბაზის მომზადებას გულისხმობს.

მუზეუმი აქტიურად ახორციელებს ექსპონატების მოძიებას, რაც ძირითადად შესყიდვის ფორმით ხდება. მუზეუმში ფონდის მცველთა საბჭო არსებობს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მუზეუმისათვის ახალი ექსპონატის შეძენის შესახებ. ფონდის მცველთა საბჭოს შეკრებებს მუზეუმის დირექტორიც ესწრება. საბჭო ექსპონატის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მნიშვნელობას განსაზღვრავს, რომელზე დაყრდნობითაც ნივთის მატერიალურ ღირებულებას ადგენს. ექსპონატების შეძენა ძირითადად ხდება ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის, ასევე ფოტო ფონდისათვის, სადაც

[8] 2001 წელს ფონდების ახალ საცავებში დაბინავდა ხის და ქსოვილის კოლექციები.

პრიორიტეტი ენიჭება კახურ, კერძოდ კი – თელავისათვის დამახასიათებელ ტიპაჟებს. მუზეუმისათვის ახალი ექსპონატების შესაძენად ბიუჯეტი მუზეუმის ბიუჯეტიდან განისაზღვრება, რომელიც თავისთავად მუზეუმის შემოსავალზეა დამოკიდებული. 2002 წელს მუზეუმში ერთ-ერთი მასშტაბური კოლექციის შეძენა განხორციელდა – რაიონის გამგეობის მხარდაჭერით შეძენილ იქნა თელაველი მხატვრის, ჩერვინსკის 46 ფერწერული ტილო.

მუზეუმის სამეურნეო განყოფილება მუზეუმის ინფრასტრუქტურის დაცვასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნული განყოფილება პასუხისმგებელია სამუზეუმო აღჭურვილობის განაწილებაზე, განთავსებასა და ფუნქციონირებაზე; ისტორიული შენობების და მუზეუმის ტერიტორიის შენახვასა და დაცვაზე.

2000 წელს განყოფილების ინიციატივით ისტორიული ციხე-გალავნის ირგვლივ შერჩევით მრავალწლიანი ხეები დაიჭრა, რომლებიც გალავანს ძალიან აზიანებდა.

2003 წელს მუზეუმის ეზოში ბილიკები გაკეთდა, რომლებიც მოპირკეთებულია ფილებით [ამირანაშვილი 2007: 6].

2009-2010 წლებში მუზეუმში უახლესი სტანდარტების სიგნალიზაციის სისტემა გაკეთდა, რომელიც მთლიანი სამუზეუმო კომპლექსის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მუზეუმს ამასთანავე ემსახურება დაცვის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია კოლექციებისა და მთლიანად სამუზეუმო კომპლექსის უსაფრთხოებაზე; დამთვალიერებლის, თანამშრომლებისა და შენობაში მყოფ სხვა პირთა უსაფრთხოებაზე.

მუზეუმმა 2010 წელს ბალახის სათიბი მანქანა შეიძინა და ეზოზე ზრუნვა დაიწყო.

მუზეუმის ფინანსური განყოფილება უზრუნველყოფს დაწესებულების ფინანსურ მოთხოვნილებებს და ამასთან, მის შემოქმედებით და სამეცნიერო პოტენციალს ინარჩუნებს. განყოფილებას ხელმძღვანელობს ბუღალტერი, რომელიც ანგარიშების წარმოებასა და კონტროლზეა პასუხისმგებელი. იგი აწარმოებს მუზეუმის ბიუჯეტს, რაც თავისთავად მუზეუმის სამუშაო გეგმას განსაზღვრავს. ასევე აკონტროლებს მუზეუმის ყველა შემოსავლებსა და დანახარჯებს.

მუზეუმს ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტი აქვს, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია 2006 წლის შემდეგ, რაც მუზეუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა

დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. 2008 წელს მუზეუმი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა. 2010 წლისათვის მუზეუმის ბიუჯეტი 263000 ლარს შეადგენდა. აქედან, ყოველწლიურად 49000 ლარი მუზეუმის დაცვაზე იხარჯება. მოქნილმა ბიუჯეტმა მუზეუმის თანამშრომლების შრომითი ანაზღაურების გაზრდაც განაპირობა და მუზეუმის საქმიანობა უფრო მეტად გახსნილი გახდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება 2007-2008 წლებში დაფუძნდა, რომელიც აუდიტორიის გაფართოების და ამასთან, მუზეუმის მუდმივ დამთვალიერებლებთან ურთიერთობის განმტკიცების მიმართულებით მუშაობს. განყოფილების საქმიანობაში პრიორიტეტულია ბაზრის არსებული და პოტენციური სეგმენტების გამოვლენა და მათთან ეფექტური ურთიერთქმედება; აუდიტორიის და მათი მოთხოვნილებების შესწავლა მათი მუზეუმში ხშირად მოყვანის მიზნით; მუზეუმის მომსახურების და მისი პროდუქციის გაუმჯობესება დამთვალიერებელთა მოთხოვნილებათა შესაბამისად. განყოფილება მასმედიის ყველა საშუალებასთან თანამშრომლობს.

დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების (დოპ) განყოფილება 2008 წელს დაფუძნდა. განყოფილებაში მუშაობს განყოფილების ხელმძღვანელი, რომელიც დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია. ასევე სასკოლო-საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი და დროებითი გამოფენების ორი კურატორი. აღნიშნულ განყოფილებაში პრიორიტეტულია გამოფენების, მათი ინტერპრეტაციის, საგანმანათლებლო პროგრამების, დამთვალიერებლის მოზიდვის, საგამომცემლო საქმიანობის წარმოების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა. განყოფილება მუზეუმის საქმიანობაში ახალი იდეების ძირითად წყაროს წარმოადგენს. იგი ისეთი პროგრამების და ღონისძიებების შემუშავება-ჩატარებას უზრუნველყოფს, რომლებიც მაქსიმალურად პასუხობს დამთვალიერებელთა ფართო ინტერესებს. განყოფილების ხელმძღვანელი თანამშრომლობს გამოფენების კურატორებთან მუზეუმის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გავრცელების მიზნით და დოპ-ის განხრით არსებული სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. განყოფილებას საგანმანათლებლო პროგრამები აქვს შემუშავებული, რომელთაც სკოლებთან თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებს. 2008-2009 წლებში, გია ბატიაშვილის ხელმძღვანელობის დროს, მუზეუმში ხელოვნების ისტორიის მიმართულებით საჯარო

ლექციების კურსის ამოქმედება იგეგმებოდა, რომელიც სკოლის მოსწავლეებისათვის იქნებოდა განკუთვნილი, თუმცა აღნიშნული იდეა განუხორციელებელი დარჩა.

დოპ-ის განყოფილებაში მომუშავე დროებითი გამოფენების ორ კურატორს გამოფენების ორგანიზებისა და მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების უზრუნველყოფა ევალება. მუზეუმში ყოველწლიურად რამდენიმე დროებითი გამოფენა იმართება. გამოფენები მზადდება როგორც მუზეუმში არსებულ ფონდებში დაცული ექსპონატების, აგრეთვე მოწვეულ შემოქმედთა ნამუშევრების ბაზაზე. გამოფენები ქ. იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეის დროებით საგამოფენო დარბაზში იმართება. თითოეულ გამოფენას საინფორმაციო ანოტაციები, გამოფენის კონცეფციასთან შესაბამისი ტექსტები ახლავს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სანამ დროებითი გამოფენების ქვეგანყოფილება ჩამოყალიბდებოდა, 2000 წლის 1 აპრილს კახთ მეფეთა სასახლის საელჩო დარბაზში მოეწყო და გაიხსნა საიუბილეო გამოფენა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავს მიეძღვნა. გამოფენის კურატორი და დიზაინერი იყო თ. ალდამიძე, ხოლო ექსპოზიციის არქეოლოგიურ ნაწილზე კ. ფიცხელაურმა იმუშავა.

2000 წლის 7 ნოემბერს თელავის იუბილესა და ერეკლეს დაბადების 280 წლისთავისადმი მოწყობილ ზეიმს მიეძღვნა ერეკლე მეფის სამუშაო ოთახის ინტერიერის მოწყობა, რომლის ექსპოზიციონერიც გახლდათ თ. ალდამიძე. ამავე დღეს გაიხსნა თელავის ისტორიის ამსახველი გამოფენა.

2002 წლის ივნისში ერეკლე მეორის მოსასვენებელი ოთახის ინტერიერი მოეწყო, რომლის ექსპოზიციონერი აგრეთვე თ. ალდამიძე იყო.

ამავე წელს სასახლე-მემორიალში საელჩო დარბაზის ინტერიერი მოეწყო. ერეკლეს ოთახში განათავსეს ერეკლეს ხმალი, რომელიც მას ნადირ-შაჰმა აჩუქა. 2004 წელს საელჩო დარბაზში სამეფო დახტის ასლი (ტახტის ასლი ამავე წელს იქნა დამზადებული) დაიდგა იმ ადგილას, სადაც აქამდე თბილისის სახელმწიფო მუზეუმიდან დროებით ჩამოტანილი სამეფო ტახტის ორიგინალი იდგა [ამირანაშვილი 2007: 6].

2009 წელს დოპ-ის განყოფილებამ მუზეუმში შემდეგი ღონისძიებები მოაწყო: საახალწლო დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება (6 იანვარი), “მშობლიური

ქალაქის ჩუმი სიყვარულით” – ჯიმი რჩეულიშვილის კოლექციის გამოფენა, 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება (8 მარტი), მამა დავითის ნამუშევრების გამოფენა (18 აპრილი, აღდგომის დღე), ქეთევან იაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებული ღონისძიება (23 აპრილი), 9 მაისის ღონისძიება, გასვლითი ლექცია-სემინარი ყვარლის სახლ-მუზეუმში, მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება (18 მაისი), ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბავშვების ნამუშევრების გამოფენა (1 ივნისი), “ჩემი ქალაქის ისტორია XIX–XX საუკუნე” (4 ივნისი), მხატვარ ირმა ჭაბაშვილის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა (20 მაისი), დოპ-ის განყოფილებამ იმუშავა ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეის ბუკლეტზე (ივნისი-ივლისი), “თელაველი სპორტსმენები გუშინ, დღეს, ხვალ” (14 აგვისტო), გამოფენა–აქცია “ვერ შევცვლი ჩემი ქვეყნის გულისცემას” (21 აგვისტო), ნინო ძამუკაშვილის ფოტოგამოფენა, მარინე კოზმანაშვილის კოლექციის გამოფენა-გაყიდვა, თექის ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა – ავტორები: ქ. ჩიტაშვილი, მ. არაბული, დ. ქოთილაიძე; თეკლა ბატონიშვილის ხსოვნის საღამო, სამხატვრო სკოლის პედაგოგების გამოფენა (სექტემბერი), გამოფენა რეგიონალური მასშტაბით - “ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ ასტიგმასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა” (22 ოქტომბერი), თელაველი მხატვრის კარლო ქართველიშვილის პერსონალური გამოფენა-გაყიდვა (7 ნოემბერი), “ჩემი სამშობლო საქართველოა” - ყარაჯლის საშუალო სკოლა (13 ნოემბერი), მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა (8 დეკემბერი), თექის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა (25 დეკემბერი).

დოპ-ის განყოფილების 2010 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი მოიცავს: ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების (ყოფილი ბავშვთა სახლის-ინტერნატის) აღსაზრდელთა ნამუშევრების საშობაო გამოფენა-გაყიდვა (4 იანვარი); საქართველოს დამსახურებული მხატვრის – ელისო მაყაშვილის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მისი დაბადებიდან 110 წლის იუბილეს მიეძღვნა (2 თებერვალი); თელაველი მხატვრის ვლადიმერ ჩერვინსკის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მისი დაბადებიდან 70 წლის იუბილეს მიეძღვნა (11 მარტი); აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა (8 აპრილი); თელაველი მხატვრის ელიზბარ შიუკაშვილის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა (20 აპრილი-5 მაისი); ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა (7-10 მაისი);

მუზეუმის ისტორიის ამსახველი გამოფენა წარმოდგენილი ფოტო-მასალითა და ალბომებით მისი დაარსებიდან დღემდე (18 მაისი); ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა, მათი კურიოზული ფოტოები; ასევე თელავის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც თემაზე "მე მიყვარს ჩემი თელავი" კონკურსის სახით იყო წარმოდგენილი (1-7 ივნისი); ეთერ ჯავახიშვილის ფოტო-ნამუშევრების გამოფენა (8-15 ივნისი); ამერიკის საელჩოს მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტი "დასურათებული ამერიკა", რომელიც მოიცავდა ამერიკული სახვითი ხელოვნების ცნობილი ნიმუშების რეპროდუქციებს (18-22 ივნისი); სალომე ელანიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა (26 ივნისი); ნინო ჯაფარიძის ხელსაქმის ნიმუშების (ნაქარგები, ბისერებით შესრულებული სამკაული) გამოფენა-გაყიდვა (7-17 ივლისი); ნუნუ მარინდაშვილის ნამუშევრების - "ნემსით ფერწერა" პერსონალური გამოფენა-გაყიდვა (22 სექტემბერი); თელაველი მხატვრის გიორგი ბერძენიშვილის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა (8 ოქტომბერი); თელაველი თვითნასწავლი მხატვრის - ზაზა დათიშვილის ნამუშევრების გამოფენა და მისი ორი წიგნის პრეზენტაცია (27 ოქტომბერი); ერეკლეობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზეც გამოფენილი იყო ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, იარაღები და საბრძოლო აღჭურვილობა (7 ნოემბერი).

2010 წლისათვის მუზეუმს 1657 ინდივიდუალური, 765 ექსკურსიიდან 12129 საექსკურსიო დამთვალიერებელი სტუმრობდა.

თელავის ისტორიულ მუზეუმში ექსპონატთა უმრავლესობა მნახველისათვის ფაქტიურად ხელმიუწვდომელია, ვინაიდან უმძიმესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო, მუზეუმს წლების მანძილზე არ ჰქონია შესაძლებლობა გამოეფინა მის ფონდებში დაცული უნიკალური მასალები. სწორედ შენობის არახელსაყრელი მდგომარეობა წარმოადგენს მუზეუმის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას, რომელიც აუცილებლად საჭიროებს განახლებას, მითუმეტეს, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმის მესამე სართულზე განთავსებული საგამოფენო სივრცეები წლების მანძილზე ცარიელია და დაკეტილია. ამასთან, აუცილებელია მუდმივმოქმედი ექსპოზიციების რეექსპოზიცია, რაც განახლებული საგამოფენო რეკვიზიტებსა და საინფორმაციო ტექსტებთან ერთად ექსპოზიციის ახლებური ხედვით მოწყობას გულისხმობს.

ამასთან, სასურველია მუზეუმში არსებული დროებითი საგამოფენო სივრცის განახლებაც, რაც თანამედროვე საგამოფენო სივრცის სტანდარტებთან მიახლოებას გულისხმობს, კერძოდ, საგამოფენო სივრცის თანამედროვე განათების სისტემით, ექსპონატების გამოსაფენად თანამედროვე ჩამოსაკიდი თუ დასადგმელი რეკვიზიტებით, საჩვენებელი მონიტორით უზრუნველყოფა.

მუზეუმების სხვადასხვა საგამოფენო სივრცეებში (კახთ მეფეთა სასახლე, ეთნოგრაფიული მუზეუმი, სამხატვრო გალერეა) ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს თემატური ლექციების, ფილმების პრეზენტაციებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება. სკოლის მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ დარბაზებში გამართონ ხატვის გაკვეთილები, სადაც მათ შეეძლებათ მუზეუმში დაცული ექსპონატების დახატვა, ამა თუ იმ ნივთის შესახებ ისტორიის მოსმენა.

2009-2010 წლებში მუზეუმში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. გარემონტდა დირექტორის ოთახი, კანცელარია და სამეცნიერო განყოფილება. საფონდო განყოფილებაში იგეგმება რკინის სადგამებისა და თაროების გაკეთება. შედეგად, გაკეთდება კაპიტალური ფონდსაცავი, სადაც ექსპონატები მუდმივად რკინის სადგამებზე განთავსდება. ეს შეეხება ფონდში დაცული ექსპონატების 90%-ს.

2010 წლიდან მუზეუმი ჩაერთო ინტერნეტ ქსელში და ოთხი განყოფილებისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერები. სამომავლოდ მუზეუმის ყველა განყოფილების კომპიუტერიზაცია იგეგმება. კომპიუტერი ამჟამად დგას კანცელარიაში, ბუღალტერიაში, საფონდო განყოფილებაში, დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების (დოპ) განყოფილებაში და სამეცნიერო განყოფილებაში.

2010 წლიდან, ოთხშაბათობით, მუზეუმის ტერიტორიაზე არსებულ არჩილის კარის ეკლესიაში პარაკლისი ტარდება.

2011 წლისათვის სამუზეუმო კომპლექსში ფუნქციონრებს ერეკლე მეორის მემორიალური სასახლე, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქ. იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა, ერეკლე მეორის და არჩილის კარის ეკლესიები, რომლებიც არ ფუნქციონირებს და ერთიან კომპლექსში ძეგლების სტატუსით არის წარმოდგენილი, ისევე როგორც გვირაბი და აბანო. მუზეუმში ასევე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მისთვის სასურველი მასალა მოიძიოს.

2011 წლისათვის მუზეუმის საერთო ფართობი 21.607კვ.მ.-ს წარმოადგენს. აქედან გალერეას 695კვ.მ ფართობი (განაშენიანების ფართობი) უჭირავს, კანცელარიას – 353კვ.მ. (განაშენიანების ფართობი), ექსპოზიციის შენობას – 727კვ.მ. (განაშენიანების ფართობი), სასახლეს – 705კვ.მ. (განაშენიანების ფართობი), არჩილის კარის ეკლესიას – 46.5კვ.მ. (განაშენიანების ფართობი), ერეკლე მეორის კარის ეკლესიას – 198.9კვ.მ. (განაშენიანების ფართობი), აბანოს – 22.8კვ.მ. (განაშენიანების ფართობი)[9].

2011 წლისათვის მუზეუმში სულ 67402 ექსპონატია დაცული, მათ შორისაა ფერწერის 787, ნუმიზმატიკის 2546, არქეოლოგიის 5128, ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალების 7284, ფოტომასალის 23761, დოკუმენტების 17004, სამეცნიერო დამხმარე მასალის 9536 და სხვა 1356 ექსპონატი. მუზეუმში დაცული კოლექცია, რომელიც ფუნქციონირებს სამი ძირითადი ექსპოზიციის სახით – სასახლე მემორიალი, ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმი და ქ. იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა – ფაქტიურად, ეს არის ხანგრძლივი დროის მანძილზე შექმნილი მატერიალური მტკიცებულებები, გამორჩეულად კი მხარისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფია. მუზეუმის მდიდრული ექსპონატები არა მარტო კახეთის რეგიონის ისტორიულ წარსულს ასახავს, არამედ წარმოადგენს ქვეყნის ისტორიისა და კულტურის საუკეთესო ნიმუშებს და დამთვალიერებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

მუზეუმი გახდა დამოუკიდებელი აბონენტი, იგი ექვემდებარეა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და უშუალოდ კონტროლდება თელავის ადგილობრივი გამგეობისაგან.

მუზეუმს 2005 წლისათვის 53 თანამშრომელი ჰყავდა, რომელთა რიცხვიც 2011 წლისათვის 61-მდე გაიზარდა. მუზეუმში ასევე არსებობს მოწვეული თანამშრომლების მუშაობის პრაქტიკაც. განყოფილებების მიხედვით თანამშრომლები შემდეგნაირად არიან გადანაწილებული: სამეცნიერო განყოფილება - 3 თანამშრომელი, სასახლე-მემორიალის განყოფილება – 11, სამხატვრო გალერეის განყოფილება – 12, ისტორიულ-

[9] არანაკლებ მნიშვნელოვანია პირველი საშუალო სკოლა, რომელიც, მართალია, ამჟამად სამუზეუმო "სივრცისაგან" გამოყოფილია გალავნით, მაგრამ ამ ტერიტორიაზე არსებობს და ამ ისტორიული ადგილის განუყოფელი ნაწილია. იგი ყურადღებას იქცევს იმით, რომ მეფე ერეკლეს დროინდელი საგანმანათლებლო ცენტრი იყო. აქ, მეფე ერეკლე II-ის და ანტონ პირველი კათალიკოსის თაოსნობით 1758 წლის 26 ოქტომბერს გახსნილა ფილოსოფიური სკოლა, სადაც შემდგომ არაერთ მამულიშვილს მიუღია განათლება ან პედაგოგად მოღვაწეობდა. ყოფილ საგანმანათლებლო ცენტრში სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ: იოანე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, სოლომონ ლიონიძე, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, დავით ესტათეს ძე ფანასკენტელ-ციციშვილი, დავით ალექსი-მესხიშვილი, სანდრო ახმეტელი, ივანე ბერიტაშვილი და მრავალი სხვა.

ეთნოგრაფიული განყოფილება – 8, საფონდო განყოფილება – 14, სამეურნეო განყოფილება – 7 მოსამსახურე პერსონალი, დაცვის სამსახური – 7 (6 რიგითი 1 მეთაური), ფინანსური განყოფილება – 1, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური – 1, დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების (დოპ) განყოფილება – 4.

თავი III

წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი

&1 ალ- ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორია

სოფელი წინანდალი არა მარტო კახეთის კულტურული ცხოვრების უძველესი კერაა, არამედ მთელი ქართული სულიერების ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, რომელმაც საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ის ცივ-გომბორის მთის ამწვანებულ კალთებსა და ალაზნის ზურმუხტოვან ველზეა გაშენებული [ხმალაძე 1975: 4]. ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით, "და არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, გარნა ტყე უმეტეს ხილიანი. მცირე წყლიან-მდინარიანი, ვენახოვანი, ხილიანი, ღვინო კეთილი და კარგი..." [ბოგველიშვილი 1976: 8].

წინანდალი გამორჩეულია თავისი მნიშვნელობით, სულიერი და მატერიალური ღირებულებებით. მან ღრმა და შინაარსიანი კვალი დააჩნია საქართველოში ეროვნული თვითმყოფადობის დამკვიდრებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. შეიძლება ითქვას, რომ წინანდალი საქართველოს ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანძურია [მეგუთნიშვილი 2006: 11].

წინანდალს განსაკუთრებულ მიმზიდველობას მატებს საუცხოო, მომაჯადოებელი ბუნების წალკოტში გადაშლილი ჭავჭავაძეების მამული, რომელიც თავისი შინაარსით კახეთს პოეზიის, სინათლის, სილამაზის, ბრძოლისა და გამარჯვების უშრეტ წყაროდ წარმოგვიდგენს.

სასახლიდან ხედი მომხიბვლელია. მის წინაშე, თვალმიუწვდომელ სივრცეზე, ალაზნის ველია გადაშლილი, რომელსაც სრულიად დამსახურებულად შეიძლება ვუწოდოთ ბუნების საოცრება. იგი მოქსოვილია სოფლებით, ზვრებით, ბაღებით, ტყეებით, მინდვრებითა და კორომებით. მას შორეულსა და იდუმალს ხდის მსუბუქი ნისლოვანების თხელი, ფაქიზი, საუცხოო მოხატულობანი. ველს შუაზე კვეთს

ალაზნის ფართო ზოლი, ხოლო მოშორებით ხასხასა, ხშირი ტყეებით დაფარული ცადაზიდული მთებია [დრანსე 2010: 4-5].

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, წინანდალში მცხოვრები ჭავჭავაძეების გვარის ისტორია ფაროდი ჭავჭავაძის სახელით იწყება. უშანგი სახლთხუციშვილის აზრით, იგი "... 1438 წელს ალექსანდრე მეფის მიერ შიო კათალიკოსისადმი მიცემულ სიგელშია მოხსენიებული... ჭავჭავაძეთა ფეოდალური გვარი მე-15 საუკუნიდან მოყოლებული ყმა- მამულს ფლობდა კახეთის სხვადასხვა კუთხეში, წინამხარსა თუ გაღმამხარეში, ერწო-თიანეთსა და ცხრაკარაში. რამაზ ჭავჭავაძის (1680წ.) შვილები და მათი შთამომავლები (რომელთა შორისაა შვილთაშვილი გარსევან ჭავჭავაძე (1757-1811 წწ.) ერწო-თიანეთში დიდი ყმა-მამულის მფლობელები იყვნენ. გარკვეულ პერიოდში ცხოვრობდნენ კიდეც იქ... აღნიშნული რეგიონებიდან ჭავჭავაძეთა თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილად წინამხარი (წინანდალი და მისი მიმდებარე ადგილები) უნდა მივიჩნიოთ, რადგან მათი წინაპრები ყველაზე ადრე (1438წ) აქ ჩანან" [სახლთუხუცესი 1987: 75].

შემდგომ, მე-17 საუკუნეში, ერეკლე პირველმა სოფლის გაძლიერების მიზნით სოფ. ჭავჭავიდან (მთიულეთიდან) ჭავჭავაძეთა წინაპრები ჩამოასახლა. "ჭავჭავაძეთა არა აქვნდათ მათთან მამულნი და ამით მსახურეს ერეკლესა მეფისა თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ერეკლე პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა შემდგომად მსახურებისათვის დაასახლნა ადგილსა წინანდელსა და მიიღო აზნაურად. შემდგომან მეფემან თეიმურაზ აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყრმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორე ირაკლიმ დაუმტკიცა ჭავჭავაძეობა და არიან მუნითგან წოდებულნი" [ღვინერია 2011: 1].

წინანდლის ჭავჭავაძეთა მამულების ისტორია სათავეს ცნობილი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის მამის – გარსევან ჭავჭავაძისაგან (1757-1811) იღებს, რომელიც გავლენიანი და წარმატებული პოლიტიკოსი იყო. რუსეთში საქართველოს დესპანისა და რუსეთის იმპერატორის კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სტატუსით, 1784-1801 წლებში იგი სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა. მისი ერთგულებითა და მრავალგზის თავის გამოჩენით, მეფე ერეკლემ

გარსევანს[10] კახეთში საჩუქრად ვრცელი მამულები გადასცა, რომლებიც ცივგომბორიდან კავკასიონის ქედის სამხრეთ მისადგომებამდე იყო გადაჭიმული [სსლმ, ბნა, ფ. 3526-6]. "...წყალობითა ღვთისითა ჩვენ ყოვლისა ზემოსა საქართველოსა კახეთის და სხვათა მეფემან მეორემან ირაკლიმ... გიბოძეთ შენ ჭავჭავაძეს ეშიკ-აღასბაშს გარსევანს, შვილს შენსა ალექსანდრეს... მამის შენის ჩვენი და ჩვენის ოჯახის ყოველის გზით ერთგულად სამსახური საქართველოში გაბრწყინებული არის და თვით შენც ჩვენცა და ქვეყნის საზოგადოებასაც ყოვლის შენის შეძლებით მრავალგვარად, დიდად ერთგულად და თავდადებით გვემსახურე" [ჩხეიძე 1968: 21].

გარსევან ჭავჭავაძემ თავის საცხოვრებელ ადგილად წინანდლის ადგილ-მამულები აირჩია. ისტორიული წყაროების მიხედვით, "წინანდლის სასახლე აგებულია გარსევან ჭავჭავაძის მიერ. რბილი ავეჯით, სურათებით, გობელენით, სევრის ვაზებით, ვერცხლისა და ოქროს სერვიზით, დიდი ბიბლიოთეკით... ყველაფერი ეს ღირდა ათასეული მანეთები" [სსლმ, ბნა, ფ. 3526-6].

გარსევან ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟის, ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) მფლობელობაში გადავიდა მამულები რომელიც მდინარე ალაზნის ორივე მხარეს იყო გადაჭიმული. ადგილ-მამულებიდან პირველ რიგში აღსანიშნავი წინანდალი, ნაფარეული და მუკუზანი იყო [ბოგველიშვილი 1967: 12].

ალექსანდრე ჭავჭავაძემ უდიდესი როლი ითამაშა არა მხოლოდ წინანდლის მამულების მოვლა-პატრონობის საქმეში, არამედ მან სრულიად საქართველოს დიდი კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვა, რაც ახალი ფასეულობების დამკვიდრებასა და სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობაში გამოიხატა [ჭავჭავაძეების ოჯახი. http://www.nplg.gov.ge/chavchavadze/alexandrechav.html].

ალ. ჭავჭავაძე იყო ქართული რომანტიზმის მშვენება, ქართული კლასიკური პოეზიის ღირსეული წარმომადგენელი, დიდი საზოგადო მოღვაწე, გენერალ-

[10] ერეკლე მეფესთან განსაკუთრებით რევაზ ჭავჭავაძე (1730-1768) ყოფილა დაახლოებული, რომელიც მეფის კარზე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დავალებებს ასრულებდა. რევაზს მეუღლე ადრევე დაეღუპა და თვითონაც 40 წლის არ იყო, რომ გარდაიცვალა. მათი ერთადერთი შვილი – გარსევანი, რომელიც ამ დროს 11 წლის იყო, ერეკლემ სამეფო კარზე წაიყვანა და მას იმ დროისათვის ღირსეული სწავლა-განათლება მიაღებინა. 18 წლის უკვე მეფის ეშიკ-აღასბაშად დაინიშნა და მეფის კარის კანცელარიის მუშაობის წარმართვა მიენდო. მასვე ებოძა ყაზახის მოურავობაც [მეგუთნიშვილი 2006: 15].

ლეიტენანტი და რუსეთის აღმოსავლურ ომებსა თუ ნაპოლეონის წინააღმდეგ ჩატარებული საბრძოლო კამპანიების გმირი, საქართველოს სათეატრო კომისიის წევრი და თეატრის მოამაგე,... მისი დროის საზოგადოებისგან პატივცემული ადამიანი... უდიდესია მისი პიროვნული როლი საქართველოს ეკონომიკის, კულტურის, სამხედრო მოღვაწეობის, პოლიტიკის სფეროებში, ისევე, როგორც მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, რამაც იგი ქართული კლასიკური მწერლობის რიგებში ჩააყენა [მეგუთნიშვილი 2006: 17-18].

მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორია ქართველი ხალხის ცხოვრების ისეთი მონაკვეთია, რომელშიც მკაფიოდ ბრწყინავს ჭავჭავაძეების გვარი [ბოგველიშვილი 1967: 11]. ეს იყო ჭეშმარიტ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, ყოველმხრივ განათლებული, ინტელექტუალური, შეძლებული არისტოკრატული ოჯახი, რომლის თითოეულმა წევრმა თავისი გულწრფელი სტუმართმოყვარეობით, სილამაზით, სისპეტაკით და მაღალი კულტურით წარუშლელი კვალი დაამჩნია მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოების ცხოვრებას [მეგუთნიშვილი 2006: 20]. ჭავჭავაძეების სახლი თბილისსა თუ წინანდალში არისტოკრატული საზოგადოების კულტურულ ცენტრად იქცა და ბევრჯერ ისტორიული შეხვედრების ადგილი გამხდარა [ხმალაძე 1975: 10]. თუ გარსევანის დროს წინანდლის სასახლეს ძირითადად არისტოკრატიისა და დიპლომატიის მისიის მქონე პიროვნებები სტუმრობდნენ, ალექსანდრეს დროს შემოქმედი ადამიანების, ლიტერატორების, საზოგადო მოღვაწეთა გამოჩენამ კიდევ უფრო საინტერესო გახადა ეს ოჯახი. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ როგორც ქართველები, ასევე უცხოელები: ალ. დიუმა უფროსი, მარი ბროსე, საფრანგეთის ელჩი შევალია გამბა, იენის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ კოხი, ა. პუშკინი, ა. ლერმონტოვი, ა. გრიბოედოვი და სხვები. ორივე სახლი ქართული კულტურის მძლავრ კერად იქცა. სწორედ წინანდლის სასახლეში შეკრებილი საზოგადოების წინაშე პირველად წაიკითხა ალ. გრიბოედოვმა "ვაი ჭკუისაგან"; ნ. ბარათაშვილის ეკატერინესადმი მიძღვნილი ლექსები, სწორედ პირველად წინანდლის სალონში გაჟღერდა. «მწერალთა და პოეტთა ლიტერატურული სავანე», რომელსაც იმ დროში წინანდალს უწოდებდნენ, ქართული კულტურის მძლავრ კერად იქცა [ღვინერია 2011: 3].

ალექსანდრეს მუეღლე, სალომე ორბელიანი, ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ მისი ოჯახი მნიშვნელოვანი კერა იყო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსულ-ქართული ინტელიგენციის დაახლოების საქმეში. ეს ოჯახი თანდათან ივიწყებდა აღმოსავლურ წეს-ჩვეულებებს და ევროპული კულტურის შემომტანად და დამნერგავად იქცეოდა [დულარიძე 2002: 15].

ალ. ჭავჭავაძეს, რომელიც უდიდესი სიმდიდრის პატრონი, განათლებული, პეტერბურგში მეფეთა კარზე აღზრდილი, ევროპის მრავალ ქვეყანაში ნამყოფი, მუსიკოსი და ხელოვნების მოყვარულ პოეტი იყო, ცხადია, თავისი მამული გემოვნებით ექნებოდა მოწყობილი.

გადმოცემის თანახმად, განცვიფრებაში მოდიოდნენ უცხოელი მოგზაურები წინანდლის სასახლის, ბაღის თუ მეურნეობის ხილვით, რომლის გულუხვი მასპინძელი თვით ალ. ჭავჭავაძე იყო [ცსსა, ფ. 1025, საქ. 278. ფ. 1-16].

წინანდლის სასახლის ისტორია, ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ცნობების თანახმად, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან იღებს სათავეს. ალ. ჭავჭავაძემ 1818 წელს სასახლის მშენებლობა წამოიწყო, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ის ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში გადაიყვანეს. თუმცა დიდძალი სტუმრიანობის გამო ახალი სახლის მშენებლობის აუცილებლობაც დადგა, რომლის ბალავარიც 20-იან წლებში ჩაიყარა ზემოთხსენებული სასახლის ადგილას.

1823 წელს ალ. ჭავჭავაძემ წინანდლის კარ-მიდამოს კეთილმოწყობას საფუძვლიანად მიჰყო ხელი. მან ბაღის მოსარწყავად, სოფელ ხოდაშნიდან – ორხევიდან მიწისქვეშა თიხის მილებით წყალსადენის გამოყვანა დაიწყო, რომლის მშენებლობასაც ხელოსნებმა 6-7 წელიწადი მოანდომეს [ხმალაძე 1975: 12].

ალ. ჭავჭავაძემ წინანდლის ადგილ-მამულის უკეთ კეთილმოწყობის მიზნით, თავი დაანება სამხედრო სამსახურს და მთელი თავისი დრო მამულის მოვლას და მშენებლობას დაუთმო. ამის გამო, 1830 წლის 28 მარტს, მან სოფელ წინანდლიდან კავკასიის მთავარსარდალ პასკევიჩს სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პატაკი გაუგზავნა, რაზეც იმავე წლის 3 ივნისს მიიღო პასუხი, სამსახურიდან განთავისუფლების ნაცვლად, ხანგრძლივი შვებულების მიცემაზე [ცსსა, ფ. 1025, საქ. 278. ფ. 1-16].

1830 წელს ალ. ჭავჭავაძე 6000 ფუთი სპილენძის შესასყიდად ალავერდის სპილენძის ქარხანასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რომელიც მას არყის სახდელი ქარხნისა და წყალსადენისათვის სჭირდებოდა [ხმალაძე 1975: 12].

1831 წელს წინანდალში ახალი სასახლე (დღევანდელი სახლ-მუზეუმის შენობა) უკვე დგას, რაზეც ვახტანგ ორბელიანის ლექსი "ორი შენობა" მეტყველებს, რომელშიც ავტორი გარსევან ჭავჭავაძის ძველი სასახლისა და ალექსანდრეს ახალი სასახლის შეპირისპირებას ახდენს.

წინანდლის სტუმრების მიერ გაკეთებული ჩანაწერების თანახმად, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, შესაძლებელია სასახლის შესახებ რამდენიმე საყურადღებო ფაქტის დადგენა. "მისი სასახლე, რომლის მშენებლობაც უკვე დამთავრებული იყო, წერს საქართველოში საფრანგეთის ელჩი ჟაკ ფრანსუა გამბა, ნამდვილ სასწაულს წარმოადგენს იმ მხარისათვის, სადაც საცხოვრებლის უმრავლესობა თიხითაა აშენებული. ჭავჭავაძის სასახლის შიდა განლაგება ევროპულ სტილზეა, გარე არქიტექტურა კი შეფერებულია აზიის კლიმატურ პირობებს. იმ მხარეში, სადაც სამი თვის განმავლობაში აუტანელი სიცხე დგას, არ შეიძლება ფართე აივნის გარეშე, რომელიც ზედა სართულის გასწვრივ გრძელდება". მ. ლერმონტოვიც თავის უბის წიგნაკში წინანდლის სასახლის განიერ, ფართო აივნებზე საუბარობს, რომლიდანაც თვალწარმტაცი ხედი იშლება. შესაბამისად, დასტურდება სასახლის მდებარეობა და მისი სტრუქტურა: ფართო გაშლილი აივნებიანი სასახლე, რომელიც თვალწარმტაც ბაღში დგას. «შენობის შინაგანი მორთულობა ისეთივეა, როგორიც ევროპულ სასახლეებში» [ბალახაშვილი 1967: 67].

1835 წელს ალ. ჭავჭავაძემ სახელმწიფო ბანკიდან 800 მანეთი აიღო სესხად. აღნიშნული თანხა მან წინანდლის მამულის გაუმჯობესებას და მამულის ტერიტორიაზე წამოწყებულ სამშენებლო სამუშაოებს მოახმარა [ხმალაძე 1975: 12].

1840 წელს ააშენა დიდი მარანი, სადაც მოწყობილი იყო ლაბორატორიაც [კვარაცხელია 1969: 41].

წინანდალში ადგილ-მამულის მოვლასა და მშენებლობას საკმაო მუშახელი სჭირდებოდა, რომელიც ალ. ჭავჭავაძეს დაქირავებული ჰყავდა და წელიწადში 30 მანეთს ვერცხლითა და სარჩოთი აძლევდა [ხმალაძე 1975: 12-13].

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ალ. ჭავჭავაძის სასახლის, დეკორატიული ბაღის, ღვინის სარდაფებისა და ვენახებისაგან დაკომპლექტებული მამული თითქმის დასრულებული სახით იყო წარმოდგენილი [მეგუთნიშვილი 2006: 26]. წყაროებზე დაყრდნობით, კომპლექსი 12 ჰექტარ ფართობზე იყო გადაჭიმული.

ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ (1846), ჭავჭავაძეების მამული მემკვიდრეობით მისი ვაჟის, 38 წლის პოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძის (1818-1884) მფლობელობაში გადავიდა [ხმალაძე 1975: 14]. დავითმა ცოლად შეირთო საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის ვაჟის, ილია ბატონიშვილისა და ანასტასია ობოლენსკაიას ასული ანა ბატონიშვილი. მათ 11 შვილი და 28 შვილიშვილი ჰყავდათ [დულარიძე 2002: 15].

1854 წლის 18 ივნისს, როცა ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა თავის დასთან, ეკატერინესთან იმყოფებოდა სამეგრელოში, ჭავჭავაძეების ოჯახი თბილისიდან წინანდალში გაემგზავრა. მათ თან ახლდათ ბავშვების ფრანგი აღმზრდელი ქალი ანა დრანსე.

3 ივლისს წინანდალში ჩავიდნენ ანას და – ილია ორბელიანის (გრ. ორბელიანის ძმის) მეუღლე ბარბარე პატარა გიორგით, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ნინო, ძიძა და ორი მოახლე. დავით ჭავჭავაძის ცოლი, ანა ილიას ასული – ბარბალე ორბელიანის მკვიდრი და. თუმცა ოჯახური თავყრილობის მონაწილეთა ნეტარება ხანმოკლე აღმოჩნდა.

1854 წლის 4 ივლისს, იმამი შამილის ხელქვეითები თავს დაესხნენ წინანდალს და საფუძვლიანად დაარბიეს ჭავჭავაძეების სახლი და მამული [ბალახაშვილი 1967: 75]. მათ გაძარცვეს სასახლის 22 ოთახი. ძარცვამ საათზე მეტხანს გასტანა. მათ დაიტაცეს ძვირფასი ნადავლი - ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტები, მაქმანები, ძვირფასი ჭურჭლეულობა, სკივრები, ქსოვილები, ძვირფასი შალეული და სხვა მრავალი ძვირფასი ნივთი [ხმალაძე 1975: 15-16].

ანა დრანსეს გადმოცემით, "მათი დარტყმებისაგან მინები აზრიალდა და ჩაიმსხვრა, აჭრიალდა ავეჯი, სკივრებში აწკრიალდა ვერცხლი, ჩვენამდე მოდიოდა ორი ფორტეპიანოს არეული ხმები, რომელთა კლავიშებზედაც აბრახუნებდნენ ისინი" [დრანსე 2010: 15].

ყველაზე თავზარდამცემი ის იყო, რომ თავდამსხმელებმა მიაგნეს სხვენში დამალულ ქალებს, ბავშვებს, მოსამსახურეებს და 24 მათგანი, აქვითინებული, ტანსაცმელშემოფლეთილი და გაწეწილთმიანი, ცხენებით გაიტაცეს. გატაცებულთა შორის იყვნენ: დავითის მეუღლე ანა ხუთი შვილით - 6 წლის სალომე, 5 წლის მართა, 3 წლის თამარი, 1.5 წლის ალექსანდრე, 4 თვის ლიდია; 4 წლის ძმისშვილი ელენე, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა მამიდასთან, ანას და ბარბალე (გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილიას მეუღლე) პატარა ვაჟით, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ნინო, ფრანგი აღმზრდელი ანა დრანსე, მებაღე მოსე, სოფლის მღვდელი, მღვდლის ცოლი, თავადის მოურავის მეუღლე დარეჯანი და სხვები.

ლეკების თავდასხმის დროს ჭავჭავაძეებთან იმყოფებოდა მ.ი. ლერმონტოვის ნათესავი, გიორგი ახვერდოვი, რომელიც ტყვეობას ბაღში გაქცევით გადაურჩა, სადაც ერთი დღე და ღამე ხეზე იმყოფებოდა. ა. ვერდერევსკი გადმოგვცემს, რომ "ავადმყოფი და უიარაღო ახვერდოვი, გავარდა ბაღში თავის ხსნის საძებნელად, მიირბინა ხევის კლდის პირას ოც-ოცდაათი საჟენის სიმაღლეზედ მდგომ ხეებთან, ავარდა ერთს იმათგანზედ, რომელიც თავის სიმძიმით გადაიხარა უფსკრულისაკენ და ამგვარად დაკიდებული ტოტზედ, დარჩა ამ მდგომარეობაში ერთი დღე და ღამე და ამით გადარჩა დაღუპვას და ტყვეობას" [სმაკკსხი, კ, 30-ა].

თავდამსხმელებმა წინანდალი რამდენიმე საათში დატოვეს. მათ თან გაიყოლეს უამრავი ქონება და წასვლის წინ ცეცხლს მისცეს სასახლე და მისი შემოგარენი, გადაწვეს ბაღი. ცეცხლის შედეგად თითქმის მთლიანად დაიწვა გარსევან და ალექსანდრე ჭავჭავაძეების მდიდარი ბიბლიოთეკა და საარქივო დოკუმენტები, რის გამოც, ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო და მოვლენა ჩვენთვის დღესაც უცნობია.

გატაცების დროს, დავითის მეუღლე ანა ლეკი ცხენოსნის უკან იყო მიბმული. მას ოთხი თვის ბავშვი ხელში ეჭირა. ანამ ჯოჯოხეთურ ტანჯვას ვეღარ გაუძლო, ხელი დაუბუჟდა და ბავშვი ჩამოუვარდა. 4 თვის ჩვილი ლიდია ცხენებმა გადათქერეს... ხოლო რომელიღაც ჩეჩენმა ხანჯლის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა იგი.

მომხდარი ამბის მესამე დღეს ლიდიას სხეული იმავე ადგილას იპოვეს, სადაც დავარდა და გამტაცებლებზე დადევნებული მამისათვის მიუტანიათ. დავით

ჭავჭავაძემ თავისი შვილის გვამი წინანდალში გადმოასვენა და წინანდლის წმ. გიორგის ეკლესიაში დაკრძალა [დრანსე 2010: 25-26]. საფლავის მარამრილოს ქვა წარწერით დღესაც დაცულია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში [მეგუთნიშვილი 2006: 28].

ტყვეების გამოსყიდვაზე დიდი მოლაპარაკება გაიმართა. შამილმა ნიკოლოზ I-ს მოსთხოვა მათი გათავისუფლების სანაცვლოდ მძევლად აყვანილი მისი შვილი, ჯემალ-ედინი გაენთავისუფლებინა და დავით ჭავჭავაძეს მისთვის 1 მილიონი მანეთი გადაეხადა, რაც შემდეგ 40 ათას მანეთამდე (ვერცხლი) იქნა შემცირებული. აღნიშნული პირობები შესრულდა. ჯემალ-ედინი შამილმა დაიბრუნა, მაგრამ რუსეთის მეფის კარზე რამდენიმე წელს ევროპულად აღზრდილი, მთის გარემოს ვეღარ შეეგუა და ორ წელიწადში გარდაიცვალა. დავით ჭავჭავაძემ შამილის დარბევის შემდეგ ჭავჭავაძეთა ზარალის - 106 ათასი მანეთის და თავისი ოჯახის ტყვეობიდან გამოსახსნელად რუსეთის საიმპერატორო ბანკიდან სესხი აიღო, რომლის სანაცვლოდაც თავისი ადგილ-მამულები რუსეთის სახელმწიფო ბანკში დააგირავა.

დავით ჭავჭავაძემ შეძლებისდაგვარად აღადგინა გადამწვარი სასახლე და ჭავჭავაძეები წინანდლის საზაფხულო რეზიდენციის ხშირი სტუმრები იყვნენ.

შემდგომ წლებში, დავით ჭავჭავაძემ ვეღარ შეძლო თავისი ადგილ-მამულების გირაოდან გამოხსნა. ამას დაემატა მემკვიდრეობით მიღებული ვალებიც, რომლის გადაუხდელობაც საბოლოოდ გახდა ჭავჭავაძეების გაკოტრების მიზეზი. დავითის გარდაცვალების შემდეგ (1884წ.), აღებული ვალის სანაცვლოდ წინანდლის, ნაფარეულის, მუკუზანის და სხვა ადგილ-მამულები საუფლისწულო დეპარტამენტმა შეიძინა, რასაც ბუნებრივია, თან მოჰყვა ძირეული ცვლილებები მეურნეობის გაძღოლისა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეშიც [ბოგველიშვილი 1967: 29-30].

1883 წელს რუსეთის საუფლისწულო დეპარტამენტის დანიშვნით, წინანდლის მამულში ჩამოვიდნენ მისი მამულის პირველი მმართველი “მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის” დარბაზბატონი (კამერგერი) პავლე ბაგოუტი და შვედი მეღვინე დიკერსონი. ამ დროისათვის მოხდა ჭავჭავაძეთა ადგილ-მამულის გადაბარება

ილიკო ტატიშვილის, ზ. ჯორჯაძისა და დავით ჭავჭავაძის სიძეების ზაქარია გულბათის და კიკო ჩოლოყაშვილის თანდასწრებით [ხმალაძე 1946: 12].

ამ დროიდან საფუძველი ეყრება წინანდლის საუფლისწულო მამულს, რომლის გაფართოება, მართვა და რეკონსტრუქციაც რუსეთის მეფის მმართველობითა და განკარგულებით ხდებოდა. აღნიშნული პერიოდიდან მთელმა მამულმა, ისევე როგორც ბაღმა, საფუძვლიანი ცვლილებები განიცადა [ბოგველიშვილი 1967: 30].

ალ. ჭავჭავაძის სასახლის რუსეთის საიმპერატორო კარის საკუთრებაში გადასვლის შემდეგ, არსებული სასახლე და სხვა დამხმარე ნაგებობები საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებად გადააკეთეს, ხოლო უნიკალური ღვინის სარდაფებიდან უზარმაზარი ქვევრები ამოიღეს და გაყიდეს [მეგუთნიშვილი 2006: 40].

1885 წლის 25 თებერვლიდან, სახელმწიფო სენატის გადაწყვეტილებით, ჭავჭავაძეების მამულს და ქონებას კავკასიის სამეურვეო სამმართველო განაგებდა. მეურვეობა დავალებული ჰქონდა საიდუმლო მრჩეველს პ. პეშჩუროვს, სახელმწიფო მრჩეველს ვ. სარაჯიშვილს და გვარდიის როტმისტრს ნ. ჩოლოყაშვილს [ჩხეიძე 1968: 24]. უნდა აღინიშნოს, რომ სამეურვეო სამმართველომ ჭავჭავაძეების მამულის მმართველობას თავი ვერ გაართვა და მთელი მამული იჯარით კერძო პირებს გადასცა [ჩხეიძე 1968: 26]. საბოლოოდ, 1886 წლის 8 თებერვალს, დაიწერა ხელშეკრულება ჭავჭავაძეების მამულების საუფლისწულო მამულად გამოცხადების შესახებ. 15089 დესეტინა მიწის ფართობის მქონე მამული მილიონ ნახევარ მანეთად იქნა შესყიდული... (ი. ხმალაძესთან ვკითხულობთ, რომ საუფლისწულო მამულების უწყებამ 13,551 დესეტინა მიწის ფართობი შეისყიდა) [ხმალაძე 1960: 15]. მთელი მამული, თავისი მიწებით, ვენახებით, ნაგებობებით, მიწათმოქმედებისა და მეღვინეობაში გამოსაყენებელი იარაღებით საუფლისწულო მამულების დეპარტამენტს გადაეცა. მხოლოდ ანა ჭავჭავაძეს დროებით სარგებლობაში დარჩა წინანდლის საცხოვრებელი სახლი [ხმალაძე 1975: 21].

ჭავჭავაძეების მამულს, რომელიც დაგირავებული იყო 1884 წლისათვის, ვალად ედო 191.901 მან და 20 კაპ. 1885 წელს დაფარულ იქნა 7883 მან. დარჩენილი ვალი - 184 018 მან და 20 კაპ. - ჭავჭავაძეებმა 1886 წელს გადაიხადეს, მამულების საბოლოოდ გაყიდვის შემდეგ [ხმალაძე 1975: 21].

1886 წლის 4 ივნისს, პავლე ბაგოუტმა ჭავჭავაძეების ადგილ-მამულის დაუფლების სიგელი მიიღო და მის მართვას შეუდგა [ხმალაძე 1960: 15]. ამ დღიდან წინანდლის მამულის არსებობის მეორე პერიოდი იწყება [კვარაცხელია 1969: 41]. დაიწყო ჭავჭავაძისეული ვენახების გაფართოება, ახალი ზვრების გაშენება და ტერიტორიის რეკონსტრუქცია [ხმალაძე 1960: 15].

საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის მიერ მოწვეული სპეციალისტების თაოსნობით გაჩაღდა ჭავჭავაძისეული ზოგიერთი შენობა-ნაგებობის გადაკეთება და ახალ შენობათა მშენებლობა. კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები არქიტექტორ ალექსანდრე ოზეროვის პროექტით განხორციელდა.

პროექტით 1884-1887 წლებში წინანდლის საუფლისწულო მამულში აშენდა 180 ათასი დეკალიტრის ტევადობის ღვინის სარდაფი, რომელიც იმ დროს მეღვინეობის ერთ-ერთ უდიდეს ნაგებობად ითვლებოდა რუსეთის იმპერიაში [ხმალაძე 1960: 15]. ბაღის ტერიტორიაზე აიგო საცხოვრებელი სახლები მეღვინეთათვის, მეაბრეშუმეებისათვის, მამულის მმართველისთვის, გაიყვანეს ახალი წყალგადასაყვანი სისტემა.

1886-1887 წლებში ჭავჭავაძეების დამწვარი სასახლის საძირკველზე დღევანდელი სასახლე აღადგინეს. ახალი სასახლის საფუძველი სწორედ გადამწვარი სასახლე გახდა, რომლის გათვალისწინებითაც ამჟამინდელი შენობა აიგო. ყოფილ სასახლეს სამხრეთით მოანგრიეს 35 მეტრი სიგანის ოთახები, ჩრდილოეთით - წინა ნაწილი და ქართული აგურით ნაგები ფასადი – აჟურული ხის აივანი მიაშენეს.

სასახლის სადარბაზო შესასვლელთან, საგანგებოდ გაფორმებულ მაღალ ვესტიბიულში, განიერი, მუხის მოჩუქურთმებული კიბე აღმართეს, რომელიც მეორე სართულზე მიემართებოდა. სასახლეს წინა მხრიდან აჟურული ხის აივანი მიაშენეს (რაც დღემდეა შემონახული). მდიდრულად მოწყობილი ოთახის ფანჯრებიდან და ნიშებით მორთული ფართო აივნიდან ალაზნის მომხიბლავი ველი და ბაღის საუცხოო პეიზაჟები მოჩანდა [ხმალაძე 1975: 23].

დროთა ცვალებადობამ მნიშვნელოვნად მიმოფანტა ჭავჭავაძეების ოჯახის უძვირფასესი ქონება - საოჯახო ნივთები, ავეჯი და სხვა უამრავი ღირებული ნივთი.

გასაბჭოების შემდეგ, წინანდლის მამულები საბჭოთა ხელისუფლების ხელში გადავიდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილ სასახლეში, სადაც საუფლისწულო

მამულების დეპარტამენტს დიდი მემამულის შთამომავლებისაგან შესყიდული და დაცული ჰქონდა ავეჯი, საოჯახო ნივთები და სხვა ძვირფასეულობა, ღვინის ქარხნის სასტუმრო განთავსდა. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, აქ არსებული ქონება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

1920 წელს, საქართველოს ეროვნულმა გალერეამ, ექსპედიციის სახით, წინანდალში რამდენიმე თანამშრომელი გააგზავნა. სასახლის შენობაში არსებული სასტუმროს სასადილო ოთახის კედელზე მათ ალექსანდრე ჭავჭავაძისეული სურათი – ვან-ზორის "ნატურმორტი" უნახავთ. კვლევა-ძიების შედეგად, ეროვნული გალერეის თანამშრომლებმა გომურის სხვენში უნიკალურ სურათებს მიაგნეს, რომლებიც ქათმის სკორეთი იყო დასვრილი. ამ სურათების დიდი ნაწილი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ზოგი კი ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმშია გამოფენილი [ბოგველიშვილი 1997: 104-105].

გიორგი ლეონიძე უდიდეს უკმაყოფილებას გამოთქვამდა ჭავჭავაძეების სასახლეში საბჭოთა მეურნეობის დირექციის, ბუღალტერიის, პარტიული კომიტეტის, მუშათა კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციების არსებობის გამო. ეს გარემოება კიდევ უფრო უშლიდა ხელს ჭავჭავაძეების მემორიალური ნივთების მოპოვება-გადარჩენისათვის ზრუნვაზე ფიქრს.

უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ სულ უფრო მძაფრდებოდა ჭავჭავაძეების ძვირფასეულობის თავმოყრის სურვილი.

ირაკლი ხმალაძემ უდიდესი მონდომებით გადაწყვიტა ხელი მოეკიდა ამ საკმაოდ რთული საქმისათვის. მას მალე სხვა თანამზრახველებიც ამოუდგნენ მხარში. პირველივე დღეებიდან ი. ხმალაძესთან ერთად იყო ესმა ზეინაბაშვილი. ამ ენთუზიასტებმა თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიძიეს, შეიძინეს ჭავჭავაძისეული ნივთები და ძვირფასი ექსპონატები.

1933 წლიდან ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმისათვის დიდი რუდუნებით შეკრებილმა მასალებმა – ექსპონატები, მემორიალური ნივთები, საუფლისწულო მამულის დოკუმენტები - მტკიცე საფუძველი შეუქმნა მომავალ მუზეუმს [ხმალაძე 1975: 70].

საბჭოთა მეურნეობის დირექციამ ამ ექსპონატების თავმოსაყრელად და შესანახად სასახლის მეორე სართულზე ერთი ოთახი გამოყო, რამაც კიდევ უფრო წაახალისა ამ საქმის მოთავენი [ბოგველიშვილი 1997: 106].

მათი უდიდესი მონდომებით ბევრი ძვირფასი ექსპონატი შეგროვდა. 1946 წელს, სასახლის ერთ ოთახში (ყოფილი სასადილო დარბაზი) თავმოყრილი ნივთებით მოეწყო დროებითი გამოფენა "ძველი და ახალი წინანდალი", რომელიც ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო წინანდალსა და თბილისში შეკრებილი მასალების ექსპოზიცია, ძველი ფოტოებისა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. მემორიალური ნივთებიდან წარმოდგენილი იყო ალ. ჭავჭავაძისეული სურები, ჭურჭელი, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას ბროლის ჭიქები ინიციალებით, ავეჯი, ფერწერული ტილოები და მრავალი სხვა [ხმალაძე 1975: 70].

მუზეუმი 1946 წლის 5 მარტს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული დადგენილებით გაიხსნა [ცსსა, ფ. 8, აღ 1, საქ. 1054, ფ. 1-2].

მდიდარი და საინტერესო ექსპონატებით გამდიდრებული მუზეუმი, ოფიციალურად 1947 წლის 1 აგვისტოს გაიხსნა [ხმალაძე 1975: 71].

ირაკლი ხმალაძე უდიდესი მადლიერების გრძნობით აღნიშნავდა, რომ მუზეუმის დაარსების და მისი მუშაობის მეცნიერულ-პროფესიული გზით წარმართვის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვოდათ პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს, პროფესორ გ. აბზიანიძესა და სამუზეუმო საქმის დიდ სპეციალისტ პ. კიკნაძეს [ბოგველიშვილი 1997: 107].

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გახსნა, ამ პერიოდისათვის ქართულ-რუსული მეგობრობის წარმოჩენასა და დამტკიცებას ისახავდა; ეს საზაფხულო რეზიდენცია კი იმიტომ შეირჩა, რომ აქ სასახლის პირველად აღმშენებელი გარსევან ჭავჭავაძე, გიორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ხელისმომწერი იყო. შესაბამისად, მუზეუმის დაარსებასაც საბჭოთა პერიოდში ერთგვარი იდეოლოგიური დატვირთვა ჰქონდა [ღვინერია 2011: 8].

წლების მანძილზე მრავლდებოდა მუზეუმის ფონდის მასალები და ფართოვდებოდა ექსპოზიცია. შედეგად, 1953 წელს მუზეუმს გადაეცა მეორე ოთახი –

ალ. ჭავჭავაძისეული სასახლის ყოფილი სადღესასწაულო დარბაზი-სალონი, რითაც მუდმივი ექსპოზიციის შემდგომი გაფართოების საშუალება გაჩნდა.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის მიერ შესყიდულ იქნა - მდიდარი ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა არქივი, წერილები, ეპისტოლარული და იკონოგრაფიული არქივი, საგვარეულო საბუთები, საქმიანი ქაღალდები, ავეჯი, ფუფუნების საგნები, მუსიკალური ინსტრუმენტები, საწერი მოწყობილობა და სათამაშო გასართობი ნივთები, სამეურნეო-საოჯახო ინვენტარის დიდი ნაწილი - რაც 1854 წელს ლეკების თავდასხმას გადაურჩა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებშიც მუზეუმის კუთვნილ ნივთებს კვლავ ხელაღებით ყიდდნენ, ასაჩუქრებდნენ და გაჰქონდათ საქართველოდან, მუზეუმისათვის მასალები მაინც უდიდესი მონდომებით იკრიბებოდა.

ზემოხსენებულისა და ასევე სხვა გარემოებების გათვალისწინებით, ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ფონდის დაკომპლექტება განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. იგი დიდ ცოდნასა და გულმოდგინებას მოითხოვდა. საჭირო იყო მწერლის შთამომავალთა და ახლობელთა ოჯახების მოძებნა წინანდალსა და მახლობელ სოფლებში; თელავში, თბილისში, ზუგდიდში, მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანში, ტამბოვში, ნიუ-იორკში, პარიზსა და სხვა ქალაქებში, პოეტის შვილიშვილებთან და ნათესავებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, სიძველეთა საცავების, მუზეუმების, არქივების შესწავლა.

მაგალითად, ჰოლანდიელ მხატვართა სკოლის სურათები, რომლებიც რუსეთის "იმპერატრიცა" ეკატერინე მეორემ გარსევან ჭავჭავაძეს აჩუქა, წინანდალში იყო დაცული. ცნობილი მხატვრის, პროფესორ ევგენი ლანსერეს მიერ გადარჩეული ზოგიერთი სურათი ახლა ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია გამოფენილი, ნაწილი შემორჩა წინანდალს, ხოლო 1886წ. ანა ილიას ასული ბაგრატიონი-ჭავჭავაძის წინანდლიდან თბილისში გადმოსახლებისას ნაწილი ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძეს გადაეცა.

1955 წლამდე მუზეუმის თანამშრომლების მიერ მიკვლეულ იქნა ჭავჭავაძეებისა და საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის მიღება-ჩაბარების სია, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა ახალი ფრანგული სტილის ატლასის რბილი ავეჯი, სავარძლები, მაგიდები, სარკეები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სპილენძის

თუნგები, ლამპები, ჩინური ლარნაკები, შანდლები, ფაიფურის კასრი, ფაიფურის სევრის ჭურჭელი, ბიბლიოთეკა, დოკუმენტები უფლისწულთა მამულის შესახებ, ხელნაწერთა არქივი, წერილები, საგვარეულო საბუთები, საქმიანი ქაღალდები და სხვ.

შედგენილ იქნა ალექსანდრე ჭავჭავაძის გენეალოგიის გაგრძელება და დადგინდა შთამომავალთა მისამართები. ამ გზით, სახლ-მუზეუმი ბევრი საინტერესო ექსპონატით გამდიდრდა. ყოფილი პოლკოვნიკის, ივანე დიმიტრის ძე რატიშვილის (დავით ჭავჭავაძის შვილიშვილ ეკატერინეს მეუღლე) ოჯახისაგან მრავალი ექსპონატი იქნა შეძენილი. კინორეჟისორ მერაბ არჩილის ძე კოკოჩაშვილის (ალ. ჭავჭავაძის მეოთხე თაობა) მშობლებისა და ივლიტა და მარინე ჯორჯაძეების ოჯახიდან მუზეუმს ძალზედ საინტერესო ფოტოები და გენეალოგიის მასალები გადაეცა. 1953 წელს ზაქარია გიუნაშვილის ოჯახიდან მუზეუმმა ჭავჭავაძისეული, საქართველოში პირველი პიანინო-კლავისინი შეიძინა, რომელიც ალ. გრიბოედოვმა ნინო ჭავჭავაძეს მიუძღვნა საჩუქრად. წინანდალშია შეძენილი მე-18 საუკუნის ხელნაწერი - "ომანიანი".

მემორიალური ნივთების ძებნა აუცილებელი იყო ახლო-მახლო სოფლებშიც, რადგან ალ. ჭავჭავაძის გულუხვი შთამომავლები მაქსიმილიანე ზაქარიას ძე ჭავჭავაძე და მისი მეუღლე (ცნობილი კაპიტალისტ-ფაბრიკანტის ქალიშვილი) ევგენია შაბლიკინა, უმთავრესად 1917-1925 წლებში, სხვადასხვა საგნით უხვად ასაჩუქრებდნენ მეზობლებსა და ნათესავებს, თანამემამულეებს; ზოგი რამ მოგვიანებითაც შეიძლებოდა მოხვედრილიყო სხვა ოჯახებში.

მუზეუმის ექსპონატების შეგროვებას ხელი შემოწირულმა ნივთებმა შეუწყო. ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების გამოჩენილმა მკვლევარმა, პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა მუზეუმს ალ. ჭავჭავაძის პირველი გამოცემისა და მუსიკალური ნაწარმოების – "მშვენიერთა ხელმწიფევ" – ნოტები გადასცა. საინტერესო ექსპონატები პოეტის სახლს უსახსოვრეს პროფესორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა, პროფესორმა აკაკი გაწერილიამ, კომპოზიტორმა მ. მაჭავარიანმა, ი. ენიკოლოფოვმა, გ. მოზდოკელმა და სხვ.

ცნობილმა ფოტორეპორტიორმა ი. ტორმა სახლ-მუზეუმს ჭავჭავაძისეული საათი გადასცა, პედაგოგმა თ. მაჭავარიანმა – ბაკალი ნინო ჭავჭავაძის ინიციალებით

(თელავი). ასევე, სხვადასხვა სახის ნივთები გადასცეს მუზეუმს წინანდლის მცხოვრებლებმა: ტ. ჭიორელმა, მ. მალუძემ, ს. მსუქნიშვილმა, ქ. ჩიკვაიძემ და სხვ. [ხმალაძე 1975: 71-73].

1956 წ 10 აპრილს მუზეუმის კუთვნილებაში გადავიდა კალოსკოპი (ხე, მინა ლითონი, 50სმX30სმ), რომელიც მანამდე შალვა კიკვიძის ოჯახის საკუთრებაში იყო. მას 117 ცალი ფერადი სლაიდი აქვს, რომელიც გამოყენებისას სამგანზომილებიანი სივრცის ეფექტს ქმნის და დამზადებულია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

1964 წლის 13 იანვარს მუზეუმს წინანდლის ღვინის ქარხნიდან ავივ 50 ნინო ჭავჭავაძის მაგიდა გადაეცა (რესტავრირებულია 2008 წლის მაისში), რომელიც მე-19 საუკუნეში ფრანგული წესით არის დამზადებული: ზედაპირი შელესილია კირნარევი კვერცხის გულით, რომელიც მოოქროვებისას გამოიყენებოდა, ორნამენტები სუფთა სინჯის ვერცხლისაგანაა დამზადებული და ზედაპირი დაფარულია ბაჯაღლო ოქროს ფირფიტებით. ზედა სიბრტყის ფართობი 111სმX66სმ-ს შეადგენს.

1976 წლის თებერვალში მ. და ი. ჯორჯაძეების მიერ მუზეუმს ნინო ჭავჭავაძის თეფში (თეთრი ფერის ფრანგული ფაიფური, დიამეტრით=23სმ) გადაეცა. თეფშს უკანა მხარეზე ლათინური ასოებით აწერია: Paris. წინა მხარეზე დატანილი აქვს ინიციალები ქართულად ნ. ჭ. და გვირგვინის გამოსახულება.

ამავე წელს ციხისთავების ოჯახიდან (თელავი) მუზეუმს "შტურცვაგე"-ს ფირმის გერმანული როიალი (2,42სმX0,93მ) გადაეცა.

1986 წ 13 ოქტომბერს მერაბ კოკოჩაშვილის ოჯახიდან მუზეუმს გადაეცა ალექსანდრე ჭავჭავაძის პერანგის მაკის სამაგრები (სპილოს ძვალი, მრგვალი ფორმის ამობურცული ზედაპირით, ზედ დატანილია ინიციალები ა. ჭ. დიამეტრი=3სმ) [მუზეუმის პასპორტი 2010: 3-4].

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი დაკავშირებული იყო საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივთან, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმთან, ლენინგრადის საისტორიო ცენტრალურ არქივთან, თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმთან, საიდანაც საყურადღებო ცნობები და დოკუმენტები იქნა მიღებული. მუზეუმმა

ზოგიერთი მასალა შეკრიბა მხატვარ გრიგოლ მაისურაძესა (ნათესავ მიხა კასრელიშვილის მეუღლისაგან) და ლესია უკრაინკას (თელავში) შესახებ.

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებისათვის მუზეუმს ეკავა ალ. ჭავჭავაძისეული სასახლის ცენტრალური ნაწილის პირველი და მეორე სართული – ფართო აივნითა და მხატვრულად გაფორმებული ჭერმაღალი ორი ვესტიბიულით. თუმცა მუზეუმში დიდი რაოდენობის მდიდარი მასალის შეგროვება მის რეექსპოზიციას და გაფართოებას მოითხოვდა.

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში მოხვედრა სახლის მთავარი შესასვლელიდან, მაღალჭერიანი ვესტიბიულით იყო შესაძლებელი (დღევანდელი ღია გალერეის ადგილას). მუხის განიერი კიბე მეორე სართულისაკენ მიემართებოდა. კედლებზე ძველებური მემორიალური შანდლები და გაზის ლამპები იყო განთავსებული.

ვესტიბიულში მოქანდაკე ვანო პატარიძის მიერ შესრულებული ალ. ჭავჭავაძის ბიუსტი იყო განთავსებული.

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში წარმოდგენილი მუდმივმოქმედი ექსპოზიცია ღირებული იყო მემორიალური მასალის სიუხვით. ისინი დამთვალიერებელს აახლოებდა პოეტის სამყაროსთან, აცნობდა მის გემოვნება-შეხედულებებს, ხასიათს, ესთეტიკურ მიდრეკილებას, პოეტი-მხედრის მიერ განვლილ გმირულ საბრძოლო გზას. ექსპონატები მოგვითხრობდა არა მხოლოდ ჭავჭავაძეების შესანიშნავი ოჯახის ისტორიაზე, არამედ აღადგენდა ეპოქის სულს.

მარცხნივ მდებარე დარბაზში, აღდგენილი იყო ალ. ჭავჭავაძის სამუშაო კაბინეტი. აქ მხოლოდ მემორიალური ნივთები იყო წარმოდგენილი: საწერი მაგიდა, სავარძლები, კარადა, სამელნე, საწერი კალამი და სხვ. აქვე განთავსებული იყო პირადი, ძველი წიგნები, სასანთლეები, 1812 წლის ფრანგული და ხავერდის ყდაში ჩასმული კალენდრები; ფრანგული წერილები, ლამპები, სამგზავრო ჯიბის სამელნე, 1812 წლის სამამულო ომის მედალი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერთა ქუდის ფაიფურის მოდელი; ალ. ჭავჭავაძის შპაგის ნამტვრევი, საომარი წარჩინების ნიშნები. კაბინეტს ამშვენებდა ალ. ჭავჭავაძის პორტრეტი (მხატ. ბერიძის ასლი) და გენერლის ფორმაში გამოწყობილი ალ. ჭავჭავაძე უცნობი მხატვრის პორტრეტიდან.

მომდევნო დარბაზში ქრონოლოგიურ-სისტემატურ პრინციპზე ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავალფეროვანი ექსპოზიცია იყო მოწყობილი.

ამ ფართო დარბაზებში გამოფენილი იყო ალ. ჭავჭავაძის გვარის გენეალოგიის ამსახველი მასალები; წინაპრებისა და მშობლების პორტრეტი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ბავშვობის, ყრმობისა და სწავლის წლების მასალები, ჭავჭავაძეთა საგვარეულო გერბი, ერეკლე მეფის სიგელი გარსევან ჭავჭავაძისადმი, გარსევანის საფლავის ქვის წარწერა-ფოტო და შუამთის მონასტრის ფერწერული ნახატები, სადაც დასაფლავებულია თავად პოეტი.

აღნიშნულ დარბაზში ნინოსა და ეკატერინეს საწოლი ოთახის, ხელსაქმის და პირადი მომსახურების ნივთები, ხოლო კედლებზე ნინოს, ეკატერინესა და მაიკოს პორტრეტები იყო განთავსებული. ნინო – მხატვარ ლესინის, მაიკო – მხატვარ გაგარინის პორტრეტიდან, ეკატერინე – მხატვარ ჰალტერის პორტრეტის ლითოგრაფიაა. ექსპოზიციაში მოცემული იყო ჭაბუკ ალექსანდრეს მონაწილეობა 1804 წლის მთიელთა აჯანყებაში. აქ გამოფენილი იყო მხატვარ სევერიან მაისაშვილის დიდი ტილო "ალ. ჭავჭავაძე ფარნაოზ ბატონიშვილთან". ექსპოზიციაში წარმოდგენილი ტექსტები და მასალები ადასტურებდა, რომ 17 წლის ალექსანდრე მშობლების სახლიდან გაიპარა და მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებულ მთიულებს შეუერთდა.

წარმოდგენილი იყო ტამბოვში გადასახლების, პაჟთა კორპუსში სწავლის ამსახველი მასალები. შემგომ იწყებოდა გმირული, სამხედრო სათავგადასავლო მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია. წარმოდგენილი იყო იმ ადგილების რუქა-სქემა, სადაც პოეტს სხვადასხვა დროს უხდებოდა ყოფნა. მათ შორის იყო მოსკოვი, პეტერბურგი, ბერლინი, პარიზი, ლონდონი, რომი და სხვ. წარმოდგენილი იყო ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობა რუსეთის სამამულო ომში 1813-1814 წლებში, ნაპოლეონის წინააღმდეგ.

ვესტიბიულის მარჯვნივ დიდ დარბაზში ალ. ჭავჭავაძის სალონი იყო მოთავსებული, სადაც ექსპონირებული იყო დიდი მრგვალი მაგიდა, რბილი ატლასის სკამები და სავარძლები, უდიდესი სარკეები, ჩინური ლარნაკები, ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილების პიანინო, მარმარილოს საათი, მე-19 საუკუნის გერმანული

მხატვრული სკოლის უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული მადონას პორტრეტი, ფერწერული ტილოები და სხვა ნახატები. აქვე იყო წარმოდგენილი მარმარილოს ორი მრგვალი მაგიდა საფერფლეებით. მთელი სალონის იატაკი წითელი მაუდით იყო მოფენილი. აქვე მხატვარ გრიგოლ მაისურაძის ნახატები იყო გამოფენილი.

მემორიალური ექსპონატები მდიდრულად იყო წარმოდგენილი სალონის გვერდით დიდ საბანკეტო დარბაზში. აქ ალ. ჭავჭავაძე როგორც ჩამოსულ, ისე ადგილობრივ სტუმრებს ხვდებოდა. აქ ექსპონირებული იყო სასადილო მაგიდა ასი კაცისათვის, სკამები, ჭურჭლის კარადა, სარკეები, საკონცერტო როიალი. ჭურჭელი, ყანწები, თაროზე განლაგებული იყო მე-17 საუკუნის სპილენძის თუნგები.

სასახლის სასადილო ოთახში, კედლებზე, პოეტის ოჯახის იტალიური პეიზაჟები და უცნობი მხატვრის ნატურმორტი იყო გამოფენილი. აქვე იყო წარმოდგენილი გოთური სტილის საათი, რომელიც ალ. ჭავჭავაძეს პარიზიდან ჰქონდა ჩამოტანილი. სასახლის უამრავი ჭურჭლეულობა - ვენეციური ფინჯანი და ლამბაქი, სასალათეები, ბლუდები, სადილის მაუწყებელი ბროლის ზარი, ხის კულები, ბროლის სირჩა, სურები... მინის კარადაში იყო გამოფენილი.

სალონში სურათების გამადიდებელი აპარატი იყო. აქვე მოთავსებული იყო ორი ზურგშექცეული სავარძლის შეერთება - "სიყვარულის სავარძელი", კოსმეტიკური ტუალეტის მოწყობილობა, ჯაგრისების ჩასაწყობი, დ. ჭავჭავაძის მეუღლის - ანას მარაო, ჩანთა, სათამაშო კარტი, ბროლის ბაკალი ინიციალებით "ნ.ჭ.გ." (ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა), ნინოს ორი ლანგარი. წარმოდგენილი იყო ლერმონტოვის ცხვირსახოცი, რომელზეც, ი. რატიშვილის გადმოცემით, ნინო ჭავჭავაძის მიერ ამოქარგულია "მ".

მაგიდაზე განთავსებული იყო ესპანეთის მეფის, დონ კარლოსის წერილი ჭავჭავაძეების (დ. ჭავჭავაძის) ქალებისადმი. ექსპონირებული იყო ჭავჭავაძეების დაგეროტიპისა და პირველი ფოტოსურათები. კედლებზე, მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმული იყო მინიატურული პეიზაჟები.

ექსპოზიცია ფოტოასლებით, ნახატებითა და მხატვრული ტექსტებით მოგვითხრობდა 1817 წელს ალ. ჭავჭავაძის ლეიბ-ჰუსართა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში გადაყვანისა და 1822 წელს მისი ამ პოლკის უფროსად დანიშვნის შესახებ. ასევე მის დანიშვნას ულანთა მეორე დივიზიის პირველი ბრიგადის სარდლის,

აზერბაიჯანის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის, სომხეთის ოლქის მმართველის, კახეთის მილიციის უფროსის, ხევსურეთის საჩივრების გამრჩევი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობებზე. წარმოდგენილი იყო ბაიზეთის აღება და ალ. ჭავჭავაძის დაჯილდოება წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით, მისი მონაწილეობა ჰამზალბეგის წინააღმდეგ ლაშქრობაში.

ამ პერიოდში ალ. ჭავჭავაძე დიდ მზრუნველობას იჩენდა წინანდლის მამულისადმი და მალე მისი სასახლე სახელგანთქმული ლიტერატურული სალონი გახდა.

პოეტის სულიერი განწყობილების გასაშუქებლად ცალკე განყოფილებები ჰქონდა დათმობილი თვალსაჩინო და დამახასიათებელ თარიღებს, როგორიცაა 1804წ., 1812წ., 1832წ. და სხვ.

მთელი განყოფილება ჰქონდა დათმობილი 1832 წლის შეთქმულებას. ექსპოზიციაში გამოფენილი იყო შეთქმულების მონაწილეთა სურათები.

წარმოდგენილი იყო მეორედ გადასახლება ტამბოვში, - მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის გაღრმავება. აქ ექსპონირებული იყო წინანდლის სტუმრების – ოდოევსკის, კიუხელბეკერის, რაევსკის, ბესტუჟევ-მარლინსკისა და სხვათა პორტრეტები.

წარმოდგენილ ექსპოზიციებში რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის სამაგალითო ტრადიციებზე მიუთითებდა მასალები გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის წინანდალთან მჭიდრო კავშირის შესახებ.

ამ თემებზე მიძღვნილია დიდი მხატვრული ტილო "ალ. პუშკინი ქართველ მოღვაწეთა შორის თბილისში", მხატვრების უ. ჯაფარიძის, გ. ჯაშის, ალ. ვეფხვაძის, მ. ხვიტიას და მხატვარ შ. მამალაძის მხატვრული ტილო «ალ. პუშკინი და ალ. ჭავჭავაძე თბილისში», მხატვარ მარგო მეტრეველის ფერწერული ტილო – "ალ. პუშკინი წინანდალში". გამოფენილი იყო შესანიშნავი ტილოები - "სტუმრები ალ. ჭავჭავაძის სახლის აივანზე წინანდალში", "ალ. გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძეების კარის ეკლესიაში" და სხვა ფოტო-ილუსტრაციები. ამავე დარბაზში წარმოდგენილი იყო საქართველოს კულტურული და სოციალური ყოფის ამსახველი ვრცელი ექსპოზიცია.

ფერწერულ ტილოებში ალ. ჭავჭავაძის ოჯახი ასახულია, როგორც იმდროინდელი საქართველოს კულტურული ცენტრი. გამოფენილი იყო მხატვარ რ. სტურუას ტილო "ნინო, ეკატერინე და სალომე ჭავჭავაძეები", დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის, დავით დადიანის, ა. გრიბოედოვის, ბარონ ნიკოლაის, პოეტის მეუღლის - სალომე ორბელიანისა და ანა ილიას ასულ ბაგრატიონის (დავით ჭავჭავაძის მეუღლე) პორტრეტები. აქვე მთელი განყოფილება დათმობილი ჰქონდა ალ. ჭავჭავაძის შთამომავლობას.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო გრ. ორბელიანის, გ. ერისთავის, ნ. ბარათაშვილის და სხვა პოეტების მიერ ჭავჭავაძეების ქალებისადმი მიძღვნილი ლექსები.

ექსპოზიციაში ყველგან ჩართული იყო ალ. ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედების ნიმუშები, რომლებშიც ასახულია ღრმა სოციალური პრობლემები, ეროვნული ტკივილები, სამშობლოს სიყვარული. ექსპოზიციაში ჩართული მისი ლექსების ფრაგმენტები აჩვენებდა, რომ პოეტი სიყვარულის უბადლო მგოსანია.

გამოფენილი იყო ალ. ჭავჭავაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობის, ვოლტერის, ეზოპეს, კორნელის, რასინის, ლაფონტენის, ჰიუგოს, ოდოევსკის, პუშკინის და სხვათა პორტრეტები და მათი ქართულ ენაზე ნათარგმნი ნაწარმოებები.

თემატურ ექსპოზიციაში ჩართული იყო საინტერესო ტილო – "ალექსანდრე ჭავჭავაძე და არსენა ოძელაშვილი დღეობაზე მარტყოფში 1842 წელს", რომელზეც ასახულია შემდეგი ეპიზოდი: ალ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი თანმხლები იცნობს არსენა ოძელაშვილს და მის მოკვლას განიზრახავს. მაგრამ პოეტის უმცროსი ასული სოფიო სასროლად გამზადებულ დამბაჩას ხელს აუკრავს და გადაარჩენს სახალხო გმირს.

დარბაზის დასკვით ნაწილში გაშუქებული იყო ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების უკანასკნელი წლები – გარდაცვალება და დასაფლავება. წარმოდგენილი იყო მხატვარ უჩა ჯაფარიძის მიერ აკვარელში შესრულებული ტილო – შუამთის მონასტრის ხედი, სადაც პოეტის ნეშტია დასვენებული. ასევე ფერწერული ტილო იმ ადგილისა (ალ. ჭავჭავაძის ქუჩისა და რუსთაველის პროსპექტის კუთხე, თბილისი), სადაც, 1846 წლის 6 ნოემბერს, ალ. ჭავჭავაძე ეტლიდან გადმოვარდა და ტრაგიკულად გარდაიცვალა.

ექსპოზიციაში ცალკე სტენდი ჰქონდა დათმობილი ქართველ მწერალთა სურათებს, რომლებიც იკვლევდნენ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას, სხვადასხვა ენაზე თარგმნიდნენ მის ლექსებს. ესენი იყვნენ: ი. გრიშაშვილი, ი. მეუნარგია, ა. მახარაძე, შ. რადიანი, გ. ერისთავი, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე და სხვ.

ყურადღებას იპყრობდა ექსპოზიციაში წარმოდგენილი ძველი ქართული გამოცემანი, სადაც იბეჭდებოდა ალ. ჭავჭავაძის ლექსები, აგრეთვე ლიტერატურა მის შესახებ. ნოტები, შრომები და პორტრეტები ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში – ალ. ჭავჭავაძე, ა. გრიბოედოვი, ნ. ბარათაშვილი, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები და სხვ.

ექსპოზიციაში ძალზედ ბუნებრივად იყო ჩაწერილი ს. მაისაშვილის ფერწერული ტილო – "მიურიდების თავდასხმა წინანდალზე 1854 წელს".

ცალკეულ ვიტრინებში გამოფენილი იყო საჩუქრები, რომლებიც წინანდალში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას დაუტოვებია. მიძღვნილია სამკერდე ნიშნები, ჟურნალები და წიგნები, ჩინური ჩაი ლითონის კოლოფით, ფაიფურის სათამაშოები; რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის საჩუქარი – რუმინელი ქალის ნაციონალური ტანსაცმელი და ალბომი; ვიმპელი, მანდილი და პირსახოცი – უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისაგან; სურათების კომპლექტი – გერმანელებისაგან; ალბანური ყალიონი და ფოტოსურათი. ბრაზილიელებისაგან მიძღვნილი ერთი ბოთლი შაქრის ლერწმის არაყი; ინგლისელთაგან – დეკორატიული ქისა, ჩიბუხი და თაფლი; ავსტრალიელთა მიერ ბოძებული სამკერდე ნიშნები, დათვის ბელები და სურათები [ხმალაძე 1975: 73-79].

ძალზე საყურადღებოა და მნიშვნელოვანი მუზეუმის წიგნის ფონდი. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მწიგნობრობით იყო ცნობილი. მათ გამოწერილი ჰქონდათ საქართველოში და საზღვარგარეთ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. მუზეუმში დაცულია არა ერთი უნიკალური ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. მათ შორისაა: მე-18 საუკუნის ხელნაწერები "ომანიანი" და "ბარამგულანდამიანი", 1841 წელს გამოცემული წიგნი იესო ქრისტეს შესახებ სომხურ ენაზე, ვასილ კარბელაშვილის მიერ შემუშავებული ქართლ-კახური გალობა (1898წ.), დავით ჭავჭავაძის ნაქონი წიგნები რუსულ და ფრანგულ ენებზე, "ვეფხისტყაოსანი"

ინგლისურ ენაზე ელისაბედ ორბელიანისა და ს. იორდანაშვილის რედაქციით, მხატვარი ირაკლი თოიძე.

მუზეუმში დაცულია პირველი დირექტორის – ირაკლი ხმალაძის მიერ 1933 წელს გახსნილი შთაბეჭდილებათა წიგნი, რომელშიც პირველი ჩანაწერი 1933 წლის 30 ივნისს კალისტრატე ცინცაძის (შემდეგ უწმინდესი და უნეტარესი) ხელმოწერილია [გონჯილაშვილი 1999: 157-158]. შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილია აგრეთვე გალაკტიონისა და გიორგი ლეონიძის, ნიკოლოზ ტიხონოვის, მიკოლა ბაჟანის, ოლეს გონჩარის, გაფურ გულიამის, ჩინგიზ აითმათოვის, ლეონიდ ლეონოვის, ვიქტორ გოლცევის, ირაკლი ანდრონიკაშვილის და ანა ანტონოვსკაიას მუზეუმისადმი მიძღვნილი შთაბეჭდილებები [ჯავახიშვილი 1983: 3].

ასეთი სახით იყო წარმოდგენილი ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ექსპოზიციები მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან ამავე საუკუნის ბოლო წლებამდე. ფაქტიურად, ამ პერიოდის განმავლობაში მუზეუმი აყალიბებდა ერთიანი სამუზეუმო ექსპოზიციის სახეს ჭავჭავაძეების გვარის ისტორიისა და მათი კულტურული მემკვიდრეობის ღირსეულად წარმოსაჩენად.

1983 წლისთვის მუზეუმი კიდევ ერთ "რესტავრაციას" დაექვემდებარა. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება გიორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის აღსანიშნად ემზადებოდა, რისთვისაც შესაბამისი გამოფენები უნდა მომზადებულიყო. შედეგად მუზეუმში ახალი საბჭოთა სტილის შესაბამისი დეტალები გაჩნდა [ღვინერია 2011: 8].

2006 წლისათვის, სახლ-მუზეუმის საერთო ფართობი 1100 კვ/მ-ს შეადგენდა. აქედან 700 კვ/მ საექსპოზიციო ნაწილს უკავია, ხოლო 50 კვ/მ – საფონდოს. წლების მანძილზე მუზეუმს სხვადასხვა სახისა და შინაარსის ექსპონატი ემატებოდა, რის შედეგადაც, აღნიშნული პერიოდისათვის, მუზეუმში დაცული კოლექცია, რომელიც 4000 ექსპონატს აჭარბებდა, სამი განყოფილების სახით ფუნქციონირებდა: ფონდსაცავი, მემორიალური და საექსპოზიციო.

მუზეუმის ძირითად ნაწილს მემორიალური განყოფილება წარმოადგენდა, რომელიც განთავსებული იყო სასახლის მეორე სართულზე, 7 ოთახსა და 2 დარბაზში. აღნიშნულ ექსპოზიციაში თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი XVIII–XIX საუკუნეების ქართული, რუსული და ფრანგული ავეჯი; ძვირფასი ჭურჭელი

(ჩინური, იაპონური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ქართული, რუსული) და ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის ამსახველი სხვა უამრავი ნივთი [ქარაია, ბურჭულაძე, ქარაია, ცისკარიშვილი 2006: 147-148].

2008 წელს მუზეუმი 49 წლიანი იჯარის ხელშეკრულებით "სილკ როუდ ჯგუფს" გადაეცა, რომელიც ითვალისწინებს წინანდლის სამუზეუმო კომპლექსის ისტორიის მომავალი თაობებისათვის გადაცემას, მის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისტორიული ნიშან-თვისებების შენარჩუნებაზე ზრუნვას და საქართველოში კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად არსებობის მისიის შენარჩუნებას.

"სილქ როუდ ჯგუფმა", უპირველეს ყოვლისა, 2008 წელს ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეკონსტრუქცია განახორციელა, რამაც მთლიანად შეცვალა შენობის ისტორია. განახლებული მუზეუმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ნაგებობის პირველი სართულია. წლების განმავლობაში უფუნქციოდ დარჩენილი ეს ნაწილი, მხოლოდ მუზეუმისთვის დამხმარე ფართს წარმოდგენდა. მუზეუმის ფონდისთვის განკუთვნილი რამდენიმე ოთახი მის ფუნქციას ვერ აკმაყოფილებდა და ფართის დიდი ნაწილი გამოუყენებელი რჩებოდა. კვლევითმა სამუშაოებმა კი დააზუსტა არამარტო მისი თარიღი, არამედ მისი ფუნქციური დატვირთვის აუცილებლობაც შექმნა. პირველი სართულის ცენტრალურ ნაწილში (ისევე როგორც შესაბამისი მეორე სართული) და მუზეუმის უკანა ფასადზე, რომელიც უსახური საბჭოთა მინაშენის სახით იყო წარმოდგენილი, ალექსანდრე ჭავჭავაძის პირველი სასახლის კვალი აღმოჩნდა, რომელიც ჩართული იყო 1886-87 წლების ოზეროვისეული სასახლის სტრუქტურაში. პირველმა სართულმა მუზეუმის დამხმარე ფუნქციური დატვირთვა მიიღო, სადაც ოთახი-ექსპონატი განთავსდა შამილისდროინდელი გადამწვარი სასახლის ნაშთით.

ფუნქციურად მრავალფეროვანი გახდა აქამდე მინაშენად ცნობილი მუზეუმის უკანა ფასადიც. ეს მონაკვეთი, ქრონოლიგიურად სასახლის ერთ-ერთი ძველი ნაწილი აღმოჩნდა, რომლის რეკონსტრუქციაც მისი პირველადი ფორმის გათვალისიწნებით განხორციელდა. ამის საშუალება კი საბჭოთა პერიოდში ამოქოლილმა თაღებმა შექმნა.

თაღებით გახსნილი ღია გალერეა, საზაფხულო ფართის ფუნქციას ასრულებს და ადაპტირებულია როგორც ბაღის გარემოში, ასევე შენობის იერ-სახესთან. უფრო გააქტიურდა აქამდე "პასიური" მუზეუმის ფასადებიც და შენობის გარშემო შემოვლა შესაძლებელი გახდა, რითაც მას ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია - სხვადასხვა ხედვის წერტილიდან აღქმადობა დაუბრუნდა [ღვინერია 2011: 10-11]. ღია გალერეას გაუკეთდა ასევე ქვედა სართულზე ტუალეტში ჩასასვლელი კიბეები.

აღმოჩენები სასახლის მეორე სართულზეც მოხდა: დიდ მისაღებ ოთახში, ასევე ალექსანდრესეული პირველი სასახლის ნაშთი აღმოჩნდა, რომლის კონსერვაციამაც მისი ავთენტური ფორმა შეინარჩუნა. ფაქტიურად, სასახლის ძველი მონაკვეთი, მუზეუმის ექსპოზიციის ნაწილი გახდა, რითაც შენობის ისტორიამ და თარიღმა უკან გადაინაცვლა.

გარკვეული სიახლეები შეეხო შენობის შიდა გეგმარებას. მოიხსნა გვიანი პერიოდის ტიხრები (დღევანდელი საძინებლელი ოთახის ადგილას მანამდე ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ოთახი იყო), აიყარა საბჭოთა ხანის პარკეტი, რომლის ქვეშაც ოზეროვის დროინდელი ხის იატაკი გამოჩნდა. რესტავრაცია ჩაუტარდა კარ-ფანჯარას, სასახლის ხანგრძლივი ვადით უსაფრთხოდ შენარჩუნებისთვის დამონტაჟდა საერთაშორისო სამუზეუმო სტანდარტების შესაფერისი განათების, გათბობის, ტემპერატურული რეჟიმის, სინოტივისა და ატმოსფეროს დამაბინძურებელი ნივთიერებების დარეგულირების და დაცვის სისტემები.

მთლიანად განახლდა მუზეუმის ინტერიერი: ყველა ღირებულ ექსპონატს ჩაუტარდა რესტავრაცია და თემატურად განთავსდა მუზეუმში. ეპოქასთან შესაბამისობაში მოვიდა ინტერიერის ტექსტილი, რომელიც "ვიქტორია და ალბერტი"-ს მუზეუმის ფონდებში დაცულ საარქივო მასალაზე დაყრდნობით დამზადდა.

სასახლის სარესტავრაციო სამუშაოები დიდი სიფრთხილითა და სასახლის ავთენტური იერის სრული დაცვით მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ არქიტექტორ-რესტავრატორმა ალ. ოზეროვმა 1886-87 წლებში, სასახლის რეკონსტრუქციისას, კორექტული მინიშნება გააკეთა სასახლის ძველ ფენაზე, რითაც გადამწვარი სასახლის ნაშთი, ჰარმონიულად ჩართო ახალი სასახლის სტრუქტურაში. ახლად

ჩატარებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა, პროექტზე მომუშავე არქიტექტორ-რესტავრატორების ძალისხმევით კი შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ სასახლის განახლება, არამედ მისი ისტორიის აღდგენა და ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი მხარეების გამოკვეთა [ღვინერია 2011: 11-15].

დღეისათვის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შენობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

2010 წლის მონაცემებით, მუზეუმის საერთო ფართი 700 $მ^2$-ს შეადგენს. აქედან მუდმივი ექსპოზიცია 513 $მ^2$-ზეა განთავსებული, პერიოდული გამოფენები 70 $მ^2$-ს წარმოადგენს, საცავებს 33 $მ^2$ უჭირავს, მაღაზიას 34 $მ^2$, ხოლო კაფე 50 $მ^2$ ფართობზეა განთავსებული. ღვინის მარანს 1009 $მ^2$ ფართი უჭირავს.

2010 წლის მონაცემებით მუზეუმში დაცულია სულ 19469 ექსპონატი. ძირითადი ფონდის ერთეულთა რაოდენობა 2890 ერთეულს შეადგენს, დამხმარე ფონდის ერთეულთა რაოდენობა 79-ს, ენოთეკის საცავი მოიცავს ღვინის ბოთლების კოლექციას 16 500 ერთეულის რაოდენობით. ხოლო საინვენტარო წიგნის ნუმერაციის მიხედვით არის 1814 ერთეული.

მუზეუმში დაცული ექსპონატები 9 ფონდის სახით ფუნქციონირებს, რომელთა ექსპონატთა რაოდენობა შეადგენს: ავეჯის – 148, ჭურჭლის – 35, ფერწერის – 176, წიგნების – 174, ფოტოს – 1457, წერილობითი მასალის – 320, ხელნაწერის – 6, ენოთეკის – 16 500, არქეოლოგიური – 54 და ეთნოგრაფიული – 15 ერთეულს [მუზეუმის პასპორტი 2010: 2-3].

§ 2. წინანდლის ბაღი

წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სამუზეუმო კომპლექსის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წინანდლის ბაღი წარმოადგენს, რომელიც თავისი მცენარეული ქსოვილის უდიდესი ესთეტიური მნიშვნელობით, ნატიფი გემოვნებითა და მაღალმხატვრულად გადაწყვეტილი არქიტექტურულ-დეკორაციული აღნაგობით ოაზისს ქმნის [მეგუთნიშვილი 2006: 30].

წინანდლის ბაღის შესახებ შემორჩენილი ისტორიული წყაროები საშუალებას გვაძლევს მისი განვითარება დინამიკაში განვიხილოთ და თვალი გავადევნოთ

დროთა განმავლობაში ბაღში მიმდინარე არქიტექტურულ-დაგეგმარებით და კომპოზიციურ-დეკორატიულ ცვლილებებს.

წინანდლის ბაღის წარმოშობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები მკლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო სახელმწიფო არქივში დაცული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ბაღის დაარსების ისტორია გარსევან ჭავჭავაძის კარ-მიდამოს დაფუძნებას უკავშირდება. ისტორიულ დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ ერეკლე მეორემ გარსევან ჭავჭავაძეს უბოძა ეს ადგილი, როგორც "დიდად ერთგულსა და ჩვენს წინ მრავალ ალაგს სახელოვნად გამოჩენილსა და თავდადებით დიდად ნამსახურსა და ერთგულს... და ჩვენი კარის ეშიკაღაბაშს"... [სცსსა, ფ. 229, საქ. II, ფურც. I, სცსსა, 227, საქ.596, ფურც.1-2.].

მე-18 საუკუნის შუა ხანებში გარსევან ჭავჭავაძის მიერ მდინარე კისისხევის მხარეს შემაღლებულ ადგილზე აშენებულ სასახლეს (დღევანდელი სახლ-მუზეუმის შენობა) და კარის ეკლესიას (ამჟამად მხოლოდ აღმოსავლეთის მხარის ფასადია შემორჩენილი) გარშემო ხეხილის ბაღი, ვაზის ხეივნები, სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეებისა და ყვავილნარის სკვერები ერტყა. იმ დროისათვის, მდ. კისისხევი ჭავჭავაძეთა კარ-მიდამოს რამდენიმე ასეული მეტრით იყო დაშორებული და მას დამრეცი კალთებით ესაზღვრებოდა. თვითონ მდინარესაც არ ჰქონდა განიერი კალაპოტი. თელავიდან გზა პირდაპირ სასახლემდე, მისი დასავლეთით მდებარე ფერდობებიდან ამოდიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ წერილობით წყაროებში ჭავჭავაძეების ბაღი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან იხსენიება, ვ. მირზაშვილს ამ საკითხზე განსხვავებული, საპირისპირო შეხედულება აქვს. იგი აღნიშნავს, რომ "ეს ადგილი, ისევე როგორც ნაფარეული და მუკუზანი, ძველად ეკუთვნოდა დავით ჭავჭავაძეს, რომელიც ცხოვრობდა იქვე..., მაგრამ თვით დღევანდელი ბაღის ადგილი სრულიად დაუმუშავებელი იყო, წარმოადგენდა დაყამირებულ მინდორს, რომელზედაც აქა-იქ გაფანტულად იდგნენ მუხის, ცაცხვისა და რცხილის ხეები და ზოგიერთი ადგილობრივი ჯაგნარები"... [მირზაშვილი 1934: 22].

ვ. მირზაშვილის მოსაზრებას იზიარებს ო. კვარაცხელიაც, რომლის მიხედვითაც, ერეკლე მეფის მიერ გარსევან ჭავჭავაძისადმი ბოძებული მამული

ტყით იყო დაფარული, სადაც შემდგომ, ალექსანდრე ჭავჭავაძემ ბაღი გააშენა [კვარაცხელია 1969: 41].

მრავლად არსებულ წყაროებს თუ დავეყრდნობით, ალ. ჭავჭავაძეს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში წინანდალში საკმაოდ კეთილმოწყობილი მამისეული კარმიდამო და შესანიშნავი დეკორატიული ბაღი ჰქონდა, რომელიც ცნობილი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც [მეგუთნიშვილი 2006: 31]. იგი დიდი რაოდენობის დროსა და ფინანსებს ხარჯავდა მეურნეობის უკეთ მოსაწყობად. მამულებში შემოგარენის ხე-მცენარეებითა და ყვავილებით შევსებამ ბაღი საგრძნობლად გააფართოვა, რომელსაც იმ პერიოდისათვის 18 ჰექტარი ეკავა [ბოგველიშვილი 1997: 57].

ცნობილია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ძალზედ განათლებული პიროვნება იყო. პეტერბურგში მეფეთა კარზე აღზრდილს, უცხო ენების მცოდნეს, ევროპაში ნამყოფს, მუსიკისა და ხელოვნების მოყვარულ პოეტს თავისი მამული გემოვნებით ექნებოდა გაშენებული. იგი შესანიშნავი მეურნე და საქართველოს ფლორის საუკეთესო მცოდნე იყო. მარტო მის ერთ ლექსში - "ანბანზე სით მოხვალ" - პოეტს 70-ზე მეტი ხე და ბუჩქი აქვს მოხსენებული [ხმალაძე 1960: 15].

წინანდლის ბაღი ცოცხალი მუზეუმია, რომელიც თავისი მხატვრული შინაარსით რელიეფის, სიმწვანისა და არქიტექტურის ჰარმონიულ კავშირსა და მხატვრულ-ანსამბლურ მთლიანობაშია გამოხატული. იგი პეიზაჟური კომპოზიციის იშვიათი ნიმუშია, სადაც კომპოზიციურ-სივრცობრივი ამოცანები პერსპექტივის, ფერების, კოლორიტისა და კონტრასტების ურთიერთშეპირისპირებითა და წონასწორობით არის გადაჭრილი [ხმალაძე 1975: 92].

ბაღის დეკორატიული მხარე, არქიტექტურა, როგორც ფართობის, ისე ვერტიკალური სივრცის აღნაგობით, მაქსიმალური შესაძლებლობით იყო გამოყენებული. ჯიშების შერჩევა, აქ საუცხოოდ იყო დაძლეული არა მარტო მათი გარეგანი შეხედულების მიხედვით, არამედ სისტემატური მიდგომითაც, მათი ფერის, საერთო ჰაბიტუსის, სიმაღლეების, ვარჯების განვითარების თვისების, ფოთლიანი და წიწვიანი ჯიშების შერჩევის, მარადმწვანე და ფოთოლმცვენი სახეობათა განლაგების, დეკორატიულ სწორტანიან თუ ხვიარა ბუჩქების მიხედვით შექმნილი კომბინაცია და მათი შეხამება ზედმიწევნით საინტერესო იყო. გზების, ბილიკების, ხვეულებისა

და ყვავილნარების განლაგება ისე ოსტატურად იყო შერჩეული, რომ შედარებით მცირე ბაღი გრანდიოზული სანახაობის შთაბეჭდილებას ახდენდა. ხვეულ ბილიკებზე ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სანახაობა იცვლებოდა, ხშირად ჩრდილნარს ნათელი, მზიანი გაზონები ცვლიდა. ყოველ მოსახვევში ლანდშაფტთა ნაირსახეობით ახალი დეკორატიული პერსპექტივა იშლებოდა, რაც ხედვის წერტილიდან მოშორებით, საგანთა მზერით ცვლილებებს გულისხმობს და მნახველთა შორის ოპტიკურ ცდომილებას იწვევს. ეს მიღწეული იყო სწორედ იმით, რომ ყოველ მცირე კუთხეში, ყოველ ადგილას, ცოდნით იყო შესრულებული თვალიდან მოფარებული პერსპექტივის დანიღაბება, გულდასმით იყო შერჩეული ყველა კონტრასტი და ყოველი მოხერხებული ადგილიდან სრულიად მოულოდნელად თვალწინ იშლებოდა არა მარტო ბაღის, არამედ დაშორებული, თვალუწვდენელი მიდამოების (ალაზნის ველი, კავკასიონის ქედის კალტები, ცივგომბორის მთები) ღრმა და ეფექტური სილამაზე. დიდი თავისუფალი გაზონები, გამჭვირვალე და მუქი მასივები აძლიერებდნენ როგორც ჰაეროვან, ასევე ხაზობრივი პერსპექტივის ეფექტებს [მირზაშვილი 1934: 170].

წინანდლის ბაღის დაგეგმარების სივრცობრივ-მოცულობით გადაწყვეტაში მთავარი – მნახველთა მოძრაობის ორგანიზაცია – ისეა გადაჭრილი, რომ მისი ღირსშესანიშნაობა ყველასათვის შესამჩნევია. მნახველთა მოძრაობისას შთაბეჭდილება კი არ სუსტდება, არამედ ძლიერდება. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია კონტრასტებისა და ჰარმონიის უფაქიზესი ნიუანსები, რითაც ბაღში შექმნილია უდიდესი მხატვრული ეფექტი. ბაღის ირგვლივი გზის (რომლის სიგრძე 2 კილომეტრს აღემატება) დაგეგმარებით გათვალისწინებულია პეიზაჟის განუწყვეტელი და თანმიმდევრული აგება, რაც მნახველში ინტერესთა ზრდას იწვევს, რის გამოც ემოციური აღქმის სიმახვილე არ სუსტდება [კვარაცხელია 1969: 42].

ჭავჭავაძეთა ედემის ბაღად წოდებული კარ-მიდამოს დაქცევა 1854 წლიდან დაიწყო, როდესაც შამილის ლეკთა მეომრები წინანდალს თავს დაესხნენ, დავით ჭავჭავაძის ოჯახი მძევლად გაიტაცეს, ხოლო სასახლე და ბაღი გადაწვეს და განადგურების პირამდე მიიყვანეს, რამაც მისი პირვანდელი სახით აღდგენა შეუძლებელი გახადა. ამას თან დაერთო 1865 წელს მდ. კისისხევის უდიდესი

ღვარცოფი, რომელმაც თეთრანის ხევიდან დაწყებული, მთლიანად მოანგრია მისი მარჯვენა მხარის ფერდობები, წალეკა ათობით ჰექტარი მიწის სავარგული და ჭავჭავაძეთა კარ-მიდამოს დასავლეთი ნაწილი კლდეებად აქცია. ამ მოვლენის შედეგად კარის ეკლესიის დღემდე შემორჩენილი ნანგრევები გვევლინება.

გრიგოლ ორბელიანის მიერ ბაბალე საგინაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში, წინანდლის ჭავჭავაძისეული კარმიდამოს შესახებ ვკითხულობთ: «ხვალ მივდივარ ყვარლისაკენ და უფრო იქით ლინიის სანახავად. წინანდალში აღარავინ არის, რომ გავსულიყავ: დაობლდა ის მშვენიერი ადგილი, სადაცა სიყმაწვილე ჩემი მიდიოდა უზრუნველად, დაუდევნელობით: სადაც ერთხელ შენც გიპოვეთ ბუჩქში შვინდით შეღებილი. დაყრუვდა ყოველივე იგი არე სამოთხის მსგავსი» [ბალახაშვილი 1967: 73-74].

დროთა განმავლობაში დეკორატიული ბაღის ლანდშაფტმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. 1886 წლამდე, სანამ მას საუფლისწულო მამულების დეპარტამენტი შეიძენდა, მისი ტერიტორია მხოლოდ ახლანდელი სახლ-მუზეუმის დასავლეთის მხარეს შეადგენდა. სასახლის მიმდებარე აღმოსავლეთის მხარე სოფლის ცენტრალური გზიდან დაწყებული, მუხიანის ტყემდე, სხვა ჭავჭავაძეთა და გლეხების საკუთრება იყო. საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა აღნიშნული ნაკვეთები მათგან შეიძინა, გაამასივა იგი და ქვის მაღალი გალავნით შემოღობა, რომელიც დღესაც პირვანდელი სახით არის შემორჩენილი [მეგუთნიშვილი 2006: 32].

ალ. ჭავჭავაძის დეკორატიული ბაღის დღევანდელ სახეს საფუძველი 1886 წლიდან ჩაეყარა, როცა ალ. ჭავჭავაძის მამული საუფლისწულო მამულად გადაკეთდა და მისი მმართველობა "დარბაზბატონმა" პავლე ბაგოუტმა ჩაიბარა [ხმალაძე 1975: 84]. 1887 წლიდან გადაწყდა მისი რეკონსტრუქცია, რომელიც სასწრაფოდ უნდა შესრულებულიყო, რადგან 1888 წელს წინანდალს რუსეთის იმპერატორი, ალექსანდრე მესამე ოჯახითა და ამალით უნდა სწვეოდა [მეგუთნიშვილი 2006: 32]. საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის დავალებით, ადგილმდებარეობის გასაცნობად, ბაღის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად, 1887 წელს მოიწვიეს ევროპაში იმ დროს საკმაოდ ცნობილი დეკორატორი, ფრანგი პეიზაჟისტ-არქიტექტორი არნოლდ რეგელი (1846-1917). იგი

ორჯერ ჩამოვიდა წინანდალში და სწორედ მისი პროექტით არის მოწყობილი დღევანდელი ბაღი.

ა. რეგელმა ორი პროექტი შეადგინა: ერთი მხატვრული, ხოლო მეორე – ადგილმდებარეობასთან და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით შესრულებული; მან თითოეული პროექტისათვის დენდროლოგიური პროექტი, ხარჯთაღრიცხვისა და მცენარეთა სიები შეადგინა. ამასთანავე, შეკრიბა ცნობები კავკასიაში, ყირიმსა და ოდესაში წინანდლისათვის საჭირო მცენარეების შესახებ. ხარჯთაღრიცხვა ორ განყოფილებას შეიცავდა: მიწის სამუშაოები და დარგვა. მცენარეების შესაძენად და დასარგავად გათვალისწინებული იყო 7416 მან. 70 კაპ., ხოლო გზებისა და ბილიკების მოსაწყობად – 7080 მან. და სხვ.

ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად შედგენილი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ა. რეგელმა დასამტკიცებლად საუფლისწულო მამულების დეპარტამენტში წარადგინა, რომელიც დამტკიცებულ იქნა. შემუშავდა მამულის ახლებურად რეკონსტრუქცია-განაშენიანების გენერალური გეგმა. ახალი გეგმის თანახმად, ბაღის ტერიტორიას მთლიანი რეკონსტრუქცია გაუკეთდა.

1889 წელს ა. რეგელის მიერ შემუშავებული პროექტითა და ახალგაზრდა გერმანელი დეკორატორის – ბრენერის ხელმძღვანელობით ბაღის მშენებლობა დაიწყო. მცენარეები თბილისიდან ფურგონებით, გომბორის უღელტეხილით იგზავნებოდა. ეგზოტიკური ხე-მცენარეების ნერგები ძირითადად სოხუმის, ოდესის (როტე), პეტერბურგის (რეგელი და კესელრინგი), როსტოვის, რიგის (ვაგნერი), იალტის (ნიკიტის ბაღი), გერმანიისა და სხვა სანერგეებიდან იყო გამოწერილი. მარადმწვანე მცენარეები შეფუთული იყო მავთულბადის კალათებში და თავის გუნდა მიწიანად ირგვებოდა [ხმალაძე 1975: 85-89].

1889-90 წლებში დამთავრდა გზების, ბილიკებისა და მოედნების გაკეთება. ამავე პერიოდში მოეწყო პერგოლა და ბოგირები. ბაღის მშენებლობაზე ყოველდღიურად 100-მდე მუშა და მუშაობდა.

დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა ბაღის სარწყავი სისტემის მოსაწყობად და მდინარე კისისხევის მხრიდან წყალდიდობებისაგან დამცავი ჯებირების ასაშენებლად [მეგუთნიშვილი 2006: 33].

ა. რეგელის დამსახურებით ალ. ჭავჭავაძის ბაღის მცენარეებიდან შემოინახა გაზონების თარგები, ძველი გოლიათური ცაცხვი, მუხა, კაკლის ხე, ბზები, იასამნები და სხვ. გადმოცემის თანახმად, ამ დიდი ცაცხვის ჩრდილქვეშ უყვარდათ დასვენება ალექსანდრე გრიბოედოვსა და ნინო ჭავჭავაძეს. ცაცხვის მახლობლად ჭავჭავაძეების კარის ეკლესია დგას. სწორედ ამ ტაძარში დასწრებიან წირვას ნინო ჭავჭავაძე და ალექსანდრე გრიბოედოვი. ეკლესია ბაღის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად, ტაძრის ნანგრევებიღაა დარჩენილი) [კვარაცხელია 1969: 41].

წინანდლის მამულში დეკორატიული ბაღის გაშენების გამო, მეფის მამულების მმართველები ისე ავიწროვებდნენ მეზობლად მცხოვრებ თავადებსა და გლეხებს, რომ მათ სახლებთან მისასვლელი გზა აღარ რჩებოდათ. ამის გამო, მიუხედავად გლეხების წინააღმდეგობისა, იძულებით თუ ნებაყოფლობითი შესყიდვის საშუალებით, მათ თავისი მიწები ჩამოართვეს და გადაასახლეს [ხმალაძე 1975: 84-85].

ბაღის გაშენების პარალელურად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ალ. ჭავჭავაძისეული ღვინის სარდაფების რესტავრაცია [მეგუთნიშვილი 2006: 33].

ბაღი ძირითადად გაშენებული იყო, როდესაც 3 წლის მუშაობის შემდეგ – 1891 წლის 1 ოქტომბერს, ახალგაზრდა დეკორატორი ბრენერი გაათავისუფლეს, რომელიც თითქოს სუსტად ახორციელებდა ა. რეგელის პროექტს. მის ადგილზე იმავე წლის 15 ოქტომბერს დანიშნეს თბილისის საბაღოსნო სკოლის გამოცდილი დეკორატორი ვ. ტურჩინსკი (1891-1894), რომელსაც ა. რეგელის პროექტის დასრულება დაევალა [კვარაცხელია 1969: 41].

1894 წლის 13 მარტს, დეპარტამენტის დავალებით წინანდალში ჩამოვიდა ლივადიის პარკის დეკორატორი, მეფის მამულების დეკორატიული ბაღების ზედამხედველი კარლო თედორეს ძე ენკე. იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა რეგელის მიერ ჩატარებულ სამუშაოებზე და ბევრი ცვლილება შეუტანია მცენარეთა გადაადგილებისა და კეთილმოწყობის საქმეში. მას მცენარეების შესაძენად დამატებითი თანხები მოუთხოვია.

1894 წლის 21 დეკემბრიდან ბაღის დეკორატორად ს. ბლომაზდინი (1894-1897) დანიშნეს, რომელსაც წერილობით დავალებებს ენკე აძლევდა (სანერგის მოწყობის, ზამთარში მის მიერ მითითებულ ადგილებში დარგვაზე, შემოდგომით ვისტარიის,

ჩაის ვარდის, ლა ფრანსეს, მარშალ ნილის, სუვენირ დელა მალმეზონისა და სხვათა დაკალმებით გამრავლებაზე, ტყიდან საძირე ასკილის დამზადებასა და სხვ.).

ენკე რამდენიმეჯერ ყოფილა წინანდალში და მებაღეებისა და რეგელის ნამუშევარს მუდამ წუნს დებდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი სამეფო პარკების ზედამხედველად ითვლებოდა, კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ ენკეს აზრი რეგელის მიმართ არ შეესაბამებოდა სიმართლეს, მისი ზედამხედველობა არ იყო სასარგებლო, ხოლო მის მიერ რეკომენდირებული მებაღე - ს. ბლომაზდინი ბაღისათვის შეუფერებელი იყო [ხმალაძე 1975: 89-91].

წინანდლის ბაღში სხვადასხვა დროს მებაღეებად მუშაობდნენ ნ. ლისცოვი (1897-1907), ა. ნადვორნიკოვი (1907-1912), პ. გრინჩერი (1912-1915) და გ. პაშჩენკო (1916-1930).

ბაღის მშენებლობაში ადგილობრივი მუშების გარდა, აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ასობით მუშა იყო დასაქმებული [ხმალაძე 1975: 91].

მიუხედავად იმ დროისათვის მშენებლობის დაბალი ტექნიკისა და მატერიალური უზრუნველყოფის პრობლემებისა, ამ საქმიანობაში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშების უდიდესი ენერგია და მონდომება ჩაიდო. შედეგად, შეიქმნა მონუმენტური ღვინის სარდაფი, სასახლე, ზვრები, იშვიათი სილამაზის აყვავებული ბაღი. ეს ყველაფერი ერთობლიობაში წარმოადგენდა მაღალმხატვრულ სამუზეუმო კომპლექსს, რომელშიც ხორცშესხმული იყო საუკეთესო ქართველი, რუსი და უცხოელი მეღვინეების, არქიტექტორების, პარკმშენებლების თუ სხვა სპეციალისტების შემოქმედებითი გენია [მეგუთნიშვილი 2006: 33].

დაგეგმარების თვალსაზრისით, წინანდლის ბაღში გამოიყოფა სამი ძირითადი სივრცობრივ-მოცულობითი ცენტრი, რომლებიც ერთმანეთთან ჰარმონიულად არის დაკავშირებული. აღნიშნული ცენტრები ორიენტირებულია ბაღის მთავარ არქიტექტურულ ნაგებობათა მიმართ.

ბაღში აკლიმატიზაცია-ნატურალიზაცია გავლილი ჰქონდა უცხო და ძალზედ საინტერესო მერქნიანი ჯიშების 400-მდე სახეობას (ჩრ. ამერიკა, ჩინეთი, იაპონია, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები), აქედან, 150-ზე მეტი ეგზოტიკური წარმოშობისა იყო [ხმალაძე 1975: 56].

დეკორატიული მცენარეებიდან უხვად იყო წარმოდგენილი სუბტროპიკული ხილი: იაპონური ზღმარტლი, ტკბილი ჰოვენია, იაპონური კომში, ზეთისხილი, იაპონური ხურმა; სართავები: ქაღალდის ხე, დრაცენა, იუკა, ახალი ზელანდიის სელი; მთრიმლავი მცენარეები: შინდი, წაბლი; წიწვოვანი ჯიშები, მუხები და სხვა; სამკურნალო მცენარეები: წვავი, ხეჭრელი, ხეშავი; ტექნიკური: ბამბუკი, კორპის მუხა, დაფნა; კეთილშობილები: ქაფურის ხე, ცხენისწაბლა; სურნელები: თუია, ვარდი და მრავალი სხვა [ხმალაძე 1975: 92]. ეს მცენარეები წლის ყოველ დროს ფერთა იშვიათ ნიუანსებს იძლევიან [მეგუთნიშვილი 2006: 34].

ვაზის მრავალი ფანჩატური და ტალავერი, რომლებზედაც ძირითადად ყურძნის სამამულო ჯიშები იყო გაშვებული, ბაღის ლანდშაფტს თავისებურ ელფერს მატებდა. ბაღის ტერიტორიას ხეხილის შესანიშნავი ბაღები და ვარდნარები ესაზღვრებოდა.

წინანდლის ბაღის მთავარი შესასვლელი მის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე მდებარეობდა. აღნიშნული შესასვლელი ქართული აგურით ნაშენ მაღალსა და შესასვლელის განიერ ჭიშკარს ჩუქურთმებიანი ლამაზი თაღი ამშვენებდა. ბაღის ჭიშკრამდე მიმავალ ფართო გზაზე მჭიდროდ იყო დარგული უზარმაზარი პირამიდული კვიპაროსების ხეივანი, რომელიც მთავარი საავტომობილო მაგისტრალიდან იწყებოდა. ბაღამდე მისასვლელი გზა დღესაც ამ სახით არის შენარჩუნებული.

ჩრდილოეთის მხრიდან ახალი ბაღი და ფართო საავტომობილო სადგომი მოეწყო. ავტომაგისტრალიდან ბაღის მთავარი შესასვლელის მიმართულებით გადაკეთდა საავტომობილო გზა [გიორგბერიძე 1985: 38].

ბაღის შესასვლელი ნაწილი დიდი ღია სივრცის სახით არის გადაწყვეტილი, საიდანაც თვალწარმტაცი და ულამაზესი ბუნება იშლება. ამ პარტერულ ნაწილში მცენარეთა სიმეტრიული განლაგება და მის ცენტრში მრგვალი ფორმის შადრევნის არსებობა მას გარკვეულ რეგულარობას ანიჭებს. მთლიანი კომპოზიცია სასახლის ჩრდილო ფასადის მიმართ არის ორიენტირებული. პარტერიდან ბაღის მთავარი გზები ძირითადად ხუთი მიმართულებით გადის, რომლებიც აღნიშნულ ადგილს ბაღის დანარჩენ უბნებთან აკავშირებენ. მთავარ გზას, დასავლეთით ეკლესიასთან

მდებარე სახლსა[11] და ღვინის სარდაფთან მისასვლელს, მეორე განიერი გზა გამოეყოფოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძისეული ღვინის სარდაფი მთლიანად მიწაშია გაშენებული, აქვე იყო საკასრე სახელოსნო და მარანი უზარმაზარი ქვევრებით[12]. პარტერის ტერიტორიაზე შეტანილია აგრეთვე ყვავილოვანი გაფორმების ელემენტები, რომლებიც ღია მწვანე გაზონთან ერთად ხელს უწყობს მისი სივრცობრიობის გაზრდას. მერქნიან მცენარეთა ასორტიმენტი ბაღის ამ ნაწილში მრავალფეროვანი იყო. აქ აგრეთვე შეხვდებოდით სუბტროპიკული ფლორის წარმომადგენლებს, რომლებიც შესანიშნავად იყვნენ აკლიმატიზებულნი.

ლანდშაფტური ორგანიზაციის თვალსაზრისით, საინტერესო იყო პარტერული ნაწილის აღმოსავლეთის მხარეს მდებარე გეომეტრიულ სტილში გადაწყვეტილი როზარიუმი, აქცენტირებული სვეტისებური ფორმის უთხოვრების შესანიშნავი ნარგაობით. საინტერესოა გასხლული ბზებით ფორმირებული ვარდნარის თარგი, რომლის კომპოზიცია კარგად აღიქმება სასახლის შენობის წინა მოედნიდან.

აღნიშნული არქიტექტურულ-კომპოზიციური ცენტრი ჩამოყალიბებულია ძირითადი სამი დიდი თარგისაგან, რომლებიც გარშემოვლებულია აგრეთვე შემოვლითი გზით. კომპოზიციის სივრცობრივი გადაწყვეტა თავისუფალი მოლისა და მერქნიან მცენარეთა სხვადასხვა სიდიდის ჯგუფების შერწყმას ემყარება, რომლებიც საპარკო გზების სხვადასხვა წერტილებიდან კარგად იკითხება. სივრცის მთლიანობაში ჩამოყალიბებას ხელს უწყობს აგრეთვე ბაღის საზღვრის გასწვრივ მოწყობილი მჭიდრო მარადმწვანე ნარგაობანი. ისინი ბაღის ამ უბანს ერთიან ფონს უქმნიან და ნარგაობათა საერთო ანსამბლს ამთლიანებენ.

გარდა ცალკეული მცენარეული ჯგუფებისა, თარგების ღია ნაწილებში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მხატვრულად ღირსშესანიშნავი ერთეული მცენარეები.

დასავლეთით ბაღის ტერიტორია მდინარე კისისხევს ემიჯნება, რომელსაც დღევანდელთან შედარებით დაბალი ფლატე საზღვრავდა. გადმოცემის თანახმად, ძველად, ეს ხევი ძალზედ ვიწრო ყოფილა. ამას მოწმობს ხევისპირას არსებული

[11] ეს სახლი გარსევან ჭავჭავაძისეული იყო, იგი 1963 წელს დაანგრიეს და ამ ისტორიული ადგილისათვის სასტუმრო შენობა ააგეს.

[12] საუფლისწულო მამულმა 1888 წელს 20-ზე მეტი 6-8 საპალნიანი ქვევრები გაყიდა, ერთი 9-საპალნიანი ქვევრი კი ადგილზევე ჩაიმტვრა.

ჭავჭავაძეების კარის ეკლესიის (ბაზილიკა) ნაშთი-ტრაპეზი, რომელსაც დასავლეთით საკრებულო დარბაზი ჰქონდა შემოსასვლელით, მის წინ კი საკმაოდ მოზრდილი სადღესასწაულო მოედანი იყო. იმ ადგილებში, სადაც დღეს ხევია, ერთ დროს ჭავჭავაძეების შესანიშნავი დეკორატიული ბაღი და ხეხილის ბაღი იყო გაშენებული. ყოველწლიურად, გაზაფხულ-შემოდგომის წყალდიდობისას, მდინარე ნაპირებს ანგრევდა და უკვე მე-20 საუკუნის 70-იანი წლებისათვის ხევის სიგანე 1 კილომეტრი და სიგრძე 9-10 კილომეტრი იყო. კარის ეკლესიასთან ერთად, 1865 წელს ჭავჭავაძეების ბაღის დიდი ნაწილიც ჩაინგრა.

წინანდლის ბაღის დასავლეთის ნაწილი გამორჩეულ არქიტექტურულ-კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენდა. ცენტრალურ არქიტექტურულ ნაგებობას აქ ღვინის ქარხნის შენობა წარმოადგენს, რომლის ჩრდილოეთის ფასადი აღმოსავლურ სტილშია შესრულებული [ხმალაძე 1975: 17-18]. ისტორიული ღვინის ქარხანა ალ. ჭავჭავაძის მიერ 1835 წელს აგებული ღვინის სარდაფების ბაზაზე, 1886-1887 წლებში, საუფლისწულო დეპარტამენტის დავალებით აშენდა. იმ ხანებში ეს იყო რუსეთის იმპერიაში უდიდესი ღვინის სარდაფი. ღვინის სარდაფი 150 ათას ვედროიანი ტევადობის, 2 სართულიანი ნაგებობაა, რომლის ასაგებად პეტერბუტგიდან არქიტექტორი ვ. ნიკოლა მოიწვიეს, მშენებელ-ინჟინერი გ. გერცი, შტერნი. სარდაფს ინჟინერ-არქიტექტორი ა. ოზეროვი აშენებდა. აღნიშნულ ღვინის სარდაფებში ღვინო 1865 წლიდან იწარმოებოდა. ალ. ჭავჭავაძის უნიკალური ენოთეკა, რომელიც ნაწილობრივ დღემდეა შემონახული, სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოსხმულ 70 სახეობის 16 500 ბოთლ ღვინოს შეიცავს; მათ შორის არის 1839 წლის დამზადებული საფერავიც [ჭავჭავაძეების ოჯახი. http://www.nplg.gov.ge/chavchavadze/alexandrechav.html].

საფრანგეთის ელჩი გამბა, რომელიც იმ ხანებში ხშირად სტუმრობდა ჭავჭავაძეების სტუმართმოყვარე ოჯახს, თავის ცნობი "მოგზაურობაში" წერდა: "თავადი ჭავჭავაძე გულმოდგინედ ეწევა მევენახეობასა და ღვინის დამზადებას. ეს არის მისი შემოსავლის უმთავრესი წყარო – კარგი მოსავლის დროს მას მოსდის 30 ათას თუნგ ღვინომდე (ერთი ვედრო უდრის 3 თუნგს) [ბოგველიშვილი 1967: 12].

ღვინის ქარხნის მხრიდან ბაღის ღრმა სივრცობრივ-მოცულობითი კომპოზიცია ფორმირდება. ძირითადი კომპოზიციური ღერძი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით შენობის ღერძის გაგრძელებაზე გადიოდა. აქ გამოყენებული იყო

სივრცის ილუზიურად გაღრმავების ცნობილი მეთოდი, რომელიც უკანა პლანისაგან განსხვავებით, კომპოზიციის დასაწყისში ფლანგების ნარგაობის უფრო მეტი მანძილით დაშორებაში მდგომარეობდა.

კარგად იყო გადაწყვეტილი მცენარეების ფერთა შეხამების საკითხი. კომპოზიციის წინა ნაწილში ჭარბობდა შედარებით ღია შეფერვის მცენარეები, ხოლო უკანა პლანზე წარმოდგენილი იყო მუქი შეფერილობის სახეობები, მაგალითად დიდყვავილა მაგნოლიებისა და კავკასიური სოჭების ჯგუფები.

წინანდლის ბაღის დასავლეთი ნაწილი აერთიანებს მრავალ, შედარებით მცირე ზომის თარგს, რომლებზედაც იზრდებოდა ბაღში წარმოდგენილი მცენარეების თითქმის ნახევარი.

ბაღის ამ ნაწილში იზრდებოდა მრავალი ისტორიული მცენარე, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალტანიანი უძველესი ცაცხვი. გადმოცემის თანახმად, შამილის რაზმების თავდასხმისას მის ფუღუროში დავით ჭავჭავაძის ერთ-ერთი ქალიშვილი დაიმალა [ხმალაძე 1946: 23].

ამ ტერიტორიაზე სამი ორსართულიანი ნაგებობა მდებარეობს. ორი მათგანის ფასადი შენარჩუნებული იყო თავდაპირველი სახით, ხოლო მესამე ნაგებობის ფასადი გადაწყვეტილი იყო ქართულ მოტივებზე და კარგად ეხამებოდა მის გარშემო არსებულ ნარგაობებს. დღესდღეობით აღნიშნული ნაგებობებიდან ორი სასტუმროს შენობებად არის გამოყენებული.

სამხრეთით ბაღს კარ-მიდამოს სახნავი მიწები საზღვრავდა, რის შემდეგაც ჭავჭავაძისეული ტყე (მუხიანი) იწყებოდა, რომელმაც დღემდე მოაღწია [ხმალაძე 1975: 18]. ბაღის სამხრეთი ნაწილის სივრცობრივი კომპოზიცია ატლასის კედრისა და ცხენის წაბლის ჯგუფებით ბოლოვდებოდა. გარდა იმისა, რომ მცენარეთა მოცემული შეხამება ფორმათა მკაფიო გამოსახულებით გამოირჩევა, იგი კოლორიტული შეხამების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში იყო და ქმნიდა შესანიშნავ ფერთა თამაშს არა მარტო ბაღის ამ კონკრეტულ უბანზე, არამედ წინანდლის ბაღის მთლიან ანსამბლში [გიორგბერიძე 1985: 40-41].

აღმოსავლეთით კარ-მიდამოს სოფლის გზა და ღვინის ქარხნის სამეურნეო ეზოები საზღვრავდა, რომლებიც შემდეგ, საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის

საკუთრებაში გადასვლისას, გაუქმდა და უფრო აღმოსავლეთისაკენ გადაიწია [ხმალაძე 1975: 18].

ბაღში არსებული მცენარეულობით დასტურდება, რომ ბაღში მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტა "მიქსტის" სტილზე იყო შესრულებული. ამის დამადასტურებელია 1930-იანი წლების უცნობი მხატვრის აკვარელი "ნადიმი წინანდალში", სადაც კარგად ჩანს ბაღის რეგულარული ლანდშაფტი, ვაზის ხეივნები, ტალავერები, კვიპაროსების მწკრივები, ცაცხვის სიმეტრიული ხეივნები, ბილიკების გასწვრივ ვარდყვავილნარები და შადრევნები, რომელთა დაგეგმარება თანდათანობით გადადიოდა პეიზაჟური ლანდშაფტის თვალწარმტაც ტევრში [მეგუთნიშვილი 2006: 31].

1930 წლიდან ბაღის დეკორატორად მებაღე-დეკორატორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ირაკლი ხმალაძე დაინიშნა. მან წინანდლის დეკორატიული ბაღის დირექტორის თანამდებობაზე 30 წელზე მეტი იმუშავა. მისი დამსახურებაა ბაღისათვის სიცოცხლის შენარჩუნება. მან შეძლო არა მარტო მისი პირვანდელი სახით შენარჩუნება, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი მრავალფეროვანი ეგზოტიკური ხე-მცენარეებით შევსება, დამატებითი სკვერებისა და ყვავილნარის მოწყობა და სხვა, რითაც კიდევ უფრო მიმზიდველი და ზღაპრული გახადა იგი [მეგუთნიშვილი 2006: 35]. ირაკლი ხმალაძის ხელმძღვანელობის წლები ბაღისათვის ოქროს წლები იყო [ბოგველიშვილი 1997: 104].

1934 წლებში ბაღს ჩაუტარდა ინვენტარიზაცია, რომლის თანახმადაც, ბაღში 2025 ხე და 4135 ბუჩქი იყო დარგული. მათში წიწვოვანებსა და მარადმწვანეებს 65 პროცენტი ეკავა [მეგუთნიშვილი 2006: 34].

1956 წლიდან ბაღს აღარ ჰყავდა აგრონომ-დეკორატორი (ი. ხმალაძე წინანდლიდან თბილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ). ბაღის მოუვლელობას თან ერთვოდა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ბაღში წყლის უკიდურესი ნაკლებობა, რამაც ნიადაგის გამოფიტვა, საუკუნოვანი ხეების ხმობა, მოზარდი მცენარეების არანორმალურად განვითარება და მთლიანობაში, ბაღის ლანდშაფტის დაუშნოება და დამახინჯება გამოიწვია. ადრეულ წლებში, ბაღი სარწყავი მილგაყვანილობით იყო დაქსელილი, რისი საშუალებითაც მცენარეულობა საჭირო რაოდენობის წყალს ღებულობდა. შემდგომ წლებში, აღნიშნული მილგაყვანილობა გააუქმეს და ბაღს

წყლის მიღების საშუალება შეუწყვიტეს. ამის მიზეზად ღვინის ქარხნის გაფართოვება და მისთვის ბაღისათვის განკუთვნილი წყლის მარაგის მიკუთვნება მოიაზრებოდა.

ამას თან ერთვოდა დეკორატიული ბაღის ტერიტორიაზე სამხრეთიდან შეჭრილ ღვინის ქარხანასთან სატრანსპორტო და სამრეცხაო განყოფილებებში სატვირთო მანქანების განუწყვეტელი მიმოსვლა. მათი სავალი გზა ბაღის ერთ ნაწილს კვეთდა და მოძრაობის დროს ისინი გზის მხარეს დეკორატიულ ნარგავებს აფუჭებდნენ, ბაღს ამტვერიანებდნენ და ატალახიანებდნენ. აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალი შესასვლელი კარის სამხრეთით გადატანა იყო, რითაც სატრანსპორტო და სამრეცხაო განყოფილებებთან დამაკავშირებელი გზის მდებარეობაც შეიცვლებოდა. ასეთ შემთხვევაში, დეკორატიული ბაღის ეს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე დაზიანებისა და ღვინის ქარხნის ჭუჭყისაგან იქნებოდა დაცული.

არანაკლებ პრობლემატური ბაღში რამდენიმე საცხოვრებელი შენობის არსებობა იყო, რომლებშიც ღვინის ქარხნისა და საბჭოთა მეურნეობის თანამშრომლები ცხოვრობდნენ. მათ შინაური ფრინველები, პირუტყვი ჰყავდათ და არ ჰქონდათ საკუთარი ეზო. ისინი ბაღის ტერიტორიით სარგებლობდნენ, რაც ბაღს ზიანს აყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე წლების მანძილზე საუბრობდნენ, იგი მაინც გადაუჭრელი რჩებოდა.

ბაღის მეორე ინვენტარიზაცია 1977-78 წლებში ჩატარდა, რომლის შედეგად ბაღში აღდგენითი სამუშაოების ნაწილობრივი ჩატარება და ჩრდილოეთის მხრიდან მიწების მიმატება გადაწყდა.

1987 წლის 20 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ წინანდლის ბაღი ლანდშაფტური არქიტექტურის ეროვნული ძეგლების სიაში შეიტანა.

1987-1990-იან წლებში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლანდშაფტური არქიტექტურის სახელოსნოში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს შეკვეთით ალექსანდრე ჭავჭავაძისეული ბაღის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროექტი შემუშავდა. პროექტის მთავარი ამოცანა ჭავჭავაძეების ბაღის გადარჩენა, დაცვა და გამოყენება იყო. აღნიშნული პროექტი ორ ეტაპად შემუშავდა. დაპროექტების პირველი ეტაპი კომპლექსური საკვლევ-საძიებო სამუშაოების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას

მოიცავდა. სამუშაო სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად შესრულდა, რის შედეგადაც აღირიცხა 300-მდე სახეობის 5000-ზე მეტი მცენარე. შედგა მათი პასპორტები სათანადო მახასიათებლებით, გაანალიზდა ნიადაგები, გამოკვლეული იქნა მცენარეთა დაავადებანი. ამასთან, დასახულ იქნა ბაღის მოვლის მთელი რიგი ღონისძიებანი (სანიტარული წმენდა, საპარკო კომპოზიციების განახლება, ნიადაგების გაფხვიერება, დაავადებებთან ბრძოლა, სარწყავი წყლით უზრუნველყოფა და სხვა). მცენარეთა ზედმეტად დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, შესწავლილ იქნა სავალი გზების ასფალტის საფარისა და განათების ქსელის განლაგება.

აღნიშნული პერიოდისათვის, კისისხევის სტიქიური ზემოქმედების შედეგად ბაღს მოკლებული ჰქონდა 6 ჰექტარამდე ტერიტორია. ნგრევაში იყო მოყოლილი ტაძარი, რომელიც დასავლეთის მხიდან საყრდენის ამოყვანას საჭიროებდა. ტერიტორიაზე არსებულმა შენობების რეკონსტრუქციამ მიმდებარე თარგების შეცვლაც გამოიწვია. დაზიანებული იყო აგრეთვე მცირე არქიტექტურული ფორმები – შადრევანი, "სიყვარულის" ხეივანი, ფანჩატური და ბაღისათვის დამახასიათებელი ისეთი ელემენტები, როგორიცაა პარტერი, ბორდიურები, როზეტები, ვარდნარები და სხვა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბაღში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო მისი შემქმნელის – არნოლდ რეგელის პრინციპები – თავისი ზემოქმედებითა და მომხიბვლელობის უნარით.

შესანიშნავად შეთავსებული ბუნებრივი პეიზაჟური და რეგულარული სტილი, აგრეთვე მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რომელიც ძირითადად ინტროდუქცირებული მცენარეებისგან იყო შექმნილი, კარგად იყო შეგუებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს და მათი ურთიერთშეთანხმებული კომბინაციები შემეცნების მდიდარ პალიტრას იძლეოდა. მეორე მხრივ, აქ იშლებოდა დიდი შესაძლებლობა დეკორატიული, სამკურნალო, ტექნიკური და სხვა ღირსების მქონე იშვიათი მცენარეების გამოყვანისა და გამრავალფეროვნებისათვის, რაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო ამ რეგიონისათვის.

ყველა ეს საკითხი დეტალურად იქნა დამუშავებული და დაპროექტების მეორე ეტაპზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამუშაო ნახაზების სახითა და მშენებლობის თანამიმდევრული ორგანიზაციის პროექტი მომსახურე პერსონალთა

საშტატო განრიგით. ასევე დაგეგმილი იყო წინანდლის ბაღის მეგზურის შექმნა, სადაც აისახებოდა ყველა მისი ღირსშესანიშნავი სანახაობა.

ბაღის სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელი იყო მისი ექსპლოატაციის განსაკუთრებული რეჟიმი, კვალიფიციური მოვლა-მომსახურება, რაც სამწუხაროდ არ განხორციელდა [პირველი, რატიანი 1990: 4].

ირაკლი ხმალაძის შემდეგ, ბაღის იერსახის შენარჩუნებასა და მის განვითარებაზე ზრუნავდნენ ციალა ალხაზოვი, თენგიზ სავანელი, თენგიზ და ზურაბ ღუდუმიძეები, შურა ლუარსაბოვი, დათო ბოლქვაძე [მეგუთნიშვილი 2006: 36].

სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში დეკორატიულ ბაღს მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა [ბოგველიშვილი 1957: 4].

წინანდლის ბაღს ზოგიერთი სპეციალისტი ინგლისურ პარკებს ადარებს, როგორიცაა: რიჩმონდის პარკი, პარკი კიუ და სხვა [კვარაცხელია 1969: 41]. თანამედროვენის გადმოცემით, წინანდლის ბაღი მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

1820 წლის 8 ივნისს, წინანდალში ჩამოსული საფრანგეთის ელჩი შევალიე გამბა წერდა: "იქნებოდა დილის რვა საათი, როცა ჩვენ ჭავჭავაძის დიდებულ მამულში მივედით. მასპინძელმა ზომაზე მეტად გულთბილად მიგვიღო. ეზო, რომელიც გარს არტყია სახლს ვრცელია. ბაღი ძალზე ლამაზ ადგილზე, თითქმის 30 დესეტინის სიგრძის ველზეა გაშლილი. თავადის სურვილია აქ ინგლისური ყაიდის ყვავილნარი და ხეხილნარი გააშენოს" [პირველი, რატიანი 1990: 4]. გამბას თავისი გაოცება ვერ დაუმალავს და წინანდლის ბაღს "ნამდვილი სასწაული" უწოდა [ხმალაძე 1960: 14].

წინანდლის ბაღს არნახულ წალკოტად და «ედემის ბაღად» მოიხსენიებდნენ ალ. დიუმა, ლაიოლი, დრანსე, ასტაფიევი და სხვანი.

ალ. დიუმა, რომელიც წინანდლის ბაღს სტუმრობდა, უდიდესი მოწონებით აღნიშნავდა, რომ "წინანდალი ივნისის თვეში ფერიების სასახლე გეგონებოდათ: აქ ერთმანეთში არეულია ყვავილები, ყურძენი, ბროწეული, ლიმონი, ნარინჯი, ცხრატყავა, ვარდები, მცენარე და ხილი ერთდროულად ჰყვავის, იფურჩქნება და

მწიფდება. ჰაერი გაჟღენთილია მრავალი, ერთმანეთში არეული სურნელით, ქალები და ბავშვები ხარბად ეფინებიან ამ დიდ ედემის ბაღს, თითქოს ქალაქის ყვავილები და ხილი შეერიაო სოფლის ყვავილებსა და ხილს" [30].

აღმზრდელი ქალი ანა დრანსე გადმოგვცემს შემდეგს: "კნეინამ ხელი მომკიდა და თავის შესანიშნავ ბაღში შემიძღვა. ვაზის საუცხოო ხეივნებმა, ჟასმინის ფანჩატურმა, საუკეთესო ხეხილმა აღმაფრთოვანა. იმათ რომ მივესიყვარულეთ, გემოვნებით მოწყობილ ყვავილნარში გადავინაცვლეთ. ბავშვივით გახარებული დავრბოდი ვარდებსა, ბროწეულის, ლიმონის, ფორთოხლის ხეებსა და კაპრიფოლიებს შორის. ისინი ჰაერში დამათრობელ სურნელს აფრქვევდნენ. ათასგვარი სიამოვნება გვესახებოდა ამ ჯადოსნურ ბაღში" [დრანსე 2010: 7].

უფრო ადრე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულებს აქ მოწყობილი ჰქონიათ მიწის ნაკვეთები, სადაც საზღვარგარეთიდან შემოტანილ ვარდ-ყვავილების ნერგებს ახარებდნენ, ეგზოტიკურ მცენარეთა თესლებს თესავდნენ. ამის გამო, აღნიშნულ ტერიტორიას სოფელ წინანდალში "სავარდყვავილე"-საც უწოდებენ, რომელსაც, გადმოცემის მიხედვით, თვითონ თავადის ქალიშვილები უვლიდნენ.

წინანდალი ა.ს. გრიბოედოვის უსაყვარლესი ადგილი ყოფილა. რუსეთის სახელოვანი მწერალი წინანდალში დასახლებაზე ოცნებობდა. 1828 წლის 29 ივნისს გრიბოედოვი ლაშქრობიდან პრასკოვია ახვერდოვას სწერდა: "უთხარით ნინოს, (ჭავჭავაძე), რომ ასე არ გაგრძელდება, რომ მალე, არაუგვიანეს 2 წლისა, მე გავხდები განდეგილი წინანდალში" [შადური 1949: 98].

გრიბოედოვის წინანდალში ხშირი სტუმარობის შესახებ ი. ენიკოლოპოვი წერდა, რომ "ნინო ჭავჭავაძის ძმისწულს – თამარ ჭავჭავაძე – გრუზინსკაიას, არაერთხელ გადმოუცია ჩემთვის თავისი მამის დავითის – გრიბოედოვის საყვარელი მეგობრის ნაამბობი: "პოეტი არაერთხელ ყოფილა ჩვენთან წინანდალში, რომელიც მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდაო. ის დიდხანს გაჰყურებდა ალაზანს და ალაზნის ველს, რომელიც ძალიან კარგად სჩანს წინანდლის სახლის აივნიდანო" [ხმალაძე 1975: 32].

§ 3. წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მმართველობითი საქმიანობა

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის საქმიანობის მმართველობით სტრუქტურაში მუდვივად არსებითი ცვლილებები მიმდინარეობდა.

დაარსების დღიდან, მუზეუმი ყოველთვის სახელმწიფო დაქვემდებარებაში იყო, რომელსაც სათავეში ედგა დირექტორი.

მაშინ, როდესაც ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, დეკორატიული ბაღი, ღვინის ქარხანა და მეურნეობა ალ. ჭავჭავაძის შვილების, საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის, საბჭოთა მმართველობის საკუთრებაში იყო, ერთიანი მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და წარმოდგენილი იყო, როგორც ერთიანი ორგანიზმი. მართვის ამგვარი ფორმით, მართალია კონკრეტული მმართველის ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ მაინც საკმაოდ ეფექტურად ხორციელდებოდა კომპლექსის მოვლა-პატრონობის საქმიანობა [მეგუთნიშვილი 2006: 26].

მმართველობითი საქმიანობა ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც აღნიშნულ კომპლექსს გამოეყო მეურნეობა და ღვინის ქარხნები, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციები. მუზეუმი საქართველოს კულტურის სამინისტროს ეკუთვნოდა, ხოლო დეკორატიული ბაღი – სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს. შედეგად, აღარ არსებობდა ერთიანი მართვის სისტემა, რაც ერთიანი კომპლექსის ეფექტურად მართვას შეუძლებელს ხდიდა [მეგუთნიშვილი 2006: 26].

აღნიშნულ პერიოდში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები ჭავჭავაძისეული სასახლის პირვანდელი სახით აღდგენას კი არა, მაშინდელი ხელისუფლების ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა - სასახლე ხან სასტუმროდ იყო გამოყენებული, ხან კი ადმინისტრაციულ შენობად [მეგუთნიშვილი 2006: 55].

მიუხედავად ამისა, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებით, მუზეუმს ყოველწლიურად 50 000 ათას კაცზე მეტი სტუმრობდა [Алавидзе 1978: 4].

მე-20 საუკუნის ბოლო წლებში, სახლ-მუზეუმი და დეკორატიული ბაღი კვლავ ერთიანი სისტემის ქვეშ მოექცა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. აღნიშნულ პერიოდში, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებისა, მუზეუმმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ მუზეუმის ქონება გადაერჩინა და არ შეეწყვიტა არსებობა, რაზეც მუზეუმის ოცზე

მეტი თანამშრომელი ზრუნავდა. ამ პერიოდშიც კი მუზეუმი სოფლის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მოქმედი კერა იყო.

აღნიშნულ პერიოდში მუზეუმს მდიდარი სამუზეუმო ფონდი ჰქონდა, რომელიც სულ უფრო იზრდებოდა და მდიდრდებოდა ახლად აღმოჩენილი ექსპონატებით [ბოგველიშვილი 1997: 107-108].

2005 წლის 26 ნოემბერს, "ალექსანდრეობის" ზეიმის დღეს წინანდლის ბაღში საზეიმოდ გაიხსნა მოქანდაკე გივი მიზანდარის მიერ გამოქანდაკებული ალ. ჭავჭავაძის ძეგლი [მეგუთნიშვილი 2006: 108].

2008 წელს, მუზეუმი, იჯარის ხელშეკრულებით "სილკ როუდ ჯგუფს" გადაეცა. საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს ალექსანდრე ჭავჭავაძისეულ ბაღს, მასზე განთავსებულ სასახლეს, ღვინის სარდაფს, ძველი ღვინის ქარხანას და სხვა ისტორიულ ნაგებობებს, ნაგებობათა საცავებში დაცულ უნიკალურ ენოთეკას, მემორიალურ ძეგლებს და სხვა კულტურულ ფასეულობებს - ქართველი ერის ფასდაუდებელ ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა 49 წლით განისაზღვრა. მუზეუმი სახელმწიფო საკუთრებაშია და მასზე სახელმწიფო კონტროლს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

სამუზეუმო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ყველა ნაგებობა სამუზეუმო მენეჯმენტის დაქვემდებარებაშია.

წინანდლის კომპლექსის განახლების გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში შეიცვალა სახლ-მუზეუმის სახურავი, გაიწმინდა და შეკეთდა გარე კედლები და გამოიცვალა ფანჯრები.

ისტორიულ წყაროებსა და ფოტომასალებზე დაყრდნობით, მუზეუმის სამხრეთ ნაწილში სასახლის სასადილო და სასტუმრო ოთახები აღდგა, რომლებიც იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ შეძლებულ, თუმცა ამავე დროს მოკრძალებულ გარემოს სურათს ქმნის, სადაც ჭავჭავაძეების ოჯახი ცხოვრობდა, რაც დამთვალიერებელში საკუთარი სახლის სიმყუდროვის, სახლის ყოფილ მცხოვრებლებთან ერთიანობის შეგრძნებას იწვევს.

მუზეუმის ჩრდილოეთით მდებარე ოთახები დროებით საგამოფენო სივრცეებად გადაკეთდა, სადაც ჭავჭავაძეების ოჯახის მემკვიდრეობაა ექსპონირებული. აქ დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს იმოგზაუროს წარსულ დროში, გაეცნოს ისტორიულ მოვლენებს ჭავჭავაძეების ისტორიული სამოთხის შესახებ, ამოიცნოს სასახლის მცხოვრებთა სამყარო და შეიგრძნოს მათი კეთილდღეობის საფუძველი.

პირველ სართულზე ფონდსაცავები და მცველების ოთახია განთავსებული. აქვე განთავსებულია სუვენირების მაღაზია, სადაც წარმოდგენილია მუზეუმთან და კახეთის რეგიონთან დაკავშირებული სუვენირები. აქ შესაძლებელია ნინო ჭავჭავაძის ხელით ნაქარგი ცხვირსახოცის ასლი, ქართული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის ასლები და სხვა მრავალი.

მაღაზიის გვერდით განთავსებულია კაფე "ალექსანდრე", სადაც შესულ სტუმარს მუზეუმის კვალიფიციური მზარეულის მიერ მომზადებული კერძების დაგემოვნების შესაძლებლობა აქვს. მუზეუმს ხელშეკრულება აქვს დადებული “ლიტერატურული კაფე”-ების ქსელთან, რომელიც ითვალისწინებს კაფის სახასიათო, კეთილმოწყობილი და მყუდრო გარემოთი დამთვალიერებლისათვის მოხერხებული, სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნას და უზრუნველყოფს მუზეუმში მათი ვიზიტის ხანგრძლივობას.

ამავე სართულზეა განთავსებული მარანი ღვინის სადეგუსტაციო ბარის ოთახით, სადაც ქართული ღვინის 20-ზე მეტი სახეობაა წარმოდგენილი და აქ მოსულ სტუმარს მათი დაგემოვნების შესაძლებლობა აქვთ. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ღვინის შეძენაც.

მუზეუმის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წინანდლის დეკორატიული ბაღის განახლება წარმოადგენს, რაც რეგელის სტილის შენარჩუნებასა და მისი თავდაპირველი დაგეგმარების უდიდესი ნაწილის ძალაში დატოვებას გულისხმობს. ბაღში მოწვეულ იქნა გერმანელი დიზაინერი ლუდმილ ტროიცეტელი, რომლის კონცეფციაც ბაღის რესტავრაციის შესახებ საკითხებს მოიცავს. ბაღს ინვენტარიზაცია “სილქ როუდ ჯგუფის” მიერ გაუკეთდა. ამჟამად ბაღი რეაბილიტაციის პროცესშია, იგეგმება ახალი ასპექტებიც, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას შეუწყობს ხელს. ამით ბაღი ერთ-ერთ მნიშვნელოვან და

მიმზიდველ სანახაობად გადაიქცევა, სადაც ერთი მხრივ, მნახველთა დიდი რაოდენობის მიღება გახდება შესაძლებელი, ხოლო მეორე მხრივ, ყოველ მათგანს ელეგანტურ და მშვიდ გარემოში დასვენების შესაძლებლობაც მიეცემა.

სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელდა წინანდლის ღვინის ქარხანასა და მარანში. იმის გათვალისწინებით, რომ ღვინის ქარხნის პირდაპირი ფუნქციით ამუშავება შეუძლებელია, მისი მრავალპროფილიან კულტურულ-სოციალურ ცენტრად ფუნქციონირების თვალსაზრისით კეთილმოეწყო შიდა ინტერიერი. პირველადი სარესტავრაციო სამუშაოების სახით გაიწმინდა იატაკი, გარემონტდა ღვინის მარნის შესასვლელი დარბაზი და იგი ხელმისაწვდომია სხვადასხვა კერძო ხასიათის ღონისძიებების გასამართად. ამასთან ერთად, აქ ხელოვნების დარგის მუშაკებს, მკვლევარებს, გურმანებს, სომელიეებსა თუ უცხოელ ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ ეზიარონ აღმოსავლეთ საქართველოსათვის ტრადიციულად დამახასიათებელ ღვინის დაყენების მეთოდს. დროებითი გამოფენების საშუალებით გაეცნონ ღვინის წარმოების ისტორიას, ღვინის დამზადების ხელოვნებას, საკვებისა და ღვინის კომბინირების პრინციპებს, რაც ლექციებითა და სემინარების საშუალებითაც გაშუქდება; მოინახულონ ღვინის ქარხნისა და მარნის არქიტექტურისა და მისი განახლებისადმი მიძღვნილი მუდმივმოქმედი გამოფენა; ღვინის წარმოებასა და დაგემოვნებაში დაინტერესებულ პირებს მეგზურობას გაუწევს გურმანების რესტორანი, ღვინის საწარმო და ღვინის მაღაზია [ჭავჭავაძეების ოჯახი. http://www.nplg.gov.ge/chavchavadze/tsintoday.html].

მუზეუმის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი სასტუმრო, რომლებიც სილქ როუდ ჯგუფის მიერ იქნა განახლებული. თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით გარემონტებული სასტუმროები ჭავჭავაძეების ოჯახის მამულში სასიამოვნოდ დროის გატარების არაჩვეულებრივ შესაძლებლობას იძლევა.

კომპლექსის ტერიტორიის მოვლა-პატრონობისა და ყველა შენობის რესტავრაციის გეგმის ფარგლებში, სამომავლოდ ტერიტორიაზე არსებული დანარჩენი ორი სასტუმროს რესტავრაციაც იგეგმება.

მუზეუმის ტერიტორიაზე ასევე ფუნქციონირებს განახლებული რესტორანი, რომელიც 60 კაცზეა გათვლილი. მისი გაფორმება სამუზეუმო კომპლექსისათვის

შესატყვის გარემოს ქმნის და სასიამოვნოდ დროის გატარების შესაძლებლობას იძლევა.

მუზეუმს პრაქტიკაში აქვს მის დაქვემდებარებაში არსებული შენობებისა და ბაღის ტერიტორიის გაქირავება ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც მუზეუმის დამოუკიდებელი შემოსავლების კიდევ ერთ წყაროდ იქცა. ბოლო ორი წლის განმავლობაში მუზეუმში პრეზენტაციები, მუსიკალური საღამოები, ოჯახური წვეულებები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები ჩატარდა, რაც საზოგადოების მხრიდან მუზეუმის გარემოს მიმართ უდიდესი ინტერესისა და მიმზიდველობის შედეგია.

მუზეუმში სულ 56 თანამშრომელი მუშაობს. ფუნქციურად 6 თანამშრომელი გადანაწილებულია ადმინისტრაციაში, 26 მათგანი ტექნიკურ პერსონალს წარმოადგენს, ხოლო 24 თანამშრომელი ექსკურსია მძღოლების, მეთვალყურეების, ფონდების მცველისა და მისი თანაშემწის ფუნქციებს ინაწილებენ.

სუბორდინაციული თვალსაზრისით მმართველობითი სტრუქტურის უმაღლეს რგოლს წარმოადგენს წინანდლის პროექტის მენეჯერული ჯგუფი მუზეუმის დირექტორის ჩათვლით. მუზეუმის დირექტორის პოზიციას 2007 წლიდან მაია კოკოჩაშვილი იკავებს[13], რომელიც განსაზღვრავს მუზეუმის საექსპოზიციო, სამეცნიერო-კვლევით პოლიტიკას.

მუზეუმს ჰყავს კურატორი, მოადგილე და თანამშრომლები, რომლებიც სამუზეუმო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს კურირებენ; ისინი ანგარიშვალდებულნი არიან დირექტორის წინაშე და გადაწყვეტილებებს მასთან შეთანხმებით ღებულობენ. მუზეუმის საინფორმაციო გიდები მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს სპეციალურ ტურებს უტარებენ. მუზეუმს აქვს სამუზეუმო ფონდი, რომელიც იმართება ფონდის 1 მცველისა და მისი თანაშემწის მიერ.

მუზეუმის ტექნიკური პერსონალი ვალდებულია მცირე ზომის ტექნიკური გაუმართაობები აღმოფხვრას და აკონტროლოს მუზეუმის შენობის, გამოფენილი ექსპონატებისა და საზოგადო სივრცის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

[13] მანამდე მუზეუმის დირექტორი გახლდათ ედუარდ გეგელიძე.

მუზეუმის დაცვას 24 საათიანი განმავლობაში 31 კაციანი დაცვის სამსახური უზრუნველყოფს, რომლებიც 3 ნაკადში გადანაწილებული 10 კაციან ჯგუფებად იცავენ მუზეუმს.

მუზეუმისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერის ერთი სრული კომპლექტი, ერთი ციფრული ფოტოკამერა, სამი ეკრანი და 2 DVD.

მუზეუმში საგამოფენო საქმიანობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მუზეუმის ექსპონატები საერთაშორისო სამუზეუმო სტანდარტების მიხედვით არის ექსპონირებული. მუზეუმის საერთო საგამოფენო ფართობი 1809 კვ.მ-ია. ამათგან სასახლე მოიცავს 800 კვ.მ-ს, ხოლო ღვინის მარანი – 1009 კვ.მ-ს. დღეისათვის სასახლის უმეტესი ნაწილი ეთმობა მუდმივ ექსპოზიციას, რომელიც ეძღვნება ალექსანდრე ჭავჭავაძესა და მის შთამომავლობას. ღვინის მარნის ზედა სართულის 808 კვ.მ.-ის და სასახლის თაღებიანი გალერეის 200 კვ.მ.-ის საგამოფენო დარბაზები სხვადასხვა ტიპის გამოფენებისა თუ ღონისძიებების მოსაწყობად გამოიყენება.

2009-2011 წლის განმავლობაში მუზეუმმა ორგანიზება გაუკეთა ლევან მეხუზლას (2009 წლის შემოდგომა), ელენე ახვლედიანის (2009 წლის შემოდგომა), სალვადორ დალის (7.04-6.06, 2011), სერგო ქობულაძის (2.10-30.12, 2010), კარლო კაჭარავას (09.11-31.12, 2010), ზაალ სულაკაურის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნახატების (18.05.2010) და ირაკლი ფარჯიანის (19.03-30.04, 2011) ნამუშევართა პერსონალურ გამოფენებს.

მუზეუმი პერიოდულად ახალ ექსპონატებს შეიძენს, რომელთაც მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში განათავსებს. ბოლო წლებში, მუზეუმმა სოფლის მოსახლეობიდან შეიძინა ჭავჭავაძის ბეჭედი, ჭავჭავაძეების ეპოქისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა.

2010 წლის პირველი 8 თვის მონაცემებით მუზეუმს სულ 36 158 დამთვალიერებელი სტუმრობდა, აქედან 33 321 ადგილობრივი 2 837 უცხოელები დამთვალიერებელი იყო. დამთვალიერებელთა 50%-ს უფროსები წარმოადგენდნენ (18 099), 36.6%-ს ბავშვები (13 244), 5%-ს სტუდენტები (1792), 0.01%-ს მკვლევარები (5), ხოლო 8.4%-ს სხვადასხვა ტიპის ვიზიტორი (3018).

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა 1987 წლიდან ლიტერატურული სალონი აღადგინეს. ჭავჭავაძისეული სახლის დარბაზებში ხშირად

იმართებოდა სალონური შეხვედრები, რომლის დროსაც სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან ერთად მეტად საინტერესო ღონისძიებებს მართავდნენ, მსჯელობდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების საჭირბოროტო საკითხებზე [მეგუთნიშვილი 2006: 58]. ლიტერატურული სალონის შეხვედრების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს დღესდღეობით რატი ამაღლობელის, ლაშა ბუღაძისა და აკა მორჩილაძის მიერ მუზეუმში გამართული შეხვედრები.

21-ე საუკუნის დასაწყისში მუზეუმში ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა მუზეუმის სამეცნიერო განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბელა გონჯილაშვილი. გამოიცა ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მაღალ დონეზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიცისტური ნარკვევები, ბუკლეტები და გზამკვლევები [მეგუთნიშვილი 2006: 56].

მუზეუმი აწარმოებს საგამომცემლო საქმიანობასაც, რომლის აქტივობამ 2009 წელს მოიცვა მუზეუმის საინფორმაციო ბუკლეტის გამოშვება, ლექსების თარგმანი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს და ვანდერერს ნახთლიტის მიერ, ალექსანდრე ჭავჭავაძე/თარგმანები ფრანგულიდან/ (ლექსების თარგმანი).

ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში 2010 წლის მარტში წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი დაფუძნდა. საგანმანათლებლო ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა. ცენტრის მისია მუზეუმში საგანმანათლებლო საქმიანობის გააქტიურება, თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა და სამუზეუმო აუდიტორიის გაფართოებაა. ამასთანავე, არსებული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება სწავლის პროცესში ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას შეუწყობს ხელს. მუზეუმისა და წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრის მიერ განხორციელებული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები მიზნად ისახავს წინანდლის მუზეუმის გაცოცხლებას, სამუზეუმო-საგანმანათლებლო პროექტების განვითარებას, მოსწავლეებში სამუზეუმო კულტურის გაღვივებასა და პოპულარიზაციას.

წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრში ამჟამად შემდეგი პროგრამები ხორციელდება: ვისწავლოთ მუზეუმში, საგანმანათლებლო სალონი, სკოლა და მუზეუმი, განათლების კვირეული. თითოეული მათგანი სკოლების მიერ მუზეუმის

ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას გულისხმობს [წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი. http://tsinandali.blogspot.com]

საგანმანათლებლო პროგრამა "ვისწავლოთ მუზეუმში" სასწავლო აქტივობების გამრავალფეროვნებას, საგანმანათლებლო აქტივობების გეგმების (სცენარების) პერმანენტული შევსება-განახლებას და მუზეუმში ვიზიტისა და პედაგოგებში საგანმანათლებლო ექსკურსიების ჩატარების მოტივაციის გაზრდას ითვალისწინებს [წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი. http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_2500.html]

"სკოლა და მუზეუმი"-ის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პარტნიორული ურთიერთობების დამყარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო საქმიანობაში მუზეუმების ჩართვის ინიცირება, წინანდლის სახლ-მუზეუმის ბაზაზე საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისათვის მუზეუმისა და სკოლის თანამშრომლობის მოდელის შექმნა. [წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი. http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_5423.html]

საგანმანათლებლო პროგრამა "განათლების კვირეული" საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას, ფართო აუდიტორიის წინაშე განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას და ახალი პროგრამების განახლებასა და საპროექტო იდეების გენერაციას ითვალისწინებს [წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი. http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_7177.html].

პროგრამა "საგანმანათლენლო სალონი" მიზნად ისახავს სასწავლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საშეღავათო პაკეტის შექმნასა და შეთავაზებას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას, თემატური ღონისძიებების ჩატარებას, წინანდლის სახლ-მუზეუმისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ეფექტური სისტემის შექმნას და წლის განმავლობაში ექსკურსიების რაოდენობის განსაზღვრის შესაძლებლობის გაზრდას. [წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი. http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_4638.html].

წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი ასევე ახორციელებს საექსკურსიო სასწავლო გეგმას, რომელიც შექმნილია პედაგოგთა დასახმარებლად, რათა მათ უკეთ შეძლონ ექსკურსიის საგანმანათლებლო დატვირთვის გააზრება, მისი სწორად დაგეგმვა და ჩატარება.

საექსკურსიო გეგმა სპეციალურადაა მორგებული ალ. ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმში ვიზიტს, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია სხვა ღირშესანიშნაობების მონახულებისთვისაც. მოცემული მარშრუტები მოიცავს კახეთის რეგიონის ძირითად ძეგლებს და შედგენილია ისე, რომ ნებისმიერი მარშრუტის შერჩევისას ერთ-ერთ პუნქტად აუცილებლად არის წინანდალი.

მუზეუმი აქტიურად მუშაობს ინტერნეტ სივრცეში თავის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე. 2008 წელს სმიტსონის ინსტიტუტმა წინანდლის მუზეუმის დახმარებით დაამუშავა ჭავჭავაძეების წინანდლის შტოს ვებ-გვერდი http://achp.si.edu/chavchavadze/, რომლის ქართული ვერსიაც დამუშავდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ: http://www.nplg.gov.ge/chavchavadze/ . 2010 წელს კი მუზეუმმა საკუთარი ვებ-გვერდი გახსნა შემდეგი მისამართით http://www.tsinandali.com. მუზეუმს ასევე აქვს თავისი ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში[14].

[14] წწწ.ფაცებოოკ.ცომ

თავი IV

კახეთის რეგიონის მუზეუმების პრობლემები და მათი განვითარების პერსპექტივები

სადისერტაციო ნაშრომში განხილული კახეთის რეგიონში არსებული მუზეუმების, კერძოდ, თელავის ისტორიული მუზეუმისა და წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თითოეულ მათგანს, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რთული გზა აქვს გამოვლილი იმისათვის, რომ დღესდღეობით რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ერთგვარ მატიანედ ქცეულიყვნენ. წლების განმავლობაში, დროის მოთხოვნილებებიდან და საზოგადოების თავისებურებებიდან გამომდინარე, თითოეულ მათგანს, სხვადასხვა როლები და მიზნები ჰქონდათ, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ.

თელავის ისტორიული მუზეუმის მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ იგი ერთადერთი სამეფო სასახლეა საქართველოში, განსაკუთრებულია იმითაც, რომ იგი მრავალფუნქციურ და მრავალშინაარსიან სამუზეუმო კომპლექსს წარმოადგენს და რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმებისათვის საინტერესოა სამუზეუმო საქმის წარმოების თვალსაზრისით. ხოლო წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი მემორიალური ტიპის მუზეუმების ფუნქციონირების სამაგალითო ნიმუშია, სადაც ნაგებობებთან ჰარმონიულად შერწყმული გარემო და მეტყველი ექსპოზიციები ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდიან სასახლის მცხოვრებთა შესახებ და ქმნიან გარემოს, სადაც ყველა სტუმარი მათი ოჯახის წევრად იგრძნობს თავს.

თელავის ისტორიული მუზეუმი, ისევე როგორც წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი განსაკუთრებულია იმითაც, რომ **თითოეული მათგანი განთავსებულია ისტორიულ კომპლექსში, რომელთა შენობების ისტორიული ფასეულობაც კოლექციების მნიშვნელობის თანასწორია.**

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ჩვენს მიერ განხილულ მუზეუმებში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ საგრძნობლად დაიხვეწოს სამუზეუმო საქმე, შესაბამისობაში მოვიდეს იგი დღევანდელ მოთხოვნილებებთან და საზოგადოებაში ამაღლდეს მუზეუმებისადმი ინტერესი. მიუხედავად ამისა,

ვფიქრობთ, რომ ამ მუზეუმებში ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული საქმიანობა მეტ-ნაკლებად მაინც რჩება კახეთის რეგიონში არსებული ყველა დანარჩენი მუზეუმისათვის სამაგალითოდ მათი პოტენციალის სრულყოფილად ათვისებაში. **მუზეუმების საქმიანობის უმთავრესი ამოცანა კახეთის რეგიონში მათი მნიშვნელობის წინ წამოწევა და ამ სექტორის ყველაზე დინამიურად აღიარება უნდა გახდეს, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ მხარის კულტურულ კერებს და მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაუჭრელობა კონკრეტული ქალაქისა თუ სოფლის სიმბოლოს და ფუნქციის დაკარგვის საფრთხეს ქმნის.**

დღესდღეობით, **როდესაც ტურიზმი და განსაკუთრებით კულტურული ტურიზმი ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული, მუზეუმები აღიქმება, როგორც კულტურული ტურიზმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.** აღნიშნული მიმართულების ასამუშავებლად აუცილებელია მუზეუმების მიერ ყველა შესაძლებლობის გამოყენება, მითუმეტეს, რომ კახეთის რეგიონი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და განსახლების სისტემით ხელმისაწვდომია წელიწადის ყველა დროს, რეგიონში განვითარებულია სატრანსპორტო, მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა (დაბინავება და კვება), აქ თავმოყრილია კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ძეგლი. ეს ყველაფერი ქმნის იმის წინაპირობას, რომ სრული დატვირთვით იქნას ათვისებული ის ყველა რესურსი, რაც რეგიონის მუზეუმებს გააჩნია.

იმისათვის, რომ მუზეუმებმა შეძლონ მათი პოტენციური შესაძლებლობების სრულყოფილად ამოქმედება, საჭიროა იმ ყველა ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზების აღმოფხვრა, რაც მათ დღევანდელ კომპლექსურ და რთულ სამოქმედო გარემოში სათანადო ფუნქციონირებას უშლის ხელს.

უპირველეს ყოვლისა, მიგვაჩნია, რომ **მუზეუმების წინაშე არსებული პრობლემების დაუძლეველობა ქვეყანაში მოქმედი არასწორი სამუზეუმო საკანონმდებლო ბაზით არის განპირობებული, რომელიც შეუსაბამობაში მოდის სამუზეუმო საქმის წარმოებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ხდება ცალკეული საკითხების დამუშავება და მათი დანერგვა, უდავოა, რომ სამუზეუმო საქმიანობაში არ არსებობს ერთიან სისტემაში მოქცეული გააზრებული პოლიტიკა.**

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს, რასაკვირველია, კონკრეტულ პრობლემებამდე მივყავართ, რომლებიც მუზეუმების ყოველდღიურ საქმიანობაში იჩენს თავს. მუზეუმები დღემდე მოძველებული მართვის საშუალებებით იმართება, რაც შეუძლებელს ხდის სამუზეუმო მენეჯმენტის ახალი მეთოდების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და განხორციელებას. მოძველებული მენეჯმენტის კვალი სამუზეუმო საქმის ყველა მიმართულებაში აისახება. მუზეუმებში ფაქტიურად არ ფუნქციონირებს მარკეტინგის, საზოგადოებაზე ორიენტირებული პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა განყოფილებები, რომელთა საშუალებითაც სამუზეუმო საქმის სათანადო წარმოება და მუზეუმების პოპულარიზაცია უნდა ხორციელდებოდეს. მუზეუმების უმეტესობას ფუნქცია აქვს დაკარგული და ისინი ფონდების საცავებადაა გადაქცეული. ძალზედ მძიმეა მუზეუმებში სამუზეუმო კოლექციების მდგომარეობა, მოუწესრიგებელია სამუზეუმო ფონდების აღრიცხვა და თანამედროვე სტანდარტის პასპორტიზაცია, არ არსებობს ელექტრონული ბაზები. ძალზედ დაბალია ექსპონატთა ექსპონირების დონე, რადგან სამუზეუმო ექსპოზიციები ძირითადად რამდენიმე ათეული წლის წინაა შექმნილი და დღემდე უცვლელია. მუზეუმების უმეტესობაში არ ეწყობა პერიოდული გამოფენები, ხოლო მოძრავი გამოფენების ორგანიზება ფაქტიურად ამოღებულია საგამოფენო საქმიანობიდან.

დღესდღეობით, კახეთის რეგიონში არსებული ყველა მუზეუმი ფინანსური პრობლემის წინაშე დგას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია ძირითადად გათვლილია მხოლოდ მუზეუმების პერსონალის ხელფასებსა და სამეურნეო ხარჯებზე, რაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწესრიგებლად და სხვა საქმიანობების განსახორციელებლად არასაკმარისია [ქარაია 2009: 1]. აღნიშნულ სიტუაციაში შეუძლებელი ხდება შენობებისა და კოლექციების შენახვა, კვალიფიკაციური კადრების დაქირავება, პროგრამების მომზადება და სხვა. მუზეუმების არასათანადო მუშაობა კი თავისთავად აისახება მუზეუმისადმი საზოგადოების ინტერესსა და დამთვალიერებლის გაუცხოებაზე.

ცხადია, კრიზისული მდგომარეობიდან მუზეუმები თავად უნდა ეცადონ თავის დაღწევას, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს შესაძლებლობები და მონდომება არასაკმარისი ხდება მათი სათანადო ფუნქციონირებისათვის. ამისათვის, საჭიროა

მუზეუმმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, მოახდინოს უკვე ნაცნობი ნივთებისა და ექსპონატების ისეთი ინტერპრეტაცია, რითაც მოიზიდავს დამთვალიერებელს. თითოეულმა მუზეუმმა, საკუთარი ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების ერთობლივი მონდომებით, მიზნად უნდა დაისახოს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ლოკალური პრობლემის გადაჭრა და უპირველესად, **მუზეუმის ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებისათვის, რაც მიღწეულ უნდა იქნას სწორად დაგეგმილი მენეჯმენტით, ადგილობრივ სპეციფიკასთან შესაბამისი სამუზეუმო გარემოს შექმნისა და მომსახურების სფეროს უზრუნველყოფით.**

საზოგადოების ცნობიერებაში მომხდარმა ცვლილებებმა და ტექნიკურმა პროგრესმა წარმოქმნა ახალი ტიპის დამთვალიერებელი. მათ სურთ დასვენებისა და გართობისათვის განკუთვნილი დრო მათივე კარნახით ორგანიზებულმა ღონისძიებებმა შეავსოს, ამიტომ მუზეუმები განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ თავიანთი „მომხმარებლის“ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

დღესდღეობით, დიდი კონკურენციის პირობებში მოთხოვნილებათა ნიშნული ძალზედ მაღლაა აწეული და ყველა მუზეუმი უნდა ეცადოს იყოს უნიკალური, მოსახერხებელი და მიმზიდველი დამთვარიელებლისათვის.

ახალი ტიპის დამთვალიერებლის მოთხოვნილებების შესაბამისად, მუზეუმის საქმიანობა რეორიენტაციას მოითხოვს, ხოლო მუზეუმების სფეროს მზარდი სტრუქტურა უფრო მეტად ორგანიზებულ და ფორმალიზებულ მუზეუმის გარემოს საჭიროებს.

ძალზედ მნიშვნელოვანია შევცვალოთ მიდგომა და დამოკიდებულება მუზეუმების მიმართ. **იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ისეთივე ბიზნეს-კანონებით მართვადი დაწესებულება, როგორც სხვა ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის "პროდუქტი", რამელსაც იგი სთავაზობს დამთვალიერებელს, ხარისხობრივად, ინფორმაციულობითა და ფასეულობით ბევრად აღემატება სხვა ნებისმიერ პროდუქციას. მუზეუმების მართვაში უნდა დამკვიდრდეს მენეჯმენტის ისეთი მიმართულებები, რომლებიც დღევანდელ დღეს ორგანიზაციის სრულყოფილი მართვისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. კერძოდ: მარკეტინგი, დაგეგმვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა.**

დღესდღეობით, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მენეჯმენტის სისტემის გარეშე შეუძლებელია კოლექციების მოვლა, შენახვა, შესწავლა, სასწავლო პროგრამების გაკეთება. ამის გარეშე შეიძლება დაიკარგოს კავშირი მუზეუმსა და საზოგადოებას შორის და მუზეუმის არსებობა საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს [Joshua 1975: 235].

ახალ მოთხოვნილებებთან შესაბამისობა პროფესიონალიზმის ამაღლებას გულისხმობს, რაც თავისთავად საქმიანობის სრულყოფის სურვილს ითვალისწინებს. ამიტომ, აუცილებელია, სამუზეუმო საქმის ორგანიზებულად დაგეგმვა და მისი პრაქტიკაში სარგებლიანად გამოყენება. ამისათვის, მუზეუმებმა სრულყოფილად უნდა აითვისონ ყველა ის რესურსი, რაც მათ გააჩნიათ. მუზეუმი უნდა იმართებოდეს სტრუქტურულად დახვეწილი ისეთი მმართველობითი საშუალებებით, რომელთა მეშვეობითაც იგი შეძლებს თვითდამკვიდრებას იმ კონკურენტულ ბიზნეს გარემოში, რომელშიც მას უწევს არსებობისათვის და გამარჯვებისათვის ბრძოლა.

კახეთის რეგიონის მასშტაბით არსებული სამუზეუმო პრობლემების მოსაგვარებლად და დასარეგულირებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კახეთის მუზეუმების რეგიონალური გაერთიანების ჩამოყალიბება და ამ გაერთიანებაში არსებული თითოეული მუზეუმისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მიგვაჩნია, რომ ეს გაერთიანება ხელს შეუწყობს მუზეუმების საზოგადოებრივი და კულტურული ფუნქციის შენარჩუნებას და უფრო ეფექტურს გახდის სამუზეუმო საქმის რეგულირების ერთიან სტანდარტებს, მენეჯმენტის გაძლიერებას, კვალიფიციური კადრების შექმნას და ძველი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუზეუმებისათვის კომპლექსური თუ ინდივიდუალური ფინანსების მოძიებას, ინფრასტრუქტურის დახვეწას, სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ექსპონატების მოძრაობას და სხვა. სასურველია, აღნიშნული გაერთიანების ფარგლებში მუზეუმების საერთო ვებ-გვერდის დაარსება - საერთო ელექტრონული ქსელის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმების ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნას. დღესდღეობით, სრულიად წარმოუდგენელია მუზეუმის არსებობა, რომელსაც საკუთარი ადგილი არ აქვს დაკავებული ინტერნეტ სივრცეში.

ეს იქნება მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი მუზეუმებისათვის ხელშეწყობის მიმართულებით. ვებ-გვერდის კონცეფცია უმთავრესად ინფორმაციულ

რესურსს უნდა წარმოადგენდეს როგორც თვალსაჩინოების, ისე ინფორმაციული თვალსაზრისით [კვარაცხელია 2009: 217].

რეგიონში არსებულ მუზეუმებში არსებული სამუზეუმო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები, უპირველესად, მუზეუმის ერთიანი მართვის სისტემისა და აღნიშნულ სისტემაში მიღებული ახალი ფორმების შემუშავებას და დამკვიდრებას მოითხოვს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოძველებული სისტემის განახლებას და მუზეუმების გადასვლას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე. მართალია, თითოეული მუზეუმი სპეციფიკისა და მასშტაბებიდან გამომდინარე, თავისებურად გამოეხმაურება მენეჯმენტის ნოვატორულ ძიებებს, მაგრამ ყოველივე ახალი მიზანმიმართულად უნდა ექვემდებარებოდეს მენეჯმენტის საერთო მმართველობით ფორმებს.

მენეჯმენტის ახალი ფორმების გათვალისწინება აუცილებელია მუზეუმების შემდგომი განვითარებისათვის. ამისათვის, მუზეუმმა თავისი მოღვაწეობა უნდა წარმოაჩინოს და მოახდინოს მისი, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო დაწესებულების დემონსტრირება, რაც საქმიანობის უკეთესი და წინდახედული დაგეგმვით უნდა განახორციელოს.

მენეჯმენტის ყველა კომპონენტი ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებასა და მუზეუმს შორის ურთიერთსასარგებლო კავშირის დამყარებაზე. ეს საზოგადოებაში მუზეუმისადმი ემოციური დამოკიდებულების შეცვლასა და დაინტერესების გაზრდას გამოიწვევს, რაც სამუზეუმო საქმიანობის წარმატებულად წარმართვის უპირველესი საშუალება იქნება.

მუზეუმის მენეჯმენტს ისეთი საზოგადოებრივი და ეკონომიკური პასუხისმგებლობა უნდა მიენიჭოს, როგორიცაა კომუნიკაციების, ტექნოლოგიების, ეკონომიკური, ორგანიზატორული და სამართლის საკითხების გადაწყვეტა. ასეთ შემთხვევაში მენეჯმენტი წარმოადგენს მოსახლეობისათვის კულტურული მომსახურების მინიჭების საშუალებას, რისთვისაც აუცილებელია ინფრასტრუქტურის გამართვა, სოციალური, პოლიტიკური, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მიზნების ერთმანეთთან შეთანხმება [Becker, Hocklin 1996: 304-305].

მუზეუმების მართვის მიზანი უნდა იყოს მართვის მეთოდებისა და საშუალებების მეშვეობით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების გაადვილება და

ხელშეწყობა, რომლებიც მუზეუმის მისიის განხორციელების, მისი უფლებამოსილების და აგრეთვე მუზეუმის სხვადასხვა ფუნქციის შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისაკენ მიგვიყვანს [ლორდი, ლორდი 2006: 5].

აღნიშნულ საქმიანობათა დაგეგმვისა და განხორციელების უპირველესი ინიციატორი მუზეუმის დირექტორი უნდა იყოს, რომელიც ოპტიმალურად გამოიყენებს რესურსებს, ეფექტურად მართავს ყოველდღიურ სამუშაო პროცესებს, კერძოდ, განახორციელებს ფინანსური, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სწორ განაწილებას. ასევე საქმიანობის სტრატეგიულად და კრეატიულად დაგეგმვას, თანამშრომლების მოტივირებას და მუზეუმის ეფექტურ განვითარებას. დირექტორმა კომპლექსური უნდა გახადოს მუზეუმის მენემეჯნტი და უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა ეფექტური ჯგუფების შექმნა. სამუზეუმო საქმის წარმატებულად მართვისათვის აუცილებლად უნდა აწარმოოს მუზეუმის შენობისა და კოლექციების შენახვა-დაცვა-უსაფრთხოების, დამთვალიერებლისათვის კომფორტისა და პერსონალის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნის მონიტორინგი და კონტროლი, ამასთან, მათთვის მუდმივად ინფორმაციის მიწოდება.

მუზეუმებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ გენერალური გეგმა, რომელიც გათვლილი იქნება რამოდენიმე წელიწადზე და დეტალურად აღწერს სამუზეუმო საქმიანობის შინაარსს, როგორიცაა მუზეუმისათვის აუცილებელი რესურსების (ფართი, აღჭურვილობა, პერსონალი და ფინანსები) განვითარება, მათდამი მოთხოვნები და ამ მოთხოვნების შესრულების საშუალებები. გენერალური გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ინსტიტუციურ გეგმას, ბაზრის ანალიზს, კოლექციების ანალიზს, დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების გეგმას (დოპ), მარკეტინგის სტრატეგიას, პერსონალთან მუშაობის გეგმას, სამეურნეო გეგმას, კაპიტალური მშენებლობის ხარჯების პროგნოზს, დამთვალიერებელთა ვიზიტის, ხარჯებისა და შემოსავლების გეგმას, დაფინანსების სტრატეგიას, სამუშაოების შესრულების გრაფიკს [ლორდი, ლორდი 2006: 62-64].

ახალი მმართველობითი ფორმების კვალდაკვალ, როდესაც 21-ე საუკუნეში მუზეუმები მუდმივ ცვლილებათა მოთხოვნების წინაშე დგას, საჭიროა სხვადასხვა ტიპის განათლებისა და შესაძლებლობების ადამიანების დაბალანსებული ურთიერთშეთანხმებული მოქმედება, რომელშიც მრავალი ფუნქცია იქნება

გაერთიანებული. ყველა ამ მოთხოვნის თანხვედრა, მენეჯმენტის ტრადიციულ მეთოდებს მოუქნელსა და გამოუსადეგარს ხდის. **მართვის ახალი მეთოდი ფაქტიურად უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ სინთეზს, სადაც სამეცნიერო, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სამართლისა და მენეჯმენტის სხვადასხვა ელემენტები მაღალ ტექნოლოგიებთან იქნება შერწყმული. აუცილებელია მუზეუმებმა მოამზადონ შესაბამისი ახალი კადრები, ხოლო ძველ თანამშრომლებს მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები ჩაუტარონ, რაც მათ ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის.**

დღესდღეობით, მუზეუმებმა უნდა მოახერხოს შექმნას საკუთარი აქტიური საგანმანათლებლო გარემო როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე დამთვალიერებლისათვის. შესაბამისად, მუზეუმების პროფესიული მართვის მიმართ, მნიშვნელოვან მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს მუზეუმის თითოეული თანამშრომლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. ეს სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს მუზეუმის საკადრო პოტენციალის განვითარების ზოგად პოლიტიკას და ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნებს. იგი ყოველწლიურად უნდა განახლდეს და ითვალისწინებდეს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ინდივიდუალურ გეგმებს, რომელიც თავისთავად მუზეუმის მოთხოვნების შესაბამისი იქნება.

თანამშრომელთა ფუნქციების შესრულების კონტროლისათვის საჭიროა თითოეულ თანამშრომელს ჩაუტარდეს ყოველწლიური შეფასება, რომელიც საქმიანობის ეფექტურობას და პროდუქტიულობას განსაზღვრავს. ამასთან, აუცილებელია ყოველწლიურად დაზუსტდეს მუზეუმების მიმდინარე მიზნებისა და ამოცანების მიმართ საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების მნიშვნელობა, რომლის შეფასება ანგარიშების საშუალებით გახდება შესაძლებელი [ლორდი, ლორდი 2006: 51].

სამუზეუმო საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად მუზეუმებმა პრაქტიკაში უნდა მიიღონ ასევე კითხვარების შევსების ფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება დამთვალიერებლის შთაბეჭდილებების გაგება. კითხვარები თავისი შინაარსით შესაძლებელია ემსახურებოდეს როგორც მუზეუმის აუდიტორიის

კვლევის და მომსახურების გაუმჯობესების, ასევე სამუზეუმო საქმის რომელიმე კონკრეტული მიმართულების საქმიანობის შეფასების შესწავლას.

21-ე საუკუნის მუზეუმის სტრუქტურასთან დასაახლოვებლად, მუზეუმებში აუცილებელია გაჩნდეს მოხალისეებისა და მუზეუმის მეგობრების კლუბები, რომელთაც სურვილი ექნებათ მუზეუმს მორალური და ფინანსური დახმარება გაუწიონ. ისინი მნიშვნელოვნად დაეხმარებიან მუზეუმის თანამშრომლებს მუზეუმის სხვადასხვა საქმიანობის წარმოებაში. მათი ფართო და აქტიური მხარდაჭერა მუზეუმის წარმატებული მუშაობის საფუძველი უნდა გახდეს [ლორდი, ლორდი 2006: 55-56].

მუზეუმებში აუცილებელია ფუნქციონირებდეს სამეცნიერო განყოფილება, რომლის საქმიანობა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული სამუზეუმო ფონდების შეგროვების, მათი დაცვა-აღრიცხვის, საექსპოზიციო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობასთან. იგი წინასწარ მოფიქრებული, დაზუსტებული და მიზანდასახული გეგმის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. ამ სამუშაო გეგმას მუზეუმის სამეცნიერო საბჭო უნდა იხილავდეს. განყოფილების მეცნიერული საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს მუზეუმის ფონდში დაცული მასალის მეცნიერულ შესწვლას, მუზეუმის ფონდში არსებული ხარვეზების შევსებას, ექსპონატების შესახებ არსებული მონაცემების შინაარსის ამაღლებას, საზოგადოებაში მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას და სხვ. **სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაძლიერების და მისი შედეგების პოპულარიზაციისათვის, მუზეუმი უნდა ატარებდეს სამეცნიერო კონფერენციებს.** კონფერენციები სამეცნიერო კვლევების ფართო საზოგადოებისათვის წარდგენასთან ერთად, მეცნიერული ხასიათის შრომებით მუზეუმის სამეცნიერო არქივის გამდიდრებას უნდა ემსახურებოდეს.

სამუზეუმო გამოცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გამოფენების კატალოგის, გზამკვლევების, კოლექციების კატალოგის, საბავშვო წიგნების და თამაშების, მასწავლებელთათვის მასალების, სარეკლამო ფურცლების და ბროშურების, ღია ბარათების, პლაკატების და რეპროდუქციების და სამეცნიერო ჟურნალების სახით, რაც ძალზედ წაადგება მუზეუმის პოპულარიზაციას.

ცნობილია, რომ 21-ე საუკუნეში შეცვლილია მუზეუმის, როგორც საზოგადოებრივი საგანმანათლებლო დაწესებულების როლი – იგი წარმოადგენს

არაფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის საქმიანობა მიმართულია მუზეუმის მიმართ ემოციური დამოკიდებულების შეცვლასა და დაინტერესების გაზრდაზე. ამიტომ, მუზეუმების საქმიანობაში სტრატეგიულ პრიორიტეტს და ახალი იდეების ძირითად წყაროს სწორედ საგანმანათლებლო განყოფილება უნდა წარმოადგენდეს, რომლის მისია მუზეუმის ექსპონატებსა და დამთვალიერებლებს შორის შუამავლობაა. აღნიშნული განყოფილება სხვადასხვაგვარი პროგრამების მეშვეობით და უშუალო სწავლებით უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს მუზეუმის უშუალობითობის აღქმას, რითაც საზოგადოებასთან კავშირს დაამყარებს და დაეხმარება მუზეუმს ფართო აუდიტორიისათვის მნიშვნელოვანი და საჭირო ობიექტი გახდეს. **მუზეუმები სწავლების უნიკალურ საშუალებას უნდა იძლეოდეს, სადაც მის „პროდუქტზე" ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები სრულიად განსხვავებულ ადამიანთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი იქნება. იგი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ინტელექტუალური, პრაქტიკული და მორალური უნარების განვითარებაში.** საგანმანათლებლო საქმიანობა მეცნიერულად გაანალიზებული მასალის ვიზუალური შემეცნების პოპულარიზაციას უნდა გულისხმობდეს.

ფართო დიაპაზონის მქონე **საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს ვორკშოპებს, სასწავლო კურსებს, ლექციებს, ფილმების ჩვენებებს, კონცერტებს, გარკვეული ჯგუფებისათვის განკუთვნილ მეცადინეობებს, ექსკურსიებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს და სხვა**. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება იყოს წინასწარ დაგეგმილი ან შემთხვევითი, თითქოს მუზეუმის დარბაზში წარმოქმნილი. მაგალითად, თელავის ისტორიულ მუზეუმს აქვს შესაძლებლობა ააგოს სიუჟეტი როგორც მეფეთა სასახლეში ერეკლე მეფის ცხოვრებიდან ან მოღვაწეობიდან აღებულ რომელიმე კონკრეტულ ეპიზოდზე, ასევე ეთნოგრაფიულ მუზეუმში ყოფით სცენებზე, რომლებიც დამთვალიერებლისათვის უშუალოდ დარბაზებში გაცოცხლდება. ყოფითი სცენების გაცოცხლების შესაძლებლობა რეგიონში არსებულ თითოეულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებობს, კოლექციის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით. იგივე შინაარსის ღონისძიებების დაგეგმვაა შესაძლებელი რეგიონში არსებულ თითოეულ მემორიალურ მუზეუმში, სადაც მუზეუმის

მკვიდრთა ცხოვრების, შემოქმედებისა თუ მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდების გაცოცხლებაა შესაძლებელი.

მუზეუმებმა განსაკუთრებით უნდა გაამახვილონ ყურადღება პატარა ბავშვებისათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რადგან სწორედ ისინი ხდებიან პოტენციურად მუზეუმის მუდმივი დამთვალიერებლები.

მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილება აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს სკოლებთან, რადგან მუზეუმის დამთვალიერებელთა უმეტესი ნაწილი სკოლის მოსწავლეთა ჯგუფებზე მოდის. ასეთი ვიზიტების დროს მოსწავლეები პირველად ეცნობიან მუზეუმს, რომელმაც სასკოლო სისტემასთან ერთად, დამატებითი საგანმანათლებლო ფუნქციაც უნდა შეასრულოს. მუზეუმს უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამები როგორც მასწავლებელთათავის, ასევე მოსწავლეებისათვის, რომლებიც დაკავშირებული იქნება სკოლის სასწავლო გეგმებთან, მიზნებსა და ამოცანებთან.

დღესდღეობით, როდესაც შეცვლილია მუზეუმის დანიშნულების განმარტება, ექსპონატების საცავიდან ისინი მომავალი თაობებისთვის კოლექციის დაცვა-შენახვას უნდა ემსახურებოდეს. **ექსპოზიციები მუზეუმსა და მის დამთვალიერებელს შორის კომუნიკაციის ძირითად ფორმად ჩამოყალიბების ტენდენციას უნდა ავლენდეს.** საზოგადოების მიერ მუზეუმის აღქმა, უმეტესწილად, მისი ექსპოზიციების დათვალიერების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს ეფუძნება. მუზეუმებში არსებული მუდმივი თუ დროებითი ექსპოზიცია საზოგადოებისათვის ყველა ექსპონატის გაცნობას უნდა ემსახურებოდეს, რომლებიც მუზეუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი საერთო შინაარსის ამსახველი იქნება. ექსპოზიციის ეფექტურობა საგამოფენო ინვენტართან უნდა იყოს დაკავშირებული. კერძოდ, კარადები და დასადგმელი თაროები ექსპონატის მნიშვნელობის და მისი გარეგნობის შესაფერისად უნდა იყოს დამზადებული, ისე, რომ მისი ყოველი დეტალის აღქმა ყოველმხრივ იყოს მოსახერხებელი. ასევე საყურადღებოა ექსპოზიციის დეკორატიული გაფორმებაც, რაც ექსპონატებისა და რეკვიზიტების განლაგების ურთიერთშეხამებას გულისხმობს.

ექსპოზიციის ინტელექტუალურად შეცნობის თვალსაზრისით გამოყენებულ უნდა იქნას ისეთი დამხმარე საშუალებები, როგორიცაა: ანოტაციები, საინფორმაციო

ტექსტები, თანამედროვე ტექნოლოგიები. ყურადღება უნდა მიექცეს ექსკურსიამძღოლების ცოდნას და ამ ცოდნის საინტერესოდ და დამაჯერებლად გადმოცემას.

კახეთის რეგიონის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, მუზეუმებმა სისტემატურად უნდა მოაწყონ **მოძრავი გამოფენები** როგორც რეგიონში, ასევე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და საზღვრებს გარეთ. ეს ხელს შეუწყობს მუზეუმების მიმართ ინტერესის გაღვივებასა და საზოგადოებაში მუზეუმში მისვლის სურვილის აღძვრას.

ცნობილია, რომ კოლექციების მართვა სამუზეუმო საქმიანობის უმთავრესი ნაწილია, რომელზე უშუალო პასუხისმგებლობაც მცველს აკისრია. იგი ვალდებულია გააერთიანოს მთელი მუზეუმის ძალისხმევა მისი საზოგადოებრივი მისიის წარმატებით შესრულებაში. მცველი პასუხისმგებელი უნდა იყოს კოლექციის ღრმა ცოდნასა და კვლევაზე, კოლექციის შევსებაზე, კოლექციის განვითარების შესაძლებლობის წარმოჩენაზე ბაზრის მოთხოვნილების, მუზეუმის ბიუჯეტისა და კოლექციის ჩამოყალიბებული სტრუქტურის გათვალისწინებით.

მუზეუმები უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა **მოეკიდონ მუზეუმის კოლექციებისათვის ისეთი პირობების შექმნას, რაც მათ მაქსიმალურად ხანგრძლივ შენახვას უზრუნველყოფს. ეს გულისხმობს მათი შენახვისა და ექსპონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას (ტემპერატურის და ფარდობით ტენიანობის რეგულირება, ჰაერის ფილტრაცია, განათება, მავნებლები, მოვლა), მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ექსპონატთა კონსერვაცია-რესტავრაციას, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ექსპონატების მდგომარეობის გაუარესების შესაძლებლობას.**

მუზეუმის კოლექციებზე სისტემატურად უნდა ტარდებოდეს კვლევითი სამუშაოები, რამაც უნდა უზრუნველყოს მუზეუმის ყველა პროგრამისათვის მყარი საფუძველის შექმნა და თავიდან აირიდოს კოლექციებში არასაჭირო, უმნიშვნელო, ასლებისა თუ ყალბი ექსპონატების დაგროვება.

მუზეუმების უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წამოადგენდეს ასევე ინფორმაციის შენახვა და მისი მართვა. ამისათვის, მუზეუმებმა უნდა უზრუნველყონ მათი "პროდუქტის" შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ინფორმაციის მართვისადმი

უფრო ერთიანი მიდგომის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს კოლექციების ხელნაწერი აღრიცხვიდან კომპიუტერულზე გადასვლა, მონაცემების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, ამ მონაცემების როგორც პერსონალისათვის, ისე დამთვალიერებლისათვის ხელმისაწვდომობა, კოლექციის მონაცემთა ბაზების და მუზეუმის სხვა საინფორმაციო სისტემების ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობა, აგრეთვე მონაცემთა ბაზების, როგორც ინფორმაციის გაცვლის საშუალების გავრცელება თვით მუზეუმის შიგნით და სხვადასხვა დაწესებულებებს შორის.

ინფორმაციის ციფრული სახით არსებობაზე გადასვლა საფუძვლიანად ცვლის ინფორმაციის მართვის ოპერატიულობასა და პროდუქტიულობას. ინტერნეტით ურთიერთქმედების შესაძლებლობა ხსნის ახალ საინტერესო პერსპექტივებს ინფორმაციის ეფექტური დამუშავებისათვის როგორც მუზეუმის შიგნით, ასევე მუზეუმის გარეთ. **მუზეუმმა თავის დამთვალიერებელთან კავშირი ინტერნეტ სივრცეში განთავსებული საკუთარი ვებ-გვერდის ან სოციალური ქსელის მეშვეობით უნდა დაამყაროს, რაც წინაპირობა გახდება იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით არსებული ინტერნეტ მომხმარებელი მუზეუმის პოტენციური დამთვალიერებელი შეიძლება გახდეს.**

21-ე საუკუნის სამუზეუმო საქმიანობის წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება კომუნიკაციაა. ერთი შეხედვით, დღესდღეობით თითქოს არ უნდა იდგეს კომუნიკაციის პრობლემა, მაშინ, როდესაც კომუნიკაციის მრავალგვარი საშუალება არსებობს. თუმცა თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენს მუზეუმებს შიდა კომუნიკაციის, კულტურის სფეროს და სხვა სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის, საზოგადოებასთან, მასმედიასთან და სხვა კომუნიკაციის პრობლემა აქვთ. **მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამუზეუმო საქმიანობაში კომუნიკაციის ისეთი საშუალებების დამკვიდრება, როგორიცაა სხვადასხვა ქსელურ სისტემები, სადაც ელექტრონული წერილების, შეტყობინებებისა თუ განცხადებების სახით მუზეუმის თანამშრომლებს ერთმანეთისაგან და გარეშე პირებისა თუ ორგანიზაციებისაგან ინფორმაციის სწრაფად მიღებისა და გაცემის საშუალება ექნებათ.** ეს კი მათი სამუშაო დროის დაზოგვისა და საქმისადმი მობილურობის წინაპირობა გახდება.

მუზეუმებმა უნდა მოახდინონ იმ საშუალებების ინტერპრეტაცია, რაც მათი კოლექციებისა და კვლევითი საქმიანობის გაცნობას გულისხმობს. იგი უნდა

მოიცავდეს დამთვალიერებლისათვის დარბაზების დასახელებებით და მათი თემატიკით, წარწერებით (სადაც განსაზღვრული იქნება სიტყვების რაოდენობა, შრიფტის ზომა და ფერი, განთავსება) და სასტენდო ტექსტებით, მიწოდებული ინფორმაციის სპექტრით (თარიღი, მხატვარი/ავტორი, წყარო, საინვენტარო ნომერი, ჩუქება, აღწერა, გამოყენება და ა.შ.), ტექსტების ტონითა და სტილით უზრუნველყოფას [ლორდი, ლორდი 2006: 139].

დამთვალიერებელს მუზეუმის მიერ შეთავაზებული ინფორმაცია სრულყოფილად უნდა ეხმარებოდეს ორიენტაციაში, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც სივრცობრივ, ასევე ინტელექტუალურ ორიენტირს. ძალზედ მნიშვნელოვანია მაორიენტირებელი ინფორმაციის ხარისხი, რომელიც პირდაპირპროპორციულად მუზეუმის შემოსავლის ზრდაზე აისახება.

სივრცეში ორიენტაცია სრულყოფილად უნდა წარმოადგენდეს ინფორმაციას მუზეუმის დაგეგმარებაზე, გადაადგილების შესაძლებლობებზე და მომსახურების სახეებზე. კომპლექსური ტიპის მუზეუმების ტერიტორიაზე დამთვალიერებელთა კონცენტრაციის რეგულირებისათვის აუცილებელია არსებობდეს მიმართულებებისა და ნაგებობების მიმანიშნებლები, რომლებიც განთავსდება როგორც მუზეუმის შესასვლელთან, ასევე ტერიტორიაზე გამყოფ გზებთან და უშუალოდ ტერიტორიაზე არსებულ ობიექტთან თითოეულის აღმნიშველი ინფორმაციით. აღნიშნული საინფორმაციო დაფა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თელავის ისტორიულ მუზეუმის შესასვლელში დგას, თუმცა კომპლექსის ტერიტორიაზე მინიშნებების არ არსებობით იგი უკვე სათანადოდ ვეღარ ითავსებს მუზეუმის ტერიტორიის მაორიენტირებელ ფუნქციას.

მუზეუმის ექსპოზიციისა და მუშაობის შინაარსის გასაცნობად შედგენილ უნდა იქნას მეგზური. იგი როგორც წესი პატარა, შინაარსის მხრივ სხარტად წასაკითხი, მაღალ დონეზე შედგენილი და დასურათებული უნდა იყოს. ის თავისი გაფორმების მხრივ არა მარტო უნდა იზიდავდეს დამთვალიერებელს, არამედ მოკლედ და გასაგებად ნათელ წარმოდგენას უნდა აძლევდეს მას მუზეუმსა თუ რომელიმე კონკრეტულ ექსპოზიციაზე.

ინტელექტუალური ორიენტირება უნდა მოიცავდეს მუზეუმის თემატიკისა და თავისებურებების, კოლექციებთან სხვადასხვა საშუალებათა განმარტებას, აგრეთვე,

ინფორმაციის მიწოდების ენა. მუზეუმმა ყველა სახის მომსახურება უნდა უზრუნველყოს რამოდენიმე ენაზე (სასურველია, ყველა სამუზეუმო ნიშნული და განცხადება რამოდენიმე ენაზე იყოს შესრულებული). სასურველია, ექსკურსიებიც სხვადასხვა ენაზე ტარდებოდეს, და ამასთანავე, ისინი გათვლილი იყოს დამთვალიერებელთა ცალკეული ჯგუფების მოთხოვნილებებზე – როგორც თემატური, ასევე ინტელექტუალური თვალსაზრისით, რომლებიც განსხვავებული იქნება მუზეუმში არსებული დაწესებული მარშრუტისაგან [ლორდი, ლორდი 2006: 140-141].

21-ე საუკუნის დამთვალიერებელს სულ უფრო მეტი ინფორმაცია სჭირდება მუზეუმის შესახებ. ამის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემაში ბიბლიოთეკასთან ერთად **მუზეუმს სასურველია ჰქონდეს ცალკე საინფორმაციო სამსახური ან ცნობათა ბიურო,**[15] **ასევე აუდიოგიდები, სპეციალური ექსკურსიები და ლექციები.**

ვინაიდან საზოგადოების მოთხოვნებმა განვითარება განიცადეს, მუზეუმებმაც ახალი როლების შესრულება იკისრეს და მათი მიზნებიც საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, ისევე როგორც მარკეტინგი. **სამუზეუმო მარკეტინგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული აუდიტორიის გაფართოებისა და ამასთან, მუზეუმის მუდმივ დამთვალიერებლებთან ურთიერთობის განმტკიცებასთან.**[16] **იგი მეტად მნიშვნელოვანია დაწესებულების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. მარკეტინგი მიმართული უნდა იყოს მუზეუმის დანიშნულების შესრულებაზე,** კერძოდ, გააუმჯობესოს მუზეუმში სიარულისაგან მიღებული შთაბეჭდილებები, რაც მოითხოვს იმას, რომ გავცდეთ ტრადიციულად ყურადღების გამახვილების ფარგლებს ექსპონატებზე, კოლექციებზე, ინფორმაციასა და განათლებაზე. მუზეუმში ვიზიტორთა შთაბეჭდილებების გენერირება გულისხმობს ღონისძიებებს, რომლებშიც დამთვალიერებლებს უშუალო მონაწილეობის მიღება შეუძლიათ.

---

[15] მუზეუმის მასშტაბიდან გამომდინარე მუზეუმს შეიძლება არ ჰქონდეს ცალკე გამოყოფილი საინფორმაციო სამსახური, თუმცა შესაძლებელია აღნიშნული ფუნქციები რომელიმე სხვა განყოფილებამ ან თანამშრომელმა შეითავსოს

[16] მუზეუმში შეიძლება არ ფუნქციონირებდეს მარკეტინგის განყოფილება, მაგრამ აღნიშნული საქმიანობა სავსებით შესაძლებელია შეითავსოს მუზეუმის საორგანიზაციო სქემაში რომელიმე შესაბამისმა განყოფილებამ, რომლისთვისაც ფუნქციურად შესაძლებელი იქნება აღნიშნული საქმიანობის შესრულება

მარკეტინგის წყალობით მუზეუმი უნდა გახდეს მომხმარებელზე ორიენტირებული და იგი ცალკეული სამიზნე ჯგუფებისათვის უნდა ახდენდეს შესაბამისი შეთავაზებების მომზადებას. მუზეუმმა უნდა შექმნას ისეთი მომსახურება, რომელიც დააკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებსა და ინტერესებს. დღესდღეობით, მუზეუმების მომსახურებაში ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებსა და დეტალებს, რომლებიც სრულიად წარმოუდგენელი იყო თუნდაც რამდენიმე ათწლეულის წინ: დაცვის ქვეშ მყოფი უფასო გასახდელის მუზეუმის შესასვლელთან განთავსება, ტუალეტების მდგომარეობა მუზეუმში, საგამოფენო სივრცეებში დამთვალიერებლისათვის მოსასვენებელი სკამების განთავსება და სხვა.

მარკეტინგის სტრატეგია თავისი შინაარსით უნდა წარმოადგენდეს მუზეუმის დამთვალიერებელთან ურთიერთქმედებისა და დამთვალიერებლების მომსახურების გაუმჯობესების მრავალფეროვან გზებს, რომელიც ემსახურება დამთვალიერებლების რიცხვისა და მუზეუმში მათი დანახარჯების ზრდას. **მარკეტინგის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს მჭიდრო კონტაქტი მუზეუმსა და დამთვალიერებელს შორის და გახადოს ის საინტერესო და მიმზიდველი განმეორებითი მონახულებისა და მუზეუმის ხელშემწყობი ორგანიზაციის წევრად გახდომისათვის.** მარკეტინგის შემუშავებული სტრატეგია უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად და მეთოდურად, ხოლო გამოყენებული ხერხების ეფექტურობა სისტემურად უნდა შეფასდეს როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივადაც [ლორდი, ლორდი 2006: 168].

მუზეუმებმა მათით დაინტერესებული პირების ფართო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად თავისი მენეჯერული უნარ-ჩვევების განვითარების გზით ფოკუსირება უნდა მოახდინოს არა ნივთზე, არამედ ადამიანურ რესურსებზე. მუზეუმმა უნდა გააცნობიეროს, რომ დამთვალიერებლის მომსახურების თითქოს მეორად კომპონენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან, მოგეხსენებათ, დამთვალიერებელი საკმაოდ სწრაფად რეაგირებს ყოველგვარ უარყოფით მომსახურებაზე, რაც დამთვალიერებელთა მუზეუმში დინების კლებას იწვევს. მუზეუმმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საზოგადოებას, იგი მეტად გახსნილი უნდა გახდეს მისთვის და გაითვალისწინოს მისი აზრი. სწორედ საზოგადოების შეფასება უნდა იქცეს მუზეუმის საქმიანობის ამოსავალ წერტილად. როგორც

ჩვენთვის ცნობილია, დამთვალიერებელთა მომსახურებაზე და მოსახერხებელი გარემოს შექმნაზე ზრუნვა, უდიდეს გავლენას ახდენს მათი შთაბეჭდილებების ხარისხზე და დამთვალიერებლების მიმართ მუზეუმის დამოკიდებულებას ავლენს. **დამთვალიერებელზე მუშაობა და მისი მოზიდვა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ერთის მხრივ მუზეუმის ფინანსური კრიზისიდან გამოყვანაში, ხოლო მეორეს მხრივ რეგიონის იმიჯის შესამჩნევად გაუმჯობესებაში.**

განსაკუთრებით ყურადსაღებია მუზეუმის თითოეული თანამშრომლის მიერ მუზეუმის საქმიანობაში მათი საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერება. იმისათვის, რომ მუზეუმი გახდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც სრულყოფილად დააკმაყოფილებს დამთვალიერებელთა მოთხოვნებს, იგი ვალდებულია გადახედოს მისი "წინა ხაზის" თანამშრომლების მუშაობას და უზრუნველყოს მათი კვალიფიკაცია საჭირო სამუშაო ატმოსფეროს შესაქმნელად. მოგეხსენებათ, სწორედ ეს თანამშრომლები ურთიერთობენ ყველაზე ხშირად დამთვალიერებლებთან და სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ გათავისებული მათი საქმიანობის მნიშვნელობა. მათი დამთვალიერებლებთან კეთილგანწყობით დახვედრა მუზეუმზე დადებითი შთაბეჭდილებების წარმოქმნისა და შენარჩუნების წინაპირობაა. თუ მუზეუმი არასაკმარისად გაამახვილებს ყურადღებას "წინა ხაზის" თანამშრომელთა საჭირო მომზადებაზე, მაშინ დამთვალიერებლის უკმაყოფილებაც სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმის მიმართ უარყოფითი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებას. მენეჯერული და ლიდერული უნარ-ჩვევები სახასიათო უნდა იყოს მუზეუმის სხვა თანამშრომლებისთვისაც, რომლებიც კურატორულ საქმიანობას ეწევიან მუზეუმში.

მუზეუმებმა აქტიურად უნდა მიჰყონ ხელი აუდიტორიის შესწავლის საქმეს, რადგან სწორედ ისინი აძლევენ მუზეუმს ყველაზე დროულ და სანდო ინფორმაციას მათი საქმიანობის შესახებ და ეხმარება მათ საქმიანობის ხარისხის გაზრდაში, დამთვალიერებელთა მოთხოვნილებებისა და მოლოდინის დაკმაყოფილების კონცენტრაციასა და მათი ინტერესების შესაბამისი შედეგების მიღწევაში.

მატერიალური თვალსაზრისით ტურიზმს მუზეუმებისათვის შემოსავლის დიდი წილი შემოაქვს. **უცხოელი ტურისტების რეგიონისადმი ინტერესთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ქართულ საზოგადოებაშიც ნელ-ნელა მკვიდრდება თავისუფალი**

დროის გამოყენების კულტურა, რომელიც უმეტესწილად კულტურულ ტურიზმს უკავშირდება, რაც რეგიონში კულტურულ ტურიზმზე მოთხოვნილებათა ზრდის წინაპირობას ქმნის.

მუზეუმებმა საზოგადოებას უნდა შესთავაზონ ისეთი გარემო, რომელიც მათთვის მოსახერხებელი, შთამბეჭდავი და მიმზიდველი იქნება და მათ მიერ შეთავაზებული რესურსების ასათვისებლად, დამთვალიერებელში აღძრას მუზეუმში მეტი დროის გატარებისა და შესაბამისად მათივე სიამოვნებისათვის ფულის დახარჯვის სურვილი.

მუზეუმებმა დამთვალიერებელს უნდა შესთავაზონ არა მხოლოდ შედევრები, არამედ დასვენების კუთხეები, მაღაზიები, კაფე-რესტორნები და სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები, რაც ნამდვილად იქცევა მუზეუმისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო.

სამუზეუმო მაღაზიას უდიდესი როლი ენიჭება დამთვალიერებელსა და მუზეუმს შორის ურთიერთობის გამყარებაში. გარდა მაღაზიაში არსებული მაღალ ხარისხიანი და ორიგინალური პროდუქციის შეძენისა და მომუშავეთა მიერ დამთვალიერებლის მიმართ გამოხატული ყურადღების დაფასებისა, დამთვალიერებელს ეუფლება შეგრძნება იმისა, რომ იგი ეხმარება მუზეუმს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუზეუმის მაღაზიაში წარმოდგენილ ყველა ნივთს თან უნდა ახლდეს განმარტებითი შინაარსის ტექსტები, თუ რითი არიან ისინი დაკავშირებული მუზეუმის კოლექციებთან. ამგვარად, იგი ერთგვარად გარდაიქმნება მუზეუმის ექსპონატად სხვის კუთვნილებაში და წარმოადგენს მუზეუმში ვიზიტის ერთგვარ შეხსენებასაც. თუ მუზეუმის მაღაზია უზრუნველყოფს საქონლის შეკვეთას და ყიდვას ინტერნეტში განთავსებული ელექტრონული მაღაზიის საშუალებით, ეს თავისთავად ორმაგად გააძლიერებს საზოგადოების ინტერესს მუზეუმის მიერ შეთავაზებული მუზეუმის "პროდუქტის" მიმართ. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია 21-ე საუკუნეში, როდესაც მცირე თავისუფალი დროის მქონე საზოგადოებას უადვილებს და უნარჩუნებს მუზეუმთან ურთიერთობას, მაშინ, როდესაც მან შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერც კი მოახერხოს მუზეუმში ვიზიტი.

მუზეუმში საზოგადოებრივი კვების ობიექტების გაჩენა მუზეუმში დამთვალიერებლის მაქსიმალურად დიდხანს გაჩერებასთან ერთად მუზეუმისათვის დამატებითი შემოსავლების გაჩენას ითვალისწინებს. მუზეუმში ხანგრძლივი დროის გატარებაში თავისთავად ნაგულისხმევია დროის კომფორტულად და სასიამოვნოდ გატარება, რაც დასვენებამ, წახემსებამ და საუბრისათვის საჭირო ადგილმა უნდა უზრუნველყოს. მუზეუმში კაფე-რესტორნის მაღალი დონე საგრძნობლად მოქმედებს მუზეუმის დარბაზებში დამთვალიერებელთა ყოფნის ხანგრძლივობაზე და ხელს უწყობს მის განმეორებით მუზეუმში მისვლას.

მუზეუმებმა პრაქტიკაში უნდა დანერგონ ასევე განსაკუთრებული ღონისძიებების ჩასატარებლად **ფართის გაქირავება**, რაც მათ ამჟამინდელ და პოტენციურ დამთვალიერებელთან, მოქმედ და პოტენციურ სპონსორებთან აახლოებს. **მუზეუმში ჩატარებული ოჯახური წვეულებები, საქორწინო ცერემონიები, საქმიანი, პოლიტიკური და პროფესიული ხასიათის ღონისძიებები საზოგადოებასთან მათ ურთიერთობას ამყარებენ.** ამით ხაზი ესმება მუზეუმის ღიაობას და "უშუალობას" საზოგადოებასთან, თუმცა, ამავე დროს იგი მაინც რჩება ძალზედ პრესტიჟული იგივე საზოგადოებისათვის. სწორედ **ეს უწყობს ხელს მუზეუმს გახდეს ღია, შემოსავლიანი და "ცოცხალი" დაწესებულება, რაც ძალიან აუცილებელია იმისათვის, რომ მუზეუმებმა სრულყოფილად იარსებონ 21-ე საუკუნეში.**

მუზეუმი საზოგადოების მაღალი განვითარების დონის მაჩვენებელია და მასში კარგად აირეკლება ყველა ის პროცესი, რაც საზოგადოებაში მიმდინარეობს. იმედს ვიტოვებთ, რომ **კახეთის რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობაში მუზეუმების აღქმა თანდათან მაღალი "ცხოვრების დონის" სიმბოლოდ და საზოგადოებისათვის დამატებით ინტელექტუალურ რესურსად გადაიქცევა.** სწორედ კარგად ორგანიზებული მუზეუმი წარმოადგენს მასების აღზრდის, მათი პოლიტიკურ-კულტურული დონის ამაღლების ძლიერ საშუალებას. მუზეუმი პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ ცოცხალ წიგნად, რომელიც საგნობრივი ენით თავისი ექსპონატების და გამოფენების საშუალებით საუბრობს. მუზეუმი თავისი საქმინობით უნდა ეცადოს, რომ მისი ენა ყველასათვის გასაგები გახდეს.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ განხილული ის მმართველობითი სიახლეები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე გამოყენებული უნდა

იქნას მუზეუმის ფუნქციონირებისათვის, მკაფიოდ მეტყველებს სამუზეუმო საქმის დიდ შესაძლებლობებზე და განვითარების კიდევ უფრო მზარდ ტენდენციებზე, ამიტომ, კახეთის რეგიონში არსებული მუზეუმების მხრიდან ისინი უდავოდ იმსახურებენ ყურადღებას.

დასკვნა

ჩვენ მიერ შესწავლილმა მასალამ და მათმა ანალიზმა დაგვანახა კახეთის რეგიონის ორი ძირითადი მუზეუმის დღევანდელი მდგომარეობა, ასევე, მათი მომავალი განვითარების პერსპექტივების დასახვისა და გარკვეული **მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებაც მოგვცა.**

1. თელავის ისტორიულ მუზეუმსა და წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რთული გზა აქვთ გამოვლილი იმისათვის, რომ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ერთგვარ მატიანედ ქცეულიყვნენ. წლების განმავლობაში, დროის მოთხოვნილებებიდან და საზოგადოების თავისებურებებიდან გამომდინარე, თითოეულ მათგანს, სხვადასხვა როლები და მიზნები ჰქონდათ, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ.

თელავის ისტორიული მუზეუმის მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ იგი ერთადერთი სამეფო სასახლეა საქართველოში, განსაკუთრებულია იმითაც, რომ იგი მრავალფუნქციურ და მრავალშინაარსიან სამუზეუმო კომპლექსს წარმოადგენს და რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმებისათვის საინტერესოა სამუზეუმო საქმის წარმოების თვალსაზრისით. ხოლო წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი მემორიალური ტიპის მუზეუმების ფუნქციონირების სამაგალითო ნიმუშია, სადაც ნაგებობებთან ჰარმონიულად შერწყმული გარემო და მეტყველი ექსპოზიციები ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდიან სასახლის მცხოვრებთა შესახებ და ქმნიან გარემოს, სადაც ყველა სტუმარი მათი ოჯახის წევრად იგრძნობს თავს.

თელავის ისტორიული მუზეუმი, ისევე როგორც წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი განსაკუთრებულია იმითაც, რომ თითოეული მათგანი განთავსებულია ისტორიულ კომპლექსში, რომელთა შენობების ისტორიული ფასეულობაც კოლექციების მნიშვნელობის თანასწორია.

2. დღესდღეობით, როდესაც ტურიზმი და განსაკუთრებით კულტურული ტურიზმი ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული, მუზეუმები აღიქმება, როგორც კულტურული ტურიზმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. აღნიშნული მიმართულების ასამუშავებლად აუცილებელია მუზეუმების მიერ ყველა

შესაძლებლობის გამოყენება, მითუმეტეს, რომ კახეთის რეგიონი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და განსახლების სისტემით ხელმისაწვდომია წელიწადის ყველა დროს, რეგიონში განვითარებულია სატრანსპორტო, მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა (დაბინავება და კვება), აქ თავმოყრილია კულტურული მემკვიდრეობის მრავალი ძეგლი. ეს ყველაფერი ქმნის იმის წინაპირობას, რომ სრული დატვირთვით იქნას ათვისებული ის ყველა რესურსი, რაც რეგიონის მუზეუმებს გააჩნია.

იმისათვის, რომ მუზეუმებმა შეძლონ მათი პოტენციური შესაძლებლობების სრულყოფილად ამოქმედება, საჭიროა იმ ყველა ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზების აღმოფხვრა, რაც მათ დღევანდელ კომპლექსურ და რთულ სამოქმედო გარემოში სათანადო ფუნქციონირებას უშლის ხელს.

3. მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, ჩვენს მიერ განხილულ მუზეუმებში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ საგრძნობლად დაიხვეწოს სამუზეუმო საქმე, შესაბამისობაში მოვიდეს იგი დღევანდელ მოთხოვნილებებთან და ამაღლდეს მუზეუმებისადმი ინტერესი საზოგადოებაში. მუზეუმების საქმიანობის უმთავრესი ამოცანა კახეთის რეგიონში მათი მნიშვნელობის წინ წამოწევა და ამ სექტორის ყველაზე დინამიურად აღიარება უნდა გახდეს, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ მხარის კულტურულ კერებს და მათ წინაშე არსებული პრობლემების გადაუჭრელობა კონკრეტული ქალაქისა თუ სოფლის სიმბოლოს და ფუნქციის დაკარგვის საფრთხეს ქმნის.

4. მუზეუმების წინაშე არსებული პრობლემების დაუძლეველობა ქვეყანაში მოქმედი არასწორი სამუზეუმო საკანონმდებლო ბაზით არის განპირობებული, რომელიც შეუსაბამობაში მოდის სამუზეუმო საქმის წარმოებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ხდება ცალკეული საკითხების დამუშავება და მათი დანერგვა, უდავოა, რომ სამუზეუმო საქმიანობაში არ არსებობს ერთიან სისტემაში მოქცეული გააზრებული პოლიტიკა.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებს, რასაკვირველია, კონკრეტულ პრობლემებამდე მივყავართ, რომლებიც მუზეუმების ყოველდღიურ საქმიანობაში იჩენს თავს. მუზეუმები დღემდე მოძველებული მართვის საშუალებებით იმართება, რაც შეუძლებელს ხდის სამუზეუმო მენეჯმენტის ახალი მეთოდების ფარგლებში

შესაბამისი საქმიანობების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და განხორციელებას. მოძველებული მენეჯმენტის კვალი სამუზეუმო საქმის ყველა მიმართულებაში აისახება. მუზეუმებში ფაქტიურად არ ფუნქციონირებს მარკეტინგის, საზოგადოებაზე ორიენტირებული პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა განყოფილებები, რომელთა საშუალებითაც სამუზეუმო საქმის სათანადო წარმოება და მუზეუმების პოპულარიზაცია უნდა ხორციელდებოდეს. მუზეუმების უმეტესობას ფუნქცია აქვს დაკარგული და ისინი ფონდების საცავებადაა გადაქცეული. ძალზედ მძიმეა მუზეუმებში სამუზეუმო კოლექციების მდგომარეობა, მოუწესრიგებელია სამუზეუმო ფონდების აღრიცხვა და თანამედროვე სტანდარტის პასპორტიზაცია, არ არსებობს ელექტრონული ბაზები. ძალზედ დაბალია ექსპონატთა ექსპონირების დონე, რადგან სამუზეუმო ექსპოზიციები ძირითადად რამდენიმე ათეული წლის წინაა შექმნილი და დღემდე უცვლელია. უმეტესობა მუზეუმებში არ ეწყობა პერიოდული გამოფენები, ხოლო მოძრავი გამოფენების ორგანიზება ფაქტიურად ამოღებულია საგამოფენო საქმიანობიდან.

5. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია ძირითადად გათვლილია მხოლოდ მუზეუმების პერსონალის ხელფასებსა და სამეურნეო ხარჯებზე, რაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწესრიგებლად და სხვა საქმიანობების განსახორციელებლად არასაკმარისია. აღნიშნულ სიტუაციაში შეუძლებელი ხდება შენობებისა და კოლექციების შენახვა, კვალიფიკაციური კადრების დაქირავება, პროგრამების მომზადება და სხვა. მუზეუმების არასათანადო მუშაობა კი თავისთავად აისახება მუზეუმისადმი საზოგადოების ინტერესსა და დამთვალიერებლის გაუცხოებაზე.

საჭიროა მუზეუმმა თავისი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, მოახდინოს უკვე ნაცნობი ნივთებისა და ექსპონატების ისეთი ინტერპრეტაცია, რითაც მოიზიდავს დამთვალიერებელს. თითოეულმა მუზეუმმა, საკუთარი ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების ერთობლივი მონდომებით, მიზნად უნდა დაისახოს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ლოკალური პრობლემის გადაჭრა და უპირველესად, მუზეუმის ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებისათვის, რაც მიღწეულ უნდა იქნას სწორად დაგეგმილი

მენეჯმენტით, ადგილობრივ სპეციფიკასთან შესაბამისი სამუზეუმო გარემოს შექმნისა და მომსახურების სფეროს უზრუნველყოფით.

6. საზოგადოების ცნობიერებაში მომხდარმა ცვლილებებმა და ტექნიკურმა პროგრესმა წარმოქმნა ახალი ტიპის დამთვალიერებელი. მათ სურთ დასვენებისა და გართობისათვის განკუთვნილი დრო მათივე კარნახით ორგანიზებულმა ღონისძიებებმა შეავსოს, ამიტომ მუზეუმები განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ თავიანთი „მომხმარებლის“ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

დღეს, დიდი კონკურენციის პირობებში მოთხოვნილებათა ნიშნული ძალზედ მაღლაა აწეული და ყველა მუზეუმი უნდა ეცადოს იყოს უნიკალური, მოსახერხებელი და მიმზიდველი დამთვარიელებლისათვის.

ახალი ტიპის დამთვალიერებლის მოთხოვნილებების შესაბამისად, მუზეუმის საქმიანობა რეორიენტაციას მოითხოვს. ხოლო მუზეუმების სფეროს მზარდი სტრუქტურა უფრო მეტად ორგანიზებულ და ფორმალიზებულ მუზეუმის გარემოს საჭიროებს.

7. მუზეუმი უნდა განვიხილოთ, როგორც ისეთივე ბიზნეს-კანონებით მართვადი დაწესებულება, როგორც სხვა ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის "პროდუქტი", რამელსაც იგი სთავაზობს დამთვალიერებელს, ხარისხობრივად, ინფორმაციულობითა და ფასეულობით ბევრად აღემატება სხვა ნებისმიერ პროდუქციას. მუზეუმების მართვაში უნდა დამკვიდრდეს მენეჯმენტის ისეთი მიმართულებები, რომლებიც დღევანდელ დღეს ორგანიზაციის სრულყოფილი მართვისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. კერძოდ: მარკეტინგი, დაგეგმვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა.

მკაფიოდ ჩამოყალიბებული მენეჯმენტის სისტემის გარეშე შეუძლებელია კოლექციების მოვლა, შენახვა, შესწავლა, სასწავლო პროგრამების გაკეთება. ამის გარეშე შეიძლება დაიკარგოს კავშირი მუზეუმსა და საზოგადოებას შორის და მუზეუმის არსებობა საშიშროების წინაშე აღმოჩნდეს.

8. ახალ მოთხოვნილებებთან შესაბამისობა პროფესიონალიზმის ამაღლებას გულისხმობს, რაც თავისთავად საქმიანობის სრულყოფის სურვილს ითვალისწინებს. ამიტომ, აუცილებელია, სამუზეუმო საქმის ორგანიზებულად დაგეგმვა და მისი პრაქტიკაში სარგებლიანად გამოყენება. ამისათვის, მუზეუმებმა სრულყოფილად

უნდა აითვისონ ყველა ის რესურსი, რაც მათ გააჩნიათ. მუზეუმი უნდა იმართებოდეს სტრუქტურულად დახვეწილი ისეთი მმართველობითი საშუალებებით, რომელთა მეშვეობითაც იგი შეძლებს თვითდამკვიდრებას იმ კონკურენტულ ბიზნეს გარემოში, რომელშიც მას უწევს არსებობისათვის და გამარჯვებისათვის ბრძოლა.

9. კახეთის რეგიონის მასშტაბით არსებული სამუზეუმო პრობლემების მოსაგვარებლად და დასარეგულირებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კახეთის მუზეუმების რეგიონალური გაერთიანების ჩამოყალიბება და ამ გაერთიანებაში არსებული თითოეული მუზეუმისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მიგვაჩნია, რომ ეს გაერთიანება ხელს შეუწყობს მუზეუმების საზოგადოებრივი და კულტურული ფუნქციის შენარჩუნებას და უფრო ეფექტურს გახდის სამუზეუმო საქმის რეგულირების ერთიან სტანდარტებს, მენეჯმენტის გაძლიერებას, კვალიფიციური კადრების შექმნას და ძველი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუზეუმებისათვის კომპლექსური თუ ინდივიდუალური ფინანსების მოძიებას, ინფრასტრუქტურის დახვეწას, სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ექსპონატების მოძრაობას და სხვა. სასურველია, აღნიშნული გაერთიანების ფარგლებში მუზეუმების საერთო ვებ-გვერდის დაარსება - საერთო ელექტრონული ქსელის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმების ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნას. დღესდღეობით, სრულიად წარმოუდგენელია მუზეუმის არსებობა, რომელსაც საკუთარი ადგილი არ აქვს დაკავებული ინტერნეტში.

10. რეგიონში არსებულ მუზეუმებში არსებული სამუზეუმო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები, უპირველესად, მუზეუმის ერთიანი მართვის სისტემისა და აღნიშნულ სისტემაში მიღებული ახალი ფორმების შემუშავებას და დამკვიდრებას მოითხოვს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოძველებული სისტემის განახლებას და მუზეუმების გადასვლას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე. მართალია, თითოეული მუზეუმი სპეციფიკისა და მასშტაბებიდან გამომდინარე, თავისებურად გამოეხმაურება მენეჯმენტის ნოვატორულ ძიებებს, მაგრამ ყოველივე ახალი მიზანმიმართულად უნდა ექვემდებარებოდეს მენეჯმენტის საერთო მმართველობით ფორმებს.

მენეჯმენტის ახალი ფორმების გათვალისწინება აუცილებელია მუზეუმების შემდგომი განვითარებისათვის. ამისათვის, მუზეუმმა თავისი მოღვაწეობა უნდა

წარმოაჩინოს და მოახდინოს მისი, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო დაწესებულების დემონსტრირება, რაც საქმიანობის უკეთესი და წინდახედული დაგეგმვით უნდა განახორციელოს.

მენეჯმენტის ყველა კომპონენტი ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებასა და მუზეუმს შორის ურთიერთსასარგებლო კავშირის დამყარებაზე. ეს საზოგადოებაში მუზეუმისადმი ემოციური დამოკიდებულების შეცვლასა და დაინტერესების გაზრდას გამოიწვევს, რაც სამუზეუმო საქმიანობის წარმატებულად წარმართვის უპირველესი საშუალება იქნება.

11. მუზეუმის მენეჯმენტს ისეთი საზოგადოებრივი და ეკონომიკური პასუხისმგებლობა უნდა მიენიჭოს, როგორიცაა კომუნიკაციების, ტექნოლოგიების, ეკონომიკური, ორგანიზატორული და სამართლის საკითხების გადაწყვეტა. ასეთ შემთხვევაში მენეჯმენტი წარმოადგენს მოსახლეობისათვის კულტურული მომსახურების მინიჭების საშუალებას, რისთვისაც აუცილებელია ინფრასტრუქტურის გამართვა, სოციალური, პოლიტიკური, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მიზნების ერთმანეთთან შეთანხმება [Becker, Hocklin 1996: 304-305].

მუზეუმების მართვის მიზანი უნდა იყოს მართვის მეთოდებისა და საშუალებების მეშვეობით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების გაადვილება და ხელშეწყობა, რომლებიც მუზეუმის მისიის განხორციელების, მისი უფლებამოსილების და აგრეთვე მუზეუმის სხვადასხვა ფუნქციის შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისაკენ მიგვიყვანს.

12. აღნიშნულ საქმიანობათა დაგეგმვისა და განხორციელების უპირველესი ინიციატორი მუზეუმის დირექტორი უნდა იყოს, რომელიც ოპტიმალურად გამოიყენებს რესურსებს, ეფექტურად მართავს ყოველდღიურ სამუშაო პროცესებს, კერძოდ, განახორციელებს ფინანსური, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სწორ განაწილებას. ასევე საქმიანობის სტრატეგიულად და კრეატიულად დაგეგმვას, თანამშრომლების მოტივირებას და მუზეუმის ეფექტურ განვითარებას. დირექტორმა კომპლექსური უნდა გახადოს მუზეუმის მენემეჯნტი და უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა ეფექტური ჯგუფების შექმნა. სამუზეუმო საქმის წარმატებულად მართვისათვის აუცილებლად უნდა აწარმოოს მუზეუმის შენობისა და კოლექციების შენახვა-დაცვა-უსაფრთხოების, დამთვალიერებლისათვის

კომფორტისა და პერსონალის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნის მონიტორინგი და კონტროლი, ამასთან, მათთვის მუდმივად ინფორმაციის მიწოდება.

13. მუზეუმებს შემუშავებული უნდა ჰქონდეთ გენერალური გეგმა, რომელიც გათვლილი იქნება რამოდენიმე წელიწადზე და დეტალურად აღწერს სამუზეუმო საქმიანობის შინაარსს, როგორიცაა მუზეუმისათვის აუცილებელი რესურსების (ფართი, აღჭურვილობა, პერსონალი და ფინანსები) განვითარება, მათდამი მოთხოვნები და ამ მოთხოვნების შესრულების საშუალებები. გენერალური გეგმა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ინსტიტუციურ გეგმას, ბაზრის ანალიზს, კოლექციების ანალიზს, დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების გეგმას (დოპ), მარკეტინგის სტრატეგიას, პერსონალთან მუშაობის გეგმას, სამეურნეო გეგმას, კაპიტალური მშენებლობის ხარჯების პროგნოზს, დამთვალიერებელთა ვიზიტის, ხარჯებისა და შემოსავლების გეგმას, დაფინანსების სტრატეგიას, სამუშაოების შესრულების გრაფიკს.

ახალი მმართველობითი ფორმების კვალდაკვალ, როდესაც 21-ე საუკუნეში მუზეუმები მუდმივ ცვლილებათა მოთხოვნების წინაშე დგას, საჭიროა სხვადასხვა ტიპის განათლებისა და შესაძლებლობების ადამიანების დაბალანსებული ურთიერთშეთანხმებული მოქმედება, რომელშიც მრავალი ფუნქცია იქნება გაერთიანებული. ყველა ამ მოთხოვნის თანხვედრა, მენეჯმენტის ტრადიციულ მეთოდებს მოუქნელსა და გამოუსადეგარს ხდის. მართვის ახალი მეთოდი ფაქტიურად უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ სინთეზს, სადაც სამეცნიერო, ეკონომიური, საგანმანათლებლო, სამართლისა და მენეჯმენტის სხვადასხვა ელემენტები მაღალ ტექნოლოგიებთან იქნება შერწყმული. აუცილებელია მუზეუმებმა მოამზადონ შესაბამისი ახალი კადრები, ხოლო ძველ თანამშრომლებს მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები ჩაუტარონ, რაც მათ ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის.

14. დღესდღეობით, მუზეუმებმა უნდა მოახერხოს შექმნას საკუთარი აქტიური საგანმანათლებლო გარემო როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე დამთვალიერებლისათვის. შესაბამისად, მუზეუმების პროფესიული მართვის მიმართ, მნიშვნელოვან მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს მუზეუმის თითოეული თანამშრომლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება. ეს

სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს მუზეუმის საკადრო პოტენციალის განვითარების ზოგად პოლიტიკას და ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნებს. იგი ყოველწლიურად უნდა განახლდეს და ითვალისწინებდეს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ინდივიდუალურ გეგმებს, რომელიც თავისთავად მუზეუმის მოთხოვნების შესაბამისი იქნება.

თანამშრომელთა ფუნქციების შესრულების კონტროლისათვის საჭიროა თითოეულ თანამშრომელს ჩაუტარდეს ყოველწლიური შეფასება, რომელიც საქმიანობის ეფექტურობას და პროდუქტიულობას განსაზღვრავს. ამასთან, აუცილებელია ყოველწლიურად დაზუსტდეს მუზეუმების მიმდინარე მიზნებისა და ამოცანების მიმართ საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების მნიშვნელობა, რომლის შეფასება ანგარიშების საშუალებით გახდება შესაძლებელი. სამუზეუმო საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად მუზეუმებმა პრაქტიკაში უნდა მიიღონ ასევე კითხვარების შევსების ფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება დამთვალიერებლის შთაბეჭდილებების გაგება. კითხვარები თავისი შინაარსით შესაძლებელია ემსახურებოდეს როგორც მუზეუმის აუდიტორიის კვლევის და მომსახურების გაუმჯობესების, ასევე სამუზეუმო საქმის რომელიმე კონკრეტული მიმართულების საქმიანობის შეფასების შესწავლას.

15. 21-ე საუკუნის მუზეუმის სტრუქტურასთან დასაახლოვებლად, მუზეუმებში აუცილებელია გაჩნდეს მოხალისეებისა და მუზეუმის მეგობრების კლუბები, რომელთაც სურვილი ექნებათ მუზეუმს მორალური და ფინანსური დახმარება გაუწიონ. ისინი მნიშვნელოვნად დაეხმარებიან მუზეუმის თანამშრომლებს მუზეუმის სხვადასხვა საქმიანობის წარმოებაში. მათი ფართო და აქტიური მხარდაჭერა მუზეუმის წარმატებული მუშაობის საფუძველი უნდა გახდეს.

16. მუზეუმებში აუცილებელია ფუნქციონირებდეს სამეცნიერო განყოფილება, რომლის საქმიანობა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული სამუზეუმო ფონდების შეგროვების, მათი დაცვა-აღრიცხვის, საექსპოზიციო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობასთან. იგი წინასწარ მოფიქრებული, დაზუსტებული და მიზანდასახული გეგმის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. ამ სამუშაო გეგმას მუზეუმის სამეცნიერო საბჭო უნდა იხილავდეს. განყოფილების მეცნიერული საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს მუზეუმის ფონდში დაცული მასალის

მეცნიერულ შესწვლას, მუზეუმის ფონდში არსებული ხარვეზების შევსებას, ექსპონატების შესახებ არსებული მონაცემების შინაარსის ამაღლებას, საზოგადოებაში მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას და სხვ. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაძლიერების და მისი შედეგების პოპულარიზაციისათვის, მუზეუმი უნდა ატარებდეს სამეცნიერო კონფერენციებს. კონფერენციები სამეცნიერო კვლევების ფართო საზოგადოებისათვის წარდგენასთან ერთად, მეცნიერული ხასიათის შრომებით მუზეუმის სამეცნიერო არქივის გამდიდრებას უნდა ემსახურებოდეს.

სამუზეუმო გამოცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გამოფენების კატალოგის, გზამკვლევების, კოლექციების კატალოგის, საბავშვო წიგნების და თამაშების, მასწავლებელთათვის მასალების, სარეკლამო ფურცლების და ბროშურების, ღია ბარათების, პლაკატების და რეპროდუქციების და სამეცნიერო ჟურნალების სახით, რაც ძალზედ წაადგება მუზეუმის პოპულარიზაციას.

ფართო დიაპაზონის მქონე საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს ვორკშოპებს, სასწავლო კურსებს, ლექციებს, ფილმების ჩვენებებს, კონცერტებს, გარკვეული ჯგუფებისათვის განკუთვნილ მეცადინეობებს, ექსკურსიებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს და სხვა. ამგვარი ღონისძიებები შეიძლება იყოს წინასწარ დაგეგმილი ან შემთხვევითი, თითქოს მუზეუმის დარბაზში წარმოქმნილი. მაგალითად, თელავის ისტორიულ მუზეუმს აქვს შესაძლებლობა ააგოს სიუჟეტი როგორც მეფეთა სასახლეში ერეკლე მეფის ცხოვრებიდან ან მოღვაწეობიდან აღებულ რომელიმე კონკრეტულ ეპიზოდზე, ასევე ეთნოგრაფიულ მუზეუმში ყოფით სცენებზე, რომლებიც დამთვალიერებლისათვის უშუალოდ დარბაზებში გაცოცხლდება. ყოფითი სცენების გაცოცხლების შესაძლებლობა რეგიონში არსებულ თითოეულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებობს, კოლექციის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით. იგივე შინაარსის ღონისძიებების დაგეგმვაა შესაძლებელი რეგიონში არსებულ თითოეულ მემორიალურ მუზეუმში, სადაც მუზეუმის მკვიდრთა ცხოვრების, შემოქმედებისა თუ მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდების გაცოცხლებაა შესაძლებელი.

17. მუზეუმებმა განსაკუთრებით უნდა გაამახვილონ ყურადღება პატარა ბავშვებისათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რადგან სწორედ ისინი ხდებიან პოტენციურად მუზეუმის მუდმივი დამთვალიერებლები.

მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილება აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს სკოლებთან, რადგან მუზეუმის დამთვალიერებელთა უმეტესი ნაწილი სკოლის მოსწავლეთა ჯგუფებზე მოდის. ასეთი ვიზიტების დროს მოსწავლეები პირველად ეცნობიან მუზეუმს, რომელმაც სასკოლო სისტემასთან ერთად, დამატებითი საგანმანათლებლო ფუნქციაც უნდა შეასრულოს. მუზეუმს უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამები როგორც მასწავლებელთათავის, ასევე მოსწავლეებისათვის, რომლებიც დაკავშირებული იქნება სკოლის სასწავლო გეგმებთან, მიზნებსა და ამოცანებთან.

18. ექსპოზიციები მუზეუმსა და მის დამთვალიერებელს შორის კომუნიკაციის ძირითად ფორმად ჩამოყალიბების ტენდენციას უნდა ავლენდეს. საზოგადოების მიერ მუზეუმის აღქმა, უმეტესწილად, მისი ექსპოზიციების დათვალიერების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს ეფუძნება. მუზეუმებში არსებული მუდმივი თუ დროებითი ექსპოზიცია საზოგადოებისათვის ყველა ექსპონატის გაცნობას უნდა ემსახურებოდეს, რომლებიც მუზეუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი საერთო შინაარსის ამსახველი იქნება. ექსპოზიციის ეფექტურობა საგამოფენო ინვენტართან უნდა იყოს დაკავშირებული. კერძოდ, კარადები და დასადგმელი თაროები ექსპონატის მნიშვნელობის და მისი გარეგნობის შესაფერისად უნდა იყოს დამზადებული, ისე, რომ მისი ყოველი დეტალის აღქმა ყოველმხრივ იყოს მოსახერხებელი. ასევე საყურადღებოა ექსპოზიციის დეკორატიული გაფორმებაც, რაც ექსპონატებისა და რეკვიზიტების განლაგების ურთიერთშეხამებას გულისხმობს.

ექსპოზიციის ინტელექტუალურად შეცნობის თვალსაზრისით გამოყენებულ უნდა იქნას ისეთი დამხმარე საშუალებები, როგორიცაა: ანოტაციები, საინფორმაციო ტექსტები, თანამედროვე ტექნოლოგიები. ყურადღება უნდა მიექცეს ექსკურსიამძღოლების ცოდნას და ამ ცოდნის საინტერესოდ და დამაჯერებლად გადმოცემას.

19. კახეთის რეგიონის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, მუზეუმებმა სისტემატურად უნდა მოაწყონ მოძრავი გამოფენები როგორც რეგიონში, ასევე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით და საზღვრებს გარეთ. ეს ხელს შეუწყობს მუზეუმების მიმართ ინტერესის გაღვივებასა და საზოგადოებაში მუზეუმში მისვლის სურვილის აღძვრას.

კოლექციების მართვა სამუზეუმო საქმიანობის უმთავრესი ნაწილია, რომელზე უშუალო პასუხისმგებლობაც მცველს აკისრია. იგი ვალდებულია გააერთიანოს მთელი მუზეუმის ძალისხმევა მისი საზოგადოებრივი მისიის წარმატებით შესრულებაში. მცველი პასუხისმგებელი უნდა იყოს კოლექციის ღრმა ცოდნასა და კვლევაზე, კოლექციის შევსებაზე, კოლექციის განვითარების შესაძლებლობის წარმოჩენაზე ბაზრის მოთხოვნილების, მუზეუმის ბიუჯეტისა და კოლექციის ჩამოყალიბებული სტრუქტურის გათვალისწინებით.

20. მუზეუმები უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მუზეუმის კოლექციებისათვის ისეთი პირობების შექმნას, რაც მათ მაქსიმალურად ხანგრძლივ შენახვას უზრუნველყოფს. ეს გულისხმობს მათი შენახვისა და ექსპონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას (ტემპერატურის და ფარდობით ტენიანობის რეგულირება, ჰაერის ფილტრაცია, განათება, მავნებლები, მოვლა), მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ექსპონატთა კონსერვაცია-რესტავრაციას, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ექსპონატების მდგომარეობის გაუარესების შესაძლებლობას.

მუზეუმის კოლექციებზე სისტემატურად უნდა ტარდებოდეს კვლევითი სამუშაოები, რამაც უნდა უზრუნველყოს მუზეუმის ყველა პროგრამისათვის მყარი საფუძველის შექმნა და თავიდან აირიდოს კოლექციებში არასაჭირო, უმნიშვნელო, ასლებისა თუ ყალბი ექსპონატების დაგროვება.

21. მუზეუმების უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა წამოადგენდეს ასევე ინფორმაციის შენახვა და მისი მართვა. ამისათვის, მუზეუმებმა უნდა უზრუნველყონ მათი "პროდუქტის" შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ინფორმაციის მართვისადმი უფრო ერთიანი მიდგომის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს კოლექციების ხელნაწერი აღრიცხვიდან კომპიუტერულზე გადასვლა, მონაცემების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, ამ მონაცემების როგორც პერსონალისათვის, ისე დამთვალიერებლისათვის ხელმისაწვდომობა, კოლექციის მონაცემთა ბაზების და მუზეუმის სხვა საინფორმაციო სისტემების ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობა, აგრეთვე მონაცემთა ბაზების, როგორც ინფორმაციის გაცვლის საშუალების გავრცელება თვით მუზეუმის შიგნით და სხვადასხვა დაწესებულებებს შორის.

ინფორმაციის ციფრული სახით არსებობაზე გადასვლა საფუძვლიანად ცვლის ინფორმაციის მართვის ოპერატიულობასა და პროდუქტიულობას. ინტერნეტით ურთიერთქმედების შესაძლებლობა ხსნის ახალ საინტერესო პერსპექტივებს ინფორმაციის ეფექტური დამუშავებისათვის როგორც მუზეუმის შიგნით, ასევე მუზეუმის გარეთ. მუზეუმმა თავის დამთვალიერებელთან კავშირი ინტერნეტ სივრცეში განთავსებული საკუთარი ვებ-გვერდის ან სოციალური ქსელის მეშვეობით უნდა დაამყაროს, რაც წინაპირობა გახდება იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით არსებული ინტერნეტ მომხმარებელი მუზეუმის პოტენციური დამთვალიერებელი შეიძლება გახდეს.

22. 21-ე საუკუნის სამუზეუმო საქმიანობის წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება კომუნიკაციაა. ერთი შეხედვით, დღესდღეობით თითქოს არ უნდა იდგეს კომუნიკაციის პრობლემა, მაშინ, როდესაც კომუნიკაციის მრავალგვარი საშუალება არსებობს. თუმცა თვალნათლივ ჩანს, რომ ჩვენს მუზეუმებს შიდა კომუნიკაციის, კულტურის სფეროს და სხვა სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის, საზოგადოებასთან, მასმედიასთან და სხვა კომუნიკაციის პრობლემა აქვთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამუზეუმო საქმიანობაში კომუნიკაციის ისეთი საშუალებების დამკვიდრება, როგორიცაა სხვადასხვა ქსელურ სისტემები, სადაც ელექტრონული წერილების, შეტყობინებებისა თუ განცხადებების სახით მუზეუმის თანამშრომლებს ერთმანეთისაგან და გარეშე პირებისა თუ ორგანიზაციებისაგან ინფორმაციის სწრაფად მიღებისა და გაცემის საშუალება ექნებათ. ეს კი მათი სამუშაო დროის დაზოგვისა და საქმისადმი მობილურობის წინაპირობა გახდება.

23. მუზეუმებმა უნდა მოახდინონ იმ საშუალებების ინტერპრეტაცია, რაც მათი კოლექციებისა და კვლევითი საქმიანობის გაცნობას გულისხმობს. იგი უნდა მოიცავდეს დამთვალიერებლისათვის დარბაზების დასახელებებით და მათი თემატიკით, წარწერებით (სადაც განსაზღვრული იქნება სიტყვების რაოდენობა, შრიფტის ზომა და ფერი, განთავსება) და სასტენდო ტექსტებით, მიწოდებული ინფორმაციის სპექტრით (თარიღი, მხატვარი/ავტორი, წყარო, საინვენტარო ნომერი, ჩუქება, აღწერა, გამოყენება და ა.შ.), ტექსტების ტონითა და სტილით უზრუნველყოფას.

დამთვალიერებელს მუზეუმის მიერ შეთავაზებული ინფორმაცია სრულყოფილად უნდა ეხმარებოდეს ორიენტაციაში, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც სივრცობრივ, ასევე ინტელექტუალურ ორიენტირს. ძალზედ მნიშვნელოვანია მაორიენტირებელი ინფორმაციის ხარისხი, რომელიც პირდაპირპროპორციულად მუზეუმის შემოსავლის ზრდაზე აისახება.

სივრცეში ორიენტაცია სრულყოფილად უნდა წარმოადგენდეს ინფორმაციას მუზეუმის დაგეგმარებაზე, გადაადგილების შესაძლებლობებზე და მომსახურების სახეებზე. კომპლექსური ტიპის მუზეუმების ტერიტორიაზე დამთვალიერებელთა კონცენტრაციის რეგულირებისათვის აუცილებელია არსებობდეს მიმართულებებისა და ნაგებობების მიმანიშნებლები, რომლებიც განთავსდება როგორც მუზეუმის შესასვლელთან, ასევე ტერიტორიაზე გამყოფ გზებთან და უშუალოდ ტერიტორიაზე არსებულ ობიექტთან თითოეულის აღმნიშველი ინფორმაციით. აღნიშნული საინფორმაციო დაფა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თელავის ისტორიულ მუზეუმის შესასვლელში დგას, თუმცა კომპლექსის ტერიტორიაზე მინიშნებების არ არსებობით იგი უკვე სათანადოდ ვეღარ ითავსებს მუზეუმის ტერიტორიის მაორიენტირებელ ფუნქციას.

24. მუზეუმის ექსპოზიციისა და მუშაობის შინაარსის გასაცნობად შედგენილ უნდა იქნას მეგზური. იგი როგორც წესი პატარა, შინაარსის მხრივ სხარტად წასაკითხი, მაღალ დონეზე შედგენილი და დასურათებული უნდა იყოს. ის თავისი გაფორმების მხრივ არა მარტო უნდა იზიდავდეს დამთვალიერებელს, არამედ მოკლედ და გასაგებად ნათელ წარმოდგენას უნდა აძლევდეს მას მუზეუმსა თუ რომელიმე კონკრეტულ ექსპოზიციაზე.

ინტელექტუალური ორიენტირება უნდა მოიცავდეს მუზეუმის თემატიკისა და თავისებურებების, კოლექციებთან სხვადასხვა საშუალებათა განმარტებას, აგრეთვე, ინფორმაციის მიწოდების ენა. მუზეუმმა ყველა სახის მომსახურება უნდა უზრუნველყოს რამოდენიმე ენაზე (სასურველია, ყველა სამუზეუმო ნიშნული და განცხადება რამოდენიმე ენაზე იყოს შესრულებული). სასურველია, ექსკურსიებიც სხვადასხვა ენაზე ტარდებოდეს, და ამასთანავე, ისინი გათვლილი იყოს დამთვალიერებელთა ცალკეული ჯგუფების მოთხოვნილებებზე – როგორც

თემატური, ასევე ინტელექტუალური თვალსაზრისით, რომლებიც განსხვავებული იქნება მუზეუმში არსებული დაწესებული მარშრუტისაგან.

21-ე საუკუნის დამთვალიერებელს სულ უფრო მეტი ინფორმაცია სჭირდება მუზეუმის შესახებ. ამის უზრუნველსაყოფად, საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემაში ბიბლიოთეკასთან ერთად, მუზეუმს სასურველია ჰქონდეს ცალკე საინფორმაციო სამსახური ან ცნობათა ბიურო, ასევე აუდიოგიდები, სპეციალური ექსკურსიები და ლექციები.

ვინაიდან საზოგადოების მოთხოვნებმა განვითარება განიცადეს, მუზეუმებმაც ახალი როლების შესრულება იკისრეს და მათი მიზნებიც საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, ისევე როგორც მარკეტინგი. სამუზეუმო მარკეტინგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული აუდიტორიის გაფართოებისა და ამასთან, მუზეუმის მუდმივ დამთვალიერებლებთან ურთიერთობის განმტკიცებასთან.[17] იგი მეტად მნიშვნელოვანია დაწესებულების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. მარკეტინგი მიმართული უნდა იყოს მუზეუმის დანიშნულების შესრულებაზე, კერძოდ, გააუმჯობესოს მუზეუმში სიარულისაგან მიღებული შთაბეჭდილებები, რაც მოითხოვს იმას, რომ გავცდეთ ტრადიციულად ყურადღების გამახვილების ფარგლებს ექსპონატებზე, კოლექციებზე, ინფორმაციასა და განათლებაზე. მუზეუმში ვიზიტორთა შთაბეჭდილებების გენერირება გულისხმობს ღონისძიებებს, რომლებშიც დამთვალიერებლებს უშუალო მონაწილეობის მიღება შეუძლიათ.

25. მარკეტინგის წყალობით მუზეუმი უნდა გახდეს მომხმარებელზე ორიენტირებული და იგი ცალკეული სამიზნე ჯგუფებისათვის უნდა ახდენდეს შესაბამისი შეთავაზებების მომზადებას. მუზეუმმა უნდა შექმნას ისეთი მომსახურება, რომელიც დააკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებსა და ინტერესებს. დღესდღეობით, მუზეუმების მომსახურებაში ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებსა და დეტალებს, რომლებიც სრულიად წარმოუდგენელი იყო თუნდაც რამოდენიმე ათწლეულის წინ: დაცვის ქვეშ მყოფი უფასო გასახდელის მუზეუმის შესასვლელთან განთავსება, ტუალეტების მდგომარეობა მუზეუმში, საგამოფენო სივრცეებში დამთვალიერებლისათვის მოსასვენებელი სკამების განთავსება და სხვა.

[17] მუზეუმში შეიძლება არ ფუნქციონირებდეს მარკეტინგის განყოფილება, მაგრამ აღნიშნული საქმიანობა სავსებით შესაძლებელია შეითავსოს მუზეუმის საორგანიზაციო სქემაში რომელიმე შესაბამისმა განყოფილებამ, რომლისთვისაც ფუნქციურად შესაძლებელი იქნება აღნიშნული საქმიანობის შესრულება

მარკეტინგის სტრატეგია თავისი შინაარსით უნდა წარმოადგენდეს მუზეუმის დამთვალიერებელთან ურთიერთქმედებისა და დამთვალიერებლების მომსახურების გაუმჯობესების მრავალფეროვან გზებს, რომელიც ემსახურება დამთვალიერებლების რიცხვისა და მუზეუმში მათი დანახარჯების ზრდას. მარკეტინგის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს მჭიდრო კონტაქტი მუზეუმსა და დამთვალიერებელს შორის და გახადოს ის საინტერესო და მიმზიდველი განმეორებითი მონახულებისა და მუზეუმის ხელშემწყობი ორგანიზაციის წევრად გახდომისათვის. მარკეტინგის შემუშავებული სტრატეგია უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად და მეთოდურად, ხოლო გამოყენებული ხერხების ეფექტურობა სისტემურად უნდა შეფასდეს როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისობრივადაც.

26. მუზეუმებმა მათით დაინტერესებული პირების ფართო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად თავისი მენეჯერული უნარ-ჩვევების განვითარების გზით ფოკუსირება უნდა მოახდინოს არა ნივთზე, არამედ ადამიანურ რესურსებზე. მუზეუმმა უნდა გააცნობიეროს, რომ დამთვალიერებლის მომსახურების თითქოს მეორად კომპონენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან, მოგეხსენებათ, დამთვალიერებელი საკმაოდ სწრაფად რეაგირებს ყოველგვარ უარყოფით მომსახურებაზე, რაც დამთვალიერებელთა მუზეუმში დინების კლებას იწვევს. მუზეუმმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საზოგადოებას, იგი მეტად გახსნილი უნდა გახდეს მისთვის და გაითვალისწინოს მისი აზრი. სწორედ საზოგადოების შეფასება უნდა იქცეს მუზეუმის საქმიანობის ამოსავალ წერტილად. როგორც ჩვენთვის ცნობილია, დამთვალიერებელთა მომსახურებაზე და მოსახერხებელი გარემოს შექმნაზე ზრუნვა, უდიდეს გავლენას ახდენს მათი შთაბეჭდილებების ხარისხზე და დამთვალიერებლების მიმართ მუზეუმის დამოკიდებულებას ავლენს. დამთვალიერებელზე მუშაობა და მისი მოზიდვა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ერთის მხრივ მუზეუმის ფინანსური კრიზისიდან გამოყვანაში, ხოლო მეორეს მხრივ რეგიონის იმიჯის შესამჩნევად გაუმჯობესებაში.

განსაკუთრებით ყურადსაღებია მუზეუმის თითოეული თანამშრომლის მიერ მუზეუმის საქმიანობაში მათი საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერება. იმისათვის, რომ მუზეუმი გახდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც სრულყოფილად დააკმაყოფილებს დამთვალიერებელთა მოთხოვნებს, იგი ვალდებულია გადახედოს

მისი “წინა ხაზის” თანამშრომლების მუშაობას და უზრუნველყოს მათი კვალიფიკაცია საჭირო სამუშაო ატმოსფეროს შესაქმნელად. ცნობილია, რომ სწორედ ეს თანამშრომლები ურთიერთობენ ყველაზე ხშირად დამთვალიერებლებთან და სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ გათავისებული მათი საქმიანობის მნიშვნელობა. მათი დამთვალიერებლებთან კეთილგანწყობით დახვედრა მუზეუმზე დადებითი შთაბეჭდილებების წარმოქმნისა და შენარჩუნების წინაპირობაა. თუ მუზეუმი არასაკმარისად გაამახვილებს ყურადღებას “წინა ხაზის” თანამშრომელთა საჭირო მომზადებაზე, მაშინ დამთვალიერებლის უკმაყოფილებაც სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმის მიმართ უარყოფითი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებას. მენეჯერული და ლიდერული უნარ-ჩვევები სახასიათო უნდა იყოს მუზეუმის სხვა თანამშრომლებისთვისაც, რომლებიც კურატორულ საქმიანობას ეწევიან მუზეუმში.

მუზეუმებმა აქტიურად უნდა მიჰყონ ხელი აუდიტორიის შესწავლის საქმეს, რადგან სწორედ ისინი აძლევენ მუზეუმს ყველაზე დროულ და სანდო ინფორმაციას მათი საქმიანობის შესახებ და ეხმარება მათ საქმიანობის ხარისხის გაზრდაში, დამთვალიერებელთა მოთხოვნილებებისა და მოლოდინის დაკმაყოფილების კონცენტრაციასა და მათი ინტერესების შესაბამისი შედეგების მიღწევაში.

27. მატერიალური თვალსაზრისით ტურიზმს მუზეუმებისათვის შემოსავლის დიდი წილი შემოაქვს. უცხოელი ტურისტების რეგიონისადმი ინტერესთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ქართულ საზოგადოებაშიც ნელ-ნელა მკვიდრდება თავისუფალი დროის გამოყენების კულტურა, რომელიც უმეტესწილად კულტურულ ტურიზმს უკავშირდება, რაც რეგიონში კულტურულ ტურიზმზე მოთხოვნილებათა ზრდის წინაპირობას ქმნის.

მუზეუმებმა საზოგადოებას უნდა შესთავაზონ ისეთი გარემო, რომელიც მათთვის მოსახერხებელი, შთამბეჭდავი და მიმზიდველი იქნება და მათ მიერ შეთავაზებული რესურსების ასათვისებლად, დამთვალიერებელში აღძრას მუზეუმში მეტი დროის გატარებისა და შესაბამისად მათივე სიამოვნებისათვის ფულის დახარჯვის სურვილი.

მუზეუმებმა დამთვალიერებელს უნდა შესთავაზონ არა მხოლოდ შედევრები, არამედ დასვენების კუთხეები, მაღაზიები, კაფე-რესტორნები და სხვადასხვა

გასართობი ღონისძიებები, რაც ნამდვილად იქცევა მუზეუმისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო.

სამუზეუმო მაღაზიას უდიდესი როლი ენიჭება დამთვალიერებელსა და მუზეუმს შორის ურთიერთობის გამყარებაში. მუზეუმის მაღაზიაში წარმოდგენილ ყველა ნივთს თან უნდა ახლდეს განმარტებითი შინაარსის ტექსტები, თუ რითი არიან ისინი დაკავშირებული მუზეუმის კოლექციებთან. ამგვარად, იგი ერთგვარად გარდაიქმნება მუზეუმის ექსპონატად სხვის კუთვნილებაში და წარმოადგენს მუზეუმში ვიზიტის ერთგვარ შეხსენებასაც. თუ მუზეუმის მაღაზია უზრუნველყოფს საქონლის შეკვეთას და ყიდვას ინტერნეტში განთავსებული ელექტრონული მაღაზიის საშუალებით, ეს თავისთავად ორმაგად გააძლიერებს საზოგადოების ინტერესს მუზეუმის მიერ შეთავაზებული მუზეუმის "პროდუქტის" მიმართ. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია 21-ე საუკუნეში, როდესაც მცირე თავისუფალი დროის მქონე საზოგადოებას უადვილებს და უნარჩუნებს მუზეუმთან ურთიერთობას, მაშინ, როდესაც მან შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერც კი მოახერხოს მუზეუმში ვიზიტი.

28. მუზეუმში საზოგადოებრივი კვების ობიექტების გაჩენა მუზეუმში დამთვალიერებლის მაქსიმალურად დიდხანს გაჩერებასთან ერთად მუზეუმისათვის დამატებითი შემოსავლების გაჩენას ითვალისწინებს. მუზეუმში ხანგრძლივი დროის გატარებაში თავისთავად ნაგულისხმევია დროის კომფორტულად და სასიამოვნოდ გატარება, რაც დასვენებამ, წახემსებამ და საუბრისათვის საჭირო ადგილმა უნდა უზრუნველყოს. მუზეუმში კაფე-რესტორნის მაღალი დონე საგრძნობლად მოქმედებს მუზეუმის დარბაზებში დამთვალიერებელთა ყოფნის ხანგრძლივობაზე და ხელს უწყობს მის განმეორებით მუზეუმში მისვლას.

29. მუზეუმებმა პრაქტიკაში უნდა დანერგონ ასევე განსაკუთრებული ღონისძიებების ჩასატარებლად ფართის გაქირავება, რაც მათ ამჟამინდელ და პოტენციურ დამთვალიერებელთან, მოქმედ და პოტენციურ სპონსორებთან აახლოებს. მუზეუმში ჩატარებული ოჯახური წვეულებები, საქორწინო ცერემონიები, საქმიანი, პოლიტიკური და პროფესიული ხასიათის ღონისძიებები საზოგადოებასთან მათ ურთიერთობას ამყარებენ. ამით ხაზი ესმევა მუზეუმის ღიაობას და "უშუალობას" საზოგადოებასთან, თუმცა, ამავე დროს იგი მაინც რჩება ძალზედ

პრესტიჟული იგივე საზოგადოებისათვის. სწორედ ეს უწყობს ხელს მუზეუმს გახდეს ღია, შემოსავლიანი და "ცოცხალი" დაწესებულება, რაც ძალიან აუცილებელია იმისათვის, რომ მუზეუმებმა სრულყოფილად იარსებონ 21-ე საუკუნეში.

30. მუზეუმი საზოგადოების მაღალი განვითარების დონის მაჩვენებელია და მასში კარგად აირეკლება ყველა ის პროცესი, რაც საზოგადოებაში მიმდინარეობს. სავარადოდ, კახეთის რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობაში მუზეუმების აღქმა თანდათან მაღალი "ცხოვრების დონის" სიმბოლოდ და საზოგადოებისათვის დამატებით ინტელექტუალურ რესურსად გადაიქცევა. სწორედ კარგად ორგანიზებული მუზეუმი წარმოადგენს მასების აღზრდის, მათი პოლიტიკურ-კულტურული დონის ამაღლების ძლიერ საშუალებას. მუზეუმი თავისი საქმინობით უნდა ეცადოს, რომ მისი ენა ყველასათვის გასაგები გახდეს. სამუზეუმო საქმეს საქართველოში ზოგადად და კონკრეტულად კახეთის რეგიონში დიდი პერსპექტივები აქვს. ამიტომ, კახეთის რეგიონში არსებული მუზეუმების მხრიდან ამ პროცესის გააზრება და მეცნიერული მართვა უდავოდ იმსახურებს ყურადღებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი, ზაქარაია, ციციშვილი, 2000** – გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, „ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია“, თბ, 2000.
2. **ბოგველიშვილი, 1967** – გ. ბოგველიშვილი, „წინანდალი“, თბ, 1967.
3. **ბოგველიშვილი, 1997** – გ. ბოგველიშვილი, „წინანდლის ცის ქვეშ. მემუარული ჩანაწერები“, თბ, 1997.
4. **გონჯილაშვილი, 1999** – ბ. გონჯილაშვილი, „ჭავჭავაძეთა ნაფუძარზე“, თბ, 1999.
5. **დრანსე, (თავდიშვილი, მთარგმნელი) 2010-** ა. დრანსე, (თავდიშვილი მ. თარგმანი), შამილის ტყვე ქალები, თბ., 2010
6. **ელანიძე, 2006** – ვ. ელანიძე, „კახეთის ისტორიის პრობლემური საკითხები“, თბ, 2006.
7. **ბაგრატიონი, (ლომოური, ბერძენიშვილი (რედ.) 1941** – ვ. ბაგრატიონი, (თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი, (რედ.), „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“, თბ, 1941
8. **ზაქარაია, 1973** – პ. ზაქარაია, „საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები”, თბ, 1973.
9. **კვარაცხელია, 2009** – ნ. კვარაცხელია, „კულტურული ტურიზმი“, თბ, 2009.
10. **ლორდი, ლორდი, (ქარაია (რედ.), ცისკარიშვილი, მთარგმნელი), 2006** – ბ. ლორდი, გ.დ. ლორდი (ი. ქარაიას (რედ.), ს. ცისკარიშვილი, მთარგმნელი), „სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი“, თბ, 2006.
11. **მეგუთნიშვილი, 2006** – ს. მეგუთნიშვილი, „წინანდალი საქართველოს კულტურის საგანძური“, თბ, 2006.
12. **ორბელიანი (ჯავახიშვილი (რედ.), 1997** – ალ. ორბელიანი (გ. ჯავახიშვილი (რედ.), „თელავი“, თბ, 1997
13. **რჩეულიშვილი, 1963** – ლ. რჩეულიშვილი, „თელავი“, თბ, 1963.
14. **რჩეულიშვილი, 1994** – ლ. რჩეულიშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები“, თბ, 1994.

15. **სახლთხუციშვილი, 1987** – უ. სახლთუხუცესი, „ჭავჭავაძეთა გვარის ისტორიისათვის", თბ, 1987.
16. **ქარაია, ბურჭულაძე, ქარაია, ცისკარიშვილი 2006** – ი. ქარაია, მ. ბურჭულაძე, ლ. ქარაია, ს. ცისკარიშვილი, „საქართველოს მუზეუმები", გზამკვლევი, თბ, 2006.
17. **ღვინერია 2011** – თ. ღვინერია, „შენობის ისტორია", ბროშურის ტექსტი, 2011.
18. **შადური, 1949** – ვ. შადური, „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ", 1949, ტ. I. 1949.
19. **ჩიკოიძე, 1988** – ც. ჩიკოიძე, „თელავი", თბ, 1988.
20. **ჩხეიძე, 1968** – თ. ჩხეიძე, „საუფლისწულო მამულები კახეთში 1885-1921წწ.", თბ, 1968.
21. **ჭილაშვილი, 1984** – ლ. ჭილაშვილი, „მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (სალექციო კურსი)", თბ, 1984
22. **ხარიტონაშვილი, 1990** – χ. ხარიტონაშვილი, „თელავი", თბ, 1990.
23. **ხმალაძე, 1975** – ი. ხმალაძე, „წინანდლის სავანე", თბ, 1975.
24. **Чубинашвили, 1959** - Г. Н, Чубинашвили, "Архитектура Кахетии", Тб, 1959.
25. **Joshua, 1975** – T.C. Joshua, „The Art Museum in United States", On Understanding Art Museums, American Assembly, Columbia University, 1975.
26. **Becker, Hocklin, 1996** – Chr. Becker, S. Hocklin, „Museums management, in: Kulturtourismus, Munchen, Wien, Oldenburg, 1996.

პერიოდული გამოცემები:

27. **აკაკი თელავში, 1940** – „აკაკი თელავში", ახალგაზრდა კომუნისტი, 78, 1940
28. **ალდამიძე, 2007** – თ. ალდამიძე, „კახთ მეფეთა თელავის სასახლის ისტორიისათვის", მოამბე, 4, 2007.
29. **ალდამიძე, 2008** - თ. ალდამიძე, „წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია თელავში", თელავის მუზეუმის მოამბე, 5, 2008.
30. **ამირანაშვილი, 2007** - ც. ამირანაშვილი, „მუზეუმის ისტორიისათვის", მოამბე, 4, 2007.

31. **ბალახაშვილი, 1967** – ი. ბალახაშვილი, „ბაღი ვარდისა", საბჭოთა საქართველო, თბ, 1967.

32. **ბოგველიშვილი, 1957** - გ. ბოგველიშვილი, „ხეები ზეზეულად კვდებიან", ლიტერატურული გაზეთი, 15, 1957.

33. **გვენცაძე, 1938** - ა. გვენცაძე, „თელავის მუზეუმი", ახალგაზრდა კომუნისტი, 24, 1938.

34. **გვენცაძე, 1954** - ა. გვენცაძე, „თელავის სახელმწიფო მუზეუმი", სახალხო განათლება, 52, 1954.

35. **გიორგბერიძე, 1985** – ჯ. გიორგბერიძე, „საქართველოს ძველი ბაღები და პარკები", მეცნიერება, თბ, 1985.

36. **გიორგობიანი, 2003** – ლ. გიორგობიანი, „თელავის სამუზეუმო კომპლექსი", ომეგა, 8, 2003.

37. **დულარიძე, 2002** - თ. დულარიძე, „ჭავჭავაძეები (გარსევანის ოჯახის ისტორია)", ახალი ეპოქა, 12, 2002.

38. **თამაზიანი, 1940** - ალ. თამაზიანი, „თელავის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი", საბჭოთა მწერლობა, 76, 1940.

39. **თელია, 1962** - გ. თელია, „თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი", საბჭოთა ხელოვნება, 11, 1962.

40. **თვალიაშვილი, 1939** - ა. თვალიაშვილი, „ჩვენი მხარე", ახალგაზრდა კომუნისტი, 196, 1939.

41. **იანვარაშვილი, 1959** – ლ. იანვარაშვილი, „თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში", კოლმეურნის ხმა, 98, 1959.

42. **იარალოვი, 1974** - ნ. იარალოვი, „მუზეუმის ხვალინდელი დღე", ალაზნის განთიადი, 95, 1974.

43. **იშვიათი აღმოჩენა, 1945** – „იშვიათი აღმოჩენა", ახალგაზრდა კომუნისტი, 45, 1945.

44. **კვარაცხელია, 1969** – ო. კვარაცხელია, „წინანდლის პარკი", საბჭოთა ხელოვნება, 12, 1969.

45. **მამულაშვილი, 1935** - ალ. მამულაშვილი, „თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი", კოლმეურნის ხმა, 82, 1935.

46. **მამულაშვილი, 1936 I** - ალ. მამულაშვილი, „ერეკლე II-ის სასახლის აბანო", კოლმეურნის ხმა, 88, 1936.
47. **მამულაშვილი, 1936 II** - ალ. მამულაშვილი, „თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი", კოლმეურნის ხმა, 53, 1936.
48. **მელითაური, 1968** - გ. მელითაური, „თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ისტორიისათვის", ალაზნის განთიადი, 27, 1968.
49. **მინდაძე, 1963** – დ. მინდაძე, „ერეკლე მეორის სასახლის დარბაზში", ალაზნის განთიადი, 166, 1963.
50. **პირველი, რატიანი 1990** – ნ. პირველი, ნ. რატიანი, წინანდლის პარკი, კომუნისტი, 245, 1990.
51. **ქარაია, 2009** – ი. ქარაია, „საქართველოს მუზეუმების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები", სპექტრი, 1, 2009.
52. **ხალიფაშვილი, 1938** - ი. ხალიფაშვილი, „თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი", ნორჩილენინელი, 67, 1938.
53. **ხმალაძე, 1960** – ი. ხმალაძე, „წინანდლის დეკორატიული პარკი", საქართველოს ბუნება, 4, 1960.
54. **ჯავახიშვილი, 1983** – გ. ჯავახიშვილი, „წინანდალი – ძმობისა და პოეზიის კერა", ახალგაზრდა კომუნისტი, 115, 1983.
55. **Алавидзе 1978** - З. Алавидзе, „Внов Цинандалского Парка", Заря Востока, №163, 1978.

საარქივო დოკუმენტები:

56. **სსლმ, ბნა, ფ. 3526-6** - საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ბარონ ნიკოლაის არქივი, ფონდი 3526-6.
57. **მამულაშვილი, 1939** – ალ. მამულაშვილი, „საანგარიშო მოხსენება. თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 1935, 6, 7, 8 წლების პერიოდის მუშაობისა გაკვრით", 1939.
58. **მამულაშვილი, 1945** – ალ. მამულაშვილი, „ალ. მამულაშვილის ჩანაწერები", 1945.

59. **მუზეუმის პასპორტი, 2010** – მუზეუმის პასპორტი, „წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი“, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, 2010.
60. **სმაკკსხი, კ. 30-ა** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, კოლექცია 30-ა.
61. **სცსსა, ფ. 229, საქ. II, ფურც. I, სცსსა, 227, საქ.596, ფურც.1-2.** - საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი, ფონდი 229, საქ. II, ფურც. I, ცსხა, 227, საქ. 596, ფურც. 1-2.
62. **ცსსა, ფ. 8, აღ 1, საქ. 1054, ფ. 1-2** - ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი, ფ. 8, აღ 1, საქ. 1054, ფ. 1-2.
63. **ცსსა, ფ. 1025, საქ. 278. ფ. 1-16** - ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი, ფონდი 1025, საქ. 278. ფურც. 1-16.

ინტერნეტში მოძიებული მასალა:

64. **კახეთის რეგიონი**. თელავი, http://kakheti.gov.ge/index.php?cat=54&par=6 (მოძიებულია 05.09.2011 წ.).
65. **ჭავჭავაძეების ოჯახი.** თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846). http://www.nplg.gov.ge/chavchavadze/alexandrechav.html (მოძიებულია 05.05.2010 წ.).
66. **ჭავჭავაძეების ოჯახი.** წინანდალი დღეს. http://www.nplg.gov.ge/chavchavadze/tsintoday.html (მოძიებულია 05.05.2010 წ.).
67. **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი.** http://tsinandali.blogspot.com (მოძიებულია 10.04..2011 წ.).
68. **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი.** http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_2500.html (მოძიებულია 10.04..2011 წ.).
69. **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი.** http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_5423.html (მოძიებულია 10.04..2011 წ.).
70. **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი.** http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_5423.html (მოძიებულია 10.04..2011 წ.).
71. **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი.** http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_7177.html (მოძიებულია 10.04..2011 წ.).

72. **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი.** http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_4638.html (მოძიებულია 10.04..2011 წ.).
73. **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი.** http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_4638.html (მოძიებულია 10.04..2011 წ.).
74. **წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი.** http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_4638.html (მოძიებულია 10.04..2011 წ.).

ილუსტრაციები

ილუსტრაციების სია:

თელავის ისტორიული მუზეუმი

1. თელავის მუზეუმის კოშკი – სამხედრო განყოფილება. 1936-1941წწ.
2. მუზეუმის შესასვლელი გზა და აღმოსავლეთის კარიბჭე. 1936-1941წწ.
3. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა. 1936-1941წწ.
4. ექსპონატები განლაგებულია პლიტაზე და კედელზე. 1936-1941წწ.
5. პურის საცხობი გამოყენებული იყო ექსპონატების ჩამოსაკიდებლად. 1936-1941წწ.
6. თელავის მუზეუმის მთავარი დარბაზი. 1936-1941წწ.
7. XII-XVI საუკუნეების ისტორიის განყოფილება. 1936-1941წწ.
8. ერეკლე II-ის ეპოქა. 1936-1941წწ.
9. 1904-07 წ. პერიოდი კახეთში. 1936-1941წწ.
10. თელავის რაიონის მადნელთა ნიმუშების განყოფილება. 1936-1941წწ.
11. სატყეო განყოფილება. 1936-1941წწ.
12. მევენახეობა. 1936-1941წწ.
13. მეღვინეობა 1936-1941წწ.
14. მეაბრეშუმეობის კუთხე. 1936-1941წწ.
15. ოქრომკედით ნაკერი სარტყელ-გულისპირი. თელავის მუზეუმის ექსპონატი. 1936-1941წწ.
16. კახთ მეფეთა სასახლე. 2011წ.
17. კახთ მეფეთა სასახლე. 2011წ.
18. კახთ მეფეთა სასახლე. 2011წ.
19. მეფე ერეკლე II-ის ოთახი. 2011წ.
20. მეფე ერეკლე II-ის ოთახი. 2011წ.
21. მეფე ერეკლე II-ის ოთახი. 2011წ.
22. ამ ოთახში 1720 წლის 7 ნოემბერს დაიბადა და აქვე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა მეფე ერეკლე მეორე. 2011წ.
23. ამ ოთახში 1720 წლის 7 ნოემბერს დაიბადა და აქვე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა მეფე ერეკლე მეორე. 2011წ.
24. მისაღები დარბაზი. 2011წ.
25. ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა. 2011წ.
26. ეთნოგრაფიული მუზეუმი, ექსპოზიცია. 2011წ.

27. ეთნოგრაფიული მუზეუმი, ექსპოზიცია. 2011წ.
28. ეთნოგრაფიული მუზეუმი, ექსპოზიცია. 2011წ.
29. ეთნოგრაფიული მუზეუმი, ექსპოზიცია. 2011წ.
30. ეთნოგრაფიული მუზეუმი, ექსპოზიცია. 2011წ.
31. ეთნოგრაფიული მუზეუმი, ექსპოზიცია. 2011წ.
32. ეთნოგრაფიული განყოფილება. 2011წ.
33. ეთნოგრაფიული განყოფილება. 2011წ.
34. ეთნოგრაფიული განყოფილება. 2011წ.
35. ეთნოგრაფიული განყოფილება. 2011წ.
36. ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა. 2011წ.
37. ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა. 2011წ.
38. ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა. 2011წ.
39. ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა. 2011წ.
40. დროებითი საგამოფენო სივრცე. 2011წ.
41. ერეკლე მეორეს კარის ეკლესია. 2011წ.
42. ერეკლე მეორეს კარის ეკლესია. 2011წ.
43. არჩილის კარის ეკლესია. 2011წ.
44. არჩილის კარის ეკლესია. 2011წ.
45. აღმოსავლეთის კარიბჭე. 2011წ.
46. აღმოსავლეთის კარიბჭე. 2011წ.
47. აღმოსავლეთის კარიბჭე. 2011წ.
48. დასავლეთის კარიბჭე. 2011წ.
49. ერეკლე II-ის აბანო. 2011წ.
50. გალავანი. 2011წ.
51. თელავის ისტორიული მუზეუმის ეზო. 2011წ.
52. თელავის ისტორიული მუზეუმის ეზო. 2011წ.
53. თელავის ისტორიული მუზეუმის ეზო. 2011წ.
54. ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა, დაზიანებები გარე ფასადზე. 2011წ
55. ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა, დაზიანებები კიბის უჯრედში. 2011წ
56. კახთ მეფეთა სასახლე. დაზიანებები ჭერზე. 2011წ.

57. კახთ მეფეთა სასახლე. დაზიანებები ჭერზე. 2011წ.

წინანლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმითელავის ისტორიული მუზეუმი

58. გადამწვარი წინანდლის სასახლე. უცნობი ავტორი. გრავიურა
59. წინანდლის სასახლე. XIX-XX ს-ის დასაწყისი. ფოტო
60. წინანდლის სასახლე. XX ს-ის დასაწყისი
61. წინანდლის სასახლე. XX ს-ის 50-იანი წლები. ფოტო
62. მუზეუმის პირველი ექსპოზიცია. 1946წ.
63. მუზეუმის პირველი ექსპოზიცია. 1946წ.
64. წინანდლის სასახლე
65. საძინებელი
66. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. 2011წ.
67. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შესასვლელი. 2011წ.
68. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შესასვლელი. 2011წ.
69. სალონი. 2011წ.
70. სალონი. 2011წ.
71. ალ. ჭავჭავაძის კაბინეტი. 2011წ.
72. საძინებელი. 2011წ.
73. საძინებელი. 2011წ.
74. საძინებელი. 2011წ.
75. საძინებელი. 2011წ.
76. საძინებელი. 2011წ.
77. სამზარეულო. 2011წ.
78. სამზარეულო. 2011წ.
79. სამზარეულო. 2011წ.
80. სამზარეულო. 2011წ.
81. სამზარეულო. 2011წ.
82. სასადილო ოთახი. 2011წ.
83. სასადილო ოთახი. 2011წ.
84. სასადილო ოთახი. 2011წ.
85. სასადილო ოთახი. 2011წ.

86. სასადილო ოთახი. 2011წ.
87. სიყვარულის სკამი. 2011წ.
88. სასახლის აივანი. 2011წ.
89. ღია გალერეა. 2011წ.
90. კაფე. 2011წ.
91. სადეგუსტაციო დარბაზი. 2011წ.
92. სადეგუსტაციო დარბაზი. 2011წ.
93. მარანი. 2011წ.
94. მუზეუმის მაღაზია. 2011წ.
95. მუზეუმის მაღაზია. 2011წ.
96. მუზეუმის მაღაზია. 2011წ.
97. რესტორანი. 2011წ.
98. სასტუმრო. 2011წ.
99. ღვინის მარანი. 2011წ.
100. ღვინის მარანი. 2011წ.
101. ღვინის მარანი. 2011წ.
102. ღვინის მარანი. 2011წ.
103. წინანდლის ბაღი. 2011წ.
104. წინანდლის ბაღი. 2011წ.
105. წინანდლის ბაღი. 2011წ.
106. წმ. გიორგის ეკლესია. 2011წ.
107. წმ. გიორგის ეკლესია. 2011წ.

თელავის ისტორიული მუზეუმი

1. თელავის მუზეუმის კოშკი – სამხედრო განყოფილება. 1936-1941წწ.

2. მუზეუმის შესასვლელი გზა და აღმოსავლეთის კარიბჭე. 1936-1941წწ.

3. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა. 1936-1941წწ.

4. ექსპონატები განლაგებულია პლიტაზე და კედელზე. 1936-1941წწ.

5. პურის საცხობი გამოყენებული იყო ექსპონატების ჩამოსაკიდებლად. 1936-1941წწ.

6. თელავის მუზეუმის მთავარი დარბაზი. 1936-1941წწ.

7. XII-XVI საუკუნეების ისტორიის განყოფილება. 1936-1941წწ.

8. ერეკლე II-ის ეპოქა. 1936-1941წწ.

9. 1904-07 წ. პერიოდი კახეთში. 1936-1941წწ.

10. თელავის რაიონის მადნელთა ნიმუშების განყოფილება. 1936-1941წწ.

11. სატყეო განყოფილება. 1936-1941წწ.

12. მევენახეობა. 1936-1941წწ.

13. მეღვინეობა. 1936-1941წწ.

14. მეაბრეშუმეობის კუთხე. 1936-1941წწ.

15. ოქრომკედით ნაკერი სარტყელ-
გულისპირი.
თელავის მუზეუმის ექსპონატი
1936-1941წწ.

16. 17. 18. კახთ მეფეთა სასახლე. 2011წ.



19. 20. 21. მეფე ერეკლე II-ის ოთახი. 2011წ.



22. 23. ამ ოთახში 1720 წლის 7 ნოემბერს დაიბადა და აქვე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა მეფე ერეკლე მეორე. 2011წ.



24. მისაღები დარბაზი. 2011წ.

25. ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა. 2011წ.

26. 27. 28. ეთნოგრაფიული მუზეუმი, ექსპოზიცია. 2011წ.

29. 30. 31. ეთნოგრაფიული მუზეუმი, ექსპოზიცია. 2011წ.

32. 33. 34. 35. ეთნოგრაფიული განყოფილება. 2011წ.



36. 37. 38. 39. ქეთევან იაშვილის სახელობის სამხატვრო გალერეა. 2011წ.

40. დროებითი საგამოფენო სივრცე. 2011წ.

41. 42. ერეკლე მეორეს კარის ეკლესია. 2011წ.

43. 44. არჩილის კარის ეკლესია. 2011წ.

45. 46. 47. აღმოსავლეთის კარიბჭე. 2011წ.

48. დასავლეთის კარიბჭე. 2011წ.

49. ერეკლე II-ის აბანო. 2011წ.

50. გალავანი. 2011წ.

51. 52. 53. თელავის ისტორიული მუზეუმის ეზო. 2011წ.

54. ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა, დაზიანებები გარე ფასადზე. 2011წ.

55. ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა, დაზიანებები კიბის უჯრედში. 2011წ.

56. 57. კახთ მეფეთა სასახლე. დაზიანებები ჭერზე. 2011წ.

წინანდლის ალ. ჯავჯავაძის სახლ-მუზეუმი

58. გადამწვარი წინანდლის სასახლე. უცნობი ავტორი. გრავიურა

59. წინანდლის სასახლე. XIX-XX ს-ის დასაწყისი. ფოტო

60. წინანდლის სასახლე. XX ს-ის დასაწყისი

61. წინანდლის სასახლე. XX ს-ის 50-იანი წლები. ფოტო

62. მუზეუმის პირველი ექსპოზიცია. 1946წ.

63. მუზეუმის პირველი ექსპოზიცია. 1946წ.

64. წინანდლის სასახლე

65. საძინებელი

66. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. 2011წ.

67. 68. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შესასვლელი. 2011წ.

69. 70. სალონი. 2011წ.

71. ალ. ჭავჭავაძის კაბინეტი. 2011წ.

72. 73. 74. 75. 76. საძინებელი. 2011წ.

77. 78. 79. 80. 81. სამზარეულო. 2011წ.

82. 83. 84. 85. 86. სასადილო ოთახი. 2011წ.

87. სიყვარულის სკამი. 2011წ.

88. სასახლის აივანი. 2011წ.

89. ღია გალერეა. 2011წ.

90. კაფე. 2011წ.

91. 92. სადეგუსტაციო დარბაზი. 2011წ.

93. მარანი. 2011წ.

94. 95. 96. მუზეუმის მაღაზია. 2011წ.

97. რესტორანი. 2011წ.

98. სასტუმრო. 2011წ.

99. 100. 101. 102.
ღვინის მარანი. 2011წ.

103. 104. 105. წინანდლის ბაღი. 2011წ.

106. 107. წმ. გიორგის ეკლესია. 2011წ.

შინაარსი

შესავალი;

წყაროები და ლიტერატურა ;

თავი I.

კახეთის რეგიონის მუზეუმების განვითარების ისტორია მე-20 საუკუნეში;

თავი II.

თელავის ისტორიული მუზეუმი;

&1. “ბატონის ციხის” არქიტექტურული კომპლექსი ;

&2. “კახთ მეფეთა” სასახლის ისტორიისათვის;

&3. თელავის ისტორიული მუზეუმის ისტორია;

თავი III.

წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი;

&1 ალ- ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ისტორია;-

&2 წინანდლის ბაღი;

&3 წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მმართველობითი საქმიანობა;

თავი IV.

კახეთის რეგიონის მუზეუმების პრობლემები და მათი განვითარების პერსპექტივები ;

დასკვნა ;

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა;

ილუსტრაციები ;

შინაარსი.